გივი ლობჟანიძე

ისტორიული პარალელები

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის
სააქციო საგამგაღლეება „სტამბის“
საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
1999

დაყით მანდარიას—ცნობილი ქართველი პოლიგრაფისტისა და საზოგადო მოღვაწის ნათელ სულთან ვუძღვნი ამ წიგნს.

ავტორი

გივი ლობჟანიძის მონოგრაფიაში „ისტორიული პარალელები" ორიგინალურად მოფიქრებული პრობლემა ღრმა მეცნიერული კვლევისა და ანალიზის საფუძველადაა ქცეული. აქ მოვლენები დროის სამივე განზომილებიდანაა (წარსული, აწმყო და მომავალი) დანახული და განსჯილი. ნაჩვენებია ის საერთო, ზოგადი, ასევე განმასხვავებელიც, რაც აერთიანებთ და აშორებთ მათ კიდეც ერთმანეთს.

ვფიქრობთ, მკითხველი ბევრ საგულისხმოსა და საინტერესოს აღმოაჩენს ამ წიგნში.

რედაქტორი, პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე

რეცენზენტები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი
ლევან ალექსიძე
პროფესორი ილია ტაბაღუა
პროფესორი დავით ბოცვაძე

ISBN 99928-46-05-4
პირველი გამოცემა

წიგნზე მუშაობის დროს თანადგომისა და დახმარებისათვის მადლობას ვუხდით, ქალბატონებს: მადონა შეგრელიშვილს, თინა კოტეტიშვილს, ნათელა კაკაურიძეს, თამუნა კვარაცხელიას და ბატონებს: გურამ კოხრეიძესა და ლერი სულამანიძეს

შესავალი

ქართულმა სახელმწიფოებრიობამ სამიათასწლიანი ისტორიული გზა გაიარა. მისი წარსულის ძველისძველობაზე მეტყველებს ის ურთიერთობანი, რომლებიც ჩვენს ქვეყანას უხსოვარი დროიდან ჰქონდა არა მარტო მეზობელ ქვეყნებთან, არამედ ტერიტორიულად საკმაოდ შორს მდებარე სახელმწიფოებთანაც. ამ თვალსაზრისით თვით წინაფეოდალური ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობა მჭიდროდ უკავშირდება მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციების არსებობას. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვამს ქართველთა პირველი ტომობრივი გაერთიანებების კავშირს ხეთების სახელმწიფოსთან და პალესტინურ ცივილიზაციასთან. ინგლისელი მეცნიერის ევანსის არქეოლოგიურმა გათხრებმა დააფიქსირეს კრეტა–მიკენის კულტურის კავშირი ძველ კოლხურ სამყაროსთან, რამაც ნათელი გახადა, რომ ტროას ომის მსგავსად, არგონავტების მოგზაურობა, კოლხური ოქროს საწმისის ხელში ჩასაგდებად, მითი კი არა, არამედ ისტორიული მოვლენის ასახვა და მისი რეალური გამოძახილია, რაც დაამტკიცა 1984 წელს ინგლისელი მოგზაურის ტიმ სევერინის საქართველოში ჩამოსელამ, რომელმაც არგონავტების მიერ გაკვალული ისტორიული გზა გამოიარა.

თვითონ საქართველოს, როგორც აზია–ევროპის დამაკავშირებელი ხიდის, გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებდა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა დამაკავშირებელ აქტიურ საშუამავლო როლს.

სწორედ ამ ფაქტორის ზემოქმედებით იქმნებოდა ქართული კულტურის კერები, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. პირველი ასეთი საერთო ეროვნული და ამასთან, მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი ცენტრი III საუკუნეში დაფუძნებული ფაზისის აკადემია იყო, სადაც ქართული კულტურა, ბერძნულ–ელინურ კულტურასთან ურთიერთთანამშრომლობით, საფუძველს უყრიდა ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის განვი-

თარებას. მეორე დიდი კერა ქართული კულტურისა და პოლიტიკური აზროვნებისა ისევ ანტიკურ ხანას გასცქუთვნება და დაკავშირებულია პალესტინასთან, სადაც საუკუნეთა მანძილზე ინტენსიური მეცნიერული და კულტურული მოღვაწეობა მიმდინარეობდა. იერუსალიმი და სინას მთა, შემდეგში კი ათონის ივერთა მონასტერი, ქართული აზრის და ქართული საქმის უმნიშვნელოვანეს კერებად გადაიქცნენ. ეს ტრადიციები გაგრძელდა ტელათის, გარეჯის და იყალთოს აკადემიებში, მათი მეშვეობით, საზღვარგარეთულ ცენტრებთან ერთად, ეროვნული კულტურა და მეცნიერება ისეთ მაღალ დონეზე ავიდა, რომ საშუალება მიეცა ცნობილ ქართველ მკვლევარს შალვა ნუცუბიძეს საფუძვლიანად დაემტკიცებინა „ნაადრევი ქართული რენესანსის“ არსებობა XI—XII საუკუნეების სინამდვილეში; პეტრე იბერი, იოანე საბანის ძე, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი და ექვთიმე ათონელები, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ბექა და ბეშქენ ოპიზარები, გიორგი ჭყონდიდელი, შოთა რუსთაველი, ბასილი ეზოსმოძღვარი, აი, ის არასრული სია ქართველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მაშინდელი წარმომადგენლებისა, რომლებმაც ერის ინტელექტუალური პოტენციალი ზოგადსაკაცობრიო განვითარების სიმაღლემდე აიყვანეს.

სწორედ ამ ეპოქას ემთხვევა კიევის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები. კიევის რუსეთსა და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მეტყველებს არქეოლოგთა მიერ IX-X საუკუნეებში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტების აღმოჩენა. გარდა ამისა, რუსულ მატეანეებში ქართველთა და პირიქით „ქართლის ცხოვრებასა“, „ვეფხისტყაოსანსა“ და გ. ჩახრუხაძის „თამარიანში“—რუსების მოხსენიება. ისტორიული წყაროები მეტყველებენ, რომ XI საუკუნეში ქართველ მხატვრებს კიევის ტაძრები მოუხატავთ. კიევის მთავარს იზიასლავ I-ს ცოლად ჰყოლია ქართველი მეფის ასული, ხოლო თამარ მეფის პირველი ქმარი რუსი იყო.

ორი უძველესი ისტორიული ხალხის ურთიერთობა, დიდი ხნის მანძილზე, თათარ-მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად შეწყდა. თურქეთის მიერ ბიზანტიის დამხობამ მთლიანად შეცვალა პოლიტიკური კლიმატი, ერთმორწმუნე, უდიდესი კულტურული ტრადიციების მქონე ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს მეზობლად აღმოჩნდა უაღრესად აგრესიული და ჩამორჩენილი თურქეთი, რომელმაც საქართველო, ფაქტიურად, მოწყვიტა დასავლეთის ქვეყ-

ნებს. XVI საუკუნეში კი საქართველო თურქებმა და სპარსელებმა გაიყვეს, ქვეყანა ცალკეულ ფეოდალურ სამთავროებად დაქუცმაცდა.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და მთელი კავკასიისათვის რუსეთის სამეფოს გაძლიერებას, რომელმაც მდინარე ვოლგის აუზში თათართა ბატონობა მოსპო, ჩრდილო კავკასია გაანთავისუფლა, თერგის ნაპირას ციხესიმაგრე ააგო და შიგ რეგულარული ჯარი ჩააყენა. რუსეთს კარგად ესმოდა თურქეთ-სპარსეთის გაძლიერების საშიშროება და კავკასიის მნიშვნელობა არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

ამრიგად, კავკასიაში ორი ძლიერი ძალა, ერთის მხრივ, თურქეთ-სპარსეთი და მეორეს მხრივ, რუსეთი დაუპირისპირდა ერთმანეთს. რუსეთის ხელისუფლებას აწყობდა კავკასიაში ძლიერი დასაყრდენი ჰქონოდა და საქართველოსთან კავშირურთიერთობა აღადგინა. ასეთ კავშირს საქართველოც ესწრაფვოდა, რადგანაც ქვეყანას გარეული და შინაური მტრები ერთნაირად აოხრებდნენ. „ძნელბედობამ" თავისი უარყოფითი კვალი დააჩნია ქართული კულტურისა და პოლიტიკის განვითარებასაც. უაქტობრივად, შეწყდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრების მიერ რუდუნებით შექმნილი კულტურული ცენტრების ფუნქციონირება, რომლებიც, გარკვეული აზრით, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ფუნქციებსაც ასრულებდნენ საზღვარგარეთ. ასეთ სიტუაციაში რუსეთ-საქართველოს შორის პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსკოვის ქართული კოლონიის დაარსება და მისი კულტურული და პოლიტიკური მემკვიდრეობა, რომელმაც უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედ-იღბალის განსაზღვრაში. ამ იდეას თეიმურაზ I-მა ჩაუყარა საფუძველი, როცა 1652 წელს სამასკაციანი ქართული დელეგაცია მიავლინა ალექსი მიხეილის ძის სამეფო კარზე, მათ შორის იყო, თეიმურაზ I-ის რძალი და შვილიშვილი—მომავალი ქართლის მეფე ერეკლე I, რომელიც რუსეთის სამეფო კარზე აღსაზრდელად იქნა გაგზავნილი.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა განსაკუთრებით გააქტიურდა მე-17 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და მე-18 საუკუნის პირველი ათეული წლების დასაწყისში, რაც რუსეთში, ქართულ ინტელიგენციასთან ერთად, ვახტანგ VI-ის ჩასვლამ განაპირობა. ამრიგად, ისტორიულმა პირობებმა გააძლიერა საქართველოს ორიენტაცია რუსეთზე, რასაც შედეგად მოჰყვა 1783

წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც დაიდო ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-სა და რუსეთის იმპერატორ ეკატერინეს შორის. შემდეგ კი 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი, რომლის ძალითაც საქართველო შეიერთა რუსეთმა და გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა რაც მათი კოლონიური პოლიტიკის რეალიზაციას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, როგორც ვხედავთ, ამ ორ ერთმორწმუნე, სუვერენული ქვეყნების—საქართველოს და რუსეთის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ფესვები დროთა სიღრმეში იკარგება.

არ ვიქნებით ობიექტურნი, არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართველ ინტელექტუალებს ევროპისაკენ რუსეთმა გაუხსნა გზა. რუსეთი გახდა ქართველებისათვის სხვადასხვა სფეროში განათლების მიღების საფუძველი, იმ პერიოდის თითქმის ყველა დიდმა მოაზროვნე ქართველმა რუსეთსა და ევროპაში მიიღო განათლება, საკმარისია დავასახელოთ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, არჩილ ჯორჯაძე, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, ივანე გომართელი, მიხეილ გედევანიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, სამსონ ფირცხალავა, გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), გიორგი ლასხიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი და სხვა მრავალი.

როგორც უკვე ითქვა, რუსეთთან „შეერთებას“ დადებითი შედეგიც მოჰყვა საქართველოსათვის, მაგრამ ერი ვერ შეეგუა ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვას და სახელმწიფოებრიობის გაუქმებას (ამას, ალბათ, არავინ შეეგუებოდა). ობიექტური წინამძღვრების არსებობის მიუხედავად, ეს მომენტი მოულოდნელი და მტკივნეული იყო ქართველი ხალხისათვის, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობა საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა, განუწყეტელ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში. ამას ემატებოდა ცარიზმის უხეში პოლიტიკა, რომელსაც იგი მიმართავდა განსაკუთრებით პირველ პერიოდში. ამგვარი ისტორიული სიტუაციით იყო გამოწვეული აჯანყებებისა და შეთქმულების ორგანიზება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში.

რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია მცირე ერების განმათავისუფლებელ მოძრაობას თანაგრძნობით უყურებდა. მათ კარგად ესმოდათ ორმაგი ჩაგვრის აუტანელი რეჟიმის შედეგები და ამ გარე-

მოებით გამოწვეულ კავკასიელ ხალხთა პროტესტს და განმათავისუფლებელ ბრძოლას რუსი ხალხის მოწინავე შვილები სიმპათიით და გაგებით ეკიდებოდნენ. რუსი ინტელიგენციისა და საზოგადოების აზროვნებაში კავკასია და საქართველო ორ უკიდურესად განსხვავებულ მხარედ ჩამოყალიბდა. ერთი ნაწილისათვის „ციმბირად“ გაცნობიერდა, მეორე ნაწილისათვის კი „ეგზოტიკურ“ ქვეყნად გადაიქცა. კავკასიაში და საქართველოში დიდი რუსი მწერლების და პოეტების: პუშკინის, ლერმონტოვის, პოლონსკის, ტოლსტოის და სხვათა ჩამოსვლამ, მათ მიერ შექმნილმა მხატვრულმა ნაწარმოებებმა, დღიურებმა და მოგონებებმა, რასაც რუსეთის ფართო მასების ცნობიერებაზე დიდი გავლენა ჰქონდა, რამდენადმე მიუახლოვა საქართველოსა და კავკასიის პრობლემები რეალურ სინამდვილეს და დადებითად იმოქმედა ამ ორ ქვეყანას შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

წინამდებარე მონოგრაფიაში „ისტორიული პარალელები“ განხილულია დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის საქართველოში ჩამოსვლა და მისი ფენომენის გააზრება ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

გაანალიზებულია ქართული ძირძველი კუთხის მესხეთის ისტორიული ბედი, სომხებისა და დუხობორების ჩამოსახლება ჯავახეთში, მათთან დაკავშირებული პრობლემები.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობის ბოგადსაკაცობრიო ღირებულების განხილვას. არჩილ ჯორჯაძის დამოკიდებულებას ლევ ტოლსტოის და მისი მოძღვრებისადმი. ქვეყნდება „კარგად დავიწყებული“ ძველი მასალები, რომელიც ეხება მაშინდელი ინგლისის ცხოვრებას, ასახულია გასული საუკუნის ინგლისში ტოლსტოელთა „კოლონისტების“ მოღვაწეობა, იბეჭდება საარქივო, დღემდე გამოუქვეყნებელი წერილები და ა. შ.

სამართლებრივადაა შეფასებული 1783 წლის ტრაქტატი და 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი, მონოგრაფიაში ქვეყნდება ტრაქტატისა და მანიფესტის ტექსტები.

ჩვენი აზრით, წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი ხელს შეუწყობს განხილული პრობლემებით დაინტერესებული მკითხველის ცნობიერებაში ზოგიერთი ისტორიული და პოლიტიკური მოვლენის სწო-

რად გააზრებას, ქართველი, რუსი და ინგლისელი ხალხის ურთიერთდაასლოვებას და ა.შ.

შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ დასმული საკითხები სიღრმისეულადაა შესწავლილი და სათქმელი ამოიწურა, ანდა წიგნი უნაკლო იქნება. ავტორი გულწრფელი მადლიერებით მიიღებს ყველა კორექტულ შენიშვნას და გაითვალისწინებს პრობლემათა სიღრმისეული კვლევის შემდგომ ეტაპზე.

თავი პირველი

ლევ ტოლსტოი და ქართული საზოგადოებრივი აზრი

არიან მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, რომელთა სახელები საყოველთაოდაა აღიარებული, ისინი გვაცნობენ ცხოვრების სიღრმეებს, გვაბიარებენ სიბრძნეს და გვეხმარებიან სიკეთისა და ბოროტების გარჩევაში, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნაში. სახალხო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სახელი ყველას ხვედრი როდია. ზოგიერთები, როგორც კომეტები ისე გაიელვებენ ცის კამარაზე, შემდეგ უეცრად ქრებიან. საბედნიეროდ, არიან ისეთებიც, მუდმივად რომ ანათებენ, დრო და ჟამი ვერ აფერმკრთალებს მათი გენიის აღმატებულებას, პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო თანამედროვენი და პოპულარულნი ხდებიან.

სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება დიდი რუსი მწერალი და მოაზროვნე ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი. მისი ლიტერატურული და სამწერლო მოღვაწეობა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო და ჩვენი საუკუნის ათიან წლებამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა, პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური თვალსაზრისით, ძალზე რთული გზა განელო ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევიდან კაპიტალისტური გზით განვითარებისკენ, რევოლუციური პროცესების დაწყება და ა.შ. ლ. ნ. ტოლსტოი თავისი ეპოქის შვილი იყო და მის შემოქმედებაში სწორედ ამ პერიოდში მიმდინარე ყველა პროცესმა იპოვა თავისი ადგილი. მწერლის მსოფლმხედველობის და მისი როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია უბრალო ადამიანების ცხოვრებასთან ახლოს მისელამ, მათი ტკივილების გაზიარებამ და გაცნობიერებამ, აგრეთვე, ბუნებრივია, იმ ტრადიციებმაც, რომლებსაც ემსახურებოდნენ რუსი პოეტები და მწერლები: პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი და სხვები.

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე წერდა: „პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად

ცნობილ არიან უკეთესთა რუსთაგან. მათი წყალობით და მეოხებით ევროპამ... სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნი იყვნენ ხსენებული დიდბუნებიანნი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით იმისთანავე გვაჩვენებდნენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომობა თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და ამგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად სჯულისა, გვარტომობისა და დიდპატარაობისა"[1]

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი დაიბადა 1828 წლის 9 სექტემბერს, იასნაია პოლიანაში. მწერლის მამა, გრაფი ნიკოლოზ ილიას ძე ტოლსტოი პავლოგრადის ჰუსართა პოლკის პოდპოლკოვნიკი, 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე იყო. მან, სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, ცოლად შეირთო თავადის ქალი მარია ნიკოლოზის ასული ვოლკონსკაია. მარია ნიკოლოზის ასული მრავალმხრივ განვითარებული და ერუდირებული პიროვნება გახლდათ, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო მისი გენიალური შვილის დავაჟკაცებას, ჯერ კიდევ მაშინ გარდაიცვალა, როდესაც ლ. ტოლსტოი ორი წლისაც არ იყო. ბავშვის აღზრდა იკისრა ტოლსტოების შორეულმა ნათესავმა მაღალი ზნეობით გამორჩეულმა ტატიანა ალექსანდრეს ასულმა ერგოლსკაიამ (1792-1874), რასაც შემდგომში დიდად უმადლიდა მწერალი.

ლ. ნ. ტოლსტოიმ კარგი აღზრდა მიიღო. 9 წლისას მამა გარდაეცვალა და მათი ოჯახის პატრონობა მამიდებმა ითავეს. 1841 წლამდე ლ. ნ. ტოლსტოი იასნაია პოლიანასა და მოსკოვში ცხოვრობდა. შემდეგ კი ყაზანში გადავიდა საცხოვრებლად მამიდის ოჯახთან ერთად.

1844 წელს თექვსმეტი წლის ტოლსტოი ყაზანის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე იწყებს სწავლას, მაგრამ იქ გამეფებულმა რეჟიმმა აიძულა დაეტოვებინა სასწავლებელი და იასნაია პოლიანაში დაბრუნებულიყო, სადაც გლეხთა ცხოვრების რეფორმატორული გარდაქმნები დაიწყო, რასაც თვითონ გლეხობაც ეჭვის თვალით უყურებდა. იასნაია პოლიანაში იგი ბეჯითად მეცა-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III გვ. 82

დინეობდა, ბევრს კითხულობდა და ცოდნას იმაღლებდა, 1849 წლის დასაწყისში „სამართლის კანდიდატის“ გამოცდის ჩასაბარებლად პეტერბურგში ჩავიდა. რატომღაც გამოცდის ჩაბარებაზე ხელს იღებს და კვლავ იასნაია პოლიანაში ბრუნდება. ეს ის პერიოდია, როდესაც ლ. ტოლსტოი შინაგანად გრძნობს დიდ ენერგიას, სურს შექმნას შრომები და სტატიები ხელოვნებისა და კულტურის სფეროში, ცდის რომანის დაწერასაც, მაგრამ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიყავს. ყოველივე ამას კი ძალიან განიცდის. ყველა დიდ შემოქმედს აქვს მსგავსი ეტაპი ცხოვრებაში, როდესაც ნიჭი გახარჯვისა და აღმასვლისათვის ემზადება. ამ დროს რაღაც მომენტმა უნდა შეასრულოს დიდი როლი, რომ ნიჭიერების და შემოქმედების უზარმაზარი მანქანა ამოქმედდეს.

სწორედ ამ დროს იწყება ლ. ტოლსტოის მოგზაურობა კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში.

23 წლის ჭაბუკი ლ. ტოლსტოი საქართველოში 1851 წლის 1 ნოემბერს, სამხედრო გზით ჩამოვიდა, ჩრდილოეთ კავკასიიდან სტანიცა სტაროგრადოვსკაიაში, სადაც მისი ძმა ნიკოლოზ ტოლსტოი ცხოვრობდა და მსახურობდა. დიდი მწერალი აღფრთოვანებაში მოუყვანია თერგის ხეობას, საქართველოს ბუნებას. ხარბად ათვალიერებდა ქართულ სიძველეებს. ყაზბეგში, აღგილობრივ თანმხლებ პირებთან ერთად, მოუნახულებია მთაზე მდგომი წმინდა სამების მონასტერი.

თბილისში ლ. ტოლსტოიმ დაახლოებით ორთვენახევარი დაჰყო. მასალებიდან ჩანს, რომ იგი სხვებისაგან განურჩეველად და სრულიად უბრალოდ ცხოვრობდა.

ნ. ნაკაშიძე წერს:[1] „ყველას აკვირვებდა ტოლსტოის უბრალოება, თავმდაბლობა, დემოკრატობა, გულკეთილობა“. შემდგომში მწერალი დიდი კმაყოფილებით იგონებდა თბილისში გატარებულ დროს, აღიარებდა, რომ „იქ იგრძნო ის შინაგანი განახლება, რომელსაც დიდი ხანია ესწრაფვოდა“. „სწორედ ი. კ. დიტერიქსმა[2] მაჩვენა ის სახლი პლეხანოვის პრ., სადაც 1851-1852 წლებში ლევ ტოლსტოი ცხოვრობდა. პატარა, ყვითლად შეღებილი სახლი იყო. ამჟამად მის

[1] ნინო იოსების ასული ნაკაშიძე (1872-1963) ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ილია ნაკაშიძის მეუღლე. მათ შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საბური.

[2] იოსებ კონსტანტინეს ძე დიტერიქსი,—აგრონომი მეაბრეშუმე. ტოლსტოის ახლო მეგობარი. ერთხანს მსახურობდა თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურში. დუხობორებს გაჰყვა ერთ-ერთ გემზე და მანამ დარჩა იქ, სანამ დუხობორები დაბინავდებოდნენ. გარდაიცვალა 1931 წელს. ბოლო დროს მუშაობდა მეაბრეშუმედ აბერბაიჯანში, ქ. განჯაში.

ადგილზე ახალი სახლი დგას, ნაცრისფრად შეღებილი"—იგონებს ნ. ნაკაშიძე.

ლევ ნიკოლოზის ძეს ამ პატარა სახლში, რომელიც ჩაკირული იყო მამინდელ განაპირა და დღევანდელი თბილისის შუაგულში, დაუწყია თავისი პირველი მსატვრული მოთხრობის „ბავშვობის" წერა. ამას ადასტურებს ტოლსტოის წერილი, რომელიც ტ. ა. ერგოლსკაიასათვის გაუგზავნია. წერილის შინაარსი მრავალმხრივაა საინტერესო. მასში გადმოცემულია მომავალი მწერლის განცდები და შთაბეჭდილებები საქართველოსა და, კერძოდ, თბილისზე. „ძვირფასო მამიდა! ერთი კვირის შემდეგ სწორედ ოთხი თვე შესრულდება, რაც მე თქვენი ამბავი არაფერი ვიცი, მაგრამ ახლა მაინც მაქვს იმედი, რომ თქვენი წერილები სტაროგრადოვსკაიაში იქნება. ნამდვილად ჩვენ გამოვემგზავრეთ 25 ოქტომბერს და შვიდი დღის მგზავრობის შემდეგ, ყოველ სადგურზე ცხენების უშოვნელობით გაბეზრებულნი და ძალიან ნასიამოვნები იმ ადგილების მშვენიერებით, რომელიც გამოვიარეთ, ამ თვის ნოემბრის პირველ რიცხვს მოვეღით.

მეორე დღეს წავედი გენერალ ბრიმერთან, რომ წარმედგინა იმისათვის ტულაში მიღებული ქაღალდები და ჩემი საკუთარი პიროვნება. მიუხედავად მისი გერმანული ზრდილობიანი სურვილისა, დამხმარებოდა, იგი მაინც იძულებული შეიქნა ჩემთვის უარი ეთქვა, რადგან ჩემი ქაღალდები არ გამოდგა რიგიანად შედგენილი და მაკლდა დოკუმენტები, რომელიც ამ წამს პ-შია და მე უნდა ვუცადო იმათ მიღებას. თუ ჩემი ქაღალდები ერთი თვის განმავლობაში არ მომივიდა, სამხედრო სამსახურზე ხელს ავიღებ, რადგან ამ წელიწადში საგამთრო ექსპედიციაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, რაც ჩემი ერთადერთი სურვილი იყო, როცა სამსახურში შევდიოდი".[1]

წერილიდან ირკვევა, თუ როგორ მოეწყო თბილისში ლევ ტოლსტოი, ვისთან ჰქონდა ურთიერთობა და როგორი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა საქართველოს დედაქალაქი, რომელიც მაშინდელ ამიერკავკასიაში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა.

დიდი მწერლის განწყობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დედაქალაქის საზოგადოებით მოხიბლულს, სამხედრო სამსახურში მოუწყობლობის შემთხვევაში, მტკიცედ გადაუწყვეტია, სამოქალაქო სამსახური თბილისში დაეწყო.

[1] ნ. ნაკაშიძე, ლევ ტოლსტოის ახლოს. თბ., 1954 წ. გვ. 74-75



ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ძმა ნიკოლოზი კავკასიაში გამომგზავრების წინ

„მოულოდნელად ტფილისში ვნახე ერთი კარგი ჩემი პეტერბურგელი ნაცნობი თავადი ბაგრატიონი, წერს ლ. ტოლსტოი წერილში, რომელიც დიდ დასმარებას მიწევს. იგი ჭკვიანი და განათლებული კაცია, ტფილისი ძლიერ დაწინაურებული ქალაქია. ძალიან ჰბაძავს პეტერბურგს და აღწევს მიზანს, რჩეული მრავალრიცხოვანი საზოგადოებაა. არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლითაც მე ვსარგებლობ იმდენად, რამდენადაც ამის ნებას მაძლევს ჩემი პატარა შეძლება. მე ვცხოვრობ გერმანელების კოლონიაში. ეს ადგილი წარმოადგენს ქალაქის გარეთა უბანს. მაგრამ იმას ჩემთვის ორი დიდი სარგებლობა მოაქვს: ერთი, რომ ეს მშვენიერი ადგილია, ირგვლივ ბაღებსა და ვენახებშია ჩაფლული, ასე რომ, თავს ვგრძნობ უფრო სოფელში, ვიდრე ქალაქში (აქ ჯერ კიდევ ძალიან ცხელა და ნათელი, მხიარული ღღეებია, არ ყოფილა არც თოელი, არც ყინვა). ამ ადგილის მეორე უპირატესობა ის არის, რომ აქ ორ საკმაოდ სუფთა ოთახში ვიხდი ხუთ მანეთს თვეში, როცა ასეთი ბინა თვით ქალაქში არ შეგიძლია დაიქირაო 40 მანეთ ნაკლებად თვეში.

გარდა ამისა, გერმანული ენის უფასო პრაქტიკაც მაქვს. მაქვს, აგრეთვე, წიგნები, სამედიცინო საქმეც და მოცლაც, რადგან არავინ მოდის ჩემთან შესაწუხებლად, ასე რომ, საერთოდ, მოწყენილი არ ვარ.

გახსოვს, კეთილო მამიდა, ერთხელ თქვენ მირჩიეთ—წერე რომანებიო და აი, მეც მივდევ თქვენს რჩევას და ჩემი მეცადინეობაც, რის შესახებაც გწერდით, ლიტერატურულ შრომაში გამოიხატება. მე ჯერ კიდევ არ ვიცი, გამოვა როდისმე ის, რასაც მე ვწერ, თუ არა, მაგრამ ამ სამუშაოს, რომელიც მე მართობს და რომელმაც უკვე ძალიან შორსაც გამიტაცა, თავს ვეღარ გავანებებ.

აი ჩემი სამუშაო მეცადინეობის შესახებ სწორი ანგარიში. რაც შეეხება ჩემს გეგმებს, თუ სამხედრო სამსახურში ვერ შევედი, ვეცდები გამოვძებნო ჩემთვის რაიმე სამოქალაქო სამსახური აქვე, რუსეთში კი არა.

მშვიდობით, ეევამბორები თქვენს ხელებს და ველოდები თქვენს წერილებს. პირდაპირი მისამართია_საქართველო, ტფილისი"[1]

ლ. ტოლსტოის თბილისში გატარებულმა დღეებმა საშუალება მისცა ახლოს გასცნობოდა ადამიანებს. ქართველთა ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს და ა.შ., რომელსაც ხშირად იხსენებს თავის დღიურებში.

---

[1] ნ. ნაკაშიძე, იქვე გვ. 76.

გამოქვეყნებულმა „ბაეშვობამ“ და სხვა კავკასიურმა მოთხრობებმა („თაედასხმა“, „ტყის კაფვა“, და „ყრმობა“) სრულიად ახალგაზრდა ტოლსტოის ერთბაშად მოუპოვა ნიჭიერი მწერლის სახელი და თავიდანვე მსოფლიო აზროვნების დიდ შარაზე გაიყვანა.

თბილისურმა და კავკასიურმა მოგონებებმა ათქმევინა დიდ მწერალს შემდეგი სიტყვები: „უკვე გუშინ საღამოს მე ვიგრძენი ჭეშმარიტი სარგებლისაკენ ის განწყობა, რომლის გაელენის ქვეშაც ვიმყოფებოდი თბილისში, პიატიგორსკში. მე ვამჩნევ, რომ ჩემში მოხდა დიდი ზნეობრივი გარდატეხა, ჩემი გაუაზრებელი გადაწყვეტილება კავკასიაში ჩასვლის თაობაზე განგებამ შთამაგონა ზემოდან. მე მხელმძღვანელობდა ღმერთის ხელი... და მე მისი მადლობელი ვარ მხურვალედ, მე ვგრძნობ, რომ აქ უკეთესად გავხდი (ეს ცოტაა, ისე ვიყავი ცუდად).“[1]

ლ. ტოლსტოის სიბერეშიც ჰქონია დიდი სურვილი, რომ ჩამოსულიყო საქართველოში, ამის თაობაზე ილია ნაკაშიძის[2] მეუღლე ნინო ნაკაშიძე იგონებდა: „1903 წლის თებერვალში გამოვსწიეთ თბილისისაკენ. გადაწყვეტილი გვქონდა შეგვეარა დიდი მოხუცის სანახავად და გამოსამშვიდობებლად იასნაია პოლიანაში, სადაც ის

---

[1] ლ. ნ. ტოლსტოი, თხზ. სრ. კრებული ტ. 46, მოსკ. 1952წ. გვ. 162-192.

[2] ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე (1866-1923) დაიბადა თბილისში. მამამისი, პეტრე გიორგის ძე ნაკაშიძე, გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დასს ეკუთვნოდა. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა პეტერბურგში.

სტუდენტობისას პეტრე ნაკაშიძე დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს, რომელთანაც მეგობრობდა სიკვდილამდე.

ლიტერატურული მოღვაწეობაც მან, ილია ჭავჭავაძის ეურნალში—„საქართველოს მოამბე“-ში დაიწყო.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ თაეისი პოემები „დიმიტრი თაედადებული“ და „ქართელის დედა“ პეტრე ნაკაშიძეს უძღვნა.

დედა ილია ნაკაშიძისა, სოლომონ ონიკაშვილის ქალი, ბარბარე, იმ დროისათეის კარგად განათლებულ მანდილოსნად ითელებოდა, რადგან დამთავრებული ჰქონდა თბილისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწაელებელი.

მაშინდელ ქართულ ინტელიგენტურ ოჯახებს მორის პეტრე ნაკაშიძის ოჯახი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თაეისი პროგრესულ-ლიბერალური მისწრაფებით. აქ იკრიბებოდნენ ხშირად ქართული მოწინაეე საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები და იმართებოდა სჯა-ბაასი საქართველოს ეროენული და სოციალური ცხოერების საჭირბოროტო საკითხებზე. პეტრე ნაკაშიძე, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ცხოეელ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებულ საქმეებშიაც.

ასეთი იყო ოჯახური გარემო, რომელშიაც ყალიბდებოდა ახალგაზრდა ილია ნაკაშიძის პიროენება.

მთელ ზამთარს ცხოვრობდა, ავადმყოფობის შემდეგ ყირიმიდან დაბრუნებული...იასნაია პოლიანას სახლი ძალიან ჰგავდა მოსკოვის სახლს. ისიც ორსართულიანი იყო, მიშენებული ნაწილებით... ტოლსტოი და სოფიო ანდრიას ასული ალერსიანად მოგვეგებნენ", ნ. ნაკაშიძე აღწერს ლ. ტოლსტოისთან გატარებულ დროს და სინანულით იხსენებს მასთან გამომშვიდობების მომენტს: „ჩვენი წასვლის დრო დადგა... ლევ ნიკოლოზის ძემ ქუდი დაიხურა, პლედი მოიხურა და გამოგვაცილა. გამომშვიდობებისას ილიკოს აკოცა და უთხრა:

„—უთუოდ, უთუოდ გესტუმრებით თქვენს მშიურ საქართველოში.

—უთუოდ ვნახავთ ილიკო საქართველოში. მელოდეთ... ავდგები და წამოვალ თქვენთან." გავიგონე მისი უკანასკნელი სიტყვები.[1]

აქვე ნინო ნაკაშიძე ლ. ტოლსტოისა და ილია ნაკაშიძის საინტერესო საუბარს იხსენებს, ბევრი რამ საინტერესო გავიგე, დაიწყო საუბარი ლევ ტოლსტოიმ. მაგალითად, პომპეუსის შემოსევა საქართველოში და ზოგიერთი ლეგენდა.

ლევ ტოლსტოიმ გაიხსენა: „გორის ინტელიგენციის მიერ მიწერილი თანაგრძნობის დეპეშა იტალიაში გარიბალდის ოჯახისადმი, როდესაც გარიბალდი გარდაიცვალა. გარიბალდის ოჯახმა ვერ გაიგო სად იყო გორი. მართალია, დეპეშა რუსეთიდან იყო, მაგრამ ქალაქი გორი რუკაზე არ იყო აღნიშნული.

—არც მე ვიცოდი—დასძენს ტოლსტოი—შემთხვევით, დიდი ხანი არ არის, რაც ჩემმა მეგობრებმა, ქართველმა სტუდენტებმა მითხრეს; გორი შესანიშნავი ქალაქია. იქ ისეთი ციხესიმაგრე იყო, რომ რომის ძლევამოსილმა სარდალმა პომპეუსმაც კი ვერ აიღო... ეს პომპეუსი იყო ორი ათასი წლის წინათ, როდესაც ჩვენში ჯერ მეფე დიდონის ზღაპარიც არ იყო დაბადებული.

—ისტორიაც და ლიტერატურაც საინტერესო გვაქვს,—უთხრა ილიკომ—ნამეტნავადაც ლიტერატურა.

—აბა, მაჩვენეთ ერთი ქართული წიგნი.

ილიკოს მუდამ თან ჰქონდა ჯიბით „ვეფხისტყაოსანის" სახალხო გამოცემა. მაშინვე ამოიღო, წაუკითხა და გადაუთარგმნა ზოგიერთი ადგილი. ტოლსტოი დიდი ყურადღებით უსმენდა. მოეწონა „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?.. მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა". მოეწონა, აგრეთვე, „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები". რელიგიური

[1] ნ. ნაკაშიძე, დას. ნაშ. გვ. 32.

შეხედულება არისო. რაც შეეხება „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, მან თქვა:

—რასაკვირველია, ღვთის წინაშე ყველა ერთია, ქალიც და მამაკაციც, რომლებიც უნდა ემსახურებოდნენ ღვთიური კანონების შესრულებას ცხოვრებაში.

გაიღიმა და დაუმატა—მხოლოდ არ მესმის, რისთვის უნდა ცდილობდნენ ქალები გახდნენ პოლიციელებად, მსაჯულებად და ჯარისკაცებად. რა საჭიროა ამნაირი თანასწორუფლებიანობა. როდესაც ამ უფლებებზე თვითონ მამაკაცებმაც ხელი უნდა აიღონ?“[1]

დიდ მწერალს ქალის სამართლებრივი მდგომარეობისადმი საკუთარი დამოკიდებულება გააჩნდა, რაც გამომდინარეობდა მისი მოკრძალებული მიდგომით ქალთა ემანსიპაციისადმი. მწერლის აზრით, ქალს ბუნებამ მისცა შვილის გაჩენის ნიჭი და შესაძლებლობა. ამიტომ მის ძირითად საზრუნავს ქმარი, შვილები და ოჯახი უნდა წარმოადგენდეს.

„ილიკომ აღტაცებით ილაპარაკა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ღირსების შესახებ—აგრძელებს ნ. ნაკაშიძე—ტოლსტოი ერთხანს დუმდა და შემდეგ თქვა:

ძალიან საინტერესო წიგნია, დიდი ცდუნებაა ჩემთვის გავეცნო.[2]

ამის შემდეგ ილია ნაკაშიძესთან ხშირად საუბრობდა ლ. ტოლსტოი „ვეფხისტყაოსანზე“ და მის საკაცობრიო ღირებულებებზე.

ქართველ ხალხისადმი განსაკუთრებული ყურადღებიანობის გამო დიდი მწერალი ჩვენში ყოველთვის გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა. ტოლსტოის მხატვრული ნაწერების თარგმნა ჯერ კიდევ 1873 წლიდან დაიწყო, როცა ჟურნალ „ცისკარში“ „ოჯახური ბედნიერების“ ქართული თარგმანი დაიბეჭდა.

დიდ მწერალს სასიამოვნო მომენტად რჩებოდა ქართველი ქალების ლტოლვა განათლებისადმი: „ახლა კი თურმე ისინი (ქართველი ქალები, გ. ლ.) უმაღლეს კურსებზეც დაიარებიან“.

ამის გამოძახილი იყო ის, რომ 1886 წელს თბილისელმა ქალიშვილებმა, რომლებმაც გიმნაზია დაამთავრეს, წერილი გაუგზავნეს ლ. ტოლსტოის და სთხოვეს რჩევა, როგორ გამოეყენებინათ თავიანთი ცოდნა და უნარი, ტოლსტოიმ პასუხი არ დააყოვნა და ურჩიათ, რომ ახალგაზრდებმა მთელი თავიანთი ცოდნა მოახმარონ ხალხს, სამშობლო ქვეყანას, მის კეთილდღეობას.

---

[1] ნ. ნაკაშიძე, მოგონებანი თბ., 1946, გვ. 3-4.

[2] იქვე

„მოსკოვში არსებობს სალხური წიგნების, ანბანის, არითმეტიკის, ისტორიის, კალენდრების, სურათების, მოთხრობების გამომცემლები—წერდა მათ ლევ ტოლსტოი—ყველაფერი ეს იყიდება ძალიან დიდი რაოდენობით, მიუხედავად მისი შინაარსის ღირებულებისა, მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობენ მუდმივი მყიდველები და გაწაფული გამყიდველები. ერთ-ერთი ამ გამომცემელთაგან არის სიტინი, ჩემი საცნობი, კარგი ადამიანი, რომელსაც აქვს სურვილი, რამდენადმე გააუმჯობესოს ამ წიგნების შინაარსი.

ჩემს მიერ თქვენდამი შემოთავაზებული საქმე კი შემდეგია: აიღოთ ერთი ან რამდენიმე ამ წიგნებიდან—ანბანი ან კალენდრები ან რომანი (განსაკუთრებით საჭიროა მუშაობა მოთხრობებზე, რადგან ისინი სულელურია და ბევრი საღდება). უნდა წაკითხვა და გასწორება, ანდა მთლიანად გადაკეთება. თუ გაასწორებთ შეცდომებს, იქ შეხვედრილ უაზრობებს—ისტორიული და გეოგრაფიული სახის უზუსტობებს, ესეც სასარგებლო იქნება იმიტომ, რომ რაგინდ ცუდი არ უნდა იყოს წიგნი, ის მაინც გაიყიდება. ამ შემთხვევაში კი ნაკლებ სისულელეს შეიტყობს ხალხი. მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ამოაგდებთ სულელურ და უზნეო ადგილებს და მათ შეცვლით ისეთებით, რომლებიც არ შეცვლის აზრს. თუ იმავე სათაურით და ფაბულის შინაარსით ისარგებლებთ და შეადგენთ კარგი შინაარსის მოთხრობას ან რომანს, ეს მთლად უკეთესი იქნება. იგივე შეიძლება ითქვას კალენდრებზე, ანბანზე, არითმეტიკაზე, ისტორიაზე, სურათებზე.

ამგვარად, თუ ეს სამუშაო მოგწონთ, ამოირჩიეთ ის სახე, რომელშიც გგონიათ, რომ უკეთესად იმუშავებთ და მომწერეთ. მე თქვენ რამდენიმე წიგნს გამოგიგზავნით.

ძალიან სასურველი იქნებოდა თქვენი თანხმობა ჩემს წინადადებაზე, სამუშაო ნამდვილად სასარგებლოა. სარგებლობის ხარისხი დამოკიდებული იქნება იმ სიყვარულზე, რომელსაც თქვენ ჩააქსოვთ მასში.“[1]

საქართველოსთანაა დაკავშირებული ლ. ტოლსტოის ცოლისძმის ალექსანდრე ბერსის[2] და მისი ქვისლის ალექსანდრე კუზმინსკის[3]

---

[1] ლ. ნ. ტოლსტოი თხზ. სრული კრებული მოსკ. 1952წ. ტ. 63 გვ. 428_429

[2] ალექსანდრე ბერსი(1845-1918) ერთხანს ქ. ქუთაისში გუბერნიის მაბრის უფროსი, შემდეგ კი ბათუმის ქალაქისთავი იყო, რომელმაც ცოლად შეირთო ფაგი ერისთაეი

[3] ალექსანდრე მიხეილის ძე კუზმინსკი (1843-1917)_იურისტი, 1871 წლიდან ცხოვრობდა თბილისში, შემდეგ კი ქუთაისში.

თბილისის ხედი (XIX საუკუნე)

მოღვაწეობაც (მას ცოლად ჰყავდა ტატიანა ბერსი). უნდა ითქვას ისიც, რომ ლ. ტოლსტოის მოწვევით ინგლისიდან იასნაია-პოლიანაში ბავშვების აღმზრდელად მოწვეული სანნა ტარსეი (1845–1898) საქართველოში, ქ. ქუთაისში, ალექსანდრე კუზმინსკის ოჯახში ჩამოვიდა. აქ, 1874წ. გაიცნო ქართველი თავადი გიორგი დიმიტრის ძე მაჭუტაძე და ცოლად გაჰყვა მას. სანა ტარსეიმ 6 წელი გაატარა ტოლსტოის ოჯახში, მას შემდეგშიც არ გაუწყვეტია კავშირი და მიმოწერა დიდ მწერალთან[1]. ტ. ლ. სუხოტინა–ტოლსტაია იგონებს: „ხანამ, ჩვენმა ინგლისელმა აღმზრდელმა ჩვენთან ექვსი წელი გაატარა და ჩვენს ოჯახს სიყვარულისა, მზრუნველობისა და მზეობის მტკიცე საფუძვლები დაუმკვიდრა'[2]. სანა ტარსეის ტოლსტოის მრავალსულიანი ოჯახი ძალიან აფასებდა და იგი დიდი პატივით სარგებლობდა მისი მეგობრების წრეში. მის მიმართ დიდ სიყვარულსა და პატივისცემაზე მეტყველებს. ტ. ლ. სუხოტინა-ტოლსტაიას მოგონებანი ხანა ტარსეიზე, რომელიც დაკავშირებულია ქუთაისთან.

„აჰ, ნეტავ, შეიძლებოდეს ჩემი საყვარელი ხანას თუნდაც ერთი წუთით ხილვა. მიუხედავად ჩემი ათი წლის ასაკისა, მე ისევ ძველებურად ჩავუჯდებოდი მას კალთაში, მივადებდი თავს მის მკერივ მკერდს და ამბოხ სულს ცხელი ცრემლებით გავანელებდი. ხანა უსიტყვოდ გამიგებდა, მე ახლაც ჩამესმის მისი ხმა.

მაგრამ ის აქ აღარ არის, აქედან შორს, კავკასიაში, ქუთაისში იმყოფება და მე ფიქრით მინდა ამ ქალაქში ჩასვლა. ქუთაისში გაემგზავრა დეიდაჩემის—კუზმინსკაიას ოჯახი და ხანაც მათ გაჰყვა. ვერ წარმოიდგენთ როგორ მშურს ჩემი დეიდაშვილების—დაშა და მაშა იქ, ქუთაისში ხანასთან ერთად არიან. ამ ქალს კი საოცარი სიმყუდროვისა და შინაარსით სავსე ცხოვრების შექმნა შეუძლია.“

ქუთაისსა და იასნაია პოლიანას შორის საქმიანი მიმოწერა წარიმართა: დეიდა—ტანია კუზმინსკაიას წერდა: „დღეს მივიღე შენი წერილი და გამეხარდა, რომ კარგად ხართ, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, თქვენთან ხომ ხანაა, ეს საოცარი ქალი, რომ წარმოვიდგენ უმისობას საოცარი სიმარტოვე და მიუსაფრობა მიპყრობს...

---

[1] მაჭუტაძეების ოჯახის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გ. შარაძე წიგნში, პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე თბ., 1986 წ.

[2] ტ. სუხოტინა-ტოლსტაია, მოგონებანი, მ. 1860 გვ.27. (რუს. ენაზე).

წაუკითხე მას ჩემი წერილი, მისთვის დასამალი არაფერი მაქვს, ტკივილსა და სიხარულსაც ყოველთვის ვანღობდი."

შემდეგ წერილში კი წერდა:

„მიხარია, რომ ხანას ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, უთხარი მას ხშირად მომწეროს, თუ როგორ არის, როგორ გრძნობს თავს. ძალიან განვიცდიდით მის ავადმყოფობას, განსაკუთრებით მე და ტანია ვღელავდით. ტანიას უოტოსურათი გადაეუღეთ და დაშას და ხანას საჩუქრად ეუგზავნით..."

„ტანიას ძალიან უნდა ქუთაისში ჩამოსვლა—წერდა დედაჩემი ერთ-ერთ წერილში, იძახის, მთელი ჩემი ბედნიერება და სიხარული —დაშა და ხანა, იქ, ქუთაისში არიანო".

საინტერესოა, ლეე ტოლსტოისა და ილია ნაკაშიძის დიალოგი არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობასა და ტოლსტოისთან ურთიერთობის შესახებ. არჩილ ჯორჯაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტად ყოფნის დროს გაეცნო მოწინაეე მწერლებს, რომლებმაც შეატყვეს ამ არაჩვეულებრივ ახალგაზრდას, რომ იმის სულს ჭეშმარიტების ძიება სწყუროდა, თავის წრეში შეიყვანეს და მასთან კეთილი ურთიერთობა ჰქონდათ—წერს ი. ნაკაშიძე.

„შემდეგ არჩილი საბღვარგარეთ გაემგზავრა და ინგლისში ერთ ახალშენში ცხოვრობდა. განათლებულ ადამიანებთან ერთად, მძიმე სოფლურ სამუშაოს ეწეოდა. იმათ არ ჰქონდათ და არ სცნობდნენ პირად საკუთრებას: მიწა, შენობები და იარაღი, ყველაფერი მათ საერთო საკუთრებად იყო გამოცხადებული. დაკვირვებით შეისწავლა არჩილმა ამ არაჩვეულებრივი ცხოვრების წყობილება, გაეცნო და დაუახლოვდა ამ შესანიშნავ ადამიანებს და თავისი ნაფიქრი და ნაგრძნობი ერთ რუსულ ჟურნალში გამოაქვეყნა. ისე დინჯად, ისეთი ღრმა, სერიოზული დაკვირვებით იყო ეს გამოკვლევა დაწერილი, რომ რუსეთის უდიდესი მწერლის ლ. ტოლსტოის ყურადღება მიიპყრო. როცა მოსკოვში ლ. ტოლსტოი გავიცანი, მკითხა, ხომ არ იცნობთ თქვენ თანამემამულეს, მწერალ არჩილ ჯორჯაძესო?

მე კარგად ვიცნობდი არჩილს და ვუამბე ტოლსტოის მისი თაეგადასავალი. დიდის ყურადღებით მოისმინა დიდებულმა მწერალმა ამბავი ძვირფასი არჩილის შესახებ და მითხრა, ამ ახალგაზრდას ცხოერების ღრმა დაკვირვების ნიჭი ატყვიაო".[1]

---

[1] ჟურნ. „ნაკადული" (მოზრდილთათვის) 1913. №3

1898 წლის ბაფხულში თბილისში, ილია ნაკაშიძის ძმის ოჯახში სტუმრად ჩამოვიდა ლ. ტოლსტოის შვილი ანდრია ტოლსტოი (1877–1916). იგი რამდენიმე ხანს დარჩა საქართველოში. კოლია ნაკაშიძემ ანდრია ტოლსტოი ამოგზაურა ძველ კოლხეთში, შემოატარა სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა. დაათვალიერებინა ქალაქები—ქუთაისი, ბათუმი, სამტრედია, ოზურგეთი. სტუმრად იმყოფებოდა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჩოლოყაშვილის, გიორგი ილიას ძე ოქრომჭედლიშვილის, ექიმ გიგო ელიავას ოჯახებში. ამ უკანასკნელთან მას გაუცვნია ოზურგეთელი ელენე გურიელი—ილია ნაკაშიძის ასლო ნათესავი, რომელიც ძალიან მოსწონებია და მისი ცოლად შერთვა განუზრახავს.

ელენეს მშობლები ოზურგეთში ცხოვრობდნენ. ანდრია ტოლსტოი მაშინვე გამგზავრებულა ოზურგეთში და, როდესაც მათი თანხმობა მიუღია, მოსკოვს წასულა, ჩემს მშობლებსაც შევუთანხმდები და ჯვრის დასაწერად ორ კვირაში ჩამოვალ თბილისშიო. ელენე თბილისს ჩასულა საქორწინო ტანისამოსის შესაკერად. სწორედ ორი კვირის შემდეგ, როდესაც ყველაფერი მზად იყო და ელოდნენ ა. ტოლსტოის ჩამოსვლას, მიიღეს მისი წერილი, სხვა ქალი ვითხოვე და ნუ დამელოდებაო. ამ ამბავმა ისე აღაშფოთა ელენე გურიელი, რომ იქვე, სასტუმროში რევოლვერით თვითმკვლელობა სცადა, მძიმედ დაიჭრა და ერთი წლის ავადმყოფობის შემდეგ, 1899 წელს გარდაიცვალა. როგორც ჩანს, ამ ქორწინებას მსარი არ დაუჭირა ლ. ტოლსტოის მეუღლემ, ქალბატონმა სოფია ანდრიას ასულმა ბერსმა. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ნინო ნაკაშიძის და ლ. ტოლსტოის მეუღლის საუბარი: „საქართველოდან სწერენ ანდრიუშას გურიელის ნათესავები, ჩამოდიო, მაგრამ მე არაფრის გულისთვის არ გაგუშვებ ჩემს შვილს... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ქარაფშუტაა ჩემი შვილი, იქ რომ კნიაზნა გურიელს გაუკეთა წინადადება, აქ ჩამოვიდა და ორი კვირაც არ გასულა, ოლღა კონსტანტინეს ასულ დიტერიხს სთხოვა ცოლობა და ახლა იმას ირთავს... კავკასიელები ფიცხი ხალხია და არ აპატიებენ ანდრიუშას ამ საქციელს, ამას გარდა, უნდა გითხრათ, რომ ჩემი ძმის ბერსის ცოლი, ქართველი ქალი იყო, ფატი ერისთავი, და რა სიკეთე ვნახე იმისგან“... (ფატი ერისთავი ულამაზესი ქალი იყო, ბერსს გაეყარა და სხვას გაჰყვა ცოლად, მისი სურათი გამოაქვეყნა გ. შარაძემ).

ლ. ტოლსტოიმ, როდესაც ელენე გურიელის ამბავი შეიტყო, ძალიან განიცადა, შვილს ურჩევდა წასულიყო საქართველოში, თავისი აჩქარებული გადაწყვეტილება მოენანიებინა და ყველაფერი გულწრფელად მოეთხრო გურიელის ასულისათვის: „მამაჩემიც მირჩევს წავიდე საქართველოში, გულწრფელად ავუხსნა ყველაფერი კნიაგნა ელენეს, ეტყობა კარგი ქალია, გაიგებს და გაპატიებსო!' უხსნის ნ. ნაკაშიძეს თვით ანდრია ტოლსტოი, რომელსაც ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს.

ლევ ტოლსტოის კეთილშობილებასა და ყურადღებიანობაზე მიუთითებს მისი წერილი, რომელიც გიორგი დადიანის გარდაცვალების გამო ძალზე შეწუხებულს გ. დადიანის მეუღლისადმი, ქალბატონ ნადეჟდასადმი გაუგზავნია. მართალია, მას პირადად არ იცნობდა, მაგრამ დიდად აფასებდა გ. დადიანის პიროვნებას და მოღვაწეობას. გ. დადიანი, ძმასთან ერთად, აქტიურად ეხმარებოდა ი. ნაკაშიძეს დუხობორებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში, რის შესახებაც წიგნის მეორე თავში გვექნება საუბარი. ლ. ტოლსტოის მიერ გამოგზავნილი წერილის ტექსტი კი ასეთია:

„ძვირფასო დაო!

მე არასოდეს არ მინახავხართ, არც თქვენ, არც თქვენი განსვენებული მეუღლე, მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენი ცხოვრების ამბავი გავიგე, სულ მუდამ მიყვარდით და მახარებდა თქვენი მშვენიერი ცხოვრება, რომელიც, როგორც ყოველ რელიგიურ ადამიანს ჰგონია, თქვენც არ გაკმაყოფილებთ. ამიტომ ისეთი ძლიერი და საჭირო ადამიანის სიკვდილი, როგორიც თქვენი მეუღლე იყო, სამწუხაროა ჩემთვის. თქვენთვის კი აუტანელია.

თქვენს მდგომარეობაში, თქვენი ნუგეში მხოლოდ ღმერთია და იმის შეგნება, რომ ჩვენ როგორც ვიყავით ღვთის ხელში, ისე ვიქნებით ყოველთვის და ყველგან. შეუძლებელია ღმერთს ცუდი რამ სურდეს ჩვენთვის. მხოლოდ ის, რაც ჩვენ ცუდი გვგონია, გვგონია იმიტომ, რომ დავშორდით მას—ღმერთს. ყოველი მწუხარება, ყოველი მახლობლის დაკარგვა, გვაახლოვებს ღმერთს, ეს დაახლოება კი აუმჯობესებს ჩვენ მდგომარეობას. როგორც ხალხი ამბობს: ღმერთი მოგეხედავს.

ყველაფერი, რაც მესმის და ვიცი თქვენი მეუღლის შესახებ, უფრო

---

[1] ნ. ნაკაშიძე, დას. ნაშ. გვ. 35

და უფრო მავსებს სინანულით, რომ არ ვიცნობდი მას და არ შემეძლო მასთან პირად ურთიერთობაში შემეძინა ის სიმტკიცე და კეთილი გულის თვისება, რომელიც, როგორც მეუბნებიან, განსაკუთრებით ახასიათებდა განსვენებულს.

თუ მომწერთ თქვენი მეუღლის შესახებ და, აგრეთვე თქვენს შესახებ, რას აპირებთ შემდეგში, ძალიან დამაეალებთ.

ძმურად მოგესალმებით.

ლევ ტოლსტოი"[1]

წყაროებიდან ცნობილია, რომ ტოლსტოის ევარს ლევ ნიკოლოზის ძის კავკასიაში ჩამოსვლამდე ჰქონია კავშირურთიერთობა საქართველოსთან. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 20–იანი წლების დამდეგიდან პეტრე დიდის საგანგებო რწმუნებულად თბილისში, ვახტანგ VI კარზე, ყოფილა გვარდიის პოდპორუჩიკი ივანე ტოლსტოი, რომელსაც სიმპათიები გასჩენია ქართველებისადმი, ამაზე მეტყველებს 1722 წლის შემოდგომაზე გაგზავნილი მისი წერილი რუსეთის იმპერატორისადმი, სადაც ვკითხულობთ: „აქაური ხალხი, რამდენადაც მე შემეძლო დამენახა, ყველა შემთხვევაში კეთილად არის განწყობილი თქვენი უდიდებულესობისადმი და ღოცვის გარეშე არ მოიხსენიებენ თქვენს მაღალ სახელს"[2] ჯერ კიდევ ვახტანგ VI–ის შვილთაშვილის—გიორგი ალექსანდრეს ძის ასული ანა ბაგრატიონი ცოლად გაჰყოლია ლევ ტოლსტოის ნათესავს, გენერალ–მაიორ გრაფ ალექსანდრე ტოლსტოის.[3]

ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ლ. ტოლსტოისთან ურთიერთობას დიდი სიყვარულით იგონებენ თავიანთ დღიურებსა თუ წერილებში. მათ შორისაა დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე ვაჟა–ფშაველა, რომელიც დიდი პატივისცემით მოიხსენიებს თავის ერთ–ერთ წერილში რუს მწერალს: „ლევ ტოლსტოი შესანიშნავი მწერალია: იმას თვით ტურგენევმა უწოდა „დიდებული მწერალი რუსეთისა". და იცით რას სწერს თავის თავზე (იხ. XII ტ.)–მთელს ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ორს რუსის მოაზრე კაცს ჰქონდათ დიდი ზნეობრივი გავლენა, მათ გამიფართოვეს აზრი და ნათლად დამიხატეს ჩემი შეხედულება ქვეყანაზე, ეს კაცები არ იყვნენ არც რუსის პოეტები, არც სწავლულები, მქადაგებელნი, ეს

---

[1] მეგობრობის მატიანე, თბ., 1967, გვ. 516 (რუს. ენაზე)

[2] გ. პაიჭაძე. რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის თბ., 1960წ. გვ. 107

[3] ე. შარაძე, დას. ნაშრ., გვ. 52.

კაცები იყვნენ და დღესაც ცოცხალნი არიან, მიწის მუშა გლეხკაცნი სიუტაევი და ბონდარევი, რომლებიც მთელს სიცოცხლეს მიწის მუშაობას მისდევენ".[1]

ა. ნ. დუნაევის[2] მეშვეობით ლ. ტოლსტოიმ გაიცნო ქართველი სტუდენტები: ალ. დიასამიძე, ა. ელიოზიშვილი, ივ. გომართელი და ღამბაშიძე, რომლებიც, თვით ლ. ტოლსტოის სიტყვებით რომ ვთქვათ, საინტერესო ამბებს უყვებოდნენ საქართველოზე. ლ. ტოლსტოი იყო ბევრისათვის სტიმულისა და მაგალითის მიმცემი შემდგომში. აი რას წერს ცნობილი ქართველი მწერალი და მოაზროვნე ი. გოგებაშვილი: „განთქმულმა მწერალმა ლ. ნ. ტოლსტოიმ შექმნა საბავშვო მოთხრობების სერია, რომლებსაც აგებდა ხალხურ ანდაზებზე, მის მსგავსად ქართულ ხალხურ ანდაზების თემებზე ჩვენც დავწერეთ ოცამდე მოთხრობა და ჩავრთეთ ისინი „დედა ენა-ში."[3]

აღსანიშნავია, რომ ლევ ტოლსტოის „პაჯი მურატისათვის" მასალების შეკრებაში დიდი დახმარება გაუწიეს ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა: ი. პ. ნაკაშიძემ, ს. ხ. ესაძემ, აგრეთვე, თბილისის მეორე გიმნაზიის მასწავლებელმა ს.მ.შულგინმა. ამის საპასუხოდ მათ ტოლსტოისაგან წერილები და წიგნები მიიღეს.

განსაკუთრებით მაღლიერი იყო მწერალი ს. ესაძისა, რომელსაც ის სწერდა: „მივიღე თქვენი ქაღალდები, წიგნები და რუკები. არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა იმ უდიდესი შრომისათვის, რომელიც თქვენ გასწიეთ და ამეამადაც ეწევით ჩემი გულისათვის."[4]

ლევ ნიკოლოზის ძე, 1903 წლის 27 აპრილით დაარიღებულ ბარათში, ილია ნაკაშიძეს წერდა:

„საყვარელო ილია პეტრეს-ძევ! გამოგზავნილი ცნობებისათვის დიდად გმადლობთ. გადაეცით ჩემი მადლობა თავაზიან შულგინსა და ესაძეს. ვუგზავნი მათ ჩემს ნაწერებს, თუმცა ძალიან მრცხვენია, რომ სხვა არაფრით შემიძლია მათთვის მადლობის გადახდა.

„იასნაკაში"[5] კარგა ხანია ერთი ამანათია მოსული. უთუოდ, თქვენგან იქნება. ყოველ შემთხვევაში სთხოვეთ შულგინსა და ესაძეს,

---

[1] ვაჟა-ფშაველა თხზ. თბ., 1986 წ. გვ. 661

[2] ალექსანდრე ნიკიფორეს ძე დუნაევი (1850-1920)—მოსკოვის ერთ-ერთი საეჭრო ბანკის დირექტორი და ლევ ტოლსტოის თანამოაზრე.

[3] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები I-II თბ., 1970წ. გვ.402.

[4] პ. ღუდუშაური, დიდი რუსი მწერალი ლ.ნ. ტოლსტოი თბ., 1953 წ. გვ. 34-35.

[5] „იასნაია პოლიანასთან" უახლოესი საფოსტო განყ-ბა.

ნულარ გაირჯებიან ჩემთვის „ჰაჯი-მურატზე“ მუშაობა შევაჩერე. საზოგადოთ, ეს მოთხრობა არ ღირს იმ შრომად, რომელსაც კეთილი ადამიანები ეწევიან მისთვის. ჩემს წიგნებს მოსკოვიდან გამოგზავნიან. ჩემს სახელსა და გვარს აქ დავაწერ.

ძმურად გკოცნით. მოკითხვა თქვენს მეუღლეს. ლ. ტოლსტოი.
1903 წ. 27 აპრილი.

დროებით „შეჩერებული“ მუშაობა „ჰაჯი-მურატზე“ ტოლსტოიმ მალე ისევ განაგრძო და 1904 წ. დაამთავრა ეს შესანიშნავი მოთხრობა, რომლის შექმნაში ესოდენ უანგარო და სიყვარულით სავსე დახმარება აღმოუჩინა მას ი. ნაკაშიძემ.[1]

ილია ნაკაშიძეს და ლევ ტოლსტოის დუხობორების გადასახლების შემდეგაც ჰქონდათ მიმოწერა. დიდ მწერალს ი.ნაკაშიძე სისტემატურად აწვდიდა ყველა ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. ამის ნათელი დადასტურებაა, რომ მწერალს საქართველო და ქართველები არასოდეს დავიწყებია. 1903 წლის 11 აპრილით დათარიღებულ წერილში ი. ნაკაშიძე ლ. ტოლსტოის ატყობინებდა: „შემიძლია შეგატყობინოთ სასიამოვნო სიახლე. ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში გურულ გლეხებს შორის (ქართველები) განხორციელდა ის, რის შესახებაც თქვენ მუშა ხალხისადმი მიწერილ წერილში წერდით. გასულ წელს იქ იყო მღელვარება, ახლა კი გლეხები უარს ამბობენ აიღონ არენდით მემამულეების მიწები და არ მიდიან მათთან სამუშაოდ. შესანიშნავი ერთსულოვნებით მოქმედებენ გლეხები. მემამულეებს გული მოსდით, რადგან მემამულეებისათვის მუშაობა გლეხების წმინდა მოვალეობად ითვლებოდა, რომლებმაც ახლა აჯანყება წამოიწყეს. ბიძაჩემი არის საკმაოდ მდიდარი ადამიანი. დღემდე ვერ შერიგებია იმ აზრს, თუ როგორ გაბედეს გლეხებმა არ ემუშავათ მის მიწებზე.

გასაკვირია ის, რომ ზაზრის ნახევარმა მოსახლეობამ უარი განაცხადა მემამულეებთან მუშაობაზე. ისინი ითმენენ გაჭირვებას, მიდიან გამომუშავებაზე ყველგან, მაგრამ მტკიცედ დგანან თავისაზე.

ჩემი ძვირფასი ნათესავი, რომელიც ახლა ჩვენთანაა, მეუბნებოდა, რომ დიდხანს უქმად ეძებდა საქირავებლად მუშას, რათა ემუშავებინა თავის მეურნეობაში და რომ აზნაურ-მემამულეები დარჩნენ მუშებისა და მოსამსახურეების გარეშე.

ოზურგეთის მაზრის მოსახლეობა, გურულები—იგივე ქართვე-

[1] ვ. ზამბახიძე, ი. ნაკაშიძე თბ., 1970 წ. გვ. 28.

ლებია, ეს მხოლოდ მაზრის სახელწოდებაა... ამიერკავკასიაში ჩვენი სალხი ყველაზე საზრიანი და ნიჭიერია. ქართული წიგნები და გაზეთები ყველაზე მეტად იქ ვრცელდება. თვალყურს ვადევნებ და შეგატყობინებთ როგორ წავა საქმეები შემდგომში."[1]

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი სულის სიღრმემდე აუფორიაქებია 1905 წლის გურიის ცნობილ ამბებს: „ახლა ვიწექი და ვფიქრობდი,— ეუბნება ლევ ტოლსტოი 1905 წლის 31 იანვარს დ. მაკოვიცკს, —ავდგები და მივწერ გურულებს, ნაკაშიძეს, რომ რასაც ისინი აკეთებენ, ძალზე საჭირო საქმეა, რომ ეს მათ აუცილებლად უნდა განაგრძონ".

1905 წლის 29 იანვარს ლ. ტოლსტოის სტუმრად სწვეულა ცნობილი ქართველი ხალხოსანი—რევოლუციონერი მიხეილ (მიმო) ქაიხოსროს ძე ყიფიანი, რომელმაც ლევ ტოლსტოის ილია ნაკაშიძის წერილი მიუტანა, სადაც აღწერილი იყო გურიაში მომხდარი მოვლენები (ილია ნაკაშიძემ სპეციალური პუბლიკაცია მოამზადა გაზ. „ცნობის ფურცლისათვის" გურულების 1905 წლის მოძრაობის თაობაზე).

„1905 წლის დასაწყისში—წერს თავის მოგონებაში ნინო ნაკაშიძე—გურიაში მთავრობამ გაგზავნა ნამესტნიკის მოადგილე სულთან კრიმ-გირეი იმ მოძრაობის გამოსარკვევად, რომელმაც იქ იჩინა თავი. ხალხი გაიფიცა, არ დადიოდა არც პოლიციაში, არც სასამართლოში. მთავრობის დაწესებულებები დაცარიელდნენ და გაუქმდნენ. ქურდობა, დაეიდარაბა და ჩივილი მოისპო. ხალხი თვითონ განაგებდა თავისი ცხოვრების საქმეებს. კრიმ-გირეის მოგზაურობის დროს „ცნობის ფურცელმა" კორესპონდენტად გაგზავნა ილიკო, რომელმაც დაწერილებით შეისწავლა ხალხის მოთხოვნები".

გურიაში სულთან კრიმ-გირეი თემიდან თემში, სოფლიდან სოფელში გადადიოდა, იწვევდა მოსახლეობის კრებებს, სადაც ხალხის წარმომადგენლები, დეპუტატები, აცნობდნენ მას თავიანთ მოთხოვნებს. ილია ნაკაშიძე, როგორც გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი, დაჰყვებოდა კრიმ-გირეის და „ცნობის ფურცლისათვის" სპეციალურ კორესპონდენციას ამზადებდა.[2]

ლ. ტოლსტოი წერდა: „დილით ნაკაშიძეებისაგან იყო სათნო ადამიანი ყიფიანი, რომელმაც სასწაულები მოგვითხრო იმაზე, თუ რა ხდება კავკასიაში: გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, კახეთში, ხალხმა გადაწყვიტა: განთავისუფლდეს მთავრობისაგან და თავისი ცხოვრება თვითონ მოაწყოს... გურულების შესახებ წინათაც მსმენია".

[1] ი. ნაკაშიძე, როგორ გაეცანი ლ. ტოლსტოი. თბ., 1928წ.

[2] ვ. ბამბახიძე, ილია ნაკაშიძე თბ., 1990 ლ. გვ 29.

1905 წლის 9 აპრილს დ. მაკოვიცკის ჩაუწერია ლევ ტოლსტოის შემდეგი სიტყვები:

„მივიღე წერილი ი. ნაკაშიძისაგან, დაწვრილებით აღწერს გურიის მოძრაობას... გურულები ფიცხი ხალხია, ვერ იტანენ პასიურობას".

ეს სიტყვები გამოძახილია ლევ ტოლსტოის 1905 წლის 1 თებერვლის წერილისა ილია ნაკაშიძისადმი:

„...თუ შეიძლება გადაეცით გურულებს, რა უდიდესი სიხარული განიცადა მოხუცმა, რომ გაიგო, რომ ის, რის შესახებაც იგი ფიქრობდა და წერდა ამდენ წელიწადს და აზრსაც ვერ იგებდნენ ან არ ეთანხმებოდნენ ისინი, ვისაც მეცნიერად და ბრძნად მოაქვს თავი, ყოველივე ეს თვითონ, თავიანთი ჭკუით და სინდისით გადაჭრეს მათ (გურულებმა), და არა მარტო გადაჭრეს, არამედ საქმითაც დაამტკიცეს და ასე მტკიცედ და კარგად მიჰყავთ ეს საქმე".

დ. მაკოვიცკის ჩანაწერებში გაბნეულია ლევ ტოლსტოის სხვა გამონათქვამებიც ქართველობისა და ქართველებთან დამოკიდებულების შესახებ. აქ ბევრი ქართველის სახელი გვხვდება, მაგალითად, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, რუსული სიტყვების მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარე ალექსი გრუზინსკი (1858–1950) მონაწილეობს იასნაია პოლიანაში ტოლსტოების ბიბლიოთეკის მოწესრიგებაში, ასევე დიდ სიამოვნებას ჰგვრის ლევ ტოლსტოის 1909 წლის 23 მაისს ალ. გრუზინსკის რედაქციით გამოცემული „პ.ნ. რიბნიკოვის მიერ შეკრებილი სიმღერები".

ლევ ტოლსტოის გარკვეული ინტერესი გამოუწვევია ქართველი ჟურნალისტის, თბილისის გუბერნიიდან მეორე სახელმწიფო სათათბიროს დელეგატის გამოსვლას 1907 წლის 15 მარტის სხდომაზე, სადაც ქართველმა დელეგატმა გაილაშქრა 1905 წლის რევოლუციის მონაწილე მუშების რეპრესიების წინააღმდეგ და მოუწოდა სათათბიროს მათი დაცვისაკენ, რასაც „მემარცხენეთა ტაში" გამოუწვევია. ლევ ტოლსტოი პრესის საშუალებით გასცნობია ამ ამბავს.

ლ. ტოლსტოის არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენოდა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა სახელმწიფო საბჭოში. მისი გამოსვლა სასჯელის უმაღლესი ზომის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

ლევ ტოლსტოის საუბრების მაკოვიცკისეულ ჩანაწერებში გარკვეული ადგილი ეთმობა ქ. იალტის ქალაქის უფროსს, გენერალ-მაიორ ივანე დუმბაძესა (1851–1916) და ტოლსტოის კორესპონდენტს ერმალო კომლაძეს. ქუთაისის გუბერნიიდან მეორე სახელმწიფო სათათბიროს დელეგატს ბიკენტი ლომთათიძეს (1879–1915) ალექსანდრე. ილია, მარიამ, მიხეილ ნაკაშიძეებს, სოფლის მასწავლებელს,

პირველი სათათბიროს დელეგატს ქუთაისის გუბერნიიდან ისიდორე რამიშვილს (1859-1937), პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილს (1866-1912) და მის წერილს „ქართველების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ", რომელიც „რუსკოე ვედომოსტში" გამოქვეყნდა 1905 წლის 6 მარტს. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს, ა. ცაგარეიშვილს, ტოლსტოის მიმდევარს და კორესპონდენტს, მსხვილი ბანკირისა და მრეწველის შვილს ალექსი ჩოლოყაშვილს და მის ცოლს—ბარონესა ტრამაზიურს, ცნობილ ქართველ ეურნალისტ ვარლამ ჩერქეზიშვილს (1846-1925), ილია ჭავჭავაძესა და მის მეუღლეს—ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძისას.

ლევ ტოლსტოის ოჯახთან ქართველების დამოკიდებულების შესახებ საინტერესო ამბები გვხვდება, აგრეთვე, სოფიო ანდრიას ასულ ტოლსტაიას „დღიურებში".

დიდი რუსი მწერლის ოჯახს თურმე მეგობრობდა ნ. ი. გრუზინსკის ოჯახი, ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ ალექსი ევგენის ძე გრუზინსკის (1858—1930) ლევ ტოლსტოის სიკვდილის შემდეგაც არ გაუწყვეტია ურთიერთობა მწერლის ოჯახთან; „ტოლსტოის საზოგადოების" დავალებით პროფ. ა. ე. გრუზინსკიმ შეისწავლა „იასნაია პოლიანას ბიბლიოთეკა" და მის წიგნებზე გაკეთებული ლ. ტოლსტოის მინაწერები, რის საფუძველზეც 1912 წელს დაიბეჭდა სტატია: „იასანია პოლიანას ბიბლიოთეკა".

ცალკე უნდა გამოვყოთ მოსკოვის მცირე თეატრის ცნობილი ქართველი მსახიობის, დრამატურგისა და თეატრალური მოღვაწის ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის (1857—1927) მეგობრობა და ურთიერთობა ლევ ტოლსტოის ოჯახთან.

არა ერთი აღგილი ეთმობა ს. ა. ტოლსტაიას „დღიურებში" ლევ ტოლსტოის თანამოაზრეს და მიმდევარს, იასნაია პოლიანას ხშირ სტუმარს, ცნობილ ქართველ პუბლიცისტს ილია პეტრეს ძე ნაკაშიძეს (1866-1923), მის დას ელენე პეტრეს ასულ ნაკაშიძეს[1] და აგრეთვე მეუღლეს — ნინო იოსების-ასულ ნაკაშიძეს (ნინო ნაკაშიძის ქალიშვილობის გვარი ანთაძეა).[2]

---

[1] გ. შარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 45.

[2] ელენე პეტრეს ასული ნაკაშიძე (1868-1943)—განათლება მიიღო თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელში. ღუხობორების დახმარების საქმისათვის 1896 წ. გადასახლებულ იქნა ამიერკავკასიის ფარგლებიდან. იქიდანვე წაიღა ინგლისში და იქ კროიდონში მისტერ კენეორდის მიერ ლევ ტოლსტოის თანამგრძნობთათვის დაარსებულ კოლონიაში ცხოერობდა რამდენიმე წლის განმავლობაში. იქ ესმარებოდა ტოლსტოის მეგობარ ჩერტკოეს. შემდეგში ელ. ნაკაშიძემ ტოლსტოის მოძღერება უარჰყო. 1905 წ. დაბრუნდა რუსეთში, თბილისში კი ცხოერობდა 1917 წლიდან გარდაცვალებამდე და კერძო მასწავლებლობით ირჩენდა თავს.

თუ როგორ აფასებდა ლ. ტოლსტოი ნაკაშიძეების ოჯახს და, კერძოდ, ილია ნაკაშიძეს, კარგად ჩანს შემდეგი სიტყვებიდან:

„ლევ ტოლსტოის საქართველოდან ვინმე ცაგარელი ესტუმრა. დიდი მწერალი თბილად შეეგება მას და ჩვენი ქვეყნის ამბები გამოჰკითხა.

ტოლსტოი განსაკუთრებული ინტერესით შეეკითხა სტუმარს ი. ნაკაშიძის შესახებ, მაგრამ ცაგარელმა დაწვრილებით ვერაფერი უპასუხა, რადგან იგი თავის თანამემამულეს კარგად არ იცნობდა.

ამ შემთხვევამ ტოლსტოი გააოცა და გამომშვიდობებისას ცაგარელს დაბარა:—„როდესაც საქართველოში დაბრუნდებით, უეჭველად გაეცანით შესანიშნავ ი. ნაკაშიძეს და ეცადეთ დაუახლოვდეთ მასო“.[1]

ლ. ტოლსტოიმ, ჯერ კიდევ ადრეულ წლებში, როგორც მოაზროვნემ უკვე ჩამოაყალიბა თავისი საკუთარი კონცეფცია სოციალურ, ფილოსოფიურ და ეთიკურ საკითხებზე, რომელიც არ თანხვდებოდა არც დემოკრატების რევოლუციურ თეორიას, არც კოსერვატორების სლავოფილურ შეხედულებებსა და არც ლიბერალების უნიათო იდეებს.[2]

ცნობილი ქართველი ექიმი და ფილოსოფოსი ივ. გომართელი 1908 წელს წერდა: „ჩვენ არ შეგვიძლია ქედი არ მოვიხაროთ ტოლსტოის გიგანტურ მაგიასთან. არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ მისი უდიდესი გავლენა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე. განსაკუთრებით ძვირფასია ტოლსტოი ჩვენთვის, როგორც დღევანდელი წყობილების უდიდესი კრიტიკოსი. მისი კრიტიკა ისეთი ძალით ამეღავნებს ამ წყობილების სისაძაგლეს, რომ შეიძლება ვიფიქროთ, ამას ლაპარაკობს რევოლუციონერი. აი, რატომ ულოცავთ ჩვენ დიად მოხუცს, რუსეთის უდიდეს მწერალს 80 წლის იუბილეზე და უსურვებთ დიდი სნის ცხოვრებას.[3]

მწერალი სახელმწიფოსა და მაღალ საზოგადოებას იმის მიხედვით აფასებდა, თუ რამდენად უახლოვდებოდა მათი ინტერესები ხალხისას.

ლევ ტოლსტოის შემოქმედების ანალიზი იძლევა იმის საშუალებას, რომ განვსაზღვროთ მწერლის პოლიტიკურ-სამართლებრი-

---

[1] ვ. ზამბახიძე, ილია ნაკაშიძე თბ. 1970 წ. გვ.3.

[2] გ. ტალიაშვილი, ვ. შადური, რუსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1976წ. გვ. 437

[3] ა. ნიკოლაძე, რუსულ-ქართული ლიტერატურული კავშირი თბ., 1958 წ. გვ.185

ჟი მსოფლმხედველობა. მისი აზრით, ქრისტიანული სარწმუნოება (თუმცა, არა ისეთი როგორიც სინამდვილეშია) არის ღვთის სამართალი, ბუნებითი სამართალი. ლ. ტოლსტოი თავის ნაწარმოებში წინა პლანზე წევს ადამიანურ თვისებებს—სიყვარულს, მეგობრობას და თანაგრძნობას, იბრძვის სოციალური დიფერენციაციისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რაც კიდევ უფრო ართულებს და აძნელებს ადამიანთა ურთიერთობას, მთლიანად ცხოვრებას. მისი მსოფლმხედველობის ძირითადი ლაიტმოტივია ადამიანებს შორის სიყვარული და ურთიერთპატივისცემა, რომელ საზოგადოებრივ ფენასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ბუნებითი სამართლის პრინციპებით სიძულვილი და მტრობა არ უნდა არსებობდეს, ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ ძალმომრეობას. სამწუხაროდ, მწერლის აზრით, ირღვევა ღვთიური პრინციპები, ამიტომ ყველას ვალია იბრძოლოს უსამართლობისა და უკანონობის, ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრის წინაღმდეგ და ა. შ.

ლევ ტოლსტოის აზრით, ომი ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას, რადგან მას მასიური სიკვდილი მოაქვს. თავის ნაწარმოებებში იგი ილაშქრებს მართლმსაჯულების, ბიუროკრატ და კორუმპირებულ მოსამართლეთა წინააღმდეგ. მისი აზრით, ბევრ მათგანს არა აქვს უფლება სხვა გაასამართლოს, რადგანაც ხშირ შემთხვევაში განსასჯელზე მეტი დამნაშავენი თვითონ არიან. მწერალი ხმას იმაღლებს ეკლესიის წინააღმდეგაც, რადგანაც „სამღვდელოება სახელმწიფოს სამსახურშია და გაბატონებული საზოგადოების ინტერესებს იცავს“.[1]

ლევ ნიკოლოზის ძის ნააზრევი და შეხედულებანი მოცემულია მის ნაწარმოებებში, რომელიც სცილდება ეროვნულ ინტერესებს, ყოველივე ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომაც ტოლსტოის მემკვიდრეობა არა მარტო წარსულის, არამედ მომავლის კუთვნილებაცაა.

ლ. ტოლსტოი ყოველთვის მიისწრაფვოდა ცხოვრების ღრმად განზოგადებული, ტიპიზებული, გამახვილებული ასახვისაკენ. ამიტომაც წვდებოდა ის მოვლენათა არსს და ემსახურებოდა ზოგადსაკაცობრიო იდეებს.

---

[1] გ. ტალიამეილი, ე. მაღური, რუსული ლიტერატურის ისტორია თბ., 1967 წ. გვ. 461

მისმა მხატვრულმა შემოქმედებამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა იმდროინდელ და შემდგომი პერიოდის საკაცობრიო აზროვნებაზე.

ლ. ტოლსტოი რუსულ და მსოფლიო ლიტერატურაში შევიდა როგორც თავისუფალი აზროვნების აღამიანი, რომლისთვისაც უცხო იყო პარტიკულარიზმი.

მწერლის ყველა ნაწარმოები „ანარეკლია მისი დაძაბული, ამასთან თავისებური და დამოუკიდებელი შინაგანი შრომისა. პირველი ნაბიჯიდანვე ის ისწრაფვოდა იმისაკენ, რომ მოვლენებისადმი საკუთარი თვალით ეცქირა და ყველაფერი თავისი კრიტიკული გონების განსჯით შეემოწმებინა. შეხედულებათა და მსჯელობათა ეს ორიგინალურობა აუცილებლად ემსახურებოდა თავისუფლებისაკენ სწრაფვას, საკუთარი თავის პოვნის მცდელობას, დამოუკიდებელ ფილოსოფიურ და ლიტერატურულ ძიებებს. განუხრელად აღრმავებს რა თავის მხატვრულ ოსტატობას „ომსა და მშვიდობაში“, „ანა კარენინაში“, „აღდგომაში“, „ჰაჯი მურატსა“ და სხვა ნაწარმოებებში, ტოლსტოი კრიტიკული რეალიზმის მწვერვალებს აღწევს. იგი უდიდესი ოსტატობით და თანაბარი ძალით ხატავს როგორც საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებას და გმირების ფსიქოლოგიას, ისე მშობლიური ქვეყნის ბუნებას. მდიდარი და მრავალფეროვანია მისი ენა, რომლის არსი არ ეტევა მხატვრული მეტყველების ღირსებათა ჩვეულებრივი, მოკლე განსაზღვრის ჩარჩოებში. განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს, რომლებსაც ტოლსტოი მწერლის მხატვრულ შემოქმედებას უყენებდა, ის თვითონვე ბრწყინვალედ ახორციელებდა. ეს მოთხოვნები გამოიხატებოდა ნაწარმოების მაღალ იდეურობაში, მისი მხატვრული ფორმის სრულყოფაში და, რაც მთავარია, მწერლის გულწრფელობასა და სიმართლეში მის მიერ ასახული ცხოვრების მოვლენათა მიმართ.

მწერალი თავის რომანებსა თუ მოთხრობებში შესანიშნავად ახერხებს თავისი დადებითი გმირების სულიერი სამყაროს, მათი პირადი და საზოგადოებრივი მისწრაფებების, მნეობრივი და ინტელექტუალური ცხოვრების ჩვენებას.[1]

აღამიანი რომ იყოს გულადი, მამაცი, უშიშარი, პატრიოტი, საჭიროა თავდაპირველად მიაღწიოს შინაგან მნეობრივ სრულყოფას, ამისათვის კი მას უნდა გააჩნდეს არა მარტო მდიდარი სული, არამედ ძლიერი ნებისყოფაც. მწერლის აზრით, ორივე ეს თვისება

[1] პ. ღუდუმაური, დასახ. ნამრ. იქვე.

მხოლოდ უბრალო ხალხშია და ამიტომ მხოლოდ ისინი აღწევენ ბნეობრივ სრულყოფილებამდე.

მხატვრული შემოქმედებისადმი ასეთი მიდგომა ტოლსტოის საშუალებას აძლევდა რეალისტურად აესახა ყველა სოციალური ფენის ადამიანთა ინდივიდუალური გრძნობები და განცდები, როგორც ხასიათების გამოვლინება სხვადასხვა გარემოებებსა და განზომილებებში.

ლ. ტოლსტოის სიდიადე და ღირსება ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადმიანისათვის იყო ცნობილი, რასაც არც მისი მოწინააღმდეგენი მალავდნენ. აი, რას წერს ლ. ტოლსტოის მეგობარი და თანამემწე ჯ. სერგეენკო:

P.S. Въ последнее время Льва Николаевича начали посещать недуги. Онъ перенесъ мучительную болезнь печени, грудную жабу, тифъ и воспаленіе легкихь. Въ его годы это__почти чудесныя победы. Во время его болезни со всехь концовь міра стекались кь нему выраженія участія. Даже противники Льва Николаевича съ тревогой следили за известіями о ходе болезни великаго писателя. «Пусть что хочеть пишеть, но только пусть живетъ еще», говорилъ сь горячимъ чувствомъ одинъ изъ противниковъ Л. Н. Толстого. «Да хранитъ тебя Аллахъ на пользу мира», писалъ Льву Николаевичу одинъ турокъ.[1]

შემთხვევითი როდია, რომ დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე ვაჟა-ფშაველა თავის პუბლიცისტურ და საპოლემიკო წერილებში, რუსთაველისა და შექსპირის გვერდით, იხსენიებს პუშკინს და ტოლსტოის.

ლევ ტოლსტოი 1910 წლის 10 ნოემბერს საიდუმლოდ და სამუდამოდ ტოვებს იასნაია პოლიანას, სადაც მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა. არის მოსაზრება, რომ იგი კავკასიისკენ და, კერძოდ, საქართველოსაკენ გამოეშურა, ალბათ, „სადაც ფიქრობდა დაეწყო თავის მსოფლმხედველობასთან სავსებით შეთანხმებული ახალი ცხოვრება“,[2] რათა აღესრულებინა ილია ნაკაშიძისათვის 1903 წელს მიცემული სიტყვა, სამწუხაროდ, იგი გზაში გაცივდა და სადგურ ასტაპოვოში გარდაიცვალა. „ეს იყო სიცოცხლის აზრის ძიება, ეს იყო სიცოცხლის ბედშაობის აღიარება სიკვდილის წინაშე, ეს იყო ტიტანური შებრძოლება სიკვდილის პრობლემასთან“[3]__წერს არჩილ ჯორჯაძე.

---

[1] П. Сергеенко, как живеть и работаеть Л. Н. Толстой, Моск. 1908 г. ст. 143.

[2] ს. დანელია იქვე, ვ. ბამბახიძე ი. ნაკაშიძე თბ. 1970 გვ. 23.

[3] პროფ. ს. დანელია, ნარკვევები XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან თბ., 1936წ. გვ. 350. ბამბახიძე, ი. ნაკაშიძე თბ., 1970წ. გვ. 23. არჩ. ჯორჯაძე თხზ. წიგნი III 1911 წ. გვ.

ლ. ტოლსტოის ცხოვრების, შემოქმედებისა და მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობის მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკუთარი ოჯახის წევრებთან მწერლის დამოკიდებულების საკითხი, წინააღმდეგობები მეუღლესა და შვილებთან. გენიალური შემოქმედი წინააღმდეგი იყო თავისი ქონების ანდერძით მემკვიდრეებზე განაწილებისა. უფრო მეტიც, მან ოჯახს არ დაუტოვა უფლება ნაწარმოებების გამოქვეყნებისათვის პონორარის მიღებისა.

არჩილ ჯორჯაძე ცდილობს პასუხი გასცეს კითხვაზე, რატომ და სად გაიქცა ტოლსტოი სიბერეში? ამ შემთხვევას მიუძღვნა სტატია „ლევ ტოლსტოი (ცხოვრების ტრაგედია)“, რომლის ტექსტსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

ფილოსოფოსებსა და სოციოლოგთა შორის ერთ-ერთი საინტერესო პასუხი ამ კითხვაზე ბერდიაევს[1] ეკუთვნის, მან ტოლსტოის გზადყოფნა მიიჩნია როგორც სიკვდილისაკენ სწრაფვა, რომელსაც დააგვიანდა მასთან მისვლა, ტოლსტოი ეშურებოდა სიკვდილს, როგორც უკვდავებაში გადასვლის უკანასკნელ ნაბიჯს. ტოლსტოის ცხოვრების საზრისი მის შემოქმედებაშია, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი მოკვდავის აზროვნებას. მისთვის არც ოჯახი, არც შვილები, არც სიმდიდრე და არც ქონება არ იყო ყოფიერების საზრისის მომნიჭებელი. ამ საზრისის წყაროს იგი ხედავს ხალხის სამსახურში, პირადი კეთილდღეობის, ხორციელ ვნებათა დათრგუნვისა და ზოგადსაკაცობრიო იდეების ამაღლებაში.

ძნელია იმის თქმა, იცნობდა თუ არა არჩ. ჯორჯაძე ბერდიაევის შეხედულებებს, მაგრამ აშკარაა, მისი მოსაზრება ძალიან ახლოს დგას ბერდიაევის დასკვნებთან.

არჩ. ჯორჯაძე თვლის, რომ ტოლსტოიმ, სხვა გენიოსებთან ერთად, გააცნობიერა სიცოცხლის ტრაგიზმი, სიკვდილისა და სიცოცხლის განუყრელობა და ამავე დროს მათი შეურიგებლობა. ჯორჯაძის მტკიცებით, ტოლსტოის შეუძლებლად მიაჩნია ადამიანური აზროვნება შეეგუოს მისი ყოფიერების უსაზრისობას. ადამიანის არსება პროტესტს აცხადებს ამ უსაზრისობის წინააღმდეგ და როგორც არ უნდა გაალამაზოს მღვარდადებული ყოფიერება, მას ვერ შეურიგდება ჩვენი ლტოლვა უკვდავებისაკენ და ჩვენი ნებელობა“[2].

ანალოგიური აზრი განავითარა კიტა აბაშიძემ სტატიაში „ზეკაცის ტრაგედია.“

---

[1] ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბერდიაევი (1874–1948) ფილოსოფოსი და მოაზროვნე დაწ. იხ. ე. კოლუა, ნ. ბერდიაევი XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია თბ. 1970 წ.

[2] არჩ. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1980 წ. გვ. 330.

დიდი მწერლისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობის ამსახველია ვაჟა-ფშაველას ლექსი ტოლსტოის გარდაცვალებაზე, რომელიც ასე იწყება:

„მარტო რუსეთმა? მთელმა ქვეყანამ
დაჰკარგა მამა, თავის აღმზრდელი,
ვინაც მოჰფინა ჩვენს გულ-გონებას
და ჩვენს ვნებათა უხვად ნათელი.
გაჩაღებულსა სულის ქურაზე
ახალ გრძნობასა და აზრსა სჭედდა,
ადამიანთა სულის შემხუთველს
დაუცხრომელსა ხუნდებსა პკვეთდა.
მოხუცდა, მაგრამ იმისი გული
ჭაბუკისაზე ძლიერად სცემდა
მან სიყვარული ჰაერად შექმნა
რომ მას სუნთქავდეს სულ-დგმული ყველა;
ამაში არის ჯოჯოხეთისა
სამოთხედ შექმნის საღსარი, შველა,
მაგრამ საიდან? როცა ჩვენს გულში
და გონებაში ჯერ ისევ ბნელა.[1]

***

ეს მძლავრი სული, ზოგთაგან კრულმა
მიმოჰქრის ეხლა ცათა სფეროში
და თავს აფარებს დასავენებლად
თავის ღმერთისა კალთის ჩეროში:
ვეღარ იპოვოს მისებრი გვამი
რუსეთმა თავის სამფლობელოში!
დიდხანს და დიდხანს უნდა ლოდინი
კვლავ ამოუხდეს მას მზე ჩამქრალი;
დიდი დრო უნდა რუსეთის ერმა
შეიგნოს მისი მოძღვრების ძალი
სულითამც იშვებს და გაიხარებს,
ვინც ჩვენს ცხოვრებას დაატყო კვალი,

[1] ა. მახარაძე, რაზიკამეილების პოეზია, თბ., 1987 წ. გვ. 72

კვალი ღრმა, დიდი, ვითა უფსკრული
რომ იმის ფსკერსა ვერ სწვდება თვალი
იქ აგროვია მარგალიტები
აუარები ზურმუხტი, ლალი
რომ ის მოპხვეჭო არაფერს გარგებს
ხმალი და თოფი, ურიცსვი ჯარი
ვინც სიყვარულით განიმსჭვალება
იმას ეკუთვნის იმისი არსი.[1]

ხოლო გამოხმაურებაში, „ლევ ტოლსტოი", აკაკი წერეთელი წერდა: „მე ვამბობ ლევ ტოლსტოიზე, რომლის სიკვდილმაც, არა უდროოდ, დიდად შეაძრწუნა ყველა ადამიანი... ისე შეგნებულად და გამბედავად მებრძოლს, როგორც ტოლსტოი იყო მთელს მის სიცოცხლეში, ძვირად ვხედავთ. მის მოძღვრებას სარჩულად სახარება ედვა. ჰქადაგებდა „ერთობას, თანასწორობასა და სიყვარულს". წინააღმდეგი იყო ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრისა, დიდისაგან პატარის ჩაყლაპვისა. ბევრ რამ წერილმან სასაცილო მოვლენას ცხოვრებაში შემოღებულს ეურჩებოდა.

აი, ამით მოიზიდა მან ყველა დაჩაგრულთა გული და გაიჩინა მიმდევრები არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიც, როგორც მოციქულმა მახარობელმა მომავლისამ. მაშ, რასაკვირველია, თუ ქართველებიც დღეს მას გულწრფელად იგლოვებენ"[2]

ტოლსტოის სიკვდილამდე ილია ჭავჭავაძე პრესის ფურცლებზე ასე აღნიშნავდა მწერლის შესახებ: „გრაფ ტოლსტოი (ლევ ნიკოლოზის ძე), რომლის ფილოსოფიამაც ააღაპარაკა დღეს მთელი რუსეთი... შრომაში პპოვებს საგანს ცხოვრებისას".[3]

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ურთიერთობები, კავშირები საქართველოსთან და ქართველებთან ამაღლებული და გულწრფელი იყო, რის შესახებაც იგი მიუთითებდა კიდევაც, „ის უეჭველად სიყვარულის ქვეყანაა", ნაწარმოებებში „ბავშვობა და ყრმობა", „თავდასხმა", „მარკერის ჩანაწერები", მისი ცნობილ დღიურში, ნათლად ჩანს, მისი სიყვარული და დამოკიდებულება კავკასიასა და საქართველოსთან. „ტოლსტოის უყვარს ქართველები, თავისუფლებისმოყვარული ხალხი".[4] დ. მაკოვიცკი იხსენებს ლ. ტოლსტოის თქმულს

---

[1] ჟურნ. „ნაკადული" 1910 წ. №11, გვ. 38-39.
[2] აკ. წერეთელი, რჩ. ნაწ. 1960 წ. გვ. 655-656.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IV, გვ. 239
[4] ნ. ნაკაშიძე, მოგონებანი, თბ., 1946წ. გვ. 3

„უსაყვარლესი ხალხია ეს ქართველები, ჭკვიანი, მშვიდობიანი, სათნო, კეთილი ან რა დიდებული და ხელგაშლილი არიან ისინი“[1]

ტოლსტოის სიკვდილმა მსოფლიოს პროგრესული აზრი შესძრა, როგორც ილია იტყოდა, „კაცობრიობის დიდმა დანაკარგმა“ ააღელვა ყველა. თანახმად ტოლსტოის ანდერძისა, ის ჩაასვენეს უბრალო კუბოში და დაკრძალეს იმ ადგილას, „სადაც მწერალი ბავშვობისას ჯადოქრულ „მწვანე ჯოხს“— საყოველთაო ბედნიერების საიდუმლოებას—ეძებდა“.

და აი, ტყით მოსილ ხრამის კიდეზე გაჩნდა განმარტოებული უბრალო საფლავი, მასზე არც ჯვარია და არც ძეგლი. ასე მოუსურვებია თვით ტოლსტოის. მხოლოდ პატარა ბორცვი, მაუხულობით ყვავილებით მორთული, ზამთრობით კი თოვლით დაფარული, უჩვენებს ადგილს, სადაც განისვენებს ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი. ირგელივ—წარმტაცი რუსული ბუნება, რომელიც მას ასე უყვარდა და რომელსაც მომხიბლავად აღწერდა.

ტოლსტოის უკვდავი ღირსება შორს სცილდება მისი სამშობლოს საზღვრებს. დიდია მისი ზეგავლენა მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაზე. მისი სახელის წინაშე თავს ხრიდნენ გამოჩენილი მწერლები: ფლობერი, მოპასანი, ანატოლ ფრანსი, რომენ როლანი, დრაიზერი და სხვები.[2]

საზოგადო მოღვაწის ბურჯი თვითონ საზოგადოებაა და საზოგადოების გაუსრულებელი სამართლიანობა. ამაშია იგი წყარო ღონისა, მხნეობისა და გულმოდგინებისა. იგია წყარო, რომელსაც სვამს საზოგადო მოღვაწე, როცა კიცხვა და კილვა, ათასნაირი მწუხარება და უსიამოვნება გულს უშრობს ხოლმე რთულისა და მძიმე მოვალეობის ასრულების გზაზედ. ამით იგრილებს იგი დამწვარ გულს და იფონებს იგი კიცხვა-კილვისაგან შესუთულს სულსა და ერთი წუთი ამისთანა მოფონებისა, მთელს წლების მწუხარებას გადააჭარბებს ხოლმე თავისი ღირსებითა და სიკეთითა[3].

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ დიდი ილიას ამ ბრძნულ სიტყვებს: არა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის, არამედ მსოფლიო პროგრესული აზრის მატარებელი, პატრიოტული სულით, ჰუმანიზმითა და კაცთმოყვარეობით გამთბარი საზოგადოებაა ლ. ტოლ-

---

[1] დ. მაკოვიცკი, წ. ტ. II 1923 წ. გვ. 13

[2] პ. ღუღუშაური, დასახ. შრ. გვ. 40

[3] ი. ჭაჭავაძე, თხზ. ტ. VII გვ. 343

სტოის უმდიდრესი მემკვიდრეობის, მისი მსოფლმხველობრივ-ფილოსოფიური ნააზრევის ბურჯი და დამფასებელი.

კაცობრიობის ისტორიისათვის რამდენიმე საუკუნე ბევრი არასოდეს არ არის, მაგრამ „საკმაო დროა თაობათა ცვლისა, აზრის ამაღლებისა, ფასეულობათა შექმნა-გადაფასებისათვის ისტორიით კანონქმნილი“.

თავი მეორე

მესხეთის ისტორიული ბედი

სანამ უშუალოდ საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში სომხების, დუხობორების და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მასიური ჩამოსახლების პროცესებს შევეხებოდეთ, გვინდა მოკლედ მიმოვიხილოთ მესხეთი,[1] როგორც საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხე, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული აღმავლობისა და დაწინაურების საქმეში. „ზემო ქართლი, ანუ მესხეთი, სამცხე–ჯავახეთიდან მოყოლებული ტაო–ისპირამდე, ერთს საგამგებლო ერთეულს; საერისთავო–საერისთავოს და სამთავროს შეადგენდა. XIII საუკუნის მეორე ნახევარში მესხეთის მთავრის განსაგებელი იწყებოდა ბორჯომის ხეობითგან, თაშისკარიდან და კარნუქალაქამდის ვრცელდებოდა—წერდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. სამცხე–ჯავახეთი საქართველოს სამხრეთ დასავლეთის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც მესხეთის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი უძველესი დროიდან მოიცავდა სამცხეს, ჯავახეთს, ტაოს, კლარჯეთს, არტაანს, ერუშეთს, შავშეთს, კოლას, აჭარას, ბასიანს, ჭანეთს, ამბოცს, ლიგანის ხევსა და სპერს. მესხეთის სახელწოდება წარმოდგება ქართველური ტომის მესხებისაგან, რომლებიც აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. სამცხეს სამთავროს გაზრდისა და მის მფლობელთა საგვარეულოსათვის ათაბაგთა სახელის დამკვიდრების შემდეგ, მესხეთი საათაბაგოდ იწოდებოდა და XIV საუკუნიდან სამცხე-საათაბაგო მთელი მესხეთის სინონიმი გახდა.[2]

ვახუშტი ბატონიშვილი კი ასეთნაირად აღწერს: „ბაგრატიონთ მეფობასა შინა ყოველთა ამათ ადგილებითა და ქუეყანათა კრებით ეწოდა მესხეთ იგივე ძველი სახელი სამცხეთოსი, და სიმოკლისათვის მესხნი ითქმის“. ისპირი და ლაზისტანი II საუკუნიდან ხალიბებს

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები. თბ., 1919 წ. გვ. 45-46.

[2] ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე ჯავახეთი XIX-XX სს. თბ., 1994 წ. გვ. 5. სამცხე-ჯავახეთის თანამედროვე სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემების შესახებ ვრცლად იხ. მისივე ისტორიული მესხეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1998 წ.

ანუ ლაზებს ეკუთვნოდა, ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი წერს: „მესხები ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომნი არიან და მათ მთებში აქვთ საბინადრო ადგილები“,[1] ე. ი. მესხები პოლიტიკურად და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად ქართლში შედიოდნენ. ვასუშტი ბატონიშვილი „საქართველოს ცხოვრებაში“ მიუთითებს, აგრეთვე, რომ XIII საუკუნის დამდეგს თამარ მეფის მიერ დაარსებულ ტრაპეზუნის იმპერიაში მოექცა ლაზისტანი, ანუ ჭანეთი, მაგრამ შემდგომში იგი საქართველოს შემოუერთდა და ჯერ მესხეთის მთავარს და შემდეგ გურიელს ეჭირა, ხოლო 1511 წელს სამცხის მთავრის ათაბაგის ხელში გადაიდა.[2]

ათაბაგის სახელო პირველად თამარ მეფის დროს დაწესდა, როდესაც მესხეთში დაინიშნა გამგებლად ივანე მხარგრძელი, (1184-1214), ხოლო მეფე გიორგი V-მ (ბრწყინვალე) (1314-1346) 1334 წელს ათაბაგობა ყვარყვარე ჯაყელს უბოძა, შემდგომში გიორგი VIII დროს ყვარყვარე II-მ, 1463 წელს სამცხე-საათაბაგოდ აქცია და დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად გამოაცხადა. ამით, ფაქტობრივად, შეიქმნა „სახელმწიფო სახელმწიფოში“, დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკით, დამოუკიდებელი „საურავებით“, საგადასახადო და საბაჟო სისტემით. ყველაფერი ეს ჯაჭვური რეაქციით გაგრძელდა ქვეყნის დანარჩენ მხარეებშიც და ერთიანი ცენტრალიზებული მართვა-გამგეობა სეპარატისტული მმართველობით შეიცვალა. ქვეყნის დაშლის ამ პროცესს ხელს უწყობდნენ გარეშე იმპერიული ძალები, მაშინდელ პირობებში თურქეთი და სპარსეთი“.[3]

სამცხე-ჯავახეთის ათაბაგებს შორის თავისი მოღვაწეობით გამოირჩეოდა ბექა I ჯაყელი (დაახლოებით 1240-1306 წწ.), სამცხის მმართველად წოდებული, რომლის საგამგებლოში შედიოდა სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, კოლა, არტაანი და ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ბექას ათაბაგობის პერიოდში საათაბაგო გამოყოფილი იყო ერთიანი საქართველოსაგან და ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ბექა I ილხანთა სამეფოს ვასალი იყო და ქართველთა პოლიტიკურ გავლენას აქტიურად იცავდა ტრაპიზონის სამეფოში. მისი მოღვაწეობის პერიოდში აშენდა წმინდა საბას ტაძარი საფარაში, რომელიც თავისი არქიტექტურული მნიშ-

[1] ე. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსი საქართველოისი თბ., 1973 წ. გვ. 658.

[2] საქართველოს ისტორია, ლექსიკონი გ. ბ. შემდგენელი რ. მეტრეველი თბ., 1979 წ. გვ. 143.

[3] გ. ლობჟანიძე, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან 1998 წ. გვ. 154.

ენელობით საინტერესო საეკლესიო ძეგლს წარმოადგენს დღესაც.

ბექამ შეადგინა სამართლის წიგნი, რომელიც ქართული სამართლის ძეგლებს შორის სამართლის მნიშვნელოვანი წყაროა.

ბექას შემდეგ საკანონმდებლო მოღვაწეობა, ცოტა მოგვიანებით, აღბუღა I ჯაყელმა, სამცხის ათაბაგმა, საქართველოს ათაბაგ-ამირსპარსალარმა (XIV ს. II ნახევარი) გააგრძელა.

მათი ნაღვაწი ქართული სამართლის ისტორიაში ცნობილია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის სახელით, რომელიც შეტანილია ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კოდიკოში. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ტექსტის შესწავლის საქმეს ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ვ. ბატონიშვილი, თ. ჟორდანია, გ. ჟორდანია, პლ. იოსელიანი, ნ. ურბნელი, ს. კაკაბაძე, ივ. ჯავახიშვილი, არჩ. ჯორჯაძე, ი. დოლიძე, და სხვები. ამ ძეგლის მიმართ დაინტერესება გამოიჩინა ცნობილმა რუსმა მკვლევარმა და იურისტმა მაქსიმ კოვალევსკიმ.

ბექა I ჯაყელის სამართლის წიგნის წინასიტყვაობა დაკარგულია, რის გამოც, ამ ძეგლის შედგენის გარემოება და მოქმედების ასპარეზი გაურკვეველია.

რაც შეეხება აღბუღა I ჯაყელს, თავისი სამართლის წიგნი საკანონმდებლო კრებაზე შეუდგენია. „ათაბაგ ამირსპასალარ აღბუღას ამ კრებაზე მოუწვევია მაწყუერელი, თავისი ბიძა-ძე“ მაშია და მისი ძმა საფარის მოძღვარი პაფნოტე, ხუთისაეე თემისა სამცხისა“, ტაოელთა, კლარჯთა, შავშთა, და უეჭველია ჯავახთა და მესხთა, ეპიზკოპოზნი, მეუდაბნოენი, უეჭველია წარჩინებულნიც და უფროსი მოხელენიც. საკანონმდებლო კრება „ჭოლ(ევ)თა“-ს შეყრილა და ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ მსჯელობის შემდეგ მას საჭიროდ უცვნია ბექას კანონისათვის დაემატებინა ახლად გაჩენილ თუ გახშირებულ დანაშაულობათა დასასჯელად განკუთვნილი მუხლები. ამნაირად ბექას 65 მუხლისაგან შემდგარ კანონებს კიდევ 32 მუხლი დაერთო“[1] ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს თავიდან „აღბუღას სამართლად მიიჩნევდნენ. ამის შესახებ ნ. ურბნელი წერდა: „სამცხე-საათაბაგოს რჯული, რომელიც ცნობილია „აღბუღას სამართლად“, მარტო აღბუღას არ ეკუთვნის და მეცდომით უწოდებენ ასეთ სახელს. სამართალსაც ცხადად ეტყობა, რომ იგი სხვადასხვა დროს დაწერილია. პირველი ნაწილი შეუდგენია და მის შვილიშვილს საჭიროდ უცვნია პაპის განაჩენი უცვლელად დაეტოვებინა, რაკი იმის დროს ავკაცობა და ბოროტმოქმედება გამრავ-

[1] ივ. ჯაეახიშვილი, დას. შრ. გე. 108.

ლებულა. აღბუღამ თავისი შეღგენილი სამართლის წიგნიც დაურთო პაპის განაჩენს"[1]

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ საკანონმდებლო ძეგლის მოქმედების ასპარეზის საზღვრები უეჭველია კრების მონაწილეთა შემადგენლობის მისედვით შეიძლება განისაზღვროს. ეს ასპარეზი კი იმდროინდელი საქართველოს თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა. თუ ამასთანავე მესხეთის ცხოვრების და განვითარების მაღალ კულტურულ დონესა და პოლიტიკურად დიდ ღირებულებასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დიდი მნიშვნელობა სრულებით ცხადი შეიქმნება. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ „იმ დროს მესხეთსა და საქართველოს დანარჩენ ცენტრალურ ადგილებს შორის, კულტურულისა და სოციალური მდგომარეობის მხრივ, რაიმე თვალსაჩინო განსხვავება არ უნდა ყოფილიყო, ამიტომ ამ ძეგლის ანალიზით მოპოვებული სურათი ნაწილობრივ შეიძლება დანარჩენ საქართველოსთვისაც დამახასიათებლად მივიჩნიოთ"[2].

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი გვაწვდის შესანიშნავ ცნობებს იმდროინდელი სამხრეთ საქართველოს (რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა) პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობილებაზე, მხარის სამართლებრივ მდგომარეობაზე, ცალკეულ დანაშაულთა სახეებზე, ვალდებულებით სამართლის ინსტიტუტებზე, საოჯახო სამართალზე და ა.შ. სისხლის სამართლის დანაშაულიდან განხილულია მკვლელობა, სხეულის დაზიანება, სქესობრივი დანაშაული, ძარცვა, ქურდობა, ღალატი, მექრთამეობა, ცეცხლის წაკიდება, ვენახის და ხეხილის აჭრა, შეურაცხყოფა, ცილისწამება, ქალის მოტაცება და სხვა.

სამოქალაქო სამართლიდან აღსანიშნავია საკუთრების უფლება, ნასყიდობა, გირაონობა, ჩუქება და ა.შ.

ცალკეული მუხლები ეძღვნება საოჯახო და საქორწინო სამართალს, სასამართლო წყობილებას, სასამართლოს პროცესს, პროცესში მონაწილე მხარეებს, მტკიცებათა სახეებს და სხვა.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი იცნობს: სისხლის ფასის გადახდას (კომპოზიცია), სიკვდილით დასჯას, გაძევებას, შეჩვენება-შერისხვას, დამნაშავის დაზარალებულზე გადაცემას, ნაპარავის ორკეც ანაზღაურებას, გამარბილებელ (ანუ დამამცირებელ) სასჯელებს და ა.შ.

---

[1] ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი თბ., 1890წ.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ტ. VI თბ., 1982 წ. გვ. 107-108.

ბუნებრივია, ჩვენს მიზანს ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის საფუძვლიანი განხილვა[1], ჩვენ მას შევეხეთ იმდენად, რამდენადაც სამცხე-ჯავახეთზე (მესხეთზე) მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლიდით ამ ორი სჯულმდებელი ათაბაგის, პაპისა და შვილიშვილის, რომელთა შორის ნახევარი საუკუნეა ჩამდგარი, დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე.

სამცხე-საათაბაგო თავისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით თუ პოლიტიკური მნიშვნელობით, საქართველოს დანარჩენი სამეფოების გვერდით განიხილებოდა: „მეხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ოთხი პოლიტიკური ერთეული: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგო."[2]

ოსმალთ მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ და მცირე აზიაში გაბატონებამ მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მძიმე დღეში ჩააგდო. საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთი მისთვის ჩვეული ხერხებით და მეთოდებით ცდილობდა ყოველივე ქართული აღმოეფხვრა და განედევნა მოსახლეობის ჩათვლით. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს „პოლიტიკური და სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიური შევიწროებით ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის დაემხო და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა". ეს პროცესი XVII საუკუნის II ნახევარში დაიწყეს ოსმალებმა, ჯერ უმაღლეს წრეებში, შემდეგ კი მთელ მოსახლეობაზე გააერცელეს. ასეთი პოლიტიკა XIX საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა. სამცხის უკანასკნელი ათაბაგი იყო მანუჩარი (1614–1624), რომელიც ცნობილ და განთქმულ მარაბდის ომში სპარსეთის წინააღმდეგ დანარჩენ ქართველ მეფეებთან ერთად მონაწილეობდა. მან აღიარა ოსმალეთის უზენაესი ხელისუფლება, მაგრამ თავისმა ბიძამ მოწამლა, თვით წავიდა სტამბოლს, მიიღო მაჰმადი-

---

[1] ვ. ბაგონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა თბ., 1973წ.
ნ. ურბნელი, ათაბაგარი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი თბ., 1890წ.
М. Ковалевский Законы и обычай на Кавказ Т.I и II 1890 г.
თ. ჟორდანია, ქრონიკები წიგნი II თბ., 1897 წ.
დ. ჩუბინაშვილი, ქართული ქრესტომათია თბ., 1863 წ. I
П. Иоселиани, Краткая история Грузинской церкви лет. 1843 г.
ს. კაკაბაძე, სჯულმდებელი ბექასა და აღბუღას კანონი 1912 წ.
ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი 1953 წ.
ივ. ჯავახიშვილი, ტ. VI თბ., 1982 წ.
არჩ. ჯორჯაძე, თხზ. წიგნი I 1911 წ.

[2] გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1941 წ. გვ.8

ანობა და სულთანის ანუ ხონთქარის მიერ დანიშნულ იქნა ახალციხის ფაშად, საფარ-ფაშას სახელით, „და დაჯდა ესე საფარ-ფაშა და დაიპყრა სრულიად საათაბაგო... და მართაველა ვითარცა წესი არს ოსმალთა", წერს ვ. ბატონიშვილი.

ამის შემდეგ ოსმალებმა სამცხის საათაბაგო ახალციხის საფაშოდ აქციეს, რომლის შემადგენლობაში ჭოროხის ხეობაც შედიოდა და ოცდაოთხ თემად ანუ სანჯაყად დაჰყვეს. თითოეულ სანჯაყს სათავეში გარკვეულ დრომდე გამაჰმადიანებული ქართული წარმოშობის დიდგვაროვანი მემკვიდრეობითი მფლობელები სანჯაყბეგები ედგნენ.

ახალმა ადმინისტრაციამ მესხეთსა და ჯავახეთში შემოიღო ისეთი წესები, რაც ქართველთ გათათრებას ხელს უწყობდა. 1. მოლის, თუ ხოჯისაგან მინარეთითგან დაძახილ ლოცვის დროს, რომ ქრისტიან ქართველს ან გაეცინა, ან დაყვირებით გაეჯავრებინა, ან კენჭი ესროლა და სხვა ამგვარნი, ამ ქართველს უსათუოდ სიკვდილით სასჯელი ელოდა და მამულების წართმევა. ეს ეპატიებოდა მაშინ, როცა იგი გათათრდებოდა. 2. ჯამეს წინ რომ გაეელო ქართველს და აქ რამე სიტყვა ეთქვა თათრის წინააღმდეგ, ან ჯამეში ლოცვის, ბანვის და სხვა დროს, იმას სიკვდილი ელოდა, პატიება მხოლოდ გათათრების მეოხებით მოხდებოდა. 3. ქართველს აგინა თათარმა, შეუგინა ყველაფერი, ქართველმაც პასუხი მისცა და სამაგიერო გადაუხადა სიტყვით, ან საქმით, და შეუგინა ზოგიერთი რამ სარწმუნოების მხარეებიც, მას სასჯელად სიკვდილიანობა ელოდა, სასჯელი ეპატიებოდა გათათრებით.

4. ქართველმა თუ თათრის სასაფლაოზე გაიარა და იქ დაპილწა, ამის სასჯელად ეკუთვნის დარბევა, მამულების წართმევა, ეს ეპატიება მხოლოდ გათათრებით.

5. ქართველმა თათრის „მეჯლისს", ყადებს, მათ მასლაათს და ხაფიზ („ღვთის მეტყველი") ხოჯებს პატივი არ სცა მდივან-ხანაში, მას სასჯელად დარბევა და მამულების წართმევაა, პატიება გათათრებით ელოდა.

6. ქრისტიანმა ქართველმა ქართველისაგან ფული ისესხა და აღარ მისცა, ან ფული დასტყუა და უარი თქვა, ამხანაგი იყო და ამხანაგს უღალატა და ფული გამორჩა, იმუშავა და ფული არ მისცა, იყიდა რამე და სამაგიერო არ გადაუხადა, ყველა ეს მას ეპატიებოდა გათათრებით.

7. ქართველმა მოკლა თავისი მამა, დედა, ცოლი, დაი, ან ძმა, გინდა სხვა მონათესავენიც და მასთან აიკლო დახოცილის ოჯახიც, ქართველს ყველა ეს ეპატიებოდა გათათრებით.

8. ქართველმა იქურდა, გაპქურდა ეკლესიები, ეკლესიების ნივთები აქა-იქ გაყიდა, ამის გარდა მოკლა მღვდელი, მთავარი, დიაკონი და აიკლო მათი სახლ-კარი, ამას პატიება ელოდა მხოლოდ გათათრებით.

9. ქართველს საფაშო ხარჯი რომ ვერ გადაეხადა და გინდ სიღარიბის გამო მას ამის გადახდა ვერც შესძლებოდა, ამის პატიება მას გათათრებით ელოდა.[1] ასეთი და მსგავსი მეთოდებით მიმდინარეობდა ისტორიის ხანგრძლივი დროის მანძილზე ქართველთა გათათრება.

ეს პროცესი, როგორც ზემოთ მივუთითებდით, XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან XIX საუკუნის დამდეგამდე გრძელდებოდა. ახალციხის ფაშას ზურგს უმაგრებდა სტამბოლის ხონთქარი და ხშირად ოსმალეთზე დაყრდნობით და მათივე კარნახით ჯარის საშუალებით ქართულ სამეფოთა საქმეებშიც ერეოდა და ოსმალეთის პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. საბოლოოდ ოსმალეთმა მოინდომა მესხეთის, როგორც ტერიტორიული ერთეულის მოსპობა, ამიტომ ათაბაგ უსუფ III-ის შემდეგ (1737-1744) სამცხის ათაბაგობა გააუქმა და მთელი სამცხე-ჯავახეთი თურქულ ადმინისტრაციას დაუქვემდებარა[2].

ქართველი მეფეები არ შეგუებიან ქართული ისტორიული კუთხის დაკარგვას და ყველა შესაძლებლობას მიმართავდნენ მის დასაბრუნებლად, ამიტომ ისინი თავის სამეფო სახელწოდებაში მემკვიდრეობით მესხეთის კანონიერ მფლობელებად აცხადებდნენ თავს.

1783 წლის ხელშეკრულებაში, რომელიც ერეკლე მეფესა და ეკატერინე II-ს შორის იქნა დადებული მეორე მუხლი სპეციალურად ეხებოდა „ახალციხის საფაშოს ანუ სამცხო-საათაბაგოს, აღნიშნავდა ნ. ბუტკოვი[3], რუსეთის მხრიდან ერთ-ერთი წარმომადგენელი. ერეკლე მეფეს უფრო ფართო და შორსმჭვრეტელი მიზანი ჰქონდა დასახული—ქართველობის გაერთიანებისა და სრულიად საქართველოს აღდგენაზე ფიქრობდა. ამიტომ ამ ხელშეკრულებაში განსაკუთრებულ მე-4 არტიკულად შეატანინა, რომ რუსეთის ხელმწიფე აღთქმას დებდა ომის დროს იარაღის საშუალებით, ხოლო მშვიდობიანობის დროს თავგამოდებით ყოველგვარად ეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაუბრუნებდნენ მის სამფლობელოს

[1] ზ. ჭიჭინაძე, სამცხე-სათაბაგოს გათათრება თბ., 1906 წწ. გვ.5-6

[2] ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1985 5.

[3] Н. Бутков, "Материалы" 141-142, Бурнашев Картина Грузия стр. 14 (იე ჯავახიშვილი დას. მრ.)

ყველა იმ ადგილებს, რომლებიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ: „რუსეთის დედოფალი ერეკლე მეფეს აღუთქვამდა, რომ ომის შემთხვევაში იარაღით, საზავო მოლაპარაკების დროს დიპლომატიური გზით შეეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთს სამცხე-საათაბაგო და საინგილო დაბრუნებოდა"[1]

ამასთანავე რუსეთის ხელმწიფე საქართველოს ამ ახლადდაბრუნებულ და შემოერთებული ქვეყნების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის თავდებობასაც კისრულობდა.

სწორედ ასე გაიგო ამ ხელშეკრულების შინაარსი იმდროინდელმა ახალციხის ფაშამ და რაკი დარწმუნდა, რომ საქართველოს მეფისაგან მის ფაშობას განსაცდელი მოელოდა, ამიტომ რუსეთთან ხელშეკრულების დადების შემდეგ მეფე ერეკლეს გადაეკიდა და მტრობა დაუწყო.

1801 წელს, როდესაც რუსეთმა საბოლოოდ დაიპყრო აღმოსავლეთ საქართველო, ხოლო 1810 წელს—დასავლეთი. დღის წესრიგში დადგა მესხეთის „შემოერთების" საკითხი. რუსეთის ჯარმა გენერალ პასკევიჩის მეთაურობით 1828 წელს ხელში ჩაიგდო ახალციხის საფაშოს გარკვეული ნაწილი, კერძოდ, 10 სანჯაყი (ქობლიანისა, ოძრხისა, ახალციხისა, აწყვერისა, ასპინძისა, ისისა, ახალქალაქისა, ჯარაქისა, ფოცხოვისა, პალაკაცოისა), ხოლო 14 სანჯაყი ისევ ოსმალეთის ხელში რჩებოდა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდგომ მესხეთის მეორე ნაწილიც იქნა „შემოერთებული", რუსულმა ადმინისტრაციამ მესხეთი, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრად, ფოცხოვის უბნად, ბათუმისა და ყარსის ოლქებად დაანაწილეს. მთელი ეს მხარე რუსეთის იმპერიის ბაგონობის დროს მოქცეული იყო შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში.

1) ახალციხის მაზრა (სამცხე), 2) ახალქალაქის მაზრა (ჯავახეთი), 3) ბათუმის ოლქი (აჭარა, ქობულეთი, შავშეთი), 4) ყარსის ოლქი (ერუშეთი, ფოცხოვის უბანი, არტაანი, ანუ არდაგანი და ოლთისი).

რუსეთის ჯარების მიერ შემოერთებული ტერიტორია შემდეგი სივრცისა იყო: ახალციხის მაზრა 2.796 კვადრატული კილომეტრი. ახალქალაქის მაზრა 2.793; ბათუმის ოლქი 3.779; ართვინის ოლქი 3.339; ფოცხოვის უბანი 588; არდაგანის ოლქი 5.137; ოლთითის ოლქი 3.051; სულ მესხეთის ტერიტორია უდრიდა 21.393 კვადრატულ კილომეტრს ანუ მთლიანად საქართველოს მთელი ტერიტორიის მე-

[1] გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე თბ., 1941წ. გვ. 121.

სამედზე მეტს[1]. ძველი მესხეთის ნაწილებიდან ოსმალეთის შემადგენლობაში დარჩა ჭანეთი ანუ ლაზისტანი და ზემო ჭოროხზე მდებარე ნაწილი. მესხეთში ოსმალების სამასწლიანმა ბატონობამ დიდი გავლენა იქონია ამ მხარეში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაზე.

„ასპინძის ომის შემდეგ ოსმალთა ჯავახეთში არამცთუ მართლმადიდებელთ, არამედ ქართველ კათოლიკეთაც კი დაუწყეს დევნა, წერს ზაქარია ჭიჭინაძე—არსად აღარავის სიტყვის თქმის ნებასაც არ აძლევდნენ და რამდენიმე ალაგას სტანჯეს ქრისტიანები. ასპინძას, სოფ. ბალაჯარის და ახალშენის ქართველთ კათოლიკეებიც კი დასაჯეს და გაათათრეს. ასპინძის და ადიგენის კათოლიკენი მთლად მაშინ გათათრდნენ. რომელთა შთამომავალი ფანატიკ შვილებთაგანი დღესაც ცხოვრობენ სოფ. ასპინძის და ზოგნი ოსმალშიაც წავიდნენ. ამ დროს ოსმალნი ისე აღმხედრდნენ ქართველებზედ, რომ მათ წინააღმდეგ ველარას აწყობდნენ თვით ქართველთ მხნე პატრებიც. სწორედ ამ დროს გაათათრეს მათ დიდი ძალი ქართველთ კათოლიკებისა. თუმცა ასეთი საშინელი გარემოება დატრიალდა ოსმალთაგან, თუმცა ქართველთა დევნის ზომა საზღვარ გადავიდა, მაგრამ ამ დროსა-კი ქართველთა შორის არ მოსპობილან აქა-იქ თითო-ოროლა ჩუმი ქრისტიან მოძღვართ რიცხვი, რომელთაც ხალხში აქა-იქ თავგადადებითაც უღვაწიათ. ასეთი პიროვნებების რიცხვს ეკუთვნიან ვასილი და საბა მღვდელი ორბელიანები, რომელნიც XVIII საუკუნის დამლევს სცხოვრობდნენ. გრიგოლ მღვდელი, დესპოდე ეპისკოპოსი, ტომით ბერძენი.[2]“

სამცხე-ჯავახეთის ქართველობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ არ დაეკარგათ მამაპაპეული ტრადიციები. და ქრისტიანული რელიგია. მაგრამ ხელისუფლებისათვის ბევრი მათგანის მოქმედება შეუმჩნეველი არ რჩებოდა და მათ სიკვდილით სჯიდნენ, მიუხედავად ამისა, „მესხეთის ქართველთა საიდუმლო ქრისტიანეთ რიცხვი ყოველთვის არსებობდა და მათი რიცხვი 25 სოფელზედ მეტიც ყოფილა—აგრძელებს მსჯელობას ზ. ჭიჭინაძე, ამათს საიდუმლო მღვდელს ოსმალურად ეცვა, თავზედ სარული ეხურა ან დოლბანდი, ხშირად ჩოხასაც იცვამდნენ, ზედ ნაბადს ისხამდნენ და საეკლესიო ნივთებს და წიგნებს ქვეშ მალავდნენ.

---

[1] ე. ნოზაძე, დას. ნამ. გვ.8

[2] ზ. ჭიჭინაძე, დას. ნამ. გე.7

თავიანთი სალოცავი ოთახი გაკეთებული ჰქონდათ დარნების მსგავსად, თხრილებში, სათონეში და სხვა. საიდუმლო მღვდელნი იმ ადგილებში ულოცავდნენ ჩუმ ქრისტიანებს. საღმრთო მსახურებას ისე ოსტატურად ასრულებდნენ, რომ მათის მოქმედებისა ვერავისრა ესმოდა.

ასეთი მღვდლები 1819 წლამდე ყოფილან."[1]. საბოლოოდ ოსმალებმა შესძლეს ამ ხნის განმავლობაში აქ მცხოვრებთა მთლიანი გამაჰმადიანება. ამას, ბუნებრივია, მოჰყვა ქართული ადათ-წესების თუ ტრადიციების დაკარგვა.

„ოსმალეთმა ქართველ ერს უდიდესი და აღურიცხველი ზიანი მიაყენა და მით წარუშლელი დაღი დააჭდო ქართულ შეგნებას და სულს. ამიტომაც ოსმალეთთან ომის დროს ფიცხლავ და ზეიმით ირაზმებოდა ქართველობა და რეგულარული ჯარის გარდა, მილიციაც დგებოდა ხოლმე. ყოველი გამარჯვება რუსის იარაღის ქართველობას სიხარულს ჰფენდა და თითოეული ნაჭერი მიწა, უკან მიღებულ ახლა უკვე გამაჰმადიანებული სამკვიდრებელისა, დაკარგული ძმისა და მამულის დაბრუნებას უდრიდა. ამიტომ დღესასწაულობდა და ზეიმობდა ქართველობა და გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის პირით ამ ზეიმს მთელ საქართველოს ამცნობდა. საზეიმოც იყო: საქართველოს უბრუნდებოდა ძველი მესხეთი, მრავალი ნაჭირნახულევი და საკუთარ კერას მოწყვეტილი ძმათა სამკვიდრებელი და ქართული კულტურის სავანე"[2]

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის დიდი როლი, რაც ოსმალეთთან ბრძოლაში აფხაზეთის ქართველობამ შეასრულა. აი რას წერს ამის თაობაზე ზაქარია ჭიჭინაძე:

„უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთის თავად-აზნაურობას და ნამეტურ მთავართ შარუაშიძეთ დიდი ამაგი მიუძღვით საქართველოს წინაშე. ესენი ოსმალთ ყოველთვის მკაცრად ებრძოდნენ და მამულისა, ენის და ქრისტიანობის გულისთვის აღვილად არას უთმობდნენ. აფხაზეთის მთავარნი არ ჰგვანდნენ სამცხის დიდებულ მთავარ ათაბეგების გვარის წევრთ ბექა ჯაყელს და სხვათაც, რომელთაც საქართველოს უღალატეს და გათათრდნენ. შარუაშიძეებში ამისი მაგალითი არ იყო. მართალია ამათშიაც იყვნენ თითო ოროლა ოსმალთა მომხრენი, მაგრამ ამასაც თავისი მიზეზები და პი-

[1] ზ. ჭიჭინაძე, დას. ნაშ. გვ. 7.
[2] ვ. ნოზაძე, დას. ნაშ. გვ. 10.

რობები აქვს. საზოგადოდ ამ გვარს დიდი ამაგი და შრომა აქვს დახარჯული ქართველი ერის წინაშე. ასე და ამ გვარად, აფხაზთა სრულიად გათათრება ეკუთვნის 1680 წლებიდამ 1780 წლამდის. ასე რომ XVIII საუკუნის შემდეგ მთელი აფხაზეთი ისლამს აღიარებდა. მათში ერთი კაციც აღარ იყო ქრისტიანად დაშთენილი. ასე დაეცა ერთ დროს აფხაზეთი."[1]

მიუხედავად ოსმალთა მსრიდან დიდი ტანჯვა-წამებისა, გამაჰმადიანებული ქართველები ვერ გადურჩნენ საკუთარი მიწის დატოვებას. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს რუს მეცნიერს ივანენკოს, მიუთითებს, რომ მთელ ამ კუთხეში... „ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად. მეტადრე ჯავახეთიდან (ახლანდელი ახალქალაქის მაზრის) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (ახალციხის მაზრა). მეფის ჯარებმა, რომ ახალციხე აიღეს კავკასიის მაშინდელს მთავარმართებელს ქართველი თავად-აზნაურები წარუდგნენ და საქართველოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობით უფლება მტკიცდებოდა და იმ საბუთის ძალით თავიანთი უფლების აღდგენას თხოულობდნენ. მაგრამ პასკევიჩს არამცთუ ეს თხოვნა შეუწყნარებია, პირიქით განრისხებულა კიდეც", ამ პერიოდისათვის ყარსისა და არზრუმის საფაშოებიდან იქაური სომხობა აიყარა და დაუწყო თავშესაფარს ძებნა საქართველოში. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია, ფულადი დახმარებაც აღმოუჩინა და სულ მოკლე ხანში, ივანენკოს მონაცემებით, 30.000_მდე სომეხი დასახლდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში. 1832 წლის მონაცემებით, ახალქალაქის მაზრაში ქართველთა მაგიერ უკვე უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ. ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდნენ სომხები ჯავახეთში, ქართული კულტურის ამ ძველისძველ კერაში, წერს ივანე ჯავახიშვილი__„სომხებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთიდან მოვიდნენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულიად შემთხვევით ამ უძველეს დროიდგან საქართაველოს უცილობელ კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცნენ. ამ გარემოების მიუხედავად არ უნდა დაკარგონ მადლიერების გრძნობა და არამც და არამც არ უნდა ინდომონ ძირძველი ქართული მიწის თავისად დაჩემება".

[1] გ. ჭიჭინაძე, დას. ნამ. გვ. 34.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა დუხობორების და ბევრ სხვათა ჩამოსახლების პროცესი მესხეთში. აკად. ივანე ჯავახიშვილის მიერ აღრე გამოთქმული ეჭვი სინამდვილეს არ იყო მოკლებული. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ახალქალაქის სომხობამ 1913 წ. აღმოსავლეთ საქართველოს შემადგენლობიდან (თბილისის გუბერნიიდან) გასვლა და გუმბრთან (ალექსანდრეპოლთან) შეერთება მოითხოვეს. ეს ის პერიოდია, როდესაც კავკასიაში მეფის ნაცვლად ვორონცოვ-დაშკოვი დაინიშნა. ბუნებრივია, მან ვერ გაბედა ახალქალაქის სომხობის ეს სურვილი სისრულეში მოეყვანა (თუმცა ამის წინააღმდეგი შეიძლება არ ყოფილიყო) და მისივე განკარგულებით ახალქალაქის სამაზრო კომისია შექმნა 14 კაცის შემადგენლობით, რომელთაგან 8 კაცი რუსი ეროვნებისა იყო, 4 ქართველი და 2 სომეხი. კომისიის შემადგენლობაში შემდეგი პირები შედიოდნენ: თავმჯდომარე, მაზრის უფროსი, პოდპოლკოვნიკი კალინინი, მომრიგებელი მოსამართლე მიტკიევიჩი, ფოსტა—ტელეგრაფის კონტროლის უფროსი დელიბაში, სამაზრო ბეითალი ტოროპოვი, საუბნო ბოქაულები: ჩაპლიგინი და ლაზარევი, დუხობორების წარმომადგენელნი ალექსი უბლოვი და ვასილ გრემიაკინი, ქართველთა მხრიდან საგადასახადო ინსპექტორი თავადი მაყაშვილი, მემამულეთა წარმომადგენელნი ქართველი—მაპმადიანი მამედ-ალი-ბეგი და მუსტაფა-ბეგი (ფალავანდიშვილები) ბარალეთის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი მურჯიკნელი, სომხების მხრიდან ახალქალაქის მამასახლისი მეწატუნიანცი და ბოგდანოვკის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი კაროიანცი. ამ კომისიის მიზანი იყო შეესწავლა და დაედგინა ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრა ეკონომიკურად თბილისთან თუ ალექსანდროპოლის გუბერნიასთან იყო დაკავშირებული.

კომისიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ობიექტურად შეისწავლა (თუმცა კომისიის წევრებს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა, დუხობორების წარმომადგენლები ქართულ ორიენტაციაზე იდგნენ) და დაადგინა, რომ „შემცდარი აზრია, ვითომც ახალქალაქის მაზრა ქ. გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული, მთელი ვაჭრობა და ყველა საჭირბოროტო ინტერესები მცხოვრებლებს განსაკუთრებით თბილისთან აერთებს, სადაც ისინი თავის საქონელს, სანოვაგესა და აღგილობრივ ნაწარმოებს ასაღებს და საითგანაც მოაქვთ საქონელი და ყველაფერი სახმარი მთელი მაზრისათვის. ამასთანავე საქონლის გადატანა-გადმოტანა მთელი წლის განმავლობაში, ზაფხულშიაც და ზამთარშიაც, სწარმოებს ახალციხე-ბორჯომ-ბაკურიანის შარაგზით, აგრეთვე, როდიონოვკა-წალკა-

მანგლისზე მოკლე პირდაპირი საურმე გზით, რომელიც ზამთარშიაც კი არ იკეტება"—წერს ივანე ჯავახიშვილი. ზემოთ აღნიშნული კომისიის ცალსახა დადგენილება 1914 წლის 24 იანვარს თბილისის განსაკუთრებულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა.[1] გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლით, სხვა ეროვნების ლტოლვილებს, რომელთაც ესა თუ ის ქვეყანა თავშესაფარს მისცემს, არა აქვთ უფლება არათუ სხვა ქვეყანასთან შეერთება მოითხოვოს, არამედ ეკრძალება ყოველგვარი ავტონომიის მოთხოვნაც. მსგავს მცდელობას სომეხთა მხრიდან 1919 წელს კვლავ ჰქონდა ადგილი.

სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს ისევ წარმოიშვა ზოგიერთი გაუგებრობა, სახელმწიფოებრიობის წარმოშობისა და სომეხ-ქართველთა ისტორიული ურთიერთობის შესახებ. რიგი მკვლევარები თავიანთი ინტერპრეტაციით იყენებენ ლეონტი მროველის გადმოცემას თარგამოსის უფროსი შვილის—ჰაოსის მიერ სომეხი ერის და სახელმწიფოს დაარსებისა და ამით სომხური ეთნოსის, სომხური ენის კავკასიაში პირველობისა და გაბატონების შესახებ. როგორც ცნობილია, ლეონტი მროველის მიერ ეს მოტანილი ლეგენდა საფუძვლიანად უარყვეს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. აკად. ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აყენებდა ეჭვის ქვეშ ლ. მროველის მიერ მოტანილ ცნობებს, რასაც მხარს უჭერდა პროფ. ივანე სურგულაძე. დიდი ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მოითხოვდა ასეთი ცნობებისადმი კრიტიკულ მიდგომას და წინა პლანზე აყენებდა მათი მეცნიერული ანალიზის აუცილებლობას. ჯერ კიდევ მაშინ ზოგიერთ სომეხ ავტორს აქედან მეტად შორს გამიზნული დასკვნები გამოჰყავდა და ამტკიცებდა, რომ ქართული ენა და დამწერლობა სომხურიდან წარმოიშვა[2] და საერთოდ, კაცობრიობის უპირველესი წინაპრები ადამ და ევა, სომხები იყვნენ და ამავე ენაზე ლაპარაკობდნენ. ამ ლოგიკით კი, მსოფლიოს ყველა ხალხთა ენებიც სომხურიდან წარმოშობილად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთი ვულგარული ანტიმეცნიერული მტკიცების წინააღმდეგ თავის დროზე სოლომონ დოდაშვილი წერდა ახლად დაარსებულ ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი"... „თუმცაღა რომელნიმე მწერალნი საკუთრად სომეხთაგან ამტკიცებენ, რომელ ქართველნი ძველს დროში ლაპარაკობდნენ სომხურს ენასა ზედა... და ლექსნიც (ანბანი, დამწერლობა-გ. ლ.) ქართულისანნი სომხურიდან არიან გადმოღებულნიო"...

[1] ივ. ჯავახიშვილი იქვე.

[2] ც. არდამელია, რა ენაზე ლაპარაკობდნენ ევა და ადამი? გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 13 მარტი 1998 წ. №59.

ს. დოდაშვილი, რომ იტყვიან, „იუმორისტულ სტილში“, უაღრესად ღრმა მეცნიერული და ლოგიკური სიღრმით ააშკარავებდა ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის დამცირებისაკენ მიმართულ ამ თეორიის ავტორთა მთავარი არგუმენტის აბსურდულ ხასიათს: „ჩვენ არა ძალგვიძს ბაასი სომეხთა თანა, ვინაითგან იგინი უბნობენ, რომელ თვით ადამ ლაპარაკობდა სომხურს და სომხური ენიდან იწარმოა ყოველი ენა“. მართლაც რომ ძნელია, ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, ანტიმეცნიერული, საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად გამოგონილი არგუმენტების წინააღმდეგ სერიოზული კამათი. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ილია ჭავჭავაძემ დიდი პატრიოტული შემართებითა და მოქალაქეობრივი გამბედაობით გასცა პასუხი არა მარტო ველიკო-რუსულ გამოხდომებს „(კატკოვი, იანოვსკი“), არა მხოლოდ ადგილობრივ „უნიადაგო“ ელემენტებს (ივანე ჯაბადარი და სხვა), არამედ მოძმე ერის ე. წ. სომხების „ნაციონალისტებსაც“, რომლებიც წინდაუხედავად მსჯელობდნენ, სწერდნენ საქართველოსა და ქართველების ისტორიული წარსულის შესახებ. ილია იყო არა მარტო ჭეშმარიტი პატრიოტი, არამედ დიდი კაცთმოყვარეც, რის გამოც მას ერთმანეთშიც არ არევია სომეხი ხალხი, სომეხი ერი და მისი ზოგიერთი ვაი წარმომადგენელი.

„ქვათა ღაღადის“ შესავალში ნათქვამია: „ჩვენ აღრე გვითქვამს და ახლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა მთელს ერს სომხისას შევწამოთ, წერს ილია, რაც მარტო ერთს გვარს, გუნდს სომხისას და იმ გუნდის მწიგნობარ მეცნიერს ეკუთვნის, თუმცა ასეა, მაგრამ მინამ კალამს ხელში ავიღებდით ამ წერილს დასაწერად, დიდხანს ჩავუფიქრდით ერთს ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანს გარემოებას: როგორ ჩამოგვართმევს წერილს მთელი ერი სომხებისა?“[1]

„ქვათა ღაღადი“ მართლაც რომ ბრწყინვალე მაგალითია პატრიოტი მოღვაწის დიდი ტაქტისა და წინდახედულების წარმოსაჩენად, მისი ზოგადსაკაცობრიო ხედვის გასაგებად. თუმცა ზოგიერთმა პატრიოტმა ეს არგუმენტები ილიას განსაქიქებლად გამოიყენა. ესენი ის „პატრიოტები“ და „თეორეტიკოსები“ იყვნენ, რომლებიც ფაქტიურად თვითონ შეურაცხყოფდნენ ხალხს, არ თელიდნენ მას ისტორიის შემოქმედად და ისტორიული სიმდიდრის მემკვიდრედ. ამიტომ იყო, რომ ისინი ნიჰილისტურად ეკიდებოდნენ ყველაფერს მას, რითაც ერს უნდა ეამაყა: ძველი დამწერლობა, ძველი მწერლობა,

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1989წ. გვ. 716

ძველი ხუროთმოძღვრება და სხვა ყველაფერი—ეს ხომ ხალხის შრომით და მისი გენიით იქმნებოდა საუკუნეების მანძილზე. ეს ვაჟბატონები კი მას მემამულეთა და ბურჟუათა საკუთრებად აცხადებდნენ. ამიტომ იყო, რომ მათ ილიას „ქვათა ღაღადი“ მხოლოდ ორი ერის მაღალ წოდებათა ინტერესების დასაპირისპირებლად შეიცნეს; თითქოს ხალხს მასთან არაფერი ესაქმებოდა. ილია ჭავჭავაძის გონივრული და ჭეშმარიტად პატრიოტული ნაბიჯის მნიშვნელობას ქართველი ერისათვის მეცნიერული შეფასება მისცა არჩილ ჯორჯაძემ, რომელიც წერდა: „პატრიოტული ფანატიზმი და სიძულვილი კი არ ალაპარაკებდა ავტორს, არამედ—დამცირებული და შელახული ადამიანობა, ავტორის წყრომა და ჯავრი კანონიერი წყრომაა თავხედობისა და თავგასულობის წინააღმდეგ“.[1]

ასე სამართლიანად აღიმაღლა ხმა არჩილ ჯორჯაძემ ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის“ მრწამსის მართებული გაგებისათვის ჯერ კიდევ ამ საუკუნის დამდეგს, მწერლის სიცოცხლეშივე. თუმცა მისმა რეაბილიტაციამ, სამწუხაროდ, მაინც დიდი ხნით დაიგვიანა; ილიას ვაიმოწინააღმდეგენი მას მაინც თავისი მიზნებისათვის იყენებდნენ.

რაც შეეხება ლეონტი მროველს, ახლაც და ადრეც ხშირად აბრალებენ და შეიძლება არცთუ უსაფუძვლოდ, არმენოფილობას, ისევე როგორც, შუა საუკუნეების ცნობილ ისტორიკოსს ფარსადან გორგიჯანიძეს. მაგრამ ჩვენ აქ გვინდა მკითხველს შევახსენოთ ილია ჭავჭავაძის ერთი მეტად ნიშანდობლივი მეთოდოლოგიური მითითება: „ჯერ იმ დროების ქურქში უნდა ჩაეჯდეთ და მერე განვიკითხოთ ამ დროების შვილნიცა“. ლეონტი მროველი საქართველოს „ოქროვანი ხანის“ იმ დროებაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როცა ერთი მხრივ, ძლიერი, ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფო ყალიბდებოდა, ხოლო მეორე მხრივ, სომხური სახელმწიფოებრიობა მოისპო და სომეხი ხალხი, ფაქტიურად, არაბულ-თურქული აგრესიის და მათი მუდმივი გენოციდური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა. ასეთ პირობებში საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ლიდერებს, საზოგადო მოღვაწეებს და მოაზროვნეებს არ შეიძლება არ გასჩენოდათ მეზობელი ხალხისადმი თანაგრძნობისა და დახმარების სურვილი. ცნობილია, რომ სომეხი ხალხი და მისი საუკეთესო წარმომადგენლები, მათ შორის მაშინდელი სომეხი ისტორიკოსებიც,

[1] არჩ. ჯორჯაძე, თხზ. წიგნი მეორე 1911წ. გვ.110

დავით აღმაშენებელს „სომეხთა მხსნელსა და გადამრჩენს“ უწოდებდნენ.

ასე რომ, ლეონტი მროველის ლეგენდა თარგამოსის 8 შვილისა და ჰაოსის უფროსობის შესახებ, ბევრ წილად, ალბათ, დროების ამ ფაქტორებითაც იყო განპირობებული. რაც შეეხება ამ თეორიიდან ზოგიერთი ავტორის მიერ შორს მიმავალ პოლიტიკურ დასკვნებს, მათ შორის—ქართული ენისა და დამწერლობის სომხური წარმომავლობის საკითხს, იგი უდავოდ ანტიმეცნიერული, სუბიექტური ჰიპოთეზაა და მეტი არაფერი. მის გასაბათილებლად მარტო ისიც კმარა, რომ სომხური ენა ენათა სრულიად სხვა ჯგუფს (ინდოევროპულს) განეკუთვნება და აბსოლუტურად განსხვავდება ქართული და იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვა ენებისაგან. საერთო კავკასიური ისტორიული ტრადიციითაც კავკასიის ხალხებში სომხები და სომხური ენა, ისევე როგორც ოსები და ოსური ენაც, ინდოევროპულ ჯგუფში გაერთიანებულ მკვიდრი კავკასიური წარმოშობის აბორიგენულ ეთნოსს არ განეკუთვნება. სხვათა შორის, კავკასიურ ლიტერატურაშიც რელიეფურად არის ასახული ეს ეთნოკულტურული სხვაობა. მაგალითად: ქართულ ლიტერატურაში იგი ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთა ვაჟა-ფშაველამ და ალექსანდრე ყაზბეგმა.[1]

ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველ და სომეხ ხალხს შორის კეთილმეზობლური, მრავალმხრივი კულტურულ-პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობა უძველესი დროიდან დამყარებულა, რომელიც, მართლაც, „საუკუნეების სიღრმეში იკარგება“ და სამეცნიერო თვალსაწიერი ამ ურთიერთობათა ფუძეებს ვერ სწვდება.

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა კოლხეთი შავი ზღვის სანაპიროზე უძველეს სავაჭრო და პოლიტიკურ ცენტრად იქცა, მას შორეულ საბერძნეთთან, რომთან და სხვა ქვეყნებთან კავშირურთიერთობა ჰქონდა, ბუნებრივია, უახლოეს მეზობლებთან და მათ შორის, სომხეთთან განსაკუთრებული პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები იარსებებდა.

ქართველ და სომეხ ხალხს შორის ეს ურთიერთობები კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ხან ფართოვდებოდა და ხან ვიწროვდებოდა, მაგრამ არასოდეს გაწყვეტილა და განსაკუთრებით გაძლიერდა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში, როდესაც საქართველოს პოლიტიკური პოტენციალი კულმინაციას აღწევს და

[1] გ. ლობჟანიძე დას. ნაშ. გვ. 113.

ფეოდალური განვითარების კერად იქცევა, როგორც კავკასიონის ქედის ორივე მხარეს, ასევე საერთოდ ახლო აღმოსავლეთში: „დავით აღმაშენებელი მხურვალე ქართველი ქრისტიანი, სომხებთან სულით და გულით დაახლოებული, მაპმადიანთაც ჰპატრონობს, იგი, პირველ ყოვლისა, ხელმწიფეა პოლიტიკური მოღვაწე, შემაერთებელი, ზოგადზე და არა კერძოზე მოფიქრე".[1]

ორი ქვეყნის თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველი და სომეხი ხალხის თანადგომამ და თანაბრძოლამ გადაარჩინა ქვეყნები განადგურებისაგან და, საერთოდ, გადარჩა სახელმწიფოებრიობა.

წინაპართა მიერ ამ ისტორიულ, ძვირადღირებულ მონაპოვარს განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება, რადგანაც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შექმნილმა პოლიტიკურმა მოვლენებმა გააღრმავა ჯავახეთში ქართველებსა და სომხებს (დუხობორებს) შორის დაძაბულობა. კვლავ დაიწყო საუბრები ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში ცალკე სამხარეო სტრუქტურების შექმნის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. ამ მოთხოვნის ინიციატივით გამოდის ე. წ. საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ჯავახი", რომელიც ოფიციალურად რეგისტრირებული არ არის. მას ამ საკითხში მხარს უჭერს „დაშნაკური" ორგანიზაცია, რომელიც თავის დროზე თვითონ სომხეთის ხელისუფლებამ აკრძალა და კანონგარეშე გამოაცხადა. ასეთი ძალები საქართველოს შიგნითაც არიან და მის გარეთაც, ამ ძალებში ზოგადად ვერც საქართველოს სომხურ მოსახლეობას ვიგულისხმებთ და ვერც ჩვენს მეზობელ სომხეთს...

ამის არგუმენტად გვეყოფა 1996 წ. ივნისში საქართველოში ვიზიტის დროს სომხეთის მაშინდელი პრეზიდენტის ტერ-პეტროსიანის სიტყვები: „საქართველოს მოწინააღმდეგე ყოველი სომეხი, უპირველესად, სომეხთა მტერია, და პირიქით, სომეხთა მოწინააღმდეგე, ქართველი, ქართველთა მტერი" ამ საკითხზე შეუცვლელი აზრი გააჩნიათ სომხეთისა და საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასაც. ეს აზრი უნდა გააჩნდეს ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს, რომელი ეთნოსის წარმომადგენელიც არ იყოს ის, ვინაიდან ჯავახეთში კონფლიქტის წარმოშობა კატასტროფა იქნება ორივე ქვეყნის მოსახლეობისათვის.

ისიც აშკარაა, რომ ქართველ-სომეხთა მტრობის გაღვივება რუსეთის გარკვეულ ძალებს აძლევს ხელს, რის საფუძველსაც ხშირად ქმნიან ზოგიერთი რუსული საინფორმაციო სამუალებანი. მათ ჯავა-

1 ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929წ. გვ. 7

ხეთის პრობლემები კი არა, არამედ სამხედრო ბაზის შენარჩუნება და ნავთობსადენის ამიერკავკასიური ვარიანტისათვის დაბრკოლების შექმნა აინტერესებთ.[1]

საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნოსს უნდა ახსოვდეს (და არა მარტო საქართველოში) პოეტის ხატოვნად ნათქვამი სიტყვები: „მოზომილია უფლისგან მიწა, აქაც და იქაც იყავით ფხიზლად".[2]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სოციალურ-პოლიტიკურ თუ სხვა პრობლემებთან ერთად, თავი იჩინა სეპარატიზმმა. ერები და ეროვნებები, ეთნიკური ჯგუფები ერმანეთს დაუპირისპირდნენ, გაჩნდა საომარ მოქმედებათა კერები. ამ მოვლენებს ვერ ასცდა საქართველოც, ქვეყანა, რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე მრავალეროვანია (თუ სსრ კავშირში ცხოვრობდა 100-მდე ერი და ეროვნება, საქართველოში ცხოვრობს 80).

სამწუხაროდ, ოსმა და აფხაზმა სეპარატისტებმა (ისინი ამისათვის დიდი ხანია ემზადებოდნენ) საერთაშორისო სამართლის და მორალური ნორმების იგნორირებით მოახდინეს ქართული მიწების მიტაცება და გამოაცხადეს ე. წ. „დამოუკიდებლობა".

განსაკუთრებით აფხაზმა სეპარატისტებმა, ქართველების ეთნიკური წმენდითა და გენოციდით, ჩაიდინეს კაცობრიობის წინაშე უმძიმესი დანაშაული; რომელთა მოქმედებას მხარს უჭერდა გარეშე რეაქციული ძალები, ვისი დახმარების გარეშეც აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობა ამგვარ შედეგს ვერ მიაღწევდა.

სამაჩაბლოსა და აფხაზეთის პრობლემა ცალკე საუბრის თემაა,[3]

---

[1] იხ. კონფლიქტური სიტუაციები ეთნიკურ საზოგადოებაში თბ., 1998წ.

[2] ლ. ნაროუშვილი, ზეკარის გზა, სგამბოლი, 1996 წ. გვ. 78.

[3] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები თბ., 1919წ.

მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი თბ., 1990წ., რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე სიმართლე აფსაზეთზე თბ., 1990წ. ჯ. გამახარია ქართულ-აფსაზური ურთიერთობის ისტორიიდან თბ., 1991 წ. ჯ. გამახარია აბსილ-აბაზგთა ეთნიკური ეინაობის საკითხისათვის თბ., 1998 წ. გ. ერაძე, აფხაზი და საქართველო თბ., 1994წ. ლ. გოგოლაძე „აფხაზთა" სამთავროს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსეინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი თბ., 1995წ.

ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა ისტორია და თანამედროვეობა თბ., 1995წ. ლ. მარშანია, აფხაზეთის ტრაგედია თბ., 1995წ. თ. ნადარეიშვილი აფხაზეთი ომში და ომის შემდგომ თბ., 1998წ. Т. Надареишвили Геноцид в Афхазий Тб. 1996г. თ. მიბჩუანი, აფხაზეთის მეუფეები და მთავრები თბ. 1997წ. А. Шония, Правда об Афхазии Тб. 1998г. Р. Чабукиани, Прелюдия, Трагедии Афхазии 1998 Исторические и политико-правовие Аспекти Грузино-Осетинского конфликта, под. ред. Акад. Р. Метревели Тб. 1995.

მაგრამ გვინდა საერთაშორისო სამართლის ნორმათა მოშველიებით მავანს და მავანს ზოგიერთი რამ კვლავ შევახსენოთ.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი უკვე არსებულ სახელმწიფოს ფარგლებში, როგორც ყველა ხალხის, ასევე ასეთ სახელმწიფოში შემავალი მცირე ერების თვითგამორკვევის უფლების მიმართ საკმაოდ კატეგორიულია, იგი იმავდროულად უარყოფს დემოკრატიულ სახელმწიფოში მცხოვრები ამ მცირე ერების ცალმხრივად, მთელი სახელმწიფოს ნების გაუთვალისწინებლად, გამოყოფის უფლებას.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, და, უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს ხალხთა თვითგამორკვევის უფლების შეხამებას სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან. „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ გაეროს 1970 წლის დეკლარაცია", აგრეთვე ეუთოს ფუძემდებლური დოკუმენტები, ვენის 1993 წლის ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენცია ერთსულოვნად აღიარებს მხოლოდ კოლონიალურ და დამოუკიდებელ ხალხთა ცალმხრივ, ძალის გამოყენებითაც კი, გამოყოფის უფლებას და ხაზს უსვამს, რომ ამ უფლების რეალიზაცია არ უნდა განიმარტებოდეს როგორც იმ სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობისა ან პოლიტიკური ერთიანობის დამრღვევი ან ძირგამომთხრელი ნებისმიერი მოქმედებების ნებართვა ან წახალისება, რომლებიც იცავენ ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპს და, აქედან გამომდინარე, ჰყავთ მათ ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი ხალხის (ყოველგვარი განსხვაეების გარეშე) ინტერესების გამომხატველი მთავრობები.

ამ პრინციპით ხელმძღვანელობს დღეს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა, როგორც გლობალურ (გაერო), ისე რეგიონალურ (ეუთო, ევროკავშირი, და ა. შ.) დონეებზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ამას არაერთხელ აღნიშნავდა გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს გალი, მსოფლიო ქაოსის არენად იქცევა ("Повестка дня для мира", 1992 წ. პ. 19).

სწორედ ამიტომ პოსტსაბჭოურ სივრცეში იარაღის გამოყენებით გამოყოფილი არც ერთი პოლიტიკური ერთეული არ იქნება აღიარებული „დამოუკიდებელ ქვეყნად" არც გაეროს, არც ეუთოს, არც ევროკავშირის მიერ.[1]

---

[1] Л. Алексидзе. член-кор. Грузинской Академии наук. Московский Журнал Международного Прова. 3/98/31 Мос. 1998г.
Modeen T. The International prodction of National Miniorites in Europa, Abo, 1969, გვ. 40-55.

დღეს ასეთ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება „შემობრუნდა შიგნით“ და განიხილება როგორც ენის, ტრადიციების, კულტურისა და, თუნდაც, პოლიტიკური ინსტიტუტების სფეროში მაქსიმალური თვითგამოხატვის უფლება, მაგრამ ამ უფლებების პატივისმცემელ სახელმწიფოს საზღვრებში.[1]

ასეთია საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პრაქტიკის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ერცელდებიან მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრებ ერებისა და ეთნოსების მიმართ. ამ მოთხოვნებს უნდა ემორჩილებოდეს საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, როდის არიან ჩამოსახლებული და ამა თუ იმ რეგიონში უმცირესობას წარმოადგენენ თუ უმრავლესობას.

„XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე შემოსახლდნენ ახალქალაქის მაზრაში თარაქმები ქვემო ქართლიდან, ბერძნები ერზრუმიდან, რუსი დუხობორები ტავრიიდან და ვორონეჟის გუბერნიებიდან მომთაბარე ქურთები“[2]

დუხობორებს, როგორც ძველი რელიგიური სექტის მიმდევართ, ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის დროს მიაქციეს ყურადღება და გადაასახლეს ეკატერინოსლავის გუბერნიიდან მელიტოპოლის მაზრაში (ტავრიდის გუბ.)

დუხობორები არიან მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი პროტესტანტული სექტის მიმდევრები. ეს კონფესიური ჯგუფი გაჩნდა რუსეთში XVI საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. სექტის დამაარსებლად ითვლებიან გლეხი სილუან კოლესნიკოვი და ვაჭარი ილარიონ პომიროსინი. სხვა რუსი სექტანტებისაგან განსხვავებით, დუხობორები თავიანთი დოგმატიკით ყველაზე უფრო დაშორდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიას, მათ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხერხით ებრძოდა ეკლესიაც და სახელმწიფოც.

თუმცა თვითონ დუხობორებს მიაჩნიათ, რომ „Мы не секта а просто этническая группа христиан-протестантов. Веруем в Святого Духа и Иисуса Христа, но попов не принимаем. Не нужен посредник между Богом и верующим, молитву каждый за себя должен возносить, нет у нас и икон и вообще мы не признаем культовость и атрибутику, которая стоит между Богом и человеком. Поэтому хоть и християне

[1] Бараташвили Д. Агресивни сепаратизм (правовай аспект. Ведсмости Тб. 1997 №2 с. 14. 19.

[2] დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან თბ., 1980 წ გვ. 128.

а крестиков неносим. А слово "духобор" означает борьбу за духовное совершенство в себе и за свободу духа от церкви, партии и так далее.[1]

მეფის რუსეთის ხელისუფლების განკარგულებით, 1839 წელს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დუხობორების კავკასიაში გადასახლების შესახებ. კონკრეტულად საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ კუთხეში, ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრა) დუხობორების ჩასახლებით რუსეთი ერთდროულად რამდენიმე საკითხს წყვეტდა. ათავისუფლებდა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებს ერეტიკოსებისაგან, აძლიერებდა თავის გავლენას კავკასიაში, რაც ხელს უწყობდა მხარის კოლონიზაციას.

1841 წელს საქართველოში ჩამოვიდა დუხობორების პირველი ნაკადი და დასახლებულ იქნა ჯავახეთში, სოფელ თავფარავანში. ამ დროისათვის ჯავახეთის ტერიტორია დაცლილი იყო ადგილობრივი მოსახლეობისაგან. დუხობორები დაასახლეს მიწაზე, რომელიც უკვე ხაზინის კუთვნილებას წარმოადგენდა (ყოფილ ქართულ სოფლებში). დუხობორებმა დააარსეს რვა სოფელი; როდიონოვკა, ტამბოვკა, ბოგდანოვკა, ორლოვკა, სპასივკა, ტროიცკოე, ეფრემოვკა. 1841-45 წლებში სულ გადმოასახლეს 4,097 კაცი (495 ოჯახი). ჩამოსულებს გამოუყვეს ნაღელები, რადგან თავფარავნის მიდამოებში სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობა იყო, ხელისუფლებამ მათ გაუზარდა ნორმა და თითოეულ ოჯახს გადასცა მიწის 64-დესეტინა. დახმარების სახით დუხობორებმა მიიღეს 50-50 მანეთი, მათ ასევე უფლება ჰქონდათ ესარგებლათ ტყით, რომელიც ტაბაწყურის ტბიდან 30 კმ.-ით იყო დაშორებული, ყოველივე ეს მათი არსებობისათვის მინიმალურ მოთხოვნასაც არ აკმაყოფილებდა.

დუხობორთა უმძიმეს პირობებში ჩაგდება წინასწარ განზრახული იყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ რუსეთის მთავრობამ სომეხთა ჩამოსახლების დროს გაითვალისწინა ადგმიანთა ახალ გარემო პირობებთან შეგუებისათვის აუცილებელი ყველა ფაქტორი. საგანგებოდ შექმნილი „გადმოსახლების განსაკუთრებული კომიტეტის" მიერ შედგენილი დებულებით „გადმოსახლებულები დაიყოფოდნენ თავიანთი საქმიანობის მიხედვით „კლასებად", ვაჭრებად, ხელოსნებად, მიწის მუშებად. კლასობრივი დანაწილება გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ახალ ადგილზე დასახლებისას. პირველი ორი კატეგორიის ხალხი—ვაჭარ-ხელოსნები—დასახლდებოდნენ ქალაქებსა და დაბებში, გლეხებიც თავიანთი ძველი საცხოვრებლის მიხედვით გაჰყვეს ორ ჯგუფად: მთის ზონის და ბარის ზონის მაცხოვრებლად.

[1] Газ. Труд-7, 19 февраля 1999г

ეს პრინციპი, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მათი დასახლებისას ახალ ადგილზე. კომიტეტს ევალებოდა დაეცვა სოფლების მდებარეობის ძველი მდგომარეობა, რომ ადრე არსებული მეზობელი სოფლები ახლაც მეზობლად დარჩენილიყვნენ დასახლებული... დასახლებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ადრინდელი შემოსავლიანობა, წყალი, კლიმატი და სხვა, რუს დუხობორთა გადმოსახლებისას ყველა ეს ფაქტი უგულვებელყოფილი იქნა.

დუხობორებმა წარმატებით გაართვეს თავი ურთულეს და უმძიმეს ფსიქო-სამეურნეო და ეკოლოგიურ წინააღმდეგობებს, გადარჩნენ ფიზიკურად და ეკონომიკურად გაძლიერდნენ. სწორედ ეს არის წარმატებული ადაპტაციის შედეგი, ადამიანის შრომისმოყვარეობის შესანიშნავი მაგალითი. ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ემიგრანტთა ფსიქოლოგიურ განწყობასაც. დუხობორთა გადმოსახლება, თუმცა იძულებითი მიგრაციის ფორმა იყო, მას თან ახლდა ნებაყოფლობის ელემენტიც.[1]

პირველ წელიწადს გადმოსახლებულებმა გამოიზამთრეს მიწურებში, ხოლო შემდეგ უკვე აიშენეს რუსული „ხატები". ჯავახეთის მკაცრ კლიმატიან და დაუსახლებელ ტერიტორიაზე ჩამოსახლების დღიდანვე დუხობორებმა მონოეთნიკური დასახლება შექმნეს. დუხობორთა ოჯახები მრავალსულიანი იყო, რომელიც ეყრდნობოდა შრომის კოლექტიურ ფორმას და განუყოფელ მეურნეობას. ამიტომ გარკვეულ დრომდე აღნიშნული მიკრო ტერიტორიისათვის დომინანტების დეფინიცია სავსებით შეესაბამებოდა დუხობორთა პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალური ცხოვრების წესს.[2]

გადმოცემის თანახმად, მშენებლობის დროს დუხობორები არ ეყრდნობოდნენ პატრონომიალურ საფუძვლებს; ისინი არ სახლდებოდნენ საგვარეულოების და მიხედვით და განსაკუთრებული ოჯახები არ იკავებდნენ მონოგენურ ნაკვეთებს. სამცხე-ჯავახეთის ქართული და სომხური სოფლებისაგან განსხვავებით, ნათესავები არ სახლდებოდნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ. დუხობორები მიწათმოქმედებას ეწეოდნენ, მაგრამ ჯავახეთში მათ მთავარ საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა. ეწეოდნენ ხელოსნობასაც, თემში დანაშაული იშვიათად ხდებოდა, ქურდობა და მრუშობა მათთვის უცხო იყო, გამოირჩეოდნენ შრომისმოყვარეობით, მაღალი

---

[1] იხ. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთიკურ საზოგადოებაში თბ. 1998წ. გვ. 165.
[2] იქვე.

ზნეობრივი პრინციპებით, პატიოსნებით, ერთმანეთისადმი თანაღგომითა და დახმარებით.

დუხობორების რელიგიური ლიდერები მათ სულიერ და სამეურნეო ცხოვრებას ხელმძღვანელობდნენ, ამიტომაც ადგილობრივი მართვის ფორმები ატარებდნენ ეთნოკრატიულ ხასიათს. „მეთაურთან“ თანამშრომლობდა „უხუცესთა საბჭო“, რომელიც გამოდიოდა, როგორც მრჩეველი და მედიატორი.

ახალქალაქის მაზრაში დუხობორთა პირველი ხელმძღვანელი იყო „წმინდა დინასტიის“ წარმომადგენელი ილარიონ კალმიკოვი, უნიათო პიროვნება, მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟი პეტრუშა მართავდა დუხობორთა თემს. მალე ისიც გარდაიცვალა და პეტრუშას მეუღლე ლუკერია გუბანოვა–კალმიკოვა (1841-1886) გახდა დუხობორთა ხელმძღვანელი, მისი რეზიდენცია მდებარეობდა სოფელ გორლოვკაში. თემისაგან მასვე ჰქონდა დავალებული ოფიციალურ ხელისუფლებასთან და სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობის მოგვარება, რასაც მშვენიერად ახერხებდა და ამიტომაც ხელისუფლება არ ერეოდა დუხობორთა შინაურ ცხოვრებაში, რის გამოც მათ გარკვეული ავტონომია გააჩნდათ.[1]

გადმოსახლების შემდეგ დუხობორებმა ერთგვარად შეასუსტეს მათი რელიგიური დოგმები და მთავრობის ყველა მოთხოვნას ასრულებდნენ.

კარგად მოაწყვეს თავიანთი მეურნეობა და შეძლებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ კალმიკოვას გარდაცვალების შემდეგ (1886წ), დუხობორების ცხოვრებაში მდგომარეობა იცვლება, რაც გამოიწვია ახალი ლიდერის არჩევნებმა, რადგანაც კალმიკოვას მემკვიდრე არ დარჩენია და მმართველის პრეტენზია ბევრს გააჩნდა. საბოლოოდ დავა პეტრე ვერიგინსა და ალიმა ზუბკოვს შორის გაიმართა. ანალოგიურად დუხობორებიც ორ ნაწილად გაიყვნენ. ამას დაემატა საქართველოში ლ. ნ. ტოლსტოის მეგობრების, თავადების: დ. ხილკოვის, ა. ბოდინსკის და გ. დადიანის,[2] მოღვაწეობა და მათი გაელვნის შედეგად დუხობორებში კვლავ დაიწყო რელიგიური მოძრაობა.

„ტოლსტოის მეგობრები დუხობორთა სოფლებში ახალ იდეებს ავრცელებდნენ. შემოიღეს არტერული მეურნეობა, მოსავალს ანაწილებდნენ სულადობის მიხედვით, აკრძალული იყო ვაჭრობა, ქირაზე სიარული, ოჯახში ყველას თავის შრომით უნდა მოეპოვებინა საკვები, არ ჰქონდათ უფლება პყოლოდათ მოჯამაგირე ან შინამო-

[1] იხ. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998., გვ. 64.

სამსახურე: ქონებრივად ყველა თანაბარი უნდა ყოფილიყო—არც მდიდარი და არც ღარიბი, ჭარბი საქონელი თავისთვის არ უნდა დაეტოვებინათ, ვალდებულნი იყვნენ გაეყიდათ. ამ მოთხოვნებმა შეძლებული დუხობორების პროტესტი გამოიწვია“.[1]

დ. ხილკოვის მეშვეობით დუხობორებმა დაიწყეს მიმოწერები ლ. ნ. ტოლსტოისთან, სადაც აღნიშნავდნენ, რომ დაუბრუნდნენ თავიანთ რელიგიურ რწმენას, ხოლო ტოლსტოის მიმდევართა შორის ბევრი გახდა ვეგეტერიანი. უმრავლესობამ მთელი თავისი საბრძოლო იარაღი სოფლის მოედანზე გამოიტანეს და ცეცხლს მისცეს... ახალგაზრდებს აღარ უშვებდნენ სამხედრო ბეგარის მოსახდელად.

დუხობორების ამ ქმედებამ ძალზე გაანაწყენა რუსეთის ხელისუფლება და თბილისის გუბერნატორს (თავად შერვაშიძეს) მიეცა სათანადო განკარგულება მათ მიმართ ზომების მისაღებად.

დუხობორების სოფლებს კაზაკები მიუსიეს, დუხობორებს, რწმენის შესაბამისად, ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და ფსალმუნების გალობით, დაჩოქილები შეხვდნენ კაზაკებს. კაზაკებმა მათრახებით სცემეს დაჩოქილ ხალხს. ხოლო ახალგაზრდები, რომლებმაც თავი აარიდეს ჯარში სამსახურს დააპატიმრეს და 18 წლით იაკუტსკის მხარეში გადაასახლეს. პ. ვერიგინიკი არხანგელსკის გუბერნიაში—შენკურსკში გადაასახლეს. დაახლოებით ოთხიათასი კაცი ადგილიდან აჰყარეს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განასახლეს ამ აქციის თვითმხილველი ნ. ნაკაშიძე იგონებს: „სწორედ 1895 წელს დავბრუნდით პეტერბურგიდან ჩემი მეუღლე და მე. და მოწმენი გავხდით იმისა, თუ როგორ მოდიოდა ბორჯომის გზით ახალქალაქის მაზრიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ეს აწიოკებული, დარბეული ხალხი. თავიანთი სოფლები დაეტოვებინათ, საცხე ოჯახები, მრავალი საქონელი, მხოლოდ წვრილმანის წამოღების ნება მიეცათ და ეს წვრილმანი მოჰქონდათ. ბავშვები და მოხუცები მოჰყავდათ ფურგონებით. თვითონ კაცები და ქალები ფეხით მიჰყვებოდნენ. მე მანამდე არ მენახა დუხობორები და გამაკვირვა იმათმა ახოვანმა შესახედაობამ და სახის იმედიანმა გამომეტყველებამ, აგრეთვე, განსაკუთრებულმა ტანისამოსმა“[2]

დუხობორების დარბევა გახდა მიზეზი და ამ ამბავთან დაკავშირებით მოუხდა ილია ნაკაშიძეს პირველად იასნაია პოლიანაში ლევ

---

[1] კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში თბ., 1998 წ. გვ. 64.
[2] ნ. ნაკაშიძე, მოგონებანი თბ. 1946 წ. გვ. 136.

ტოლსტოისთან შეხვედრა, რომლის შემდეგაც ისინი დიდი მეგობრები გახდნენ. წინა თავში უკვე გვქონდა ამაზე საუბარი, ი. ნაკაშიძე წერს: „1896 წელს, გაბაფხულის დამლევს მე პირველად ვეწვიე „იასნაია პოლიანას“ თანამედროვე გენიოსისა და შესანიშნავი ადამიანის გასაცნობად და მისთვის დუხობორების შესახებ აზრების გადასაცემად“.[1]

იქვე დასძენს: "Толстой с некаторыми из духоборов был знаком лично, со многими состоял в переписке"[2]

ლ. ნ. ტოლსტოის მეშვეობით დუხობორების აწიოკების ამბავი მთელმა მსოფლიომ გაიგო, განათლებულმა საზოგადოებამ მრავალ ქვეყანაში დაიწყო მათ დასახმარებლად მოძრაობა. განსაკუთრებული გამოხმაურება ამ ამბებს მოჰყვა ინგლისსა და ამერიკაში. მათ მოძრაობას მხარი დაუჭირეს ამერიკის კვაკერებმა“[3]

დუხობორებს ქართული მოსახლეობა არამარტო მატერიალურად ეხმარებოდა და უთანაგრძნობდა, არამედ თავშესაფარს აძლევდა. მათი ცხოვრების წესის გასაცნობად ჩამოდიოდნენ საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც: ამ მხრივ აღსანიშნავია 1897 წელს, ინგლისელების არტურ სინჯონის, მისიონერ ბედიპერის, ლეოპოლდ სულერჟიცკის ჩამოსვლა საქართველოში, რომელთაც ლ. ნ. ტოლსტოის სარეკომენდაციო ბარათი ჰქონდათ ჩამოტანილი ილია ნაკაშიძესთან, რომლის მეშვეობითაც დამყარდა კონტაქტი სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ დუხობორებთან.

დუხობორებთან ჩამოსული გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანი (1856–1900) დასახლდა ნალჩიკის მახლობლად. პეტრე დადიანი, გიორგის ტყუპისცალი, თურმე, ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს, რომ ხშირად დედ-მამაც ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან. ორივე ძმა შვიდ წლამდის, ძველი წესისამებრ, ძიძასთან იზრდებოდა და ძიძის შვილები ნამდვილ ძმებზე უფრო უყვარდათ. შემდეგ დადიანები მიაბარეს კადეტთა კორპუსში (მოსკოვში) და იქ სწავლობდნენ. ძმებს იქაც ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და სწავლაშიაც ეხმარებოდნენ ერთმანეთს, მასწავლებლები, რასაკვირველია, ძმებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ და ერთს ხალათის სახელოს ნიშანი დააკერეს, თურმე.

ძმებს სიკვდილამდე ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. როდესაც

[1] ი. ნაკაშიძე, როგორ გაეცანი ლ. ტოლსტოი თბ, 1928წ. გვ. 17.

[2] О. Толстом литературная критический сборник под ред. В. М. Фриче М 1928 год.

[3] კვაკერები—რელიგიური სექტა ამერიკაში, რომელთაც იმ ხანად ჯონ ბელოუში მეთაურობდა.

გიორგი ნალჩიკში გადასახლდა, ჰყავდა ორი შვილი, ქალ-ვაჟი—ვლადიმერი და ელენე. მესამე, იაკობი, 1900 წელს დაიბადა. სწორედ ამ წელს გარდაიცვალა გ. დადიანი, იაკობს მამა არც კი უნახავს. გიორგიმ და მისმა ამხანაგმა სკოროხოდოვმა შემოდგომაზე სანოვაგე წაიღეს გასაყიდად მახლობელ ბაზარში, სადგურ პროხლადნაიაში, რომელიც მათ კოლონიას 60 ვერსით იყო დაშორებული. იქ, ბაკში, გიორგი უცებ ავად გახდა წელების გადასკვნით. ექიმი ვერ იშოვნეს და საშინელ ტანჯვაში გარდაიცვალა ღამის 11 საათზე, 20 ოქტომბერს. მ. სკოროხოდოვი ამბობდა შემდეგ: ღამის 11 საათზე გიორგი დაწყნარდა, სახე დაეწმინდა. ვიფიქრე, ახლა უთუოდ ცოლშვილს ემშვიდობება-მეთქი, სწორედ იმ დღეს; ღამის 11 საათზე, გიორგის ოჯახში, ნალჩიკში, უფროს შვილს, ვლადიმერს გაეღვიძა, თურმე, და დედას ჰკითხა: დედა, მამა თუ მოვიდაო. ცოლმა უპასუხა: „როგორ არა, ეს-ეს არის აივანზე ამოვიდა, მაგრამ ისევ წავიდა, უთუოდ, აღარ აგვაყენა, სკოროხოდოვთან გაათევს ღამეს და დილას მოვა, დაიძინეო“. დილით კი სკოროხოდოვმა იმ ფურგონით, რომლითაც პროდუქტები წაიღეს გასაყიდად, მოასვენა შინ გიორგი. დაასაფლავეს ბაღში, ვაშლის ხის ქვეშ, გიორგის სურვილისამებრ, რომელიც ამბობდა, თურმე, თუ მოვკვდე ამ ვაშლის ძირში დამასაფლავეთო.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ნადეჟდა იაკობის ასულმა სამივე შვილი საზღვარგარეთ, შვეიცარიაში, წაიყვანა და რამდენიმე წელიწადი იქ დაჰყო. შემდეგ კი საქართველოში დაბრუნდა.[1]

დუხობორებს აქტიურ დახმარებას უწევდა იოსებ კონსტანტინეს ძე დეტერიქსი, ტოლსტოის ახლო მეგობარი, რომელიც იმ დროისათვის თბილისში ცხოვრობდა. ტოლსტოის მეგობრები ახლოს გაეცნენ დუხობორების ცხოვრებას და მათი მეშვეობით შეირჩა დუხობორებისათვის საცხოვრებლად კუნძული კვიპროსი.

„1897 წელს თბილისში მეწვია ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის მიერ გამოგზავნილი მისი ინგლისელი მეგობარი არტურ სინჯონი, წერს ი. ნაკაშიძე, დიდად საინტერესო პიროვნება, სინჯონი წინად მსახურობდა ოფიციალურად ინდოეთში, ინგლისელების არმიაში. შემდეგ სამხედრო სამსახურზე ხელი აიღო და ინგლისში დაბრუნდა. იქ ინგლისურ გაზეთებში ლევ ტოლსტოის მიერ მოთავსებული წერილებიდან მან გაიგო, თუ როგორ სდევნიან კავკასიაში დუხობორებს, შეჰკრიბა ფული მათ დასახმარებლად ინგლისელთა შორის და წა-

[1] ნ. ნაკაშიძე, მოგონებანი, თბ., 1946 წ.

ვიდა ტოლსტოისთან მოსკოვში. სინჯონი საქართველოში დაახლოებით ორ კვირას დარჩა, იმოგზაურა იმ სოფლებში, სადაც დუხობორები ცხოვრობდნენ და აღუთქვა მათ აქტიური დახმარება. ბუნებრივია, ხელისუფლებას შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოში სინჯონის გამოჩენა, იგი მალე დაატუსაღეს და გააძევეს რუსეთის საზღვრებიდან, ხოლო ილია ნაკაშიძე კი—საქართველოდან. დუხობორების დახმარებისა და თანადგომისათვის მთავრობამ სამშობლოდან გააძევა არაერთი პატრიოტი ადამიანი, რომელთა უმრავლესობამ ინგლისში დაარსებულ ტოლსტოელთა კოლონიაში დაიდო ბინა. მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საინტერესო მასალებს გვაწვდის არჩილ ჯორჯაძე, რომელიც ერთადერთი ქართველი იყო იმ პერიოდში, ამ ახალშენში რომ ცხოვრობდა. მოგვყავს მისი წერილის ნაწილი გარკვეული ჩამატებით:

„...რუსეთიდან გაძევებული ტოლსტოის მეგობრები ახალშენის გარშემო დასახლდნენ. აქ იმ ხანებში მეც მომიხდა ყოფნა და დაახლოვებით გავიცანი ყველანი, წერს არჩილ ჯორჯაძე, ფრიად საყურადღებო და საინტერესო ადამიანია ჩერტკოვი.[1] არისტოკრატულ პირობებში შობილი (იგი გენერალ-ადიუტანტის შვილია) კავალერგვარდიელი, ფულების მფლანგავი, მოქეიფე ოფიცერი ახალგაზრდობაში, იგი თანდათან ზურგს უბრუნებს უსაქმო და უდარდელ ცხოვრებას და სასარგებლო საზოგადო მოღვაწეობას ჰკიდებს ხელს. მან დააარსა მოსკოვში ცნობილი გამომცემლობა „პოსრედნიკი“, რომლის მიზანი იყო ხალხში გასაგები და კარგი იაფფასიანი წიგნების გავრცელება. ტოლსტოის გაცნობის შემდეგ ჩერტკოვი საბოლოოდ სტოვებს თავის ძველ ცხოვრებას. მასში ღრმა სულიერი მუშაობა იწყება. ყოველი სოციალური საკითხი მისი სინდისის საკითხად ხდება, სულიერი დრამა, რომელსაც განიცდიდა, მძიმე და მწვავე უნდა ყოფილიყო. ბევრჯერ მინახავს მისი სახე შეწუხებული, აღშფოთებული. ამ შემთხვევაში მას თითქოს ეკარგებოდა მუშაობის და მოქმედების უნარი. ჩვეულებრივ კი იგი ფრიად მომქმედი და ენერგიული ადამიანი იყო. უბრალოდ და სადად იცვამდა, სახამებლიან საყელოებს არ იკეთებდა. მიუხედავად ამისა, ძლიერ წარმოსადეგი და ლამაზი ვაჟკაცია. განსაკუთრებით მას ამშვენებს დიდი შუბლი, უკან გადავარცხნილი თმები და ღრმად ჩასმული ენერგიული, ხოლო ამასთან სევდიანი თვალები. ძალიან ძნელია ფუფუნებაში აღზრდი-

[1] ელადიმერ გრიგოლის ძე ჩერტკოვი დაიბადა 1854 წ. ტოლსტოის მეგობარი, გამომცემლობა „პოსრედნიკის“ რედაქტორი, მემდგომში ტოლსტოის 90 ტომის გამოცემის მთ. რედაქტორი.

ლი და დავაქაცებული ადამიანისათვის სრულიად ახალი ცხოვრების დაწყება. მაგრამ ჩერტკოვი დიდი ნების პატრონია და მან სძლია ყოველივე, რაც ჰბორკავდა მის სულს და სჩაგრავდა სინდისს. სძლია, მაგრამ, რამდენადაც დავაკვირდი, მისი გული საბოლოოდ დამშვიდებული და დაწყნარებული არ იყო.

ბირიუკოვი [1] სხვა ადამიანია. ახალგაზრდობაში მეზღვაური_ ოფიცერი. ახლა ბეჯითად მუშაობდა თავის პატარა ბოსტანში და ძლიერ კმაყოფილი იყო, რომ ბოლოკი და კარტოფილი იქვე კარის წინ ჰქონდა მიწაში. მაგრამ ფიზიკურ მუშაობასთან ერთად, იგი გაზეთს და წიგნს არ ივიწყებდა. ერთი პერიოდი, ქენევაში ყოფნის დროს, იგი ჟურნალსაც გამოსცემდა. შემდეგში ბირიუკოვმა შეადგინა ტოლსტოის ვრცელი ბიოგრაფია ახალი მასალების მისედვით. (აუარებელი ცნობა თვით ტოლსტოიმ მიაწოდა).

ხასიათით პავლე ბულანჟე ბირიუკოვს არ ჰგავდა, რომელიც საკვირველად იზიდავდა ადამიანს თავისი გულწრფელობითა და გულშემატკივრობით. ბულანჟეს მოსკოვის რკინის გზაზე დიდი მოსელის თანამდებობა ეჭირა, მაგრამ ეს გარემოება დაბრკოლებად არ აღმოჩნდა ადამიანური მოვალეობის შესრულების დროს, მან თავისი პირადი კეთილდღეობა შესწირა ამ საქმეს, რომელსაც ემსახურებოდა და დიდი ოჯახის პატრონი, თითქმის უსახსროდ, იძულებული იყო განმორებოდა თავის სამშობლოს. პირველ ხანში ბულანჟე ასოთამწყობის თანამდებობას ასრულებდა ჩერტკოვის მიერ ახლად დაარსებულ სტამბაში. ბულანჟეს კიდევ სრულიად არ ჰგვანდა თავადი სილკოვი. რომ შეგეხედნათ, რიაზანის გუბერნიის „მუჟიკიაო“ იტყოდით. გრძელი და განიერი წვერი სრულიად ჰფარავდა მის სახეს, ჩაცმითაც უფრო უბრალოდ ეცვა, ვიდრე სხვებს. ახალგაზრდობაში კი თავადი სილკოვიც ბრწყინვალე ოფიცერი იყო და მსახურობდა. ქუთაისში, იმ ხანებში, როდესაც იქ პრინცი ოლდენბურგი იყო. ბავშვობაში მეც მინახავს იგი, ძალიან გავოცდი, როცა ნაბ, ქერათმიან, ლურჯთვალებიან ახალგაზრდა კაცის მაგიერ, როგორიც მახსოვდა იგი ბავშვობაში, ჩემ წინ დავინახე დასრულებული, მხარბეჭიანი, დიდის წვერით შემოსილი რუსის „მუჟიკი“. მაგრამ კაცის ძირითადი შეცვლა შეუძლებელია. და მართლაც, ლაპარაკის დროს ისევ იმ ახალგაზრდა თავადს გაგონებდა, რომელსაც გამოჰყვა ფიქრის თუ აზრის გამოთქმის თუ გამოსახვის ძველი მანერა.

[1] პავლე ივანეს ძე ბირიუკოვი დაიბადა 1860_1931 წელს, ტოლსტოის ახლო მეგობარი და მისი პირველი ბიოგრაფი.

ყველა ამათ, როგორც ვსთქვი, ცოლ–შვილი ჰყავდათ. ამიტომ ახალშენის გარშემო მყოფი საზოგადოების რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა. იყო კიდევ ერთი რუსი, სახელად ევგენი. მაგრამ ეს რუსი ახალშენში მუშაობდა. ჩუმი და ჩაფიქრებული კაცი იყო. არავის ეკარებოდა თავის თავად. მუშაობით კი კარგად მუშაობდა. თუ არ დაელაპარაკეთ, გინდ ერთ წელიწადს ხმას არავის გასცემდა. მაგრამ ხმა თუ გაეცით და როგორმე სალაპარაკოდ წაახალისეთ, თქვენს მტერს, რომ აყბედებოდა ხოლმე ისე, რომ იმისი გაჩერება შეუძლებელი იყო. თითქოს დაგუბებული ჰქონდა აზრი და გრძნობა, სიტყვას ვერ ასწორებდა, ეძნელებოდა გამოთქმა, იგანჯებოდა და მსმენელსაც სგანჯავდა. „Toe Toe эээ Toe ээ“–ქშენით და ოფლის წურწურით ლუღლუღებდა. ბოლოს კარგა ხნის წვალების შემდეგ ერთბაშად გაყუჩდებოდა, უცნაურად შემოგხედავდათ და ისევ, თითქოს საუკუნოდ დადუმებული, მიწის თხრას შეუდგებოდა.

ჩერტკოვის ოჯახში გავიცანი კიდევ ერთი საინტერესო.ადამიანი, ექიმი შკარვანი, ავსტრიელი ქვეშევრდომი, ეროვნებით სლოვაკი (სამხრეთ სლოვიანელი). შკარვანი სამხედრო ექიმი იყო და მსახურობდა ერთ პოლკში ავსტრიაში. ტოლსტოის თხზულებათა კითხვის გამო მას გულში ეჭვი აღეძრა იმის შესახებ, რომ მისი ხელობა სამხედრო ექიმისა კარგი ხელობა არ არის. მართალია, მიამბობდა შკარვანი თავის სულისკვეთებას, ექიმი ვიყავი, ვეხმარებოდი ავადმყოფებს, მაგრამ ამასთან ვიყავი სამხედრო ექიმი, ე.ი. მეც ჩემი შრომით, ცოდნით და გარჯით ხელს ვუწყობდი და ვამაგრებდი იმ სამხედრო სისტემას, რომელიც კაცის მკვლელთა ორგანიზაციად მეჩვენებოდა და რომელიც მძულდა. მე იმ სისტემის ერთ-ერთი რგოლი ვიყავი და ჩემსა და ჯარისკაცს შორის არავითარი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო. გადავწყვიტე სამსახურისათვის თავი დამენებებია. ვადის შესრულებამდე ორი კვირა დამიკლდა. ამ ორი კვირის შემდეგ შემეძლო თავისუფალ ადამიანად გავმხდარიყავი. ხოლო ვადის გათავებამდე კი წასვლის უფლება არ მქონდა. მე კი ისე მოუსვენრად ვგრძნობდი ჩემს თავსა, ისეთის ძლიერებით მომაწვა სევდა და სურვილი განთავისუფლებისა, რომ არ ვიცოდი როგორ შევძლებდი, კიდევ ორ კვირას, როგორ დავრჩებოდი პოლკში. რამდენიმე წელიწადი მიმსახურნია, უკმაყოფილო ვიყავი, მაგრამ ამჟამად ჩემს უკმაყოფილებას ისეთი სიმწვავე მიეცა, რომ მე ველარ ავიტანე და გამოვუცხადე ჩემს უფროსებს, რომ სამსახური აღარ შემიძლიან, სამხედრო სისტემის განმტკიცებას ხელს ვერ შევუწყობ და რომ თუმცა ორი კვირა–ღა მიკლია ვადის გათავებამდე,

მაგრამ ვერც ერთ დღეს ვერ დავრჩები სამსახურში-მეთქი. ძალიან გაუკვირდათ, ბევრი მელაპარაკეს, და აშკარაა, გიჟად მთელიდნენ. რაკი ჩემსას აღარ ვიშლიდი, დამატუსაღეს, საავადმყოფოში დამამწყვდიეს. ექიმები ისე მიყურებდნენ, როგორც ჭკუით შეშლილს. მაგრამ ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ჭკუით საღი ვიყავი და ამიტომ საავადმყოფოდან ციხეში გადამიყვანეს, სადაც ცხრა თვე დავყავი. რომ გამანთავისუფლეს, რუსეთში გავწიე. გავიცანი ტოლსტოი, ჩერტკოვი და სხვანი და აი ახლა ჩერტკოვებს აქ ინგლისში გამოვყევიო.

მართლაც, ამ მსრივ, საკვირველია ადამიანის ბუნება. ხშირად წლობით ითმენს დამცირებას, წლობით ცხოვრობს თავისი სინდისის, აზრის და რწმენის წინააღმდეგ. ბოლოს, თითქოს უეცრად, მოულოდნელად, ერთ მშვენიერ დღეს მის გულში მომწიფდება რაღაც ახალი ძალა და ამ ძალას იგი წინ ვერ აღუდგება, თან გაპყვება, დაიღუპება, ან მიაღწევს თავის გულისთქმას. ეს უცნაურად მომწიფებული სინდისის გადაწყვეტილება ხან და ხან თანდათანობით მწიფდება ადამიანის გულში, და დამწიფების ჟამს ერთბაშად ამოხეთქავს, გამომშევდება როგორც ეს შკარვანმა გამოსცადა. მაგრამ ისედაც მოხდება ხოლმე, რომ ახალს გადაწყვეტილებას, ახალის გზით სიარულის სურვილს იწვევს და ჰბადავს რაიმე უცაბედი შემთხვევა, მოულოდნელი და შესაზარი სანახავის დანახვა და ამგვარი რამ.

თავ. დიმიტრი ალექსანდრეს ძე ხილკოვმა, მდიდარმა მემამულემ, ბრწყინვალე ოფიცერმა, ტოლსტოის გავლენით გაანება თავი სამხედრო სამსახურს და დასახლდა თავის მამულში, ხარკოვის გუბერნიაში, სოფ. პავლოვკაში. ცხოვრების დროს მან უშუალოდ დაინახა გლეხების უმწეო მდგომარეობა და მთელი თავისი მამული გადასცა მათ უსასყიდლოდ, თვითონ კი დაქირაებულ მიწაზე დაიწყო გლეხურად ცხოვრება და იმით ირჩენდა თავს. ამ დროს შეირთო ცოლი, რასაკვირველია, ჯვარი არ დაუწერია ეკლესიაში, და შვილებიც გაუჩნდა. ხილკოვმა თავის რწმენის მიხედვით შვილები არ მონათლა. მთავრობამ იმის მოღვაწეობაში თავის საწინააღმდეგო მოქმედება დაინახა და ამიერკავკასიაში გადმოასახლა. ხილკოვის დედამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე და წაართვა შვილები მამას, რათა თვითონ აღეზარდა ისინი. ხილკოვი შემდეგ ამიერკავკასიიდანაც გადაასახლეს და იძულებული გახდა საბღვარგარეთ წასულიყო. როგორც გვიამბო მან ახალშენელთა ერთ-ერთ კვირეულ მიტინგზე, სულ ახალგაზრდა კაცი ვიყავი რუს_ოსმალოს

ომში რომ გამიწვიეს, კაზაკთა პოლკში აფიცრად ვიყავი. სიცოცხლე სდუღდა ჩემში და სრულიად არ მქონდა იმის გრძნობა და შეგნება, რომ ომი ცუდი რამეა და რომ მე ამ ცუდ საქმეს ვემსახურები. ერთხელ, ოსმალებთან შეტაკების დროს, ისე მოხდა როგორღაც, რომ მე ჩემიანებს დავშორდი, განზე მოვექეცი და ჩემს პირდაპირ მრისხანე ოსმალოს ჯარისკაცის პირისახე დავინახე. ეს ჯარისკაციც დაშორდა თავისიანებს და ჩემს ასლოს რომ გაჩნდა, თოფი დამიმიზნა. მაგრამ მე ცხენი ვატაკე და სანამ თოფი გავარდებოდა, გაშიშვლებული ხმალი ძალუმად გავაქნიე და ჩემდა განსაცვიფრებლად დავინახე, რომ ოსმალოს თავი მოვაკვეთე. შევჩერდი გაშტერებული. თავმოგდებული ოსმალო ისევ ფეხზე იდგა და მის კისრიდან შადრევანივით გადმოსჩქეფდა სისხლი. თოფიც ჰქონდა აშვერილი. რამდენიმე წამს ისე იდგა და მერე უკან გადაიქცა, თავი კი ჩემ ცხენის ფეხებთან ეგდო. დავაკვირდი და თვალს ვერ ვაშორებდი. ისევ მრისხანედ მიყურებდა, ხოლო თვალებში შიში თუ მუდარა გამოსჭვრეტდა. განვშორდი და ეს იყო და ეს.

ამ ამბის შემდეგ ჩემს გულს მყუდროება დაეკარგა და აქედან იწყება ჩემი სულის ცხოერების მოძრაობაო. ასე დააბოლოვა ხილკოვმა. უნდა დაეუმატო, რომ უკანასკნელ წლებში, რევოლუციის დროს, ხილკოვი ტოლსტოის მიმდევართ აღარ რჩება და გადადის ეს-ერების პარტიაში"

1914 წელს, როდესაც რუსეთ-გერმანიის ომი დაიწყო, ის გაიტაცა პატრიოტულმა სულისკვეთებამ: ჩაეწერა მოხალისედ ჯარში გერმანელების წინააღმდეგ. მოკლულ იქნა კარპატებში.

ერთი სიტყვით, საყურადღებო ხალხი შეიკრიბა ინგლისის ერთერთ მიყრუებულ აღგილში. ყველას თავისი საქმე ჰქონდა. ახალშენელები მიწაზე მუშაობდნენ. მისტერ მოოდი, მოსკოვიდან უკან ინგლისში წამოსული, იმ ხანებში ცოლის .დახმარებით სთარგმნიდა ტოლსტოის ახალ რომანს „აღდგომას", რომელიც ეს იყო გამოუგზავნა ტოლსტოიმ ჩერტკოვს საბღვარგარედ გამოსაცემად. ჩერტკოვმა იქვე სტამბა მოაწყო, ბეჭდავდა ბროშურებს დუხობორების შესახებ, ბეჭდავდა, აგრეთვე, ტოლსტოის ახალ ნაწერებს. „აღდგომის" რუსული დედანიც მისის ხელმძღვანელობით დაიბეჭდა საზღვარგარეთ. „აღდგომიდამ" შემოსული ფული დუხობორების გადმოსახლების საქმეს უნდა მოპხმარებოდა. ტოლსტოი ახალ ნაწერებს ყოველთვის ჩერტკოვს უგზავნიდა, ამიტომ ჩერტკოვს მდიდარი მასალა ჰქონდა შეგროვილი ტოლსტოის დაუბეჭდავ ნაწერებისა. (მიწერ-მოწერა, დღიური და სხვა). ამავე დროს ჩერტკოვი სცემდა ეურნალს, სახელად

„სეობოდნოე სლოეო“, რომელიც განსაკუთრებით სექტანტების ცხოვრებას აღეწერებდა თვალ-ყურს და გულმოდგინედ იცავდა რელიგიურ თავისუფლების პრინციპს.!“

„Л. Н. Толстой _აღნიშნავენ მისი თანამოაზრენი_неоднократно хадатвоиствовал за них, на их переселена с Кавказа в канаду обратил авторский гонорар за опубликование романа "Воскресение"[2]

ტოლსტოის და მისი მოძღვრების მიმდევრებმა საქართველოში, რუსეთსა და ინგლისში დუხობორების სვე-ბედით შეწუხებულმა და დაინტერესებულმა ჰუმანისტებმა, რომლებსაც რწმენა და კაცთმოყვარეობა აერთიანებდათ, მძიმე პირობებში შესძლეს განეხორციელებინათ 12.000 კაცის გადასახლება ჯერ კუნძულ კვიპროსზე, ხოლო შემდეგ კი კანადაში.

1898 წლის 8 თებერვალს ბათუმში იდგა თბილი მზიანი დღე. ნავსადგურში მდგომ გემზე „გუროვი“ სხდებოდნენ დუხობორები, კენჭის ყრით ნაწილდებოდა ადგილები ლეოპოლდ ანტონის ძე სულერჟიცკის (1872-1916) ეხმარებოდა ყველაზე უხუცესი დუხობორებს შორის გრიშა ბოკოვოი. ერთმა გემმა ყველა ვერ დაიტია, ამიტომ ტოლსტოის მეგობრებმა მეორე გემი „დერჟავა“ დაიქირავეს და თითქმის ყველა მოათავსეს ორ გემზე. თვალცრემლიანი დუხობორები ხელის დაქნევით ემშვიდობებოდნენ მათ გასაცილებლად მოსულ ბათუმის მოსახლეობას. გემებმა გეზი შორეული კვიპროსისკენ აიღეს.

1897-1898 წ.წ. კუნძულ კვიპროსზე, შემდეგ კანადაში გადასახლდა 7400 ადამიანი, რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ კანადაში, დუხობორები ცხოვრობენ საქართველოშიც, კერძოდ, ნინოწმინდის რაიონის სოფლებში. ისინი აგრძელებენ წინაპართა ტრადიციებს, რელიგიურ რწმენასთან ერთად ინარჩუნებენ მასთან დაკავშირებულ მსოფლმხედველობას. სამწუხაროდ მათი რიცხვი ძალზე შემცირებულია. დღეისათვის დარჩენილია 280-მდე ოჯახი. მათი ასეთი შემცირება გამოიწვია რუსეთში, ტულის ოლქში, ჩერნსკისა და კამენსკოეის რაიონებში გადასახლებამ. რამ განაპირობა ეს?

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შექმნილმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა დაღი დაასვა არა მარტო დომინანტურ მოსახლეობას, არამედ შეეხო ეთნიკურ უმცი-

---

[1] ა. ჯორჯაძე, თხზ., წ. III 1911წ. გვ. 102-107

[2] О.Толстом, Литературние критический сборник под ред. В.М. Фриче Моск.1928 г. ст 377.

რესობასაც პოლიტიზაციის პროცესი გავრცელდა ქართველებზეც და საქართველოში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობაზეც, რამაც განაპირობა კონფლიქტური სიტუაციების შექმნა, მიგრაციის და ემიგრაციის პროცესების დაწყება. თავის დროზე ნებსით თუ უნებლიეთ ამ პროცესებს ხელი შეუწყო „პოლიტიკურმა ელიტამ“[1], რომელიც თავისი გაელენის შესანარჩუნებლად ეთნიკური დაპირისპირების გზით წავიდა.

რუსულ პერიოდულ პრესაში გაჩნდა სტატიები და პუბლიკაციები, სადაც ბრალს სდებენ ქართულ მხარეს, თითქოს საქართველოში დუხობორებს შეექმნათ გაუსაძლისი პირობები და იძულებული არიან დატოვონ თავიანთი საცხოვრებელი სახლები და გადასახლდნენ ისტორიულ სამშობლოში.

დასამალი არ არის, რომ საქართველოში იყო პერიოდი, როდესაც გაუჭირდა და გაუძნელდა ცხოვრება არა მარტო დუხობორებს, არამედ ყველას და, მათ შორის, ქართველებსაც. სამწუხაროდ, მთლიანად საქართველოს მოსახლეობის 20% ქვეყნიდან წავიდა, მათ შორის დუხობორებიც. ისტორიზმის პრინციპები გვავალებენ ვიყოთ ობიექტურნი და ესა თუ ის პრობლემა სამართლიანად გავაშუქოთ, ე.ი. თავისი შუქჩრდილოვანი მხარეებით. საქართველოდან დაწყებულ ემიგრაციის პროცესში ქართველი ხალხი არაფერ შუაშია, მით უმეტეს, დუხობორებთან. საუკუნენახევრის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა ქართველები და დუხობორები ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ და ეთნიკური მიზეზით მათ შორის კონფლიქტს ჰქონოდა ადგილი. პოსტსაბჭოურ სივრცეში დაწყებული „პოლიტიკური ცვლილებები ხელს უწყობს საზოგადოებაში არსებულ, მაგრამ აქამდე ღრმად დაფარულ წინააღმდეგობათა გამოვლენას. ამგვარი წინააღმდეგობებით არც ერთი ქვეყანა და საზოგადოება არ არის დაზღვეული. ზოგიერთმა საზოგადოებამ შეძლო ამ წინააღმდეგობათა დაძლევა და თვითმყოფადობისა და კულტურული თავისებურების შენარჩუნება, სხვადასხვა სოციალური ყოფის პირობებში. ზოგიერთმა კი დაკარგა ისინი. ამ პრობლემისაგან არც ღღევანდელობა და არც კონკრეტულად ჩვენს ტერიტორიაზე მყოფი ეთნიკური ჯგუფებია დაზღვეული. ეს არც გასაკვირია, რადგან პროცესები ისტორიული მოვლენებია და იმავე ისტორიისათვის არც იმდენად მტკივ-

[1] დაწ. იხ. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში თბ., 1998წ. ა. ტუკეაძე, პოლიტიკური ელიტა, პოლიტიკური ელიტის პრობლემა თბ., 1998წ.

ნეული, მაგრამ ქვეყნისათვის კი სასიცოცხლოდ აუცილებელი და საჭირბოროტო.[1]

რეგიონი, სადაც დუხობორები ცხოვრობენ. ფაქტიურად სომხებითაა დასახლებული, მათი ჩამოსახლება ჯავახეთში ერთდროულად მოხდა გასული საუკუნის 50-იან წლებში, ამ ხნის მანძილზე ერთ რეგიონში, ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეთნიკური კულტურის მქონე ჯგუფები—დუხობორები და სომხები ცხოვრობდნენ, ერთმანეთისაგან იზოლირებულ პირობებში. ორივე მხარე ერიდებოდა ურთიერთშორის კონტაქტის დამყარებას, თუმცა მსგავს სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე. ამ მდგომარეობას ორივე მხარე აღიარებდა და იცავდა ყოველგვარი წერილობითი თუ ზეპირი ხელშეკრულების და შეთანხმების გარეშე. მაგრამ ზემოაღნიშნული პოლიტიკური ცვლილებებით გამოწვეული სოციალური და დემოგრაფიული ძვრების შედეგად მდგომარეობა შეიცვალა. ერთმანეთის გვერდით მყოფი „დახურული" ეთნიკური ჯგუფები, სხვადასხვა მიზეზების გამო, ერთმანეთთან კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რაშიდაც დიდ როლს თამაშობდა ეკონომიკაში შექმნილი კრიზისული პირობებიც.

ამის გამო და, სხვა მიზეზებითაც, იყო ნაკარნახევი, როდესაც 1992 წ. 25 იანვარს სოფ. გორლოვკაში დუხობორების წარმომადგენლობითმა ყრილობამ „სოფ. გორლოვკის საქართველოს დუხობორთა რუსული თემი" დააფუძნა, ხოლო 1996 წლის 23 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა „საქართველოში მაცხოვრებელ რუს დუხობორთა საზოგადოება" ,ანუ დუხობორთა „ობშჩინა". იგი კონსტიტუციური საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შესახებ კანონი"-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე, იცავს დუხობორთა კულტურულ-ეროვნულ, სოციალურ-ეკონომიკურ, ყოფით. ინტერესებსა და ტრადიციებს. ამით დუხობორებმა ერთჯერ კიდევ აამუშავეს თვითგადარჩენის მექანიზმი, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და უბრუნველყოფა სჭირდება.

საქართველოს ხელისუფლება, რეგიონში შექმნილი სიტუაციით დაინტერესებული მეცნიერ-მკვლევარები და, საერთოდ, ქართველი საზოგადოებრიობა, თელის, რომ „ჯავახეთის რეგიონში შექმნილი მდგომარეობა შეიძლება გახდეს ისეთი უნიკალური საზოგადოების

[1] კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში თბ., 1998 წ. გვ. 316.

დაშლის მიზეზი, როგორიცაა ღუხობორთა კონფესიური ჯგუფი, რასაკვირველია, აქედან წასული სხვაღასხვა აღგილას გაფანტული აღამიანები იარსებებენ, მაგრამ დაიშლება კომპაქტურად დასახლებული ჯგუფის ერთიანი შეკრული ორგანიზმი თავისი მიკროსამყაროთი, რეგიონით, სალოცავებით, მეურნეობით, ტრადიციებითა და კულტურით. ამ პროცესის გაღრმავება და რეალიზაცია კი შეიძლება არასასურველი იყოს ჩვენი ქვეყნისათვის, რადგანაც ჯერ ერთი, ასეთი უნიკალური ეთნოკომფესიური ჯგუფის არსებობას საქართველოს ღირებულებათა შკალაზე თავისი საპატიო აღგილი აქვს და მეორეც, ჩვენ დავკარგავთ ბნეობრივ საზოგადოებას".[2] აღარაფერს ვამბობთ ეკონომიკურ სფეროში მათი აღგილისა და მნიშვნელობის შესახებ.

არ შეიძლება ძირითადში არ დავეთანხმოთ იმ მეცნიერ-თანამშრომელთა მოსაზრებებს (ლ. მელიქიშვილი, ნ. ჯავახაძე, ს. ბახიაოქრუაშვილი, გ. ჩიქოვანი, მ. ხარშილაძე, ლ. ხუციშვილი, კ. შუბითიძე, ნ. ცინცაძე, ქ. ხუციშვილი, მ.ვარაზიშვილი, ი. კურცხალია), რომლებმაც სამწლიანი საექსპედიციო შრომის შედეგად შექმნეს შესანიშნავი წიგნი სათაურით „კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში", სადაც სიღრმისეულად და მეცნიერულადაა გაანალიზებული ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა: კონფლიქტი, როგორც რეგიონალური მოვლენა, რეგიონის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, რელიგია პეტეროგენულ საზოგადოებაში, ეკონომიკური ტრადიციების რეალიზაცია და მათთან დაკავშირებული წინააღმდეგობები გარდამავალ პერიოდში, დასახლების სტრუქტურა და მმართველობა, აღაპტაციური პროცესები პოლიეთნიკურ რეგიონში, ნათესაობის როლი იზოლირებულ ეთნიკურ ჯგუფებში, ქალის ყოფითი და საზოგადოებრივი როლი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფში, ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობის ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი, ეთნიკური ჯგუფების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი, ეთნიკური ღირებულების როლი კონფლიქტურ სიტუაციაში.

მეცნიერ მკვლევარებს და ჩვენც მიგვაჩნია, რომ რეგიონში შექმნილი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად საჭიროა ახალი მეთოდების ძიება, მათი პრაქტიკაში დანერგვა, რაც სტიმულს მისცემს პიროვნებებსა და აღამიანთა ჯგუფებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი საზოგადოების უმტკივნეულოდ შენების პროცესში. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ საზოგადოებრივი აზრი და მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები. აღრე დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით, ცხოვრების პრაქტიკი-

დან გამომდინარე უნდა განხორციელდეს პოლიტიკურად კარგად გააზრებული, მეცნიერულ საფუძვლებზე ეკონომიკურად დასაბუთებული ღონისძიებები, რომელიც დამყარებული იქნება მოქალაქეობის პრინციპებზე. ეს კი მოითხოვს განსაკუთრებული პროგრამის შექმნას, როგორც სასაზღვრო რაიონებისათვის: თუ გავითვალისწინებთ, რომ ეთნიკურობა არ წარმოადგენს მუდმივ და უცვლელ მექანიზმს, რომ ცალკეული ეთნოსები მრავლდებიან ან მცირდებიან, იცვლებიან, ვითარდებიან ან სუსტდებიან. შესაძლებელია სწორი პოლიტიკის გატარებამ განმუხტოს კონფლიქტური მდგომარეობა, გადაარჩინოს დუხობორთა თემი, შევინარჩუნოთ მშვიდობა არა მარტო რეგიონში, არამედ ქვეყანასა და მთლიანად კავკასიაში.

თავი მესამე
შტრიხები პორტრეტისათვის
არჩილ ჯორჯაძე (1872–1913)

„ხსენება დიდბუნებოვანის მამულის შვილისა შთამომავლობის მოვალეობაა“
ილია

„კურთხეულ იყოს ის ქვეყანა, რომელიც შენისთანა საზოგადო მოღვაწეებს წარმოშობს ხოლმე“,—წერდა აკაკი წერეთელი არჩილ ჯორჯაძეზე, კაცზე, რომელმაც მხოლოდ ოთხი ათეული წელი იცოცხლა, მაგრამ მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ისტორიაში.

არჩილ. ჯორჯაძე თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო. აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად, მისი ნააზრევის ამოსავალი შესაბამისი ეპოქის რეალური ყოფის განსაზღვრა და წინამორბედ ქართველ მოღვაწეთა დამსახურების ღირსეულად წარმოჩენა იყო. ყოველი მისი საქმიანობა, პრაქტიკული თუ თეორიული, ღრმა ეროვნულობით გამოირჩეოდა და სწორედ ამან განაპირობა არჩილის დიდი პოპულარობა თანამედროვეთა შორის.

ჯორჯაძეები წარმოშობით თელავის მაზრის სოფელ საბუედან ყოფილან. ამაზე მიგვანიშნებს არჩ. ჯორჯაძის ერთ-ერთი ფსევდონიმი „საბუელი“. მამა კონსტანტინე ჯორჯაძე თბილისში ცხოვრობდა, პოდპოლკოვნიკის წოდება ჰქონდა და მესანგრეთა ნაწილში მსახურობდა.

არჩილი დაიბადა თბილისში 1872 წლის 10 იანვარს. ბაეშვობა აქ გაატარა, 1881 წელს მამა თბილისიდან ქუთაისში გადაიყვანეს, მას თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახიც თან გაჰყვა. არჩილი იმ დროს 9 წლისა იყო.


პირველი დაწყებითი განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. „ქუთაისის გიმნაზიაში მე და არჩილი ერთად ვსწავლობდით. ის იყო მხიარული, მარდი და დაუშარელი ყმაწვილი,

უყვარდა სუფთად ჩაცმა, შავი ხუჭუჭა თმა, ცოცხალი შავი და გამომეტყველი თვალები, სქელი წარბები ამშვენებდა იმის ლამაზ სახეს. ამხანაგებს ყველას უყვარდა არჩილი, რადგანაც ის იყო მეტად გულკეთილი და სათრიანი ყველასთან". —იგონებს ლადო ბზვანელი.

არჩილს არ ჰქონდა ბედნიერი და უდარდელი ბავშვობა. ქუთაისში ცხოვრების დროს მას ორი უფროსი და, ნინო და ლიზა, რომლებიც წმინდა ნინოს სასწავლებლის უფროს კლასებში სწავლობდნენ, მდინარე წყალწითელაში ბანაობის დროს დაეხრჩო. ამას დაემატა ისიც, რომ მშობლები და მესამე დაც მალე გარდაიცვალნენ. დარჩა უმცროსი და-ძმა მისი მზრუნველობის ქვეშ. არჩილი მათ დიდი გაჭირვებით ისახავდა კერძო გაკვეთილებში აღებული ფულით. მოგვიანებით ძმა მოუკლეს, მეფის მოხელეებთან შეტაკების დროს. ხოლო და მარიამი 1905 წელს გარდაიცვალა. დაცარიელდა მრავალრიცხოვანი ოჯახი (არჩილის მშობლებს 6 შვილი ჰყავდათ) დარჩა მხოლოდ ერთადერთი და, თამარი, რომელიც ცოლად ჰყავდა შრეინბერგს.

ქუთაისში ჯორჯაძეების ოჯახი მხოლოდ 1885 წლამდე ცხოვრობდა. შემდეგ ისევ თბილისს დაუბრუნდა და არჩილმა სწავლა პირველ გიმნაზიაში გააგრძელა. ზურაბ ავალიშვილი იგონებს: „თავიდანვე (1888 წ.) მასსოვს არჩილ ჯორჯაძე, როგორც დინჯი და თითქმის უკვე მომწიფებული ახალგაზრდა, მაშინდელი თქმით, ადრე „განვითარებული", იქნებოდა ასე 16 წლისა... მეტად მიზიდავდა მისი სიდარბაისლე და ლამაზი სახის ცოცხალი გამომეტყველება, უნებლიეთ აქცევდით ყურადღებას მის მშვენიერს, თითქოს სანთლისაგან გამოქანდაკებულ თეთრ შუბლს". მისივე თქმით, ცნობილ უნგრელ მხატვარს ზიჩს, რომელიც 1894 წელს უნახულებია, მისთვის ჩანახატების რეული უჩვენებია, ერთ-ერთ სურათზე პატარა არჩილი ყოფილა გამოსახული პაჟის როლში".

არჩილ ჯორჯაძის კეთილშობილებაზე მეტყველებს თედო სახოკიას ერთი მოგონებაც: „არჩილ ჯორჯაძე 1891 წელს გავიცანი თბილისში, როცა ის პირველი გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლე იყო, დინჯი, დაფიქრებული და თან მეტად სანდომიანი სახის ყმაწვილი კაცი თავის ამხანაგებში გამოირჩეოდა და მთელ ჩვენს სიმპათიას თავისკენ იზიდავდა. დედ-მამა, ერთ დროს შეძლებულები, ადრევე დაეხოცა და ახალგაზრდა არჩილის საზრუნავი იყო საკუთარი თავი, ორი და და ერთი ძმა, მაშინ რეალური სასწავლებლის მეორე კლასის მოწაფე. თვალწინ მედგა, როგორ ზრდიდა და ერთ ღარიბულ სასადილოში როგორ აჭმევდა, თავისთან ერთად, ღარიბულ



არჩილ ჯორჯაძე

სადილებს თავის უმცროს ძმას, კერძო გაკვეთილებით აღებული ფულით".

1892 წელს არჩილმა თბილისის გიმნაზიის სრული კურსი დაასრულა და სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ცხოვრების მძიმე პირობებთან ერთად პეტერბურგის პავამაც ცუდად იმოქმედა ახალგაზრდა ჭაბუკზე და იგი ტუბერკულიოზით დაავადდა. ექიმები ურჩევდნენ ვარშავაში გადასვლას, სადაც ციხის კომენდანტად არჩილის ახლო ნათესავი გიორგი ყაზბეგი მსახურობდა. სწორედ მისი დახმარებით შეძლო სწავლა გაეგრძელებინა ვარშავაში იურიდიულ ფაკულტეტზე.

ჯანმრთელობის გაუმჯობესების შემდეგ არჩილი კვლავ პეტერბურგის უნივერსიტეტს დაუბრუნდა და სწავლა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გააგრძელა. ამასთან ერთად, გულმოდგინედ მუშაობდა ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში. ვოლინსკის ფილოსოფიურ წრეში გაერთიანებული იყვნენ სხვა ქართველი ახალგაზრდებიც. მათ შორის ზურაბ აჯალიშვილი და ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელთანაც ადრე სწავლობდა არჩილი თბილისის გიმნაზიაში. პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, ჩაება აქტიურ სტუდენტურ მოძრაობაში, იყო მათი თავკაცი და იდეური ხელმძღვანელი.

1897 წლის შემოდგომაზე არჩილ ჯორჯაძე, სოციოლოგიის კურსის უკეთ დასაუფლებლად, საზღვარგარეთ გაემგზავრა. ისმენდა ლექციებს პარიზისა და ლონდონის უნივერსიტეტებში. ლევ ტოლსტოის მოძღვრებით გატაცებული ერთხანს ცხოვრობდა ტოლსტოელთა კოლონიაში, რომელიც ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დაარსდა. ამ პერიოდში გამოაქვეყნა მან სტატია დუხობორების შესახებ, რომელსაც ყურადღება მიაქცია თვით ლევ ტოლსტოიმ. ამ უკანასკნელმა სთხოვა მას, დახმარებოდა საქართველოდან (ბორჩალოს მაზრიდან) აყრილ დუხობორებს ამერიკის კონტინენტზე გადასახლებაში, რაზედაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

1900 წელს არჩილ ჯორჯაძე თბილისში დაბრუნდა. ამ პერიოდიდან იწყება მისი ნაყოფიერი პუბლიცისტური და სამწერლო მოღვაწეობაც. 1901 წლიდან გაზეთ „ცნობის ფურცლის" მუდმივი თანამშრომელი და რედაქციის წევრი ხდება. „ცნობის ფურცლის რედაქციაში თქვენ შეხვედებით ერთადერთ არჩილ ჯორჯაძის წერილებს, რომლებიც ეხებიან საჭირბოროტო საკითხებს".[1]

[1] გაზეთი „კვალი", 1901 წელი №22

1902 წლიდან არჩილ ჯორჯაძე აქტიურად მონაწილეობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში. მან, გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად, პარიზში დაამზადა საუკეთესო ქართული შრიფტი, რომელსაც „პარიზული“ უწოდეს. მისი რედაქტორობით დაიწყო გამოსვლა საფრანგეთში გაზეთმა „საქართველომ“ და „ლა ქერალიმ“, რომლებიც იბეჭდებოდა ფრანგულ და ქართულ ენებზე.

საფრანგეთში ყოფნის დროს არჩილ ჯორჯაძემ გაიცნო და დაუახლოვდა ცნობილ ფრანგ მოღვაწეებს; მათი თანადგომითა და დახმარებით მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა. მის მიერ დაარსებულ გაზეთში თანაშრომლობდნენ იმ დროს პარიზში მყოფი თედო სახოკია, ალ. დიასამიძე, ზურაბ ავალიშვილი, ნოე ჟორდანია და სხვები.

არჩილ ჯორჯაძემ, გაზეთ „საქართველოს“ რედკოლეგიასთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო 1904 წლის აპრილში, ქენევაში გამართულ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დამფუძნებელ კონფერენციაში. მალე აღნიშნული პარტიის ლიდერი გახდა.

მძიმე პირობებში უხდებოდა არჩილს ცხოვრება და მოღვაწეობა. ჯანმრთელობაშერყეულმა ჯერ საფრანგეთში დაიწყო მკურნალობა, შემდეგ კი მვეიცარიაში გაემგზავრა. აქაც არ შეჩერებულა, ენერგიულად გააგრძელა პოლიტიკური და სოციოლოგიური მეცნიერების შესწავლა. მას დასახული მიზანი ჰქონდა და მის მისაღწევად ძალასა და ენერგიას არ იშურებდა.

აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით მვეიცარიაში მცხოვრებ ქართველ ქალს, ანეტა ოქრომჭედლიშვილ-ბაბეს: „იყო დრო, როდესაც სამშობლო და მამული ჩემთვის ცარიელი სიტყვა იყო, იყო დრო, როდესაც ვითომ ღმერთს ვეძებდი, სინამდვილეში კი უიმედო, უკანონო და უმიზნო სიცოცხლეს ვაჩანჩალებდი. რამდენიმე წელიწადია, ყველა ამას თავი დავაღწიე, ჩემს გულში აღმოვაჩინე ის, რაც ჩემი არ მეგონა, ვიპოვე სიცოცხლის საგანი, ადამიანი და ხალხი შემიყვარდა, შევიგენ, რომ განსაზღვრულ წრეში, იმ ხალხის წრეში, რომელმაც მასწავლა და ფეხზე წამომაყენა და რომლის ვალიც მმართებდა, შემეძლო მოქმედება, განხორციელება სიკეთისა, ჭეშმარიტებისა, ყველა იმისა, რაც ღვიძის ადამიანის გულში და რაც სურს მას სხვას განუზიაროს. ამ დროიდან შედარებით ბედნიერი ვარ და ახლა იმ მდგომარეობაში ვარ, რომ მზად ვარ, ყველაფერი

მიეცე ამ აზრის განხორციელებისათვის, რომელმაც მე გამომაცოცხლა".[1]

1905 რევოლუციამ დაწყებისთანავე ქართველი ემიგრანტების უმრავლესობა სამშობლოში დააბრუნა. მათ შორის იყო არჩილ ჯორჯაძე, მძიმე სენით შეპყრობილი, დასუსტებული. ქარდარმერიას რომ დამალვოდა, არჩილი ილია ნაკაშიძესთან დაბინავდა. სწორედ აქ ინახულა ავადმყოფი ქართველმა მწერალმა ვაჟა-ფშაველამ. ნინო ნაკაშიძე იგონებს, „არ ვიცი მანამდე, იცნობდნენ თუ არა ერთმანეთს, მაგრამ ისე შეხვდნენ, როგორც უფროს-უმცროსი ძმები... გადაეხვივნენ და გადაკოცნეს, როდესაც ვაჟა წელში გაიმართა, ორივეს ცრემლები აღგა თვალებზე.

—დაბრუნდით, არჩილ, საქართველოში?

—არა ხედავთ, როგორ დავბრუნდი... მაგრამ, ვაჟა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ თქვენი მოსვლით. დიდი ყურადღებით ვკითხულობდი უცხო ქვეყანაში თქვენს „ბახტრიონს", „სტუმარ-მასპინძელს", „სისხლის აღებას", „ალუდა ქეთელაურს", შედევრებია, შედევრები. საბღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არ ჰყავთ."[2]

ასე შეაფასა იმ დროისათვის არჩილ ჯორჯაძემ ქართველი მწერალი, რომელსაც კრიტიკა არ სწყალობდა და მისი ნამდვილი ღირებულება და მნიშვნელობა ბევრმა როდი იცოდა.

არჩილს მზრუნველობას არ აკლებდნენ. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მალე ბათუმის მახლობლად, მახინჯაურის ერთ-ერთ აგარაკზე გადაიყვანეს. უკეთესობა არც იქ ეტყობოდა. გაუნელებელ სიცხეს აძლევდა, ახველებდა, ჭამას უკლო, ლოგინიდან ვეღარ დგებოდა, მძიმე ავადმყოფს თავს დასტრიალებდა და სიცოცხლის ბოლომდე არ მოშორებია ბიძამეილი ელენე ჯორჯაძე.

არჩილი სულიერად არ დაცემულა. ბუნებით რაინდს სიკვდილის შიში დათრგუნვილი ჰქონდა. მომავლის იმედი არ დაუკარგავს და მუშაობა არ შეუწყვეტია. წერდა ეროვნულ-კულტურულ, რელიგიურ-ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ-სამართლებრივ თუ ჩვენი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მან ღრმა კვალი დაამჩნია ჩვენი სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს.

ყველგან, საქართველოში თუ საბღვარგარეთ ცხოვრების პერიოდში, არჩილი მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა. მეგობრები

---

[1] გაზეთი „სახალხო საქმე", 1920 წელს №810

[2] საქართველოს რაინდი, არჩილ ჯორჯაძე, ლ. ნანიგამეილის რედაქცია, 1991 წ. გვ. 320-322

თბილისის ხელი–ვენის დაღმართი (XIX საუკუნე)

ხშირად ეხმარებოდნენ ფულადი სასჩრებით. თვითონ აგროვებდნენ მისი მკურნალობისა თუ დასვენებისათვის საჭირო თანხას. „არჩილის გაგზავნაა საჭირო აგარაკზე, თუ ამ ზაფხულზე აქ დარჩა, ცუდად იქნება მისი საქმეო"[1]—ეუბნება გიორგი ლასხიშვილი დემურიას ქალს და იქ მყოფი აკაკი წერეთელი საკუთარი ფონდიდან გაიღებს საჭირო თანხას.

არჩილ ჯორჯაძეს ეკუთვნის პირველი მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანზე, რომელიც მან მძიმე ავადმყოფობის პერიოდში დაწერა და „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე გამოაქვეყნა (1913წ. №794-813) უფრო ადრე კი ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის დაწერაზე ოცნებობდა: „ვერა ვარ კარგად, სიცხეს მაძლევს, მაგრამ არა უშავს რა, ერთი ისიც დავსწერო, რის დაწერაც გულში მაქვს ამჟამად და მერე რაც იქნება იყოს"[2]—უთხრა ნ. ყიფიანს არჩილმა. მან ამისათვის საჭირო მასალებიც შეაგროვა—ყველაფერი, თუ სადმე რამ მოიპოვებოდა — ფოტოგრაფიული სურათები, კერძო წერილები, მემატიანე, მოგონებანი და სხვა.

აღარ დასცალდა. 1913 წლის 3 აპრილს ივანე ჯავახიშვილი მიხეილ გედევანიშვილს სწერდა:

„საუბედუროდ, ის, ვისაც ყველაზე უკეთ შეეძლო ილიას ბიოგრაფიის დაწერა, არჩილ ჯორჯაძე, სამარეში დევს, ესეც ჩვენი ბედი".

არჩილ ჯორჯაძე გარდაიცვალა 1913 წლის 21 მარტს, ქ. ბათუმში, სადაც ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადაიყვანეს.

„სახალხო გაზეთი" მწუხარებით აუწყებდა ქართველ საზოგადოებას არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებას: „არჩილ ჯორჯაძის მოკლე ცხოვრება ნამდვილი ტრაგედია იყო იმ დროიდანვე, როცა იწყება ადამიანის შეგნებული ცხოვრება. იგი ებრძოდა შეუბრალებელ სენს, ათასგვარ საოჯახო და პირად უბედურებასა და ჭირს, ნელნელა იწვოდა, მაგრამ დაუღალავად მუშაობდა, არა მარტო როგორც მწერალი, არამედ როგორც პრაქტიკული მოღვაწე"[3]

„არჩილ ჯორჯაძე ბათუმიდან თბილისში გადმოასვენეს. მატარებელი, რომელშიც მისი ცხედარი იყო დასვენებული, გზადაგზა ჩერდებოდა, მოსახლეობა მუხლმოდრეკილი ეთხოვებოდა."

„არჩილ ჯორჯაძის ცხედარს რიონის სადგურზე დიდი საზოგადოება შეხვდა. ქუთაისიდან მატარებელს დამატებითი ვაგონები მოაბეს,

[1] გ. ლასხიშვილი., მემუარები 1934 წ. გვ. 262
[2] ლ. ნანიტაშვილი, არჩილ ჯორჯაძე „საისტორიო მოამბე" ტ. 41-42 გვ.473
[3] „სახალხო გაზეთი" 1913 წ. №853

მაგრამ ხალხის ტევა მაინც არ იყო, ბევრი ფეხითა და ეტლით წავიდა რიონის სადგურზე. აქ მატარებელი ხუთი წუთი გაჩერდა. გადაუხადეს პანაშვიდი"[1].

არა მარტო თანამოაზრეები, მოწინააღმდეგენიც დაამწუხრა არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებამ. ის სრულიად საქართველომ დაიტირა. 1913 წლის 23 მარტს, გაზეთი „დილა" წერდა: „ბათუმში გარდაიცვალა დიდად ნიჭიერი პუბლიცისტი და მწერალი არჩილ ჯორჯაძე, იგი ჩვენს პოლიტიკურ მოწინააღმდეგე ბანაკს ეკუთვნოდა და სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, ერთი უძლიერესი მოწინაღმდეგეთაგანი იყო ჩვენი მიმართულების... რომელთანაც იდეური კამათი ყოველთვის საკითხის დედა ძარღვის გამორკვევისაკენ იყო მიმართული... და ჩვენ ჩვენს პოლიტიკურ მოპირდაპირეებთან და ყველა შეგნებულ ქართველთან ერთად, სულითა და გულით ვგლოვობთ დიდად ნიჭიერ არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებას"[2].

უამრავი ხალხი შეიკრიბა არჩილ ჯორჯაძის დასაფლავების დღეს. ყველ გულით დასტიროდა სახელოვან მამულიშვილს. გამოსათხოვარი სიტყვა უნდა წარმოეთქვა აკაკი წერეთელს, მაგრამ ავადმყოფობის გამო დაკრძალვას ვერ დაესწრო, სამაგიეროდ შემოინახა სიტყვის ტექსტი, სადაც ვკითხულობთ: „კურთხეულ იყოს ის ქვეყანა, რომელიც შენისთანა საზოგადო მოღვაწეებს წარმოშობს ხოლმე. კრულ და წყეულ იყოს ის გარემოებაც, რომელიც უდროოდ სტაცებს ხელიდან ცხოერებას შენისთანა ნიჭიერ ახალგაზრდებს".

უამრავი დეპეშა მოდიოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციაში რუსეთიდან და ევროპის სხვადასხვა ქალაქებიდან. „შენი სიკვდილით ღრმა მწუხარება დაგვისადგურე —პარიზის ქართველობა".

„ღრმად დამწუხრებული ვართ ვერსალის ქართველები ძვირფასი მამულიშვილის გარდაცვალების გამო". „გზაში გავიგე შეუდარებელი არჩილის გარდაცვალების ამბავი. სიცოცხლე აღსავსე, მშვენიერებითა და ტანჯვით გაფრინდა მარადისობის წიაღში"—წედა გრიგოლ რობაქიძე.

„ღრმად ვართ დამწუხრებული... ვუერთდებით მამულის გლოვას"— იუწყებოდნენ ქართველი სტუდენტები ვარშავიდან და ა. შ.

---

[1] გაზეთი „დილა" 1913 წ. 27 მარტი, № 19

[2] „ბათუმის გაზეთი" 1913 წ. 23 მარტი, № 19

26 მარტს ყაზანის ეკლესიაში გამართულ პანაშვიდს ესწრებოდნენ არჩილ ჯორჯაძის თანამემამულეები, თანამოაზრეები, იმ პერიოდში პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტები, ამ პანაშვიდს დაესწრნენ: ი. ჯავახიშვილი, გ. ავალიანი, გ. ზდანოვიჩი.

ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ კარგად იცოდა ფასი არჩილ ჯორჯაძისა, როგორც პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის.

პეტერბურგში მყოფი ივანე ჯავახიშვილი, არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა პირველი წიგნის წაკითხვის შემდეგ, ავტორს წერდა: „...თქვენი ნაწერებისა მე გულწრფელობა და პირუთვნელობა მომწონს, მიუდგომელი, ნამდვილი მეცნიერული მსჯელობა, მაგრამ ცივი და გულგრილი კი არა, არამედ მხურვალე, შემატკივარი და თანამგრძნობ გულით დაწერილი. თქვენს გარდა ჩვენში არავინ იკვლევს ჩვენი ერის საზოგადოებრივ და ეროვნული მოძრაობის ისტორიას და თქვენი თხზულებები ამ მხრივ პირდაპირ დასაფასებელია“[1].

ასე ფიქრობდა, ივანე ჯავახიშვილი და მასთან ერთად ბევრი იმდროინდელი გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

ასე ფიქრობენ დღესაც, რადგანაც თავის დროზე ილია ჭავჭავაძის „წოდებათა შერიგების“ თეორია არჩილ ჯორჯაძემ ახალ სიმაღლეზე აიყვანა და „საერთო მოქმედების ნიადაგის“ მთელი მოძღვრება შექმნა, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობის, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეს ემსახურებოდა.

არჩილ ჯორჯაძისეულმა „საერთო ნიადაგის“ თეორიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თანამედროვე პირობებში, რადგანაც იგი ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ყველა ძირითად პრინციპებს მოიცავს. ამ თეორიის გაგრძელება, აღდგენა და გაცოცხლებაა საჭირო დღევანდელ პირობებში.

არჩილ ჯორჯაძის მოძღვრება „საერთო ეროვნული თანხმობის და ამ გზით „ყველა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალთა ერთ კვალში ჩაყენების შესახებ“ მოწოდებაა.

არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორია, ფაქტიურად, გიორგი ათონელის და მისი მოძღვრების მიერ დანერგილი ქვეყნის „ერთნებაობა-თანადგომით“ მართვის პრინციპების თანამედროვე ვარიაციაა. და თუ გვინდა საქართველოს კვლავ დაუდგეს „ახალი

---

[1] ისტორიის საკითხები, 1976 წელი გვ. 422-423

ლ. ნანიტაშვილი, ივანე ჯავახიშვილისა და არჩილ ჯორჯაძის მიმოწერიდან „ჟურნალისტიკის თეორიისა“.

ოქროვანი ხანა“, უნდა შევძლოთ ჩვენი ეროვნული ძალების და ქვეყნის შემადგენელი მხარეების ამ პრინციპით „შედუღაბება“. რომელიც საქართველოსათვის იქნება ერის სულიერი და მატერიალური აღორძინების, დანგრეულის აღდგენის, წართმეულის დაბრუნების, გათიშულის გამთლიანების და მტრადქცეულის შემორიგების საშუალება.

თავი მეოთხე

არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობისათვის

არჩილ ჯორჯაძე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფებელი მოძრაობის გამოჩენილი იდეოლოგი, საქართველოს მომავალს, მისი ცხოვრების პოლიტიკურ და სამართლებრივ ორგანიზაციას, ქართველი ხალხის ფართო მასების, სხვადასხვა სამოგადოებრივი ჯგუფების ინტერესებს უკავშირებს. მხოლოდ ერთად, „საერთო ნიადაგზე“ დგომით შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ქართველი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობაზე არსებით გავლენას ახდენს ეს მომენტი.

ჩვენ, რასაკვირველია, ამოცანად არ ვისახავთ არჩ. ჯორჯაძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის დეტალურ ანალიზს, ეს სპეციალური შესწავლის საგანია[1]. მსოფლმხედველობრივ საკითხებს შევეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათი გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს, უფრო ღრმად და საფუძვლიანად გავერკვეთ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში.

არჩილ ჯორჯაძეს სწორად ჰქონდა წარმოდგენილი ძირითადი საკითხები, რომელთა გადაჭრისათვის ბრძოლა მთელ ფილოსოფიის ისტორიას ეასდევს: არჩ. ჯორჯაძე წერდა, „სულის და მატერიის შორის ატეხილი ბრძოლა ფილოსოფიის ისტორიის შინაარსს შეადგენს“. იგი მიუთითებდა, რომ ბრძოლა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის „ცვალებადი ხასიათისა იყო, ხან ერთი გაიმარჯვებდა და ხან მეორე“.

მაგრამ რომელ მიმართულებას უჭერდა იგი მხარს? ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ის გაგება, რომელიც დღემდე შემორჩენილია ეგრეთწოდებულ საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირფესვიან გადასინჯვას და რადიკალურ შეცვლას მოითხოვს. ათეული წლების განმავლობაში გაბატონებულ მარქსის-

[1] დაწვრ. იხ. ე. კოღუა, არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური ნააზრევი (იხ. არჩ. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა თბ., 1990წ. 317–364).

ტულ-ლენინური იდეოლოგიური დოგმები არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებები გაგებული და შეფასებული ყოფილიყო მიუკერძოებლად, ზუსტად ისე, როგორც ეს ამ თვით დიდ მოაზროვნეს ესმოდა. გამოთქმული იყო ყოველად დაუსაბუთებელი ბრალდებები მის მიმართ, ზოგი მას სუბიექტური იდეალიზმის ბრმა მიმდევრად აცხადებდა. ზოგი ცდილობდა მატერიალისტების ბანაკში ჩაერიცხა, თანაც არათანმიმდევრულობას უკიჟინებდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდებოდა, რათა სახელი გაეტეხათ მისთვის, დაემცირებინათ მისი ავტორიტეტი იმ ხალხის თვალში, რომელიც იმთავითვე განიმსჭვალა ღრმა პატივისცემითა და ნდობით თავისი იდეოლოგიური ლიდერისადმი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებები უნდა გავიგოთ და შევაფასოთ არა წინასწარ აკვიატებული დოგმების ფონზე—მარქსისტული იქნება ეს თუ არამარქსისტული, არა რომელიმე „იზმისადმი" მიკუთვნებით, არამედ რეალისტურად, ფერადი სათვალეების გარეშე, ხოლო თუ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, აღმოჩნდება, რომ არჩ. ჯორჯაძის ფილოსოფიურ შეხედულებათა არსი სულ სხვა სიბრტყეში უნდა ვეძიოთ, ან როგორ შეიძლება რომ „საერთო ნიადაგის" თეორიის ავტორს რომელიმე „იზმისადმი" მორჩილება ვუქადაგოთ ფილოსოფიაში. სწორედ ეს არის არათანმიმდევრულობა, რაც დამახასიათებელია არა არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობისათვის, არამედ იმ მკვლევარებისათვის, რომლებიც მისი ნააზრევის გაგებას ამგვარად ცდილობენ.

სინამდვილეში კი საქმის ვითარება სულ სხვაგვარადაა. „საერთო ნიადაგის" თეორეტიკოსი ფილოსოფიაშიც საერთო, ზოგადკაცობრიულ ღირებულებათა მომხრე და დამცველი იყო. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რომელ ბანაკს მიეკუთვნებოდა ესა თუ ის ფილოსოფოსი—მატერიალისტურს, დიალექტიკის პრინციპზე იდგა იგი თუ მეტაფიზიკას ცნობდა, მისთვის მთავარი იყო დაედგინა ის დადებითი, რომელსაც ამა თუ იმ ფილოსოფოსის ნააზრევი შეიცავდა და რასაც საერთო საკაცობრიო ღირებულება გააჩნდა.

არჩილ ჯორჯაძისათვის სავსებით გასაგები იყო ფილოსოფოსთა მისწრაფება იმისაკენ, რომ სამყარო აეხსნათ ერთი ამოსავალი პრინციპის საფუძველზე, მონისტურად, მაგრამ ამასთან ყოველთვის ხაზს უსვამდა სამყაროს მონისტური გაგების შეზღუდულობას. „ადამიანის გონების მიღრეკილებაა,—წერდა იგი—მთლიან თვალსაზრისისაკენ მისწრაფება. ორმაგი აზროვნება (დუალიზმი) მას ეხამუშება და იგი ყოველთვის შეგნებულად და შეუგნებლად მონიზმისაკენ იწევდა და თუმცა ასეთი არის მიღრეკილება ადამიანის გო-

ნებისა, მაგრამ ამ მიდრეკილების განხორციელება ძნელი საგანი იყო ყოველთვის. მონისტური (ერთი პრინციპიდან გამოყვანილი) სისტემა ბევრია, ხოლო ამ სისტემების ფასი დიდი არ არის. მათი სისუსტე მათს ღრმატურ ხასიათშია უმეტეს შემთხვევაში".

სწორედ ამ საფუძველზე ავლენდა იგი სამყაროს მონისტურ-ენერგეტიკული გაგების, სიცოცხლის პრობლემის მონისტურ-მატერიალისტური ახსნის სუსტ მხარეებს, თუმცა აქვე აღნიშნავდა, რომ „ყოველ მეცნიერულ ჰიპოთეზას თავისი დადებითი მხარე აქვს"[1] და იგი ორიენტირებული იყო იმისათვის, რომ საპირისპირო შეხედულებებში საერთო ღირებულების მქონე შინაარსი დაგვედგინა. საერო-საკაცობრიო ღირებულებებს პრიორიტეტული მნიშვნელობა ჰქონდა არჩ. ჯორჯაძისათვის, ეს მკაფიოდ ჩანს, აგრეთვე, საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებისა და მოვლენების გაგებაში. სტატიაში „ისტორიული მატერიალიზმის გამო", არჩ. ჯორჯაძე მკაცრად აკრიტიკებს ისტორიის მატერიალისტურ გაგებას სწორედ მისი ცალმხრივობის გამო. ამავე ნიადაგზე იგი არ ცნობს არც ისტორიის მონისტურ-იდეალისტურ ახსნას: „თანამედროვე მეცნიერული სოციოლოგია უარყოფს ისტორიულ მონიზმსაც—იდეალისტურია ეს მონიზმი თუ მატერიალისტური, მისი განმარტებით, როგორც ის ჰიპოთეზაა უსაფუძვლო, რომელიც კულტურას და საზოგადოდ იდეოლოგიურ ფაქტორს ხდის მთელს საზოგადოებრივ წეს-წყობილების მიზეზად, ისევე უსაფუძვლოა მეორე ჰიპოთეზაც, რომელიც კულტურულ ცხოვრებას (ზნეს, რელიგიას, კანონმდებლობას, ფილოსოფიას და სხვა) ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად, „ზედნაშენად" თვლის. სინამდვილეში ორსავე ცხოვრების ფაქტორს (კულტურას და წარმოებით ურთიერთობას) თანაბარი ადგილი უჭირავს და ერთის—მეორის მიზეზად ჩათვლა შეუწყნარებელია"[2]. მაგრამ როდესაც საკითხს ასე აყენებს, არჩ. ჯორჯაძე სულაც არ არის იმის წინააღმდეგი, რომ იმ თეორიებში დადებითი ელემენტები იქნეს შემჩნეული და ფასდადებული. კერძოდ, იმავე მარქსის სოციოლოგიური თეორიის შესახებ წერს, რომ მისი „სისუსტე, გამოამკარავება, არ გვიშლის მივიღოთ ზოგიერთი ეკონომიკური კითხვების განმარტება"[3].

ამ მოსაზრებათა გამო ვერ დავეთანხმებით ქართველ ფილოსოფოსთა მიერ გამოთქმულ დებულებებს არჩ. ჯორჯაძის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი პლატფორმის შესახებ. ზოგიერთი მათგანის მიხედვით არჩ. ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებები

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 160
[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეოთხე, 1911 წ: გვ. 78.
[3] იქვე გვ. 85

კვალიფიცირდება როგორც კანტიანური და არ სცილდება კანტის მოძღვრებას.

არჩ. ჯორჯაძე თვლიდა, რომ კანტი ის ფილოსოფოსი იყო, რომელმაც დასძლია „აბსოლუტური სუბიექტივიზმი და აბსოლუტური ობიექტივიზმი"[1] კანტის მსგავსად, იგი აღნიშნავდა, რომ „ჩვენი აზრი მოვლენას, ე.ი. ჩვენი გონებით წარმოდგენილისაგან, ვერ გადასცილდება. მოვლენათა სამყლობელო ის სამყლობელოა, სადაც ტრიალებს ჩვენი ცოდნა. მხოლოდ მოვლენას ჩვენ ვიგებთ ჩვენისავე გონებით, ამისათვის ჩვენს ცოდნას აქვს იდეალისტური ხასიათი"[2]. და შემდეგ: „ჩვენი ცოდნა, სოციოლოგიურია ის თუ ფილოსოფიური, ექვემდებარება განსაზღვრულ პირობებს: იგი ეკუთვნის მოვლენათა სამყლობელოს, ამ სამყლობელოს თავის ღღეში ვერ გასცილდება და ამიტომ აბსოლუტურად ობიექტური არ არის...

ყოველ ჩვენს ცოდნას, მითუმეტეს სოციოლოგიურს, ორგვარი ხასიათი აქვს: საგანს იძლევა ცხოვრება, მხოლოდ საგანს თავის ხასიათს აძლევს გონება... ამისათვის ამ ცოდნას აქვს სუბიექტურ-ობიექტური ხასიათი"[3]

შემთხვევითი არ არის, რომ ჯორჯაძემ საკუთარი მსოფლმხედველობის ერთ-ერთ თეორიულ წყაროდ (და არა ერთადერთ) კანტის ფილოსოფია აირჩია. კანტის მსოფლმხედველობიდან მას ის მომენტები იზიდავდა, რომელიც ღირებულია როგორც მატერიალისტებისათვის, ისე იდეალისტებისათვის. მისთვის მთავარი იყო არა მხოლოდ „სუბიექტური" ან არა მხოლოდ „ობიექტური", არამედ „სუბიექტურ-ობიექტური". კანტს, ისევე როგორც სხვა ფილოსოფოსებს, არჩ. ჯორჯაძე აფასებს რეალისტურად, მისი შეხედულებით მთავარი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს არა იმას, რაც ერთმანეთისაგან თიშავს ფილოსოფოსებს, არამედ იმას, რაც საერთო და ზოგადკაცობრიულია მათ ნაამრევში.

ამ პრინციპს იგი ატარებს მეთოდოლოგიურ საკითხებშიც.

რიგ შემთხვევაში არჩ. ჯორჯაძე მოვლენების შემეცნებისადმი დიალექტიკური მიდგომის თვალსაზრისს იცავდა, იგი აღიარებდა მოვლენათა საყოველთაო ურთიერთკავშირის პრინციპს: „ბუნების მოვლენანი ერთმანეთთან არიან გადაბმულნი. ბუნებაში არ არსებობს განკერძოებული მოვლენა. ყოველიეე მისდევს ერთი მეორეს ისე, რომ რაღაც კავშირი, არსებობს წინანდელ და მომავალ მდგომარეობათა შორის"[4]—წერდა იგი. ამ კავშირების წარმოშობასა

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეოთხე გვ. 123

[2] იქვე გვ. 123.

[3] იქვე გვ. 124-125

[4] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე 1911 წ. გვ. 153

და ცვალებადობაში მათი განხილვის საჭიროება მას ბუნების ჭეშმარიტი შემეცნების უთუო პირობად მიაჩნდა: „ყოველი საგანი მხოლოდ მაშინ არის შესწავლილი, როცა იგი გათვალისწინებულია მთელი თავის სივრცე-სიგანით, საგნის შესწავლა საჭიროა არა მარტო დღიდამ მისი გაჩენისა და არსებობისა, არამედ თვით მის გაჩენის პროცესში“[1]

არჩილ ჯორჯაძე სიტყვიერად არც წინააღმდეგობის და წინააღმდეგობაში მყოფი მხარეების ბრძოლის მნიშვნელობას უარყოფდა სამყაროსა და საკუთრივ საზოგადოების მოძრაობა-ცვალებადობის პროცესში. „ესაა ბრძოლა, ბრძოლა კლასიური, ეროვნულად დაჩაგრულებისა წინააღმდეგ ძლიერთა; ბრძოლა ეროვნული, ეროვნულად დაჩაგრულებისა წინააღმდეგ დიდ სახელმწიფოთა ძალმომრეობისა და გამოაცალეთ თანამედროვე კულტურას თუნდაც ეს ორი საგანი, განათლება, და ბრძოლა და მისგან არაფერი დარჩება“.[2]

დიალექტიკის თანახმად, მოელენათა ურთიერთკავშირშია: „ერთი გამოდის მიზეზის, მეორე შედეგის როლში, მიზეზი შედეგად გადაიქცევა და პირიქით, ურთიერთგადასვლას საფუძვლად უდევს რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივი გადასვლა, ასე მიაჩნდა ეს ჰეგელს“[3].

არჩილ ჯორჯაძე არ ცნობს აღნიშნული კანონის მეცნიერულ მნიშვნელობას. ეს კანონი თითქოსდა არ მოქმედებს ბუნებაში, მართალია, ცოცხალ სამყაროში ადგილი აქვს ბუნებრივ შერჩევას, მაგრამ მას არ მოჰყვება ერთი სახეობის ცხოველის გადასვლა მეორე სახეობაში, „ბუნებისმეტყველებაში ამგვარი გადასხვაფერება შეუწყნარებელია. რაკი ეს ასეა, მაშინ ისიც არ ყოფილა მართალი, ვითომ რაოდენობა ყოველთვის თვისებად იქცევა ხოლმე“, ამასთან არჩილ ჯორჯაძე უარყოფს დაპირისპირებულთა ერთიანობასა და ბრძოლის კანონზომიერებას, როგორც განვითარების წყაროს. საპირისპირო ძალთა ჰარმონიის მეტაფიზიკურ პრინციპს იგი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების და განვითარების წყაროდ აცხადებს (რის შესახებაც შემდგომში სპეციალურად გვექნება მსჯელობა). აქედან გამომდინარე არ ცნობდა არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების თვისებრივი რევოლუციური გარდაქმნის აუ-

[1] იქვე, გვ. 150

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეოთხე, 1911 წ. გვ. 184

[3] იქვე, გვ. 83-84

ცილებლობას და საზოგადოების მშვიდობიანი შეცვლის მოთხოვნით იფარგლებოდა.

ამავე პოზიციიდან, რეალისტურად უნდა შევაფასოთ არჩ. ჯორჯაძის შეხედულებები რელიგიის შესახებ.

მთავარი და გადამწყვეტი, რასაც არჩ. ჯორჯაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რელიგიურ მოძღვრებათა ანალიზის დროს, ესაა მათი ზოგადსაკაცობრიო ეთიკური შინაარსი. ყოველი რელიგია გარკვეული ფილოსოფიური წანამძღვარებიდან ამოდის და თავის მხრივ საფუძველია განსაზღვრული ეთიკისა, რომლის პოზიტიური შინაარსი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ საერთო-საკაცობრიო ღირებულებებით განისაზღვრება.

სანამდე შევეხებოდეთ ბუდიზმის არჩილ ჯორჯაძისეულ გაგებას, გვინდა ამ ფილოსოფიური მოძღვრების წარმოშობის მოკლე ისტორია განვიხილოთ.

ძველი ინდოეთის მონათმფლობელურ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა რელიგიური მოძღვრებანი, რომლებიც ცნობილია: ბრაჰმანიზმის, ჯაინიზმის და ბუდიზმის სახელწოდებით.

ბუდიზმის ფუძემდებლად ითვლება გუატამა (სიდჰარტი), რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ცხოვრობდა. იგი იყო შაკიას ტომის მეფისწული და ქშატრიების[1] კასტას ეკუთვნოდა. ახალგაზრდა გუატამაზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია რაჯაგრიჰშის ცნობილ ფილოსოფოსებს, ასკეტური ცხოვრების შემდეგ, 35 წლის ასაკში, გუატამა სწავლული, ბრძენი სხივმოსილი ანუ პირდაპირი მნიშვნელობით „გაღვიძებული“ ბუდა გახდა. რომელმაც შემდგომ მთელი თავისი ცხოვრება, ხუთ მოწაფესთან ერთად, მის მიერ შემუშავებული რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებების ქადაგებას მოახმარა თავის ქვეყანაში და არა მარტო თავის, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. ბუდას მოძღვრება საუკუნეების მანძილზე ზეპირის სახით თაობიდან თაობებს გადაეცემოდა. ამ მოძღვრების უმთავრეს წყაროს თხზულება „ტრიპიტაკა“ („სამი კალათი მოძღვრება“) წარმოადგენს, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ასახულია ბუდისტი ბერ-მონაზვნების ქცევისა და ბუდისტური ეკლესიის წესები. მეორე ნაწილში შეტანილია ბუდას რელიგიურ ქა-

[1] ძველი ინდოეთის საზოგადოება ოთხ ძირითად ვარნად (კასტად) იყოფოდა: ბრაჰმანები (ქურუმები), ქშატრიები (მეომრები), ვაიშები (მიწათმოქმედები, ვაჭრები), და შუდრები (უმდაბლესი ფენა). არის მოსაზრება, რომ მიწათმოქმედები და ვაჭრები წარმოადგენდნენ ცალ-ცალკე ვარნას.

დაგებათა და საუბრების კრებულები. მესამეში მოცემულია ბუდას მოძღვრების ფილოსოფიური პრინციპები.

ბუდისტური მოძრაობის მთავარ მიზანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ როგორ შეიძლება ადამიანებმა თავი დააღწიონ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ ტანჯვასა და მწუხარებას. ამ პრობლემათა გადასაწყვეტად ბუდა ადგენს რამდენიმე კეთილშობილურ ჭეშმარიტებას, რომელიც შემდეგში გამოიხატება: არსებობს მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული ტანჯვა-მწუხარება (სასოწარკვეთილობა, მოხუცებულობა, ავადმყოფობა, სიკვდილი), რომლებსაც თავისი გამომწვევი მიზეზები გააჩნია. აუცილებელია ადამიანმა თავი დააღწიოს მიწიერ მწუხარებას, ტანჯვას, რომლის მიღწევის საშუალებად გამოიყენება: მართალი შეხედულებანი—სამადიტიჰი, მართალი რწმენა—სამმასანკაპა, მართალი სიტყვა—სამმავაჩა, მართალი ყოფა-ქცევა—სამმაკამანტა, მართალი ცხოვრება (მართალი გზით საარსებო საშუალებების მოპოვება)—სამმაჯივა. მართალი მცდელობა (მონდომება)—სამმავაიამა, აზრის მართალი გზით წარმართვა—სამმასატა. მართალი მჭვრეტელობა—სამმასადჰა. ეს საშუალებანი უზრუნველყოფენ ადამიანთა მშვიდ—წყნარ ცხოვრებას, რაც თითოეული ჭეშმარიტი მორწმუნე ბუდისტის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს. ნირვანა (სიმშვიდე, სიწყნარე,) ბუდას მოძღვრებაში გაგებულია, როგორც ამქვეყნიური ტანჯვა-მწუხარებისაგან განთავისუფლებული ადამიანის სულის უმაღლესი მდგომარეობა, რომლის მიღწევა შესაძლებელია არამარტო ღმერთების დახმარებით და მათი ნებით, არამედ თვით ადამიანთა მოქმედებით.[1]

ბუდას მოძღვრებას და, საერთოდ ბუდიზმს, არ განიხილავენ მარტო როგორც რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას, არამედ ზემოთ დასახელებულ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებს და მანუს კანონებს. იურისტები და ისტორიკოსები მიიჩნევენ როგორც ძველი ინდოეთის პოლიტიკური მოძღვრების წყაროს (ფორმას) და პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს მიმდინარეობას.

„ბუდა და მისი მიმდევრები აღიარებდნენ ყველა ადამიანის ზნეობრივ-სულიერ თანასწორობას და აკრიტიკებდნენ ვარნების სისტემას, მათი უთანასწორობის პრინციპს. „ბრაჰმანი“ ბუდისტებისათ-

[1] ვ. აბაშმაძე „ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან თბ., 1975 წ. გვ. 15.



დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: სანდრო გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი; სხედან: არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი. მათ შუა ზის გიორგი დეკანოზიშვილი.

ვის არის არა პრივილეგირებული ვარნის წევრი, არამედ ყოველი ადამიანი, რომელმაც თავისი წოდებრივი კუთვნილების მიუხედავად, სრულყოფას პირადი ძალისხმევით მიაღწია. კერძოდ, ცნობილ ბუდისტურ კანონში „დხამაპადა" (IV–III სს. ჩვ. წ. აღ–მდე) ხაზგასმულია: „მაგრამ მე არ ვთვლი ბრაჰმანად ადამიანს მხოლოდ მისი წარმოშობისა და დედის გამო".

დხარმის ბრაჰმანულ განმარტებას ბუდიზმმა დაუპირისპირა თავისი, უფრო რაციონალური მიდგომა. ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი. ბუდისტური ინტერპრეტაციით დხარმა წარმოგვიდგება, როგორც ბუნებრივი კანონზომიერება, ბუნებითი კანონი. გონივრული ქცევისათვის აუცილებელია ამ კანონის შეცნობა და გამოყენება. ადრეული ბუდიზმის მთელი მსოფლმხედველობა გამსჭვალულია ჰუმანიზმის, სხვა ადამიანებთან კეთილი დამოკიდებულების ქადაგებით. ბუდიზმის მიხედვით დაუშვებელია ბოროტებისადმი ბოროტებითა და ძალადობით დაპირისპირება.[1]

მაშინდელ საზოგადოებაში სწრაფად გავრცელდა ბუდიზმი, როგორც მოძღვრება. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა ბუდისტური ბერმონაზონთა თემები, ანუ სანგჰები. თემებში საკუთრება საერთო საზოგადოებრივი იყო. მის წევრს არ უნდა ჰყოლოდა ოჯახი, საფუძვლიანად უნდა სცოდნოდა ბუდას მოძღვრება, აუცილებელი იყო თემის წევრად გახდომამდე ორჯერ ზიარებ-კურთხევა. ბუდისტური რელიგიის მიხედვით თემის წევრობა ეკრძალებოდათ მეომრებს, მეფის მსახურთ, მეველეებსა და მონებს.

ბუდისტური თემები დემოკრატიულ საწყისებზე იყო აგებული. ყველა საკითხს წყვეტდა თანასწორუფლებიანი ბერ-მონაზონთა კრება. თანამდებობის პირთა არჩევა ხდებოდა ხმათა უმრავლესობით, მეცნიერთა მტკიცებით[2] ბუდისტურმა მოძღვრებამ დიდი როლი შეასრულა ძველი აღმოსავლეთის ხალხის ცხოვრებაში. მან ხელსაყრელი პოლიტიკური საფუძველი შექმნა იმდროინდელი მონათმფლობელური სახელმწიფოსათვის. ფაქტიურად გაბატონებული კლასი ბუდიზმს კარ-

---

[1] ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია თბ., 1987წ. გვ. 19

[2] Даранама, История будизма в Индий, Будизм его догматы история и литература г. III спб. 1869г. Ф. И. Шербатский, било сорски учения будизма, Петроград. 1919г. С. Чаттареджа, Д. Датма, Древная индеиская философия М. 1954г. С. А. Токорев Религиа в историй народов мира Мс. 1965г. ეურნალი „აფრა" გერმან გესსე, ინდური პოემა „ზიდპარტა" (თარგმანი ასმათ ფირცხალაური-მარგიანი) 1998წ. №4 თბ., 26-40 და ა.შ.

გად იყენებდა თავიანთი ხელისუფლების განსამტკიცებლად, ვინაიდან ბუდიზმი ქადაგებდა სინამდვილესთან შეგუებას და არ მოუწოდებდა მდაბიო ფენებს მონათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ბუდიზმს ბევრი მიმდევარი გაუჩნდა, რაც მის მნიშვნელობასაც ზრდიდა. ბუდიზმის მოძღვრება თანდათანობით გავლენას ახდენდა სახელმწიფოებრიივი პოლიტიკისა და კანონმდებლობის განვითარებაზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 262-232 წლებში მეფე აშოკმა გააერთიანა ინდოეთი და ბუდიზმი გამოაცხადა სახელმწიფო რელიგიად, ამან განაპირობა ბუდიზმის გავლენა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მრავალ ქვეყანაში. მეცნიერთა დიდი ნაწილის დაინტერესება ბუდიზმის მოძღვრებით შემთხვევით არაა გამოწვეული, მას ბევრი რამ აქვს საერთო ქრისტიანულ რელიგიასთან. ალბათ, ამითაა განპირობებული არჩილ ჯორჯაძის დაინტერესება ამ მოძღვრებით.

ინდური ფილოსოფიის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები (მათ შორის ბუდისტებიც ხაზი ჩვენია გ.ლ.) ერთ რამეში საერთო პრინციპებზე დგანან. ეს არის მორალის სფერო.[1]

არჩილ ჯორჯაძის აზრით, ბუდისტური ფილოსოფია „ყოველთვის იქნება ჩვენთვის ღრმა გულწრფელი ფილოსოფია".[2] ამ ფილოსოფიაზე დამყარებული ბუდიზმის ეთიკური სისტემა, არჩ. ჯორჯაძის სიმპათიებს იმსახურებს სწორედ მისი საერთო საკაცობრიო შინაარსის მნეობრივი ღირებულებებით. არჩ. ჯორჯაძე გამოყოფს ბუდისტური რელიგიური ეთიკის მთავარ მოთხოვნებს. იგი წერდა: „განსაკუთრებული თავისებურებანია ამ ეთიკისა: პატიება, ლმობიერება, სიყვარული და თანაგრძნობა. ბუდა ერთობისა და ძმობისაკენ იწვევს ადამიანებს, ადამიანთა შორის კეთილი განწყობილება უფრო ძლიერი უნდა იყოს, ვიდრე მტრობისა და სიძულვილის გრძნობანი, რომელიც აშორებენ მათ. რაკი ბუდამ შენდობა და სიყვარული დაუდო საფუძვლად თავის მოძღვრებას, ავტორი ბუდიზმში არა მარტო საკითხის დაყენების, არამედ ზოგჯერ მისი გადაწყვეტის მხრივაც რაციონალურ მარცვლებს პოულობს. თუნდაც იმის აღიარებაში, რომ „ადამიანს მხოლოდ თავისთავის იმედი უნდა ჰქონდეს, არავითარ მისტიკურ ძალას ან გარეშე წესრიგს არ ძალუძს მისი განთავისუფლება" ან კიდევ იმის მტკიცება, რომ „მტრობა არასოდეს მოსპობილა მტრობითვე, არამედ სიყვარულით", ასევე მნეობრივი ცხოვრების გამოცხადება უმაღლესი ბედნიერების მიღწევად, რომელიც ჭეშმარიტი და ნათელი სიცოცხლით ხორციელდება და მაინც ავტო-

[1] თ. ფიფია, ადამიანის მნეობრივი პერსპექტივები თბ., 1938 წ. გვ. 69.
[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 184.

რი არსებითად მხოლოდ საკითხების დაყენებაში ეთანხმება ბუდიზმს. ბუდიზმის ღირებულებას ის ხედავს ყოფიერების საკითხის დასმაში, სიცოცხლის და სიკვდილის პრობლემების გააზრებაში, ინდოეთის სიბრძნის „ძარღვს და დედააზრს შეადგენს სიცოცხლის განსაზღვრული ფილოსოფია". მაგრამ ავტორი მოითხოვს, რომ მას შევხედოთ თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით და არ დავემორჩილოთ მის დოგმატურ ბუნებას. თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით კი ინდურ ფილოსოფიაში დაყენებული პრობლემები სრულიად სხვა განზომილებაში წყდება. თანამედროვე ფილოსოფია ემიჯნება ინდურ სიბრძნეს რეალური სამყაროსაგან მოწყვეტილობის, არაემპირიულობის გამო. ჯორჯაძის აზრით, ფილოსოფია მაშინაც კი, როდესაც მეტაფიზიკური სისტემაა, თუნდაც კანტის ფილოსოფიის სახით, რომელიც სამყაროს ყოფს ნოუმენად და ფენომენად, არ შეიძლება აკმაყოფილებდეს თანამედროვე ცნობიერებას. არ უნდა ვაღიაროთ არავითარი მიღმური სამყარო, ცდის მიღმა არაა შემეცნების საგანი, „ჩვენთვის არ არსებობს არც სუბსტანცია, არც დამოუკიდებელი სუბიექტი და არც ნოუმენი, როგორც ფსიქიკის, ისე ბუნების საზღვრებში, ჩვენთვის არსებობს მხოლოდ ის, რაც გამოცდილებით ამკარავდება. ჩვენი გამოცდილების საზღვრები თანდათან იზრდება, რაც გამოცდილების გარეშეა, ჩვენთვის ნოუმენი კი არ არის, არამედ მხოლოდ ის, რაც ღეს მიუწვდომელია".[1]

ამ ამონაწერიდან ნათელია, რომ არჩ. ჯორჯაძეს ის მომენტები იზიდავს ბუდისტურ ეთიკაში, რომელიც მისაღებია ქრისტიანობისა და სხვა რელიგიებისათვის, ვინაიდან მათში განურჩევლად ყველა ადამიანის ისტორიულად ჩამოყალიბებული და განმტკიცებული საერთო მისწრაფებები და ინტერესებია გამოხატული. არჩ. ჯორჯაძის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ის გარემოება, რომ „ბუდისტის თვალთა წინაშე მუდამჟამს ისახებოდა „საუკუნო კანონი", თავისუფლებისა და უმაღლესი ნეტარების სამეფო"[2], (ხაზგასმა ჩვენია—გ.ლ.).

თავისუფლებისაკენ სწრაფვა, როგორც „საუკუნო კანონი"—ამ მაგისტრალური მიმართულებით უნდა იარონ ადამიანებმა, იგი აუცილებელ მნიშვნელობას ინარჩუნებს ყველა ხალხისათვის. არჩ. ჯორჯაძის აზრით, ასევე ინდოეთის სიბრძნის ძირითადი საკითხია ადამიანის პრობლემა, ეს არის ადამიანის არსება, მისი ყოფიერების საზრისი, რა არის ადამიანის ბედნიერება, ნეტარება, რა ძალებმა

[1] არჩ. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა თბ., 1990 წ. გვ. 327.

[2] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე, 1911 წ. გვ. 184.

უნდა უზრუნველყოს ადამიანისათვის ისინი ამ ქვეყანაზე, როგორია სიცოცხლისა და სიკვდილის მიმართულება, რა გზით უნდა შეურიგდეს ადამიანი სიკვდილს, თუ არ შეურიგდება, როგორ უნდა გადალახოს ეს ფენომენი...

ჯორჯაძის აზრით, ინდოეთის სიბრძნის ძირითადი საკითხია ადამიანის პრობლემა—წერს ე. კოდუა: რა არის ადამიანის არსება, რაშია მისი ყოფიერების საზრისი, რა არის ადამიანის ბედნიერება, ნეტარება, რა ძალებმა უნდა უზრუნველყოს ადამიანისათვის ისინი ამ ქვეყანაზე, როგორია სიცოცხლისა და სიკვდილის მიმართება, რა გზით უნდა შეურიგდეს ადამიანი სიკვდილს, თუ არ შეურიგდება, როგორ უნდა გადალახოს ეს ფენომენი. ინდოეთის სიბრძნე ამოდის იმ ვითარებიდან, რომ „ადამიანი ტანჯვაში იბადება, სანამ იზრდება, ავადმყოფობა ასუსტებს, ხოლო შემდეგ, როდესაც განსაზღვრულ ასაკს მიაღწევს, თანდათან ირყევა და სიკვდილის პირამდე აღწევს, მაგრამ სიკვდილი ადამიანს აყვავების ხანაშიც მოუსწრებს ხოლმე, მაშინ, როდესაც მის გარშემო თითქოს არც მწუხარება, არც ტანჯვა, არც სევდა არსებობს. მაშ საიდანღა გაჩნდა ეს უცნაური, წარმავალი, გაუგებარი და ორ უფსკრულს შუა ჩაჭედილი სიცოცხლე. იგი აჩრდილივით დაუდგრომელი და თვალთმაქცია, მაშ, ვინ არის მისი შემოქმედი?“ მაშასადამე, კითხვა არის სიცოცხლის გამოცანა, მისი წყაროსა და მიზნის არსებობის გამართლების პობლემა. ეს თეორიული კითხვა ემსახურება პრაქტიკულად ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს, როგორი უნდა იყოს ადამიანის მნეობრივი ყოფიერება, რა უნდა გააკეთოს მან, რომ სამრისიანი გახადოს თავისი არსებობა ამ ქვეყანაზე. „რა ღონისძიება უნდა გაატაროს ადამიანმა, რომ მიაღწიოს ნეტარებას? რომელი გზა მიდის იქითკენ? რანაირად უნდა გავატაროთ და რითი დავაბოლოოთ ჩვენი სიცოცხლე, რომ მშვიდობიანად მოვისვენოთ“.[1]

აქვე ისმის სიცოცხლის საზღერის და სიკვდილის საკითხი. სიცოცხლე გამოცანაა, მაგრამ კიდევ უფრო რებუსისებურია სიკვდილი.

„ბუდიზმი გვასწავლის_სიკვდილი აუცილებელია, მასთან ჩვენ ვერას გავხდებით, იგი ჩვენზე ძლიერია, რაკი ჩვენს ხელში არ არის. მასზე დარდს არა აქვს აზრი. სიკვდილი მით უფრო შესაწყნარებელია, რომ ის სპობს ჩვენს ტანჯვას ამქვეყნად, სიკვდილთან ერთად ჩვენ გულში იმარხება ყოველი ქვეყანა, გრძნობა, სურვილები, დაუკმაყოფილებელი წადილი, ის, რაც გულს სევდით ავსებდა.

[1] არჩ. ჯორჯაძე, თხზ. ტ. III, გვ. 50-75.

ამგვარია ბუდას ფილოსოფია, რომელსაც ჩვენ ვერ შევიწყნარებთ".[1] „არჩ. ჯორჯაძე ბუდიზმში არჩევს უარყოფით და დადებით მხარეებს, მაგრამ როგორც ვხედავთ, აქცენტს რაციონალური მარცვლების ძებნაზე აკეთებს, მაგრამ ბევრი რამ არ აკმაყოფილებს და მიაჩნია, რომ ისინი დოგმატური და დასაბუთებას მოკლებულია"[2].

შემდეგ, არჩილ ჯორჯაძე აანალიზებს ათ ძირითად ცოდვას, რომელსაც უნდა განერიდოს ბუდისტი. ეს ცოდვებია: „1. ფიზიკური ხასიათის სამი ცოდვა—მკვლელობა, ქურდობა, მრუშობა. 2. ოთხი სიტყვიერი შეცდომა—ტყუილი, ჭორი, ლანძღვა, ყბედობა, და 3. სამი სულიერი ცოდვა—სიძუნწე, ბოროტ-განზრახვა და სკეპტიციზმი. ამნაირი თვისებებისაა ბუდისტური ეთიკა"[3].

ეს ყოველივე უცხო არ არის ქრისტიანული რელიგიური მორალისათვის, რომლის მისადგომებიდანაც აფასებს არჩ. ჯორჯაძე ბუდისტური ეთიკური ნორმების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, ამ მომენტებზე აქცენტის გადატანას ჩვენ განსაკუთრებით საჭიროდ ვთვლით იმის გამო, რომ რელიგიისა და რელიგიური ეთიკის დადებით, ზოგადსაკაცობრიო შინაარსზე მსჯელობას ჩვენს ქვეყანაში თითქმის სამოცდაათი წლის მანძილზე იდეოლოგიური ვეტო ჰქონდა დადებული. უმაღლესი ზნეობრივი ნორმები კომუნისტურად ცხადდებოდა და ისეთი პროპაგანდა მიმდინარეობდა, რომ თითქოს პირველად მარქსიზმ–ლენინიზმმა მოუპოვა იგი კაცობრიობას და მათი რეალიზაცია თითქოს შეუძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტურ საწყისებზე სამყაროს რევოლუციური გადარქმნის გარეშე.

არჩ. ჯორჯაძის შესედულებებს რელიგიის ზოგადსაკაცობრიო ბუნებისა და შინაარსის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში, როდესაც ახალ სტადიაშია შესული ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის პროცესი, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და აბსოლუტური სუვერენიტეტისაკენ სწრაფვას განამტკიცებს ქრისტიანული რწმენა, ქრისტიანული მორალი, რომელიც ამასთან ერთად ჩვენთვის ცივილიზებულ მსოფლიოსთან სულიერი კავშირის მძლავრი საშუალებაა.

აქედან გამომდინარე, არჩ. ჯორჯაძის ფილოსოფიურ და რელიგიურ–ეთიკურ შეხედულებებს მეტად აქტუალური მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის სანუკვარი იდეალების რეალიზაციისათვის ბრძოლის საქმეში. თვით არჩ. ჯორჯაძე შემდეგნაირად გადმოგ-

[1] არჩ. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990 წ. გვ. 326.
[2] არჩილ ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990 წ. გვ. 526.
[3] იქვე გვ. 76–77.

ვცემს ქრისტიანული რელიგიისა და შესაბამის რელიგიურ დაწესებულებათა მნიშვნელობას ქართველი ერისათვის: „თუ მან შეძლო და გამოაცოცხლა ქართული ეკლესიის ტრადიციები ეროვნულ ცხოვრების დაცვის საკითხში მისი ისტორიული მნიშვნელობა თვალსაჩინოდ ამაღლდება. მსედველობაშია მისაღები ისიც, რომ საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიას დიდი ქონება და სიმდიდრე ჰქონდა. ავტოკეფალობის აღდგენა თუ არ ნიშნავს ამ ქონების სავსებით დაბრუნებას, მისი ერთი ნაწილის დაბრუნებას მაინც მოასწავებს. ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებულია ორი დარგი ხელოვნებისა, მუსიკა და ხუროთმოძღვრება. სასურველია ამიტომ საეკლესიო კულტის გამშვენება, საეკლესიო გალობის განვითარება და ძველ-ტაძარ-ეკლესიათა აღდგენა, ასეთია გაკვრით ის კავშირი, რომელიც შესაძლებელია ჰქონდეთ დღეს საქართველოს ისტორიულ ეკლესიასთან იმათ, ვისთვისაც ამ ეკლესიას სარწმუნეებრივი ხასიათი დაკარგული აქვს".[1]

არჩ. ჯორჯაძის ეს სიტყვები სადღეისოდაც მიესადაგება საქართველოს—მის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ მშენებლობის და დამოკიდებულებას რელიგიისა და ეკლესიისადმი.

არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობაში საჭიროა გავარჩიოთ დადებითი და უარყოფითი მხარეები, არა მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ორგანული კავშირი აქვს მისივე პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებთან, არამედ იმიტომაც, რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაზე საბოლოო ჯამში არჩ. ჯორჯაძის მსოფლმხედველობის ამოსავალია ქართული სინამდვილის შემეცნება, ქართველი ერის ცხოვრების გაშუქება და ამ ამოცანას ექვემდებარება თეორიული საკითხების დაყენების დონეც და მასშტაბიც, სამართლიანად მიუნიშნებს პროფ. ე. კოდუა არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობის განხილვის დროს.

არჩილ ჯორჯაძემ აღიარება მოიპოვა „საერთო ნიადაგის" თეორიით, რომელსაც სხვა ვითარებაში ჯერ კიდევ ქართველი სამოციანელები ქადაგებდნენ. არჩ. ჯორჯაძემ ეს შეხედულება ახალ პირობებში განავითარა და მიიჩნია, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად საჭიროა სხვადასხვა კლასებისა და სოციალური ფენების გაერთიანება ეროვნული დროშის ქვეშ.

[1] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მესამე 1911 წ. გვ. 186.

არჩილ ჯორჯაძემ კრიტიკულად შეაფასა სამოციანელების „საერთო ნიადაგის“ თეორია. იგი სწორად მიუთითებდა, რომ წოდებათა შორის განსხვავება იკარგება ახალ დროში და ისტორიის ასპარეზზე ბურჟუაზია გამოდის, ამავე დროს ქართველ სამოციანელთა სამოღვაწეო პროგრამის დედაბოძად ეროვნული საკითხი აღიარა ი. ჭავჭავაძეში იგი ხედავდა ეროვნული ცხოვრების წინამძღოლს, ეროვნული ჭირ-ვარამის გამომსახველს. თუმცა არ იზიარებდა მათ ეკონომიკურ პროგრამას.

„არჩილ ჯორჯაძე,—წერს აკადემიის წევრ კორესპონდენტი ა. სურგულაძე,—რომელსაც თავი ახალი თაობის წარმომადგენლად მიაჩნია, აღნიშნავდა, რომ მაშინ მიიღწევა წარმატება, როცა სამართლიანად იქნება დაფასებული ძველი თაობის (ე.ი. სამოციანელების საზი ჩვენია—ტ.ლ.) ნაანდერძევი“.[1] იგი აყენებს რა საერთო ნიადაგის თეორიას, თავის მხრივ, ილიასეულ შეხედულებებს აღიარებს ახალ ვითარებაში. არჩ. ჯორჯაძის აზრით, ქართველი ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე მიმდინარეობებმა და კლასებმა ერთი მიზანი უნდა აირჩიონ და „საერთო ნიადაგის“ საფუძველზე ბრძოლა ეროვნულ ინტერესებს უნდა დაუქვემდებარონ. ეს ინტერესებია მშობლიური ენის დაცვა, ქართული ეკჭრობა, მრეწველობის შექმნა-განვითარება, თვითმმართველობის ჩარევა და სახალხო მოღვაწეობა.

მთლიანობაში არჩ. ჯორჯაძის პოლიტიკური მრწამსი ქართული ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს გამოხატავდა. მისი შეხედულებანი თანმიმდევრულ, მწყობრ, სისტემურ ხასიათს ატარებდნენ, თუმცა არჩილ ჯორჯაძეს საყვედურობდნენ მერყეობას ფედერალისტების მემარჯვენე[2] და მემარცხენე[3] დაჯგუფებებს შორის.

„ქართულ სოციალ-ფედერალიზმის იდეური მეთაური არჩილ ჯორჯაძე—წერს აკად. ლ. გორგილაძე, „მერყეობდა“ ამ ორ მიმართულებას შორის. 1904 წ. იგი სახელმწიფოებრივ ფედერაციას აღიარებდა, 1906-1907 წლებში უარყოფდა ყოველგვარ სახელმწი-

---

[1] იხ. ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, 1973 წ. გვ.7.

[2] მემარცხნე ფედერალისტები ანარქისტების თეორიულ მემკვიდრეობას აღიარებდნენ ამიტომ უარყოფდნენ რა ყოველგვარ სახელმწიფოებრიობას, პარლამენტს და სხვა. აღიარებდნენ კომუნათა ფედერაციას.

[3] ლ. გორგილაძე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, 1983 წ. გვ. 19.

ფოს, სულერთია ცენტრალური იქნებოდა იგი თუ ავტონომიურ-ფედერალისტური და აღიარებდა ფედერაციულ კომუნიზმს-ფედერალურად შეკავშირებულ თავისუფალ კომუნების კავშირს. 1908 წლიდან ისევ იცვლის შეხედულებას და უერთდება პარტიაში ამ დროს უკვე გაბატონებულ ფედერაციული მოძრაობის იმ ნაწილს, რომელიც ეროვნულ პრობლემას პოლიტიკური ფედერალიზმის საშუალებით წყვეტდა".[1]

არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური შეხედულებების ცვალებადობაზე[2] მიუთითებდნენ იმის გამო, რომ მან ერთხანს უარყო „საერთო ნიადაგის" თეორია და მომავლისათვის გადადო მისი განხორციელება[3]. არჩ. ჯორჯაძის ამ ბრალდებების შესახებ თავში უკვე ვთქვით, რაც შეეხება პოლიტიკურ პლატფორმას, სოციალისტ-ფედერალისტები თეორიულ მოღვაწეობაში „სეპარატიზმის"[4] წინააღმდეგი იყვნენ და უარყოფდნენ საქართველოს რუსეთისაგან იმ პერიოდში მთლიან გამოყოფას, მათი აზრით, იმ ეტაპისათვის ეს არც შესაძლებელი იყო და არც სასურველი. ამიტომ თავიანთ ბეჭდვით ორგანოში „საქართველო", 1903 წელს, პარიზში წამოაყენეს „ავტონომიური საქართველოს" იდეა. „ავტონომიური საქართველო" იქნებოდა სხვა ერებთან ფედერაციულად შეკავშირებული. სინამდვილეში არჩილ ჯორჯაძე ოპტიმალურ გზებს ეძებდა ქვეყნის უკეთესი მომავლის საქმეში. მას კარგად ესმოდა ეროვნული იდეოლოგიის მნიშვნელობა, რომელიც ორგანულ კავშირშია საკაცობრიოსთან. ეროვნულობა საკაცობრიო იდეალებს უნდა ემსახურებოდეს. ამის გარეშე ქართველი ერის წინსვლა გამორიცხულად მიაჩნდა. არჩ. ჯორჯაძის აზრით, დიდი თუ პატარა ერებისაგან შედგება კაცობრიობა, ამდენად ეროვნული სული ორგანულ კავშირშია საკაცობრიოსთან. არჩ. ჯორჯაძის ამ მოსაზრებამ ახალი შინაარსი შეიძინა დღევანდელ პირობებში. როცა ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების გზაჯვარედინზე დგას და როცა კოსმოპოლიტიზმი და ინტეგრაციული პროცესები ახალ სტადიაში შედის, განსაკუთრებულ მნიშვნე-

---

[1] ლ. გორგილაძე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში 1983 წ. გვ 114.

[2] როდესაც მისი პოლიტიკური შეხედულებების ცვალებადობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში ვიღებთ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას და ვეთანხმებით პროფ. ა. მუჯირის აზრს.

[3] უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალიზმის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1918-1921), 1970 წ. გვ. 210-217.

[4] „სეპარატიზმს" განიხილავდნენ, როგორც რუსეთისაგან აბსოლუტურად გამოყოფის მოთხოვნად.

ლობას იძენს ეროვნულ თავისებურებათა წარმოჩენა და დაცვა. ამის მაგალითს იაპონია იძლევა ყველაზე მეტად. ერი და ეროვნული ინტერესები არავის დავიწყებია, თვით „ბებერ“ ევროპაშიც კი, სადაც ინტეგრაციამ წაშალა სასელმწიფო საზღვრები და სხვა მნიშვნელოვანი ატრიბუტები და დასარჩენ ქვეყნიერებასაც იმას უჩვენებს, რომ კაცობრიობის მშვიდობიანი. ცივილიზებული განვითარება ბოლოს და ბოლოს „უსაზღვრო და ინტეგრირებული მსოფლიომდე მიგვიყვანს ყველას, მაგრამ ხალხთა და ქვეყანათა დაახლოება—ინტეგრირების იდეალურ პირობებშიც კი, ეროვნული თავისებურებანი და მათგან გამომდინარე ცხოვრების წესი და ტრადიციები უკვდავნი არიან. რუსი ვერასოდეს ვერ გახდება ინგლისელი, ანდა იაპონელი—ამერიკელი. ე.ი. საკაცობრიო იდეალების დიდი გზა „ეროვნულ ნიადაგზეც“ გაივლის.[1]

უდიდესი ქართველი მოაზროვნე და პოეტი ვაჟა-ფშაველა წერდა:

„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია. ესე როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა როგორც ჩვენებური) პატრიოტი. ასე რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და მნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენს განვითარებულ ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში“.[2]

ქართველი ერის წინაშე დიდი დამსახურების გამო კ. გამსახურდია უდიდესი პატივისცემით იგონებდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის ლიდერებს. იგი წერდა: „საქართველოში ხშირად ნახავთ

---

[1] უფრო დაწ. იხ. გ. ლობჟანიძის, ასი წლის წინ და ასი წლის შემდეგ. ქუთაისი 1998 წ. გვ. 120-151.

[2] ვაჟა-ფშაველა, თხზ. თბ., 1965 წ. გვ. 680.

დიდს და მოსიყვარულე გულს, სხვის სიყვარულისა და პატივისცემის მთიებით გამთბარს. ასეთი დიდი გული ახლო წარსულში ნეტარხსენებულ კიტა აბაშიძეს, არჩილ ჯორჯაძეს და ჩვენს საყვარელ მარად დაუვიწყარ სამსონ ფირცხალავას ქონდათ ლიტერატურაში"[1].

არჩ. ჯორჯაძის თეორიული მემკვიდრეობის შესახებ არა ერთი სამეცნიერო შრომა და მონოგრაფია დაიწერა. ამ წიგნში ჩვენ ნაწილობრივ მიმოვიხილეთ მისი ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებანი, რადგანაც გვსურდა მკითხველისათვის ერთგვარი წარმოდგენა შეგვექმნა ამ დიდი ერისკაცის ცხოვრება-მოღვაწეობისა და მსოფლმხედველობის შესახებ.

[1] კ. გამსახურდია, თხზულებათა ტ. მე-8, 1967 წ. გვ. 172.

ლევ ტოლსტოი

(სიცოცხლის ბრაგელია, მეხსიერება)

1910 წ.

ამ თორმეტიოდე წლის წინათ, ინგლისის აღმოსავლეთ-სამხრეთ კუთხეში დაარსდა ტოლსტოის მიმდევართა ახალშენი. აქაურები ერთ კომუნას შეადგენდნენ, საერთოდ ამუშავებდნენ მიწას და ცდილობდნენ საკუთარი მოთხოვნილებები თვითონვე დაეკმაყოფილებინათ. ამ ახალშენს იმ სანებში ასლოს ვადევნებდი თვალ-ყურს. შევამჩნიე, რომ ახალშენელთა შორის ორგვარი ხალხი იყო. ერთნი კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი ცხოვრებითა და მუშაობით, მეორენი კი თითქოს შეწუხებულნი და მოუსვენარნი. ერთნი ამბობდნენ, ჩვენ წარსულ ცხოვრებასთან შედარებით, ახლა სინიდისი დამშვიდებული გვაქვს, რადგან ვმუშაობთ და ვცდილობთ ჩვენვე დავიკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნილებანი. უკომპრომისოდ არც დღეს ვცხოვრობთ, მაგრამ ვცდილობთ და ვმოქმედობთ ჩვენის ძალ-ღონის დაგვარადაო. მეორენი ამბობდნენ, მართალია, ვმუშაობთ, მაგრამ ამ მუშაობით ვერ დავკმაყოფილდებით. ჯერ ერთი, ამ მუშაობით ყველა ჩვენს მოთხოვნილებას ვერ ვაკმაყოფილებთ. იძულებულნი ვართ ბაზართან დავიჭიროთ საქმე. სასყიდელი გვაქვს არა მარტო ტანთსაცმელი, სანოვაგეც კი, რადგან ამ ჩვენს პატარა მიწაზე კარტოფილისა და ბოსტნეულობის გარდა არა მოგვყავს-რა. და რაკი ბაზარში გავდივართ და ბაზართან გვაქვს დამოკიდებულება, მის წესს და ზნეს უნდა ვემორჩილებოდეთ. თუ გასაყიდი გვაქვს რაიმე, უნდა ვცდილობდეთ ისე გავყიდოთ, რომ სარგებლობა გერჩებოდეს. თუ სასყიდელი გვაქვს, აქაც ჩვენი ინტერესი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. ერთის სიტყვით, მიუხედავად ჩვენის მუშაობისა, ჩვენც ვართ ჩათრეულნი თანამედროვე სოციალურ წყობილების ქსელში და ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას უსამართლო და უვარგის საქმეშიო.

ახალშენი, ერთი თუ ორის წლის არსებობის შემდეგ, დაიშალა. დაშლის მიზეზი აშკარა იყო. „კმაყოფილთ“ თანდათან ჩაეძინათ თავიანთ კმაყოფილებაში. პიროვნების განუწყვეტელ წინსვლის აზრი მათ აღარ აღფრთოვანებდათ. „უკმაყოფილონი“ კი გაპყვნენ ამ პიროვნების მოძრავ სინიდისის მოთხოვნას. მათ წინ იდგა ქრისტიანულ მოძღვრების პრინციპი, რომელიც მათ სისრულესა და თავგანწირულებისაკენ იწვევდა. მათ სწყუროდათ მოქმედება თავისუფალი,—კავშირი უნდა გაეწყვიტნათ საკუთრებასთან, ფულთან და ყოველგვარ ორგანიზაციასთან. უბინაო მაწანწალობა და მუშაობით დახმარების აღმოჩენა იმათთვის, ვისაც უჭირდა ეს დახმარება, ე.ი. სოფლის მომუშავეთ. „კმაყოფილნი“ საკუთრებას და არსებულ წესს დაებღაუჭნენ, „უკმაყოფილონი“ კი განშორდნენ მათ, უზენაეს მოვალეობის აღსასრულებლად.

ყოველივე ეს მომაგონდა ახლა, ტოლსტოის თავის ოჯახიდან და მამაპაპეულ ბუდიდან გაქცევის ამბავი რომ გაიგე. თუ გვინდა იმის გაგება, თუ სად გარბოდა ტოლსტოი და რა აზრი და გრძნობა აღფრთოვანებდა და ამოძრავებდა 83 წლის მოხუცს, როდესაც იგი ფარულად და მალულად, ერთის მეგობრის თანხლებით, ამ ცივ შემოდგომაში სადღაც რიაზან-ურალის რკინის გზით მიდიოდა, თუ გვინდა ამ არაჩვეულებრივ საქციელის გაგება პეტერბურგ-მოსკოვის გაზეთების რეპორტიორების ნალაპარაკევი და ნავარაუდევი კი არ უნდა გვქონდეს მხედველობაში, არამედ თვით ტოლსტოის ნაწერები და მისი ცხოვრება, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ სად მიისწრაფოდა დიდებული მოხუცი და სად გარბოდა იგი მაშინ, როდესაც მის გულში სავსებით მომწიფდა მთელი მისი სიცოცხლის ნააზრევი განზრახვა.

ბევრსა ჰგონია, ვითომ ორი ადამიანია—ტოლსტოი მხატვარი და ტოლსტოი მორალისტი—მოაზრე. მხატვრობის ნიჭი, რასაკვირველია, განსაკუთრებული ნიჭია. მაგრამ აბა გამოჰყავით ამ მხატვრულ ნაწარმოებიდან მისი შინაარსი და ამ მხატვრობისგან არაფერი დარჩება. ტოლსტოი ერთი იმ მხატვართაგანია, რომელიც თავის შემოქმედებითის ძალით ამოძრავებდა მთელ თავის სულიერ არსებას. მართალია, უკანასკნელ წლების განმავლობაში ტოლსტოი მხატვრულ ფორმას აღარ დაეძებდა. იგი, პირდაპირ, მოურთველად ჰსახავდა თავის აზრს. მხოლოდ ეს იმას კი არა ამტკიცებს, ვითომ თავის ცხოვრების პირველ ხანაში ავტორი ერთს რამეს ამტკიცებდა და იცავდა, ხოლო ცხოვრების მეორე ხანაში მეორეს. არა, ტოლსტოი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის და მოღვაწეობის განმავ-

ლობაში ერთი აზრს, ერთი რამეს ემსახურებოდა. ეს იყო სიცოცხლის აზრის ძებნა, ეს იყო სიცოცხლის ბედშაობის აღიარება სიკვდილის წინაშე. ეს იყო ტიტანური შებრძოლება სიკვდილის პრობლემასთან. ამ აზრებს ტოლსტოი ხან მსატვრულ ფორმის საშუალებით ჰსახავდა, ხან კიდევ ფილოსოფიურ ტრაქტატებში ანვითარებდა. და ყრმობიდან სიბერემდე ტოლსტოი ამ სახით ერთი ადამიანია, ერთი მოაზრე და ერთი მწერალია, რომელმაც მხოლოდ ღრმა მოხუცებულებაში ჰპოვა და შეიშნო ის, რასაც იგი ეძებდა მთელ სიცოცხლის განმაელობაში.

ტოლსტოი ეძებდა სიცოცხლის აზრს. და ამ ძებნის პირველ ნაბიჯიდანვე იგი წააწყდა სიკვდილის პრობლემას, რომლის გადაწყვეტაზედაც იყო დაყმარებული აზრიანი სიცოცხლის შესაძლებლობა. სიცოცხლისთვის უნდა გამოენახა ახალი ნიადაგი და მისი არსებობა და მომავალი დაემკვიდრებინა უცვლელ და შეუდრეკელ საფუძველზე. რანაირად არის ეს შესაძლებელი როდესაც ჩვენი სიცოცხლე წარმავალი და დაუდგრომელი რამ არის? დაბადების წინ—სიბნელე, სიკდვილის შემდეგ—სიბნელე. და ჩვენი უბადრუკი სიცოცხლე გაჩხირულა ამ ორ გამოუცნობელ და სიბნელით მოცულ მარადისობის შუა. თუ სიცოცხლის ძარღვი, მისი არსებობის აზრი დროისა და სივრცის საზღვრებში იმყოფება, ფრიად ძნელი ხდება ამაოების ზარი აიცდინოს ადამიანმა ამ საკითხის გარკვევის დროს. ვინაიდგან უაზროა ის, რაც წუთიერია, რაც ნიადაგ მწუხარებას და ტანჯვას განიცდის, რაც გაუგებრად იბადება და გაუგებრადვე ჰქრება ხმირად უბრალო შემთხვევის წყალობით და ამ ჩვენს სიცოცხლეს, რომელსაც ღრღნის ავადმყოფობა, ჰჩლუნგავს სიბერე და ანადგურებს და შლის სიკვდილი, არავითარი აზრი არ უნდა ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში, ამ ბედშაობის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს მთელი ჩვენი არსება და არც გინდა სოფიზმებით დაამშვენეთ და გაამართლეთ საზღვარდადებული წუთიერება ჩვენის სიცოცხლისა, ამ სოფიზმებს ჩვენი ინსტიქტი და ჩვენი სინიდისი ვერ დაენდობა. და რაკი საქმე ასეა, ტოლსტოიმ დრო და სივრცე გადალახა, ემპირიულ მომაკვდავ სიცოცხლეს ზურგი უბრუნა და თავისი მოქმედების და მისწრაფების ცენტრი სააქაოდან საიქიოს გადაიტანა აზრი ახალი არ არის. ყველა რელიგიათა მოძღვრების ელფერი სწორედ ამ ხასიათისაა. ახალი არის აქ მხოლოდ ის, თუ როგორ განიცადა დიდებულმა ადამიანმა სიცოცხლის ტრაგიზმის პრობლემა და რა ფორმებში გამოსახა მან ძველისძველი სიბრძნე კაცობრიობისა.

ერთ თავის ნაწერში, „ცხოვრების შესახებ“, რომელიც ავტორის ეთიკო-რელიგიური აზრების სინტეზად ჩაითვლება, ლევ ტოლსტოი ამბობს: „დროსა და სივრცეს ჩემს სიცოცხლის შეგნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჩემი სიცოცხლე სწარმოებს დროისა და სივრცეში, მაგრამ ეს მხოლოდ მისი განსახიერებაა. თვით სიცოცხლე კი, რომელსაც ჩემში ვგრძნობ, დროსა სივრცეს გარეშე იმყოფება. ასე რომ, ამ შესედულების ძალით—სიცოცხლის შეგნება კი არა არის მოჩვენება, არამედ ყოველივე დროსა და სივრცეში მყოფი. ამიტომ დროსა და სივრცეში ხორციელ არსებობის მოსპობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მას არ შეუძლიან ჩემ ნამდვილ სიცოცხლის მოსპობა და მის წესრიგის დარღვევა. და ამ, შესედულების ძალით სიკვდილი არ არსებობსო“. (О жизни 96).

აქ სავსებით ისახება ტოლსტოის მეტაფიზიკა. უნდა კი ვსთქვათ, რომ ეს მეტაფიზიკა თეორიული სისტემის ნაყოფი არ არის. იგი მის სულიერ განცდის ნააზრევია. ტოლსტოიმ არავის არსად ვერ დაუმტკიცა თეორიულად, რომ არსებობს ზებუნებრივი, დროსა და სივრცეს გადაღმა მყოფი, სამეფო—ჭეშმარიტი სიცოცხლე. ტოლსტოისთვის, მისი სულიერი ვითარებისათვის, ტრაგიზმიდან თავის დაღწევისათვის, საჭიროა, რომ იყოს მუდმივი და მარადიული რამ, უმწიკვლო და უცვლელი სისრულე სიცოცხლისა, უმაღლესი სიკეთე, რომელსაც არც სივრცე ასუსტებს, არც დრო აბარებს და რომელსაც სიკვდილი არ ეკარება. ადამიანის მიწიერი სიცოცხლე მხოლოდ მცირედი ნაწილია დიდი სიცოცხლისა. „ადამიანი თავის თვალებით, ამბობს ტოლსტოი, დააშტერდება ხოლმე ამ პატარა, სულ პაწაწა ნაწილს თავის სიცოცხლისას, არ უნდა დაინახოს იგი სიგრძე-სიგანით და ცასცასებს, თვალებიდამ არ მომშორდეს ეს პაწაწა საყვარელი ნაწილი სიცოცხლისაო. სწორედ იმ გიჟის ამბავი მაგონდება, რომელსაც თავისი თავი შუშისა ეგონა და როდესაც ეგ შუშის ადამიანი მხლებლებს ხელიდან გაუვარდათ, ძირო! დაიძახა გიჟმა და იქვე გათავდაო. (იქვე, 106) ტოლსტოი დარწმუნებულია, რომ იგი ე.ი. მისი ჭეშმარიტი სიცოცხლე შუშისა არ არის და მას არავითარი საფრთხე არ მოელის. დარწმუნებულია იმიტომ კი არა, რომ მას თეორიულად შეუძლია დამტკიცება თავისი სიცოცხლის უკვდავება, არამედ იმიტომ, რომ ეს უკვდავება, მის ხსნისთვის, სიცოცხლის ბედშავობის მოსპობისათვის და სიკდეილის დათრგუნვისათვის საჭიროა მისთვის.

მიუხედავად ყველა ამისა, ტოლსტოის რელიგია, შედარებით ყველა არსებულ რელიგიებთან რაციონალური ხასიათის რელიგიაა, და

მიუხედავად საიმქვეყნო მისწარფებისა და იდეალისა იგი არსებით სააქმეყნო რელიგიაა. საამქვეყნოა იგი იმიტომ, რომ ეს მიწიერი სიცოცხლე საფეხური და ეტაპია უფრო მაღალ სიცოცხლისადმი მიღწევისათვის. ამიტომ არ შეიძლება უარყოფვა ამ მიწიერ სიცოცხლისა. მართალია, იგი ტანჯვით არის ავსილი. ხოლო ტანჯვა საჭიროა ადამიანისათვის, რადგან ტანჯვა მხოლოდ აქ მიწაზეა, მიწა კი გვირაბია საიმქვეყნოში გასასვლელი. ვისაც სიცოცხლე უნდა, ტანჯვა უნდა აიტანოს, გვირაბი განელოს და თავს დააღწევს ჭეშმარიტ სიცოცხლის სამეფოში. ამგვარად, ტოლსტოიზმი ცხოვრებიდამ გაქცევას არ ჰქადაგებს. მისი რელიგია მოქმედია. თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მოქმედებისათვის იგი იმას წააქეზებს, ვისაც სჯერა, რომ ეს ჩვენი წუთისოფელი მხოლოდ ერთი მომენტი და გარეგანი გამოსახულებაა დიად და მარადიულის სიცოცხლისა. და ვისაც ეს არა სჯერა, იგი აუჯანყდება ამ სიცოცხლეს და მასში გამეფებულ ტანჯვას და ვერას გზით ვერ შეიწყნარებს ტანჯვის აუცილებლობის საჭიროებას. რაციონალურია ეს რელიგია იმიტომ, რომ მან თავი დააღწია დოგმატებს ოფიციალურ ქრისტიანიზმისა და თავის ხსნისათვის მას არავითარი შუამავალი არ დაუწესებია, წინააღმდეგ ორთოდოქსალურ ქრისტიანიზმისა, რომელსაც ამ შუამავლად ეკლესია დაუსახავს. რაციონალურია იგი, აგრეთვე, იმიტომ, რომ მას უკვდავება მატერიალურ სიცოცხლის ტერმინებში არა აქვს წარმოდგენილი. აქ არ არის არც მკვდრეთით აღდგომა მატერიალური პიროვნებისა, არც მატერიალურად დასახვა „ედემისა“, სადაც, მაჰმადიანთა რწმენის მსგავსად, უკვდავნი შეექცევიან ამა ქვეყნის სიამეთა გრძნობებით.

რაკი ასეა, ტოლსტოის მოძღვრების ძალა თვით ადამიანია და მისი იარაღი გონიერებაა. ამ ადამიანმა თვითონ უნდა მოჭედოს თავისი ბედნიერება და მისმა გონებამ უნდა დაასაბუთოს ამ ბედნიერების მოპოვების შესაძლებლობა. და ამიტომ არის, რომ ტოლსტოის აზრი იმ თავითვე სიკვდილის პრობლემას დასტრიალებს და აქ ეძებს, ამ პრობლემის ჯეროვანად განმარტებაში ეძებს იგი ხსნას მიწიერ სიცოცხლის ბედშაობისაგან. იგი ამბობს: „წარმოდგენილი მაქვს, რომ ვკვდები და თავდება ჩემი სიცოცხლე. და ეს აზრი მაწუხებს და მაშინებს, რადგან ჩემი თავი მეცოდება. ხოლო რა მოკვდება? რა მეცოდება? რა ვარ მე სულ უბრალო შეხედულებით? უწინარეს ყოვლისა, მე ხორცი ვარ. კეთილი. მაშ ამისი მეშინიან და ეს მეცოდება? თურმე არა. ხორცი და ნივთიერება, არასდროს არ დაიკარგება, არც ერთი მისხალი არ დაიკარგება. მაშ ამ მხრივ,

უბრუნველი უნდა ვიყო, აქ საფრთხე არ მომელის. ყოველივე გადარჩება. არა, ამბობენ, ეს კი არ მეცოდება, მეცოდება ჩემი თავი, ლევ ნიკოლოზის ძე და ივანე სიმეონის ძე... მაგრამ ყოველი ადამიანი ხომ ის აღარ არის დღეს, რაც ამ 20 წლის წინად იყო და ცისმარე დღეს ადამიანი იცვლება. არა, განაგრძნობენ, ეს არა, ეს კი არ მენანება. მენანება ჩემი შეგნება, ჩემი „მე" მენანება. კეთილი. მაგრამ ეს შენი შემეცნება ყოველთვის ერთი და იგივე ხომ არ იყო, არამედ სხვადასხვა. ერთი წლის წინად სხვა იყო, ათი წლის წინად კიდევ უფრო სხვა და ამის იქით კიდევ უფრო და უფრო სხვა. რაც შენი თავი გახსოვს იცვლებოდი. მაშ რა მოგეწონა ისეთი შენს ეხლანდელ შემეცნებაში, რომ ისე გენანება მისი დაკარგვა? კიდევ მესმის, იგი ერთი და იგივე, უცვლელი რომ ყოფილიყო, მაგრამ იგი მუდამ ჟამს ცვალებადობაში იმყოფებოდა. იმის დასაწყისს შენ არა ხედავ და ვერ მოგიძებნია იგი და აბა რანაირად გინდა, რომ მას ბოლო არა ჰქონდეს, რომ ის შემეცნება, რომელიც ახლა შენშია, სამუდამოდ დარჩეს იქ. რაც შენი თავი გახსოვს, სულ მოძრაობაში ხარ. თითონაც არ იცი, როგორ შემოდგი ფეხი ამ სიცოცხლეში, იცი მხოლოდ, რომ აქ მოხვედი იმ განსაკუთრებულის „მე"-თი, რომელიც შენა ხარ. მერე მიდიოდი, მიდიოდი, შუაგზაზე მოხვედი და ერთბაშად თითქოს გაგეხარდა, თითქოს შეგეშინდა, შედექი, გაჯიუტდი და ფეხს აღარ ინაცვლი, წინ აღარ მიდიხარ მხოლოდ იმიტომ, რომ არა ხედავ, რა იმალება იქ. მაგრამ ხომ არც ის ადგილი გინახავს, საიდამაც მოხვედი, მოსვლით კი მოხვედი. შემოსავალ ჭიშკარში კი შემოხველ და გასავალ კარებიდან გასელა აღარ გინდა. მთელი შენი სიცოცხლე კი ხორციელ არსებობის პირობებში მოძრაობა იყო: მოდიოდი, გეშურებოდა და ეხლა ერთბაშად იმისი შეგეშინდა, რასაც მუდამ სჩადიოდი. გეშინიან შენი მღგომარეობის დიდი ცვლილებისა ხორციელ სიკვდილის გამო. მაგრამ ამისთანა დიდი ცვლილება ხომ შენი დაბადების დროსაც განიცადე. და ამისაგან შენთვის ცუდი არა გამოვიდა რა, პირიქით, ისეთი კარგი რამ გამოვიდა, რომ მას ვერც კი შორდები... ხოლო თუ იმისი დაკარგვა გეშინიან, რაც ხორციელი რა არის, ე.ი. განსკუთრებული გონიერი დამოკიდებულება ქვეყნისადმი, ის, რითაც შემოხვედი ამ სიცოცხლეში, შენ კარგად იცი, რომ იგი შენს დაბადებასთან არ შობილა. იგი არსებობს შობილ ხორციელობის დამოუკიდებლად, ამიტომ ამ ხორცის სიკვდილი მას ხელს ვერ შეახებსო. (იქვე, 115).

აქ არის ძარღვი ტოლსტოის ფილოსოფიისა, „განსაკუთრებული გონიერი დამოკიდებულება ქვეყნისადმი" უკვდავი და მარადიულია,

რადგან იგი იყო ფიზიკურ სიცოცხლის გაჩენამდე, იქნება მის სიკვდილის შემდეგო. აქეც არის, თუ გინდათ, სისუსტე ამ ფილოსოფიისა, რადგან ტოლსტოი თითქოს არა პბედავს იმ აზრის გამოთქმას, რომ ეს „განსკუთრებული გონიერი დამოკიდებულება ქვეყნისადმი“ თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ არ არის ნათლად დასახული სუბიექტი და პიროვნება, რომელსაც აქვს ეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ქვეყნისადმი. უკდავ პიროვნებაზე ლაპარაკი ტოლსტოის არ ესერსება, ერთის მხრივ, ორტოდოქსალურ ქრისტიანობის შიშით, რომელსაც ეს პიროვნება მატერიალურის თვისებებით აქვს წარმოდგენილი, მეორეს მხრივ, რაციონალურ მეტაფიზიკის უარყოფის გამო, რომლსი საბუთები მის ინტუიციასა და გრძნობაში გადადებულ აზრებს არ ესამუშებოდა.

ასე თუ ისე, ახლა ჩვენთვის ნათელია, თუ რა იყო ტოლსტოის სიცოცხლის აზრი, რას ესწრაფებოდა იგი თავის სიცოცხლის განმავლობაში, როგორ უყურებდა თავის მიწიერ ყოფნას; რა ფასი უნდა ჰქონოდა მის თვალში ოჯახს, საკუთრებას, ეკლესიას, სახელმწიფოს და ადამიანთა ყოველგვარ და ყოველ სახის ორგანიზაციას. ნათელია ჩვენთვის, რომ ლევ ტოლსტოი თავისთავს ისე უყურებდა, როგორც მგზავრს და ის გარემოება, რომ მან, 83 წლის მოხუცმა, რომელსაც არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა არც სახელმწიფოსთან, არც ეკლესიასთან, არც საკუთრებასთან, ხელის უკანასკნელის გაქნევით, ოჯახსაც დასშორდა. ეს გარემოება საკვირველის თანდათანობით და ჰარმონიით გამომდინარეობს მის წარსულ ცხოვრებიდან და აზროვნებიდან. და მისი გაქცევა განსახიერებული სიმბოლოა იმ დაუსაბამო და უსრულო სულიერ მოძრაობისა, რომელიც საფეხურიდან საფეხურამდე ნელ-ნელა ათავისუფლებდა მოხუცს საამქვეყნო ტყვეობისაგან, საამქვეყნო სიამეთა-მწუხარებისაგან. იდუმალო ხმა, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში ეძახდა, ნიადაგ ეუბნებოდა: მოვედით ჩემდა მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ. აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა, და ისწავეთ ჩემგან: რამე თუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა; და ჰპოვოთ განსვენება სულითა თქვენთა, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს. (მათესი 11, 28-30).

წინა წერილში ტოლსტოის შესახებ ინგლისში დაარსებულ ტოლსტოის მიმდევართა მიერ ახალშენზე ვსთქვი ორიოდე სიტყვა. იმ ხანებში ამ ახალშენის შესახებ წერილი დავბეჭდე ჟურნალ „სევ. ვესტნიკ“-ში (1898 წ.), და შარშან ამავე საგანზე საყმაწვილო ჟურ-

ნალ „ნაკადულ"-შიაც მქონდა მოყვანილი რამდენიმე ცნობა. ახლა მინდა ვსთქვა ცოტა რამ მის ასლო მეგობართა შესახებ, რომელნიც დაახლოვებით გავიცანი ინგლისში ყოფნის დროს. ახალშენი დაარსდა სოფელ პერლი-კოკლასში, ესეკსის საგრაფოში. გარდა ფიზიკურად მომუშავეთა ახალშენის გარშემო თავი მოიყარეს და ჩამოსახლდნენ ისინი. ვინც თანაუგრძნობდა ტოლსტოის მოძღვრებას და იმგვარ სადა, მუშურ ცხოვრებას, რომელსაც ეწეოდნენ ახალშენელები. ინგლისელების გარდა (მოოდი, ტოლსტოის თხზულებათა მთარგმნელი, კენვორდი, მწერალი სოციალურ-ქრისტიანულ მიმართულებისა), აქ გაჩნდნენ რუსებიც. ესენი იყვნენ ტოლსტოის უახლოესი მეგობრები და მოწაფეები რუსეთიდან გაძევებულნი და ძალაუნებურად ინგლისში გადმოხვეწილნი—ვლ. ჩერტკოვი, პაველ ბულანჟე, ბირიუკოვი და თავადი ხილკოვი. ყოველი მათგანი წვრილშვილის პატრონი იყო და დედაბუდიანად წამოსულიყვნენ რუსეთიდან. მიზეზი მათის გაძევებისა რუსეთიდან ის იყო, რომ ისინი აშკარად მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ იმ ხანებში მთავრობის მიერ დევნილ დუხობორებს, რომელნიც სცხოვრობდნენ ჩვენს სამშობლოში, ბორჩალოს მაზრაში.

დუხობორები აღიარებდნენ ქრისტეს მცნებას ისე, როგორც სახარებაში სწერია. სახარებაში კი სწერია: არა კაც ჰკალ; ქრისტემ დაჰგმო არა მარტო მკვლელობა, რაგინდ მიზნითაც ყოფილიყო იგი ჩადენილი, დაჰგმო, აგრეთვე, მტრობა და სიძულვილი და ჰქადაგებდა: შეიყვარე არა მარტო მოყვასი შენი, არამედ მტერიცაო. ასე სწერია სახარებაში. და დუხობორებმაც დაუჯერეს სახარებას და როდესაც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჯარში გაიწვია ისინი სამხედრო სამსახურის აღსასრულებლად, დუხობორებმა უარი უთხრეს მთავრობას, ჯარში ვერ გავალთ, თოფებს ხელში ვერ ავიღებთ, მტერს ვერ ვეომებით, რადგან ქრისტიანი ხალხი ვართ, ქრისტემ კი სიყვარული გვამცნო და არა კაცის მკვლელობა და სისხლის ღვრაო. ადმინისტრაციას ეს პასუხი არ ესიამოვნა. აცნობეს ამბავი ცენტრალურ მთავრობას. იქიდან ბრძანება მოუვიდა ტფილისის. გუბერნატორს, იმ ხანად თავად შერვაშიძეს, ძალით გამორეკე ეს ჯიუტი და უცნაური ხალხიო. შერვაშიძემაც მიუსია მშვიდობის მოყვარე ხალხს კაზაკთა რაზმები. მათრახებით ერეკებოდნენ. მაგრამ დუხობორებს გული არ გაუტყდათ, ეს ამოდენა ბღვა ხალხი ფსალმუნების გალობით მიეგება მათრახების ტლაშა-ტლუშს. შეწუხებას და ტკივილს არ იმჩნევდნენ, მაღლა ცისაკენ იყურებოდნენ სასოებით, თითქოს შველას და ხსნას იქიდან მოელოდნენ და თითქოს მზად იყვნენ

უარესი ტანჯვა აეტანათ ქრისტეს სჯულისათვისო. სასტიკად დაისაჯნენ. რაკი ვერას გახდა ადმინისტრაცია და ვერც მუქარით ვერ დაიყოლია დუხობორები, აჰყარა ისინი თავიანთ სოფლებიდან, შრომით და ოფლით აშენებულ სახლ-კარს მოაშორა და გაჰფანტა საცხოვრებლად ქართლის სოფლებში. ჩვენი ხალხი, თუმცა თავადაც უჭირს და მძიმე ტვირთ ზიდვაშია, მეგობრულად შეჰხვდა დევნილ დუხობორებს და რითაც კი შეეძლო, მუშაობით თუ სხვა დახმარებით, ეხმარებოდა მათ. მაგრამ გაჭირვება დუხობორებისა მაინც დიდი იყო. თვალების და კუჭის ავადმყოფობა გახშირდა მათში და ბევრიც წუთისოფელს გამოესალმა.

რუსეთის განათლებული ნაწილი დიდად იყო აღშფოთებული ყოველივე ამით. ყველანი, განურჩეველად იმისა, მორწმუნენი იყვნენ ისინი თუ ურწმუნონი, ჰკიცხავდნენ ამ სასტიკ პოლიტიკას. და თუ ფართო საზოგადოებაში ასეთი აღელვება იყო, აღვილად წარმოსადგენია, როგორ იყვნენ აღშფოთებულნი და შეწუხებულნი ისინი, ვინც დუხობორებსაეით უარჰყოფდნენ ძალმომრეობას და ვინც, ტოლსტოის და მის მიმდევრების მსგავსად ქრისტეს სჯულს აღიარებდნენ ცხოვრების საფუძვლად. ტოლსტოი და მისი მეგობრები აგროვებდნენ ფულს დუხობორების დასახმარებლად. და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გააძევეს რუსეთიდან ჩერტკოვი, ბულანჟე, ბირიუკოვი, ხილკოვი და სხვანი. გაძევებულნი გაიხიზნენ ინგლისში. და აქ ინგლისში დაიწყეს აგიტაცია დუხობორების სასარგებლოდ. მათ უნდოდათ დუხობორების გადმოსახლება ინგლისის სამფლობელოში ამერიკაში, სახელდობრ—კანადაში. და ამ დიდ საქმის მოწყობას ანდომებდნენ თავიანთ ძალ-ღონეს ინგლისში ყოფნის დროს. აღვილი საქმე არ იყო 12.000 ადამიანის გადასახლება შორეულ ქვეყანაში. მაგრამ დაუცხრომელმა ენერგიამ ყოველივე სძლია და დუხობორების გადასახლება ამერიკაში მოხერხდა.[1]

[1] არჩილ ჯორჯაძე, თხზ. წიგნი III, თბ. 1911 წელი

საზოგადოებრივი ორგანიზაციის ზნეობრივი ცხოვრების გამოცდილება

ბევრი თქმულა და დაწერილა რუსეთში ეგრეთწოდებულ ინტელიგენტურ სამიწათმოქმედო კოლონიებზე. სინათლისა და ცხოვრების განმსაზღვრელი აზრის ძიება საზოგადოების დაბალ ფენებში, „დედამიწაზე", შრომისმოყვარე, უხინჯო ადამიანებს შორის, ცხოვრება, აღსავსე, სიმართლისძიებისა და შრომისათვის ოფლის უშურველად დაღვრაში—ყალიბდებოდა, არა გარემო პირობებში, არამედ თვით ამ თვისებების მაძიებელ ადამიანში, საქმიანი სწრაფვა სრულყოფისათვის—ყველაფერი ცნობილი მოგივებია რუსული ინტელიგენციის ცნობილი ნაწილის მიერ გადატანილი და განხილული საქმიანობისა დღემდე.

ამიტომაცაა, საინტერესო შეჩერება ანალოგიურ მოვლენებზე, რომლებიც აღმოცენდა იმ პირობებში ადგილისა და დროის მიხედვით, იმისათვის რომ დადგინდეს მეტნაკლები ობიექტური დამოკიდებულება იმ მწვავე საკამათო საკითხებისადმი, რაც ბოლო დროს რუსეთში მსჯელობის საგანი გახდა. ამასთან შესწავლა იმ ანალოგიური მოვლენებისა ორ სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ ფორმაციაში მეტ შუქს ფენს იმ მიზეზებს, რომლებიც მისგანაა წარმოქმნილი.

აქედან გამომდინარე ჩვენ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ტოლსტოის სამიწათმოქმედო „კოლონიაზე" ინგლისში. დამკვიდრებულზე წელიწადნახევრის უკან ლონდონთან ახლოს, ესექსის საგრაფოში „კოლონია ეს არის ახალი გამოცდილება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ზნეობრივი ცხოვრებისა და ამიტომაც საზოგადოების დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ძველ, გაცვეთილ ცხოვრების ფორმებში ყოველთვის მოინახება ის ელემენტები, რომლებიც ანადგურებს ამ გაცვეთილ ელემენტებს და ამასთან ქმნის ახლებსაც. ყოველივე ეს განპირობებულია განვითარების განსაზღვრული პროცესებით, რომლებსაც ემორჩილება მოვლენათა მთელი სისტემა, მაგარებელნი სიკვდილის აღმოცემისა. ამასთან მოწინააღმდეგენი საკუთარი განვითარებას, რომლებიც წინა-

აღმდეგობაში თვითონვე ნადგურდებიან, მოელენები, მისულნი უკიდურეს განვითარებამდე თვითონ ხდებიან საწინააღმდეგოსი, მაგრამ ცხოვრების განვითარების ეს დიალექტიკური პროცესი მუდმივსა და აუცილებელს წარმოადგენს როგორც ბუნების კანონი, არცთუ ისე ხშირად დამთხვევით, განვითარების პროცესს და ადამიანის სულის მოთხოვნაზე. თვითშეგნება და აზრები ხომ თავისუფალი და დამოუკიდებელნი არიან, რის გამოც ვღებულობთ შეუსაბამობას და მუდმივ კოლიზიას სულიერ და მატერიალურ სამყაროებს შორის, თვითგამორკვევისა და სხვა გარე არსებობის პირობები. და იმ შემთხვევაში როდესაც დროის მისედვით მის ფორმების გადატრიალებას წინ უსწრებს აზრობრივი გადატრიალება, იქმნება ნიადაგი, რომელზეც მწიფდება ცხოვრების ძირითადი წინააღმდეგობა — შეუძლებლობა მთლიანი ეთიკური იდეალის განსახიერებისა ცხოვრების კონკრეტულ ფორმაში. ეს ცხოვრების ძირითადი წინააღმდეგობაა. საგანგაშო და მტანჯველი ბრძოლით, ადამიანის სულისკვეთების შეზღუდულობის ზღვარიდან გასვლა. ყოველივე ეს განსაკუთრებით თვალში საცემია, სოციალური ცხოვრების გარდაქმნასა და გაუმჯობესების დროს. სწორედ ასეთ მცდელობას წარმოადგენს ტოლსტოის „კოლონია"—ინგლისში კი მსგავსი მოელენები სრულიად ახალი და განსაკუთრებით ნათელია. კაპიტალისტურ ბურჟუაზიულ ქვეყნებში იქმნება „თემი" ინტელიგენტური მიწათმოქმედნი, რომლებმაც ცხოვრების ძირითად მიზნად დასახეს პირადი სრულყოფა, სწრაფვა სიმართლისათვის და საქმიანი ეთიკური აზრისათვის. ამის შედეგად—ბრძოლა ძალადობის ყველა გამოელენის, ბოროტების და უსამართლობის, სიღარიბის, უთანასწორობის, გარყვნილების წინააღმდეგ. აგრეთვე, ყველაფერი იმისა, რაც ბურჟუაზიული ცივილიზაციის გარდაუვალ თანამგზავრს წარმოადგენს. საგრაფო ესექსი ის ცენტრია, სადაც თავმოყრილია ამ „ანარქისტული" კოლონიის მთავარი ელემენტები. რომლებიც დიდი ნდობით სარგებლობენ და აქედან გამომდინარე აღწევენ საზოგადოებრივ სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანთა მხარდაჭერასაც ადგილობრივ მოსახლეობას შორის. სოფლების ჰურლაჟი, კოკოლექსი, დანბერი, სენდონი და სხვა სოფლების მცხოვრებლები, მცოდნენი სიტყვისა და კალმისა და შემძლენი ადგილობრივ მოსახლეობაში ცხოვრების პრინციპების გავრცელებისა. აგებულნი თვითგანწირვისა და სიყვარულის კანონზე.

„კოლონია"—ეს შედარებით ხალხთა პატარა ჯგუფია 16 ადამიანისაგან შემდგარი. შეერთებული მჭიდრო ოჯახად რომელიც შეუპოვარი და მძიმე შრომით ქმნის თავის მატერიალური ცხოვრების

საშუალებას. ეს ხალხი, მცირეოდენი გამონაკლისით, თავისი წარსული ცხოვრებით, მიეკუთვნება ინგლისური საზოგადოების ბურჟუაზიულ კლასებს. ეს ხალხი დიდ ცენტრებში, ლონდონსა და სხვა ქალაქებში, სამხრეთ და ჩრდილოეთის მაცხოვრებელნი ხალხია, რომლებსაც განსაზღვრული საზოგადოებრივი ადგილი უჭირავთ, როგორც მოსამსახურე კანტორაში, ბანკებში, ინჟინრის თანამდებობის მქონე, რანტიები და მეცნიერულ მოღვაწეობაში.

ასლა კი ისინი ჯგუფდებიან ერთ სიმპათიური ოჯახის გარშემო, რომელიც მათთვის წარმოადგენს ოჯახს, ადგილს სადაც დროგამოშვებით აწყობენ პატარა მიტინგებს. ცხოვრობენ „კოლონისტები" განსაკუთრებით უბრალოდ. პატარა კოტეჯებში, ჯგუფურად, ორი ან მეტი ადამიანი ერთად. კოსტიუმები ჩვეულებრივი აქვთ—პიჯაკები, რედანგოტი, უბრალო პიჯაკები არც რუსული ბლუზებია, არც თოკები ქამრის მაგიერ. სუფრა „კოლონისტებს" ვეგეტარიანული აქვთ—ჭამენ უმთავრესად პურს, ყველს და ვაშლს. სახლის წესში შეინიშნება სისუფთავე და სიწმინდე.

ერთადერთი ფუფუნება, დაშვებული „კოლონისტების" მიერ თუ შეიძლება ეუწოდოთ მას ეს სახელი ეს თაროებია წიგნებისა, ლამაზ და ფერად ყდებში. აქ გარდა სპეციალურ დარგობრივი ცოდნის თემებისა, შეიძლება ნახოთ ბევრი წიგნი საზოგადოებრივი და ფილოსოფიური უპირატესად ეთიკა რელიგიურ საკითხებზე. ტოლსტოი, ემერსონი, და პოეტი შელლი, სამაგიდო წიგნებად ქცეულა. მუშაობას ექვსი საათისათვის ამთავრებენ და საღამო კითხვას და საერთოდ გონებრივ მეცადინეობას ეთმობა.

„კოლონიას" თავისი ორგანო აქვს და „ახალი წესრიგი", გამოცემული ცნობილი ორატორისა და მწერლის კემვორტის რედაქციით—თვალყურს ადევნებს პრესას, მიჰყავს დიდი კორესპოდენცია, აწყობს მიტინგებს, რომლებზეც ხანდახან გუნდურად მღერიან და ეწევიან სერიოზულ საუბრებს. საერთო სამუშაო თავმოყრილია პატარა მიწის ნაკვეთებზე, რაც თემის საკუთრებაა. აქ აგებულია პატარა აგურის სახლი საცხოვრებლად და სამეურნეო საჭიროებისათვის, მუშავდება მიწა ბოსტნებისა და სათესისათვის, აქვეა განსაკუთრებით გამოყოფილი ადგილი შინაური ფრინველისა და პატარა საფუტკრისათვის. საერთოდ ყველა ღონეს ხმარობენ კოლონისტები მეურნეობის განვითარებისა და გაფართოებისათვის და აუცილებელი ინვენტარის სრულყოფისათვის. ასეთი მუშაობით თემი ქმნის პროდუქტს, რომელსაც თვითონ არ საჭიროებს, მაგრამ ღებულობენ ნავაჭრს ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის.

ადამიანს, აღზრდილს რუსეთში, სადაც ყოყოჩობენ ჰამლეტის პრობლემებით, სადაც კამათობენ „შესრუტვამდე“, განთიადიდან განთიადამდე—შეიძლება უჩვეულოდ მოგეჩვენოთ და გაუგებელი დარჩეს ჯგუფური თავშეკავება რეგულარული და ინგლისური „კოლონისტების“ საოცარი თავაზიანი ცხოვრებისა. არც კამათი, არც პაექრობა, სიცოცხლისა და სიკვდილზე, არც თამამი სულის ფართო მოძრაობა,—აქ არ არის, მაგრამ აქ არის განსაკუთრებული ბნელი სასეები, მელანქოლიური სახის მეტყველებით.

აუცილებელი სამუშაო დღითი დღე. საუბრები—ყველაზე მოკლე და აუცილებელი. თავისუფალ დროს კითხვა და განმჭვრეტი დასვენება. ხანდახან, პატარა ან დიდი ვითარების მიხედვით—მიტინგები, სადაც მშვიდად საუბრობენ, აუჩქარებლივ, ერთმანეთთან შეცილების და სიტყვის გაწყვეტის გარეშე, თავის მოწონების გარეშე, ქებადიდების და ცრუ თავმოყვარეობის, ესოდენ ძლიერ ჩვეული ყველა აზარტულ და ხმაურიან მოკამათეებისათვის მოგეჩვენებათ, რომ ამ ხალხისათვის სრულიად მიუწვდომელია ძლიერი სულიერი მოძრაობა, ღრმა და ნათელი განწყობა, რომ ეს—ჩვეულებრივი პატიოსანი მუშაკები, ყოველგვარი სულიერი მოთხოვნილების გარეშე, სინათლისა და ღმერთის ძიების გარეშე არიან. მაგრამ ეს ასე არ არის. „უცხო მისწრაფება ბერული ძმობის ჩამოყალიბება“—მოგვითხრობს პატარა ჩანაწერი ფურცლებზე.

ჰონი—ერთ-ერთი საქმიანი წევრი „კოლონიის“—ჩვენ ყველანი ვისწრაფით ვიაროთ იმ გზით, რომლითაც ჩვენ გვიზიდავს ჩვენი სინდისი. სანამ ჩვენ ვცდილობთ განვამტკიცოდ ჩვენში პატივისცემის გრძნობა სხვებისადმი, უფრო მეტი ვიღრე ჩვენდამი, და ნათელია, რომ თუ ჩვენ არაფერს არ გავაკეთებთ, დაველოდებით, სანამ სხვები შეჰყვებიან ჩვენ შეგნებულ გზას—წინ წასვლა შეუძლებელი გახდება. ჩვენ ვცხოვრობთ, ყოველთვის ვაძლევთ თავისუფლებას, განავითაროს თავისი ცხოვრება ჭეშმარიტების და სიყვარულის მიმართულებით. ჩვენ ხელს ვუწყობთ ხალხის გაერთიანებას, სულის კვეთებით: „თქვენ ყველა ძმები ხართ“! მაგრამ ჩვენ ის არ ვართ, რაც გვინდა ვიყოთ, ჩვენი იდეალი უფრო მაღალია, და ჩვენ ვერ ვაღწევთ ამას ახლა“.

იმავე ჟურნალში„ “—ჩვენ გვაქვს სხვა სახასიათო ჩანაწერი—თავმდაბალი, მშვიდი ახალგაზრდა, ბრწყინვალე შუქმფენი თვალები, რომლებიც გამოხატავს მის ნაზ, ლამაზ სულს. „ბევრი ხალხი ეწვია ამ თვეში ჩვენ კოლონიას. ზოგიერთი მომსველელი, თითქოს გვაბრალებდნენ ჩვენს ცხოვრებაში პირობების და აუცილებელი ნივთების

უქონლობის გამო, წერს იგი. მაგრამ პიონერთა პირობაზე მყოფნი, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმეტესი სერიოზული სამუშაო ჩვენს მიერ უკვე შესრულებულია და ჩვენ გვეშინია კომფორტის ნაკლებობის კი არა, რასაც მეტი საწილი ჩვენთაგანის მიჩვეული იყო აღრე, მსოლოდ საკუთარი სისუსტის, რომელიც ნებას მისცემს ჩვენს სინდისს იცხოვრო ფუფუნებაში, ჭეშმარიტი ცხოვრების აზრით ემსახურო სხვას, შესწირო მას საუკეთესო ძალები და ნიჭი.

მე ხანდახან ვსევდიანობ, როცა ვამჩნევ, რამდენი სიმპათიები იფლანგება ჩვენზე კეთილი ადამიანების მიერ,—სიმპათიები, რომლებიც ასე აკლიათ სხვებს, მცხოვრებთ ჩვენს ირგელივ საშინელ სიღარიბეში. მე ვსევდიანობ ამ კეთილ ადამიანების გამო, მაგრამ მე არ შემიძლია მათ ეს გავაგებინო მე მგონია, რომ მათზე ვახდენ ბედკრული ადამიანის შთაბეჭდილებას და მე მინდოდა მათ გაეგოთ, რომ ჩემი სევდა რწმენითაა წარმოშობილი, რომ მათი ცხოვრება არც ისე სავსე და ბედნიერია, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო. აღრე სანამ ჩემი გონება არ იყო გაღვიძებული დიდი თანამედროვე მწერლის ნაწერებით და ქრისტეს იდეების შესწავლით, რომლისკენაც ამ ნაწერებს მივყავართ, მე ვერ ვსარგებლობდი ჩემი ბედნიერებით. და მე ვისურვებ, რომ სხვებშიც გაიღვიძოს ცხოვრების ჭეშმარიტმა გაგებამ და მიჰყვნენ თავისი საუკეთესო სწრაფვით სიმართლისაკენ. ჩვენთან არავის არ შეუძლია სრულყოფილებას მიაღწიოს იმ წუთში. ჩვენ ყველა ხანდახან ვიქცევით ცუდად და უგუნურად. მაგრამ პატიოსანი სიმართლის მიღებით და ჩვენი იდეალების ამაღლების მოწადინებით, ცოტაოდენ შეგვიძლია მიეაღწიოთ იმას, როგორი უნდა იყოს ადამიანი.

ეს აზრები ჩვენ სინთეზად გვეჩვენება და ხასიათის გამომჟღავნება, ჩვეული ყველა „კოლონისტების" მიერ. ამ ხალხის მიერ ბევრია გადაფიქრებული და შეგრძნებული წარსულში, რომელთანაც მათ მოთავებული აქვთ ანგარიშები. ბევრი საიდუმლო სულიერი მუშაობა წავიდა ცხოვრების აზრის და მსოფლგაგების მიგნის გამოსარკვევად. და ეს ყრუ განუწყვეტელი შინაგანი მტვრევა გამოწვეული იყო ცხოვრებით, წინააღმდეგობებით აღსავსე, ნერვიულ დაძაბულობით, წრიალი და ძლიერი შეგრძნება—დიდი ქალაქების ცენტრების ცხოვრებით, სიღარიბის აღმაშფოთებელი სურათით, კოლოსალური სიმდიდრის გარშემო, ყველა ჩვეულებრივი მეცადინეობებით, ღითი ღე მეცადინეობებით. რომლებიც ასუსტებს ახალ შთაბეჭდილებებს, რომლებიც ართმევს ბევრ ნერვიულ ენერგიას და ურთიერთ სულიერი სიცარიელის შეგრძნების მომცემი, მოწყობილობა

და გულდამძიმებულობა. ამ ხალხმა გაიღვიძეს და გამოიფხიზლეს იმ აჩქარებულ ღვარძლიან ცხოვრებისეულ ბრძოლაში, კონკურენციებში, ცხოვრებისეულ დამონებაში, შეჩერდნენ და გადავიდნენ გვერდზე საერთო ისტორიის ნაკადიდან. შეხუთული, შმორიანი ატმოსფერო თანამედროვე შეხედულებებით და გავლენით, რომლის ტვირთის ქვეშ მყოფი ხალხის გარემო იღუპება.

მოკრძალებულობა და სისუსტე მძიმე და აუტანელი გახდა ხალხისათვის, რომლებსაც მახვილი სინდისი აქვთ, სიყვარულის წყურვილის და თვითაღკვეთისა, და მათი სულიერი ტანჯვა წამების ყველა სტადია აქვთ განვლილი. თანამიმდევრობით გადაიტანეს სოციალური სისტემის მთელი რიგი და რომ ვერ ნახეს თავის კითხვებზე პასუხი, მიმართეს აღსრულებისათვის სიყვარულის კანონს, უარყოფა და სწრაფვას უმაღლეს ზნეობრივ იდეალისკენ, და ახლა ამ ხალხმა, რომლებმაც უარი თქვეს კომფორტზე, კარგ პირობებზე და დედაქალაქის ცხოვრების ცდუნებაზე, უკან დატოვა ყველაფერი ის, რითაც ცოცხლობდნენ ადრე—ოჯახი, ერთგულება, საქმე—გაქრა მათში, თავიანთ შინაგან სამყაროში. თავის წყნარ და ნორმალურ სულიერ ცხოვრებაში, მათ სურთ გააკეთონ ის, რასაც ქრისტიანის მოვალეობა მიკარნახებს, რისთვისაც ისინი, შემსუბუქებულები და შემრიგებლურები, ისწრაფვიან მტკიცედ. ვამბობთ—„შემრიგებლურები", იმიტომ რომ მხოლოდ ქრისტიანობა, მთელ რიგ სხვა რელიგიებიდან, შინაგანად თავის არსში, სულის სიძლიერით აუქმებს ბუნების დუალიზმს და სულს, ანთავისუფლებს ადამიანს „იყო თავისუფალი კი ეს—ჰეგელის ზუსტი განმარტებით—სხვაში მყოფი, დარჩე შენში, დამოკიდებულია ჩვენგან და გაძლევს საშუალებას თვითონ განსაზღვრო თავი". ასეთივეს გრძნობს თვით ხალხი, გამსჭვალული ქრისტეს მოძღვრებით. პროგრამები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ამ ხალხს არც შეიძლება ჰქონდეთ, რადგან ზნეობრივი კანონის მიწერილობა და სიყვარულის დიდი მოთხოვნილება არ შეუძლიათ უზრუნველყონ მკაცრი განსაზღვრული განაწესის და წესის შესრულებით. დიდი და პატარა სრულყოფილების მიღწევები განპირობებულია სუბიექტური მონაცემებით, ცალკეული პიროვნებების სულიერი ძალის სხვადასხვანაირობით. აქ მთავარია—სულის სიცოცხლე და თვითშეგნება. და ამიტომ ყველა სოციალური ხასიათის საკითხები იცვლება ერთი, ძირითადი პრობლემით—ინდივიდუალური ცხოვრების პრობლემით. ზნეობრივი კრიტერიის თვალსაზრისით, ამგვარად დაყენებული საკითხი წარმოადგენს მკაცრ თანამიმდევრობას. მაგრამ რამდენად დასკვნები, მიღებული იქედან, ისტორიულ

განვითარების სინამდვილის მოთხოვნილებას უთანხმდება—საკითხი რჩება ღიად და მისი განხორციელებისას იკვეთება ის საბედისწერო და როგორღაც შეურიგებელი წინააღმდეგობები, რასაც ეჯახება ადამიანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მნეობრივი ცხოვრების ყველა მცდელობისას.

ამგვარად გამოიკვეთა როგორ დამოკიდებულებაში იმყოფება „ქრისტიანული ანარქიზმი“ არსებულ სინამდვილესთან, სოციალურ ცხოვრების განვითარებულ ფორმებთან და რას წარმოადგენს „ანარქისტული თემი“ ეკონომიკური კავშირის თვალსაზრისით.

II. ანარქისტული კოლონიის განვითარების მოცემულ საფეხურზე, შეიძლება მოყვანა მისი ეკონომიური სტრუქტურის, ჩვეულებრივი თემის ტიპის ქვეშ, ბაზრისთვის წარმოების შექმნის ორგანიზაციით, „კოლონია“ ეწევა ინტენსიურ მეურნეობას, სურსათის დამზადებას, როგორც საკუთარ მოხმარებისათვის, ასევე გასასყიდლად. ამ მიზნით, როგორც გემოაღნიშნულია, მოპყავთ სხვადასხვა ბოსტნეული და ხილი, კვალსათბურსა და ორანჟერიებში ამრაელებენ შინაურ ფრინველს (პყიდიან მხოლოდ კვერცხებს), ეწყობა პასექი და სხვა. ერთი სიტყვით წარმოებს ყველაფერი, რისი წამოწყებაც შეუძლიათ თავისი ფინანსური ძალებით, ყველა პატარა სამეურნეო ერთეული, რომელიც ისწრაფვის მოკრძალებული შრომის ანაზღაურებას მაინც, წარმოებაზე დანახარჯს, და გაუძლოს შეძლებისდაგვარ კონკურენციას სხვებთან, უფრო დიდ და უკეთესად მოწყობილ სამეურნეო ერთეულებს. და ეს—გარდაუვალი ბედია ყველანაირ წარმოების, განხორციელებული ისტორიულ სინამდვილის პირობებში—რათა ეკონომიური ცხოვრების გარდაუვალ კანონებს დაემორჩილოს.

თანამედროვე ეკონომიური ურთიერთობა კი კონკურენციით რეგულირდება და კაპიტალების ბრძოლით, რის გამოც წარმოადგენს პრენას, რომელშეც ერთი კაპიტალი, ერთი სამეურნეო ერთეული—არის ეს თუ არა თემი, სააქციო საზოგადოება ან უბრალოდ, ერთპიროვნული წარმოება, იმტვრევა და განიდევნება სხვა კაპიტალით, სხვა სამეურნეო ერთეულით, და „ანარქისტულ“ თემს, რადგან მას სურს იარსებოს, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არ შეუძლია არ დაემორჩილოს არსებულ ცხოვრების პირობებს, რადგან ვერც ერთ სამეურნეო ორგანიზაციას ვერ განაცალკავებ აღნიშნული ქვეყნის საერთო ეკონომიური კავშირის გაელენისაგან. იმ დროიდან როცა საკუთარ—მფლობელური წარმოება წყვეტს კავშირს საერთო-სახალხო მეურნეობასთან, ის იკარგება და აღარ არსებობს, როგორც მეურნეობა. და პირიქით იმ დროიდან როცა

ის ჩაებმება საერთო სისტემის კავშირში, ის ხდება აუცილებელი ელემენტი ამ კავშირების, რის გამოც იღებს ბურჟუაზიული ფორმის წარმოების ყველა ტიპიურ თავისებურებას და ხდება, ასე ვთქვათ არსებული სინამდვილის თანამონაწილე. „კოლონია“ კი, და საერთოდ, ყველა სხვა ეკონომიური ერთეული დამოკიდებული იქნება ბაზართან მანამდე, სანამ მკვეთრად განვითარებული ეკონომიური ცხოვრებას წინააღმდეგობა არ ჩათელის საჭიროდ. საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციას თვით მოხმარებისათვის. სანამ ეს არ არის, სისტემის მთელი შემადგენლობა და ცხოვრების ფორმის გაუმჯობესებისათვის—რადგან ისინი იღებენ პრაქტიკულ ხასიათს და არეგულირებენ მას—გარდაუვალი იქნება ატარონ თვითონ ბურჟუაზიული ელემენტები.

„კოლონისტები“—როგორც ინტელიგენტები და კულტურული ქვეყნის ჯანმრთელი მშრომელები—როგორ არ ცდილობენ თავის ცხოვრება გაადვილონ—მათ აქვთ მთელი რიგი მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება დაკავშირებულია საქონლის ფასებთან, საერთო-სახალხო ბაზარზე არსებული, სადაც ისინი წარსდგებიან როგორც გამყიდველნი,—რომ არ გამოფიტონ თვით მყიდველი ძალები. ყოველი გამყიდველი კი ცდილობს გაასაღოს თავისი პროდუქტი შეძლებისდაგვარად სარგებლიანად (გაყიდვამ უნდა აანაზღაუროს შრომა და უნდა მოგვცეს ნამატი—ზედმეტი ღირებულება) ვამბობთ სარგებლიანად, რადგან მოცემულ წარმოების პირობებზე, ყიდვა-გაყიდვა რეგულირდება განსაკუთრებით საინტერესოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროდუქტი რჩება ან გაუყიდველი, ან ზარალით გაყიდული, რაც დამღუპველად დაეტყო წარმატებით წარმართულ მეურნეობას.

როდესაც ჰონი ამბობს თავის ჩანაწერში—„ჩვენ ის არ ვართ რაც გვინდა ვიყოთ. ჩვენი იდეალი უფრო მაღალია, ჩვენ კი ახლა არ შეგვიძლია მივაღწიოთ მას“—როგორც ჩანს, მას აქვს მხედველობაში ეს, მის მიერ შეგნებული წინააღმდეგობა—წინააღმდეგობა რეალურად არსებული საფუძველში მდებარე, შექმნილი „კოლონისტების“ მიერ. და ის ეს წინააღმდეგობა—ვიმეორებთ წარმოადგენს, ბურჟუაზიული ცხოვრების პირობებში, გარდუვალ თანამგზავრად ყოველგვარ პრაქტიკულ-საზოგადო საწყისებს.

ქრისტიანული ფორმულაა: დახელოვნდი უსაზღვროდ და შესწირე უსაზღვროდ. არის ასე ვთქვათ, ინდივიდუალური მოქცევის ფორმულა და პიროვნება, გამსჭვალული ისეთი მაღალი საწყისით იძენს

ურყევ მნეობრივ სიძლიერეს გარეგან შინაგან მოუწყებლობასთან ბრძოლაში.

დავდეთ ეს წესი საფუძვლად ამა თუ იმ არსებულ სოციალურ ხალხთა ჯგუფს, იმ წუთას აღმოჩნდება არათანაბარი ლტოლვა ცალკეული პიროვნების მიერ შეგნებულ და ყველას მიერ აღიარებულ იდეალისაკენ. არათანაბრობა-შეპირობებულია, პირველ რიგში,—სხვადასხვაობით, ხარისხით და სიღრმით, სულიერი ძალის ერთეული პიროვნების და, მეორე—შეუძლებლობა დადგინდეს ის მღვარი რომლამდისაც შეიძლება მიწევა თავის თვითაღკვეთაში. ამის გამო, სოციალურ ჯგუფის წევრთა შორის ირღვევა წონასწორობა, ცოტაოდენ, ინდივიდუალობის განვითარებით და მრდით, ეს ხდება დამღუპველი ორგანიზაციისათვის. ელემენტები მეტად ფხიზელი სიკეთისაკენ და ჭეშმარიტებისაკენ, სტოვებენ სიცოცხლეს, შეზღუდულ თავისუფლების შევიწროების ფორმებით და ირჩევენ მოღვაწეობის გზას, ან გმირობით და წამებით თუ დავუშვებთ, რომ ამ სოციალური ჯგუფის ყველა სხვა წევრი მოისურვებს იყოს ისევე თანმიმდევარი და წავიდეს იმავე გზით და განთავისუფლდეს მიწის საკუთრებისაგან, თავის ყველა კეთილმოწყობილ მეურნეობით, ის მთლიანი „თემის" დაშლა, უკვე არ ექვემდებარება ეჭვს, რადგან მათი წევრები გადავლენ, მოხეტიალე მათხოვრის მდგომარეობაში მყოფნი, დაკმაყოფილებულნი მაღალი შეგნებით ხალხისა და ღმერთისადმი სამსახურის წინაშე. უწყვეტი მრდა მნეობრივი ცხოვრების თვალსაზრისით და დაუჭირვებლობა ყოველივე მიწიერისა—ნორმატიულ ეთიკას აუცილებლად მიპყავს ასეთ რიგორიზმამდე.—არ შეუძლია შექმნას არავითარი გამაგრებული ფორმები, რადგან ის არის უარყოფის განსახიერება ყოველივე უძრავი ფორმის.

აი იმიტომ ინგლისური თემის ანარქისტებმა განიზრახეს იმსახურონ საზოგადოებრივი სატკივარის წინააღმდეგ, სრულიად არ ამართლებს თავის განზრახვას. ამიტომ კოლონისტები შეიარაღებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ომის, უძლურნი იღვწიან დაძლიონ მტერი, რადგან ბრძოლა და ძალადობა, განსაკუთრებულად მკვეთრად და ძალით კულტივირდება ადამიანის სულში. ბურჟუაზიულ წყობილების ფართო საფუძველზე რასთანაც არ შეუძლია იბრძოლოს არც ერთმა, ყველაზე იდეალურმა თემმა. თანამედროვე ნაციონალური ანტაგონიზმი, ხშირ შემთხვევებში, წარმოადგენს კაპიტალების ანტაგონიზმს. ომები და ძალადობა, საშუალება გახდა ახალი ბაზრების დაპყრობისათვის და ისინი აღარ იარსებებენ მანამ, სანამ

წინააღმდეგობა ბურჟუაზიული ცხოვრების არ გაიხსნება მშრომელთა მასების გონებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის ზნეობრივი—შრომით ცხოვრებამ შეიძლება რეალიზაცია მოასდინოს მხოლოდ ცნობილი პირობების არსებობისას, რომლის გარეშეც ყველა ცდა ასეთი—ორგანიზაციის არსებობისა აღმოჩნდება უძლური.

ინგლისში ტოლსტოიზმი განზოგადოების აზრით ცრურწმენისაგან განთავისუფლებაა და უქმ ცხოვრებას უეჭველად აქვს სუბიექტური მნიშვნელობა, მან მისცა საყრდენი და გაამართლა საკუთარ თვალში ყველაფერი. იმით, რითაც დათმეს ყველაფერი ის, რასაც ცრუდ თვლიდნენ, ნახეს შინაგანი ენერგია და სურვილი მოაწყონ თაეის ცხოვრება ახალ საწყისებზე. ამ თვალსაზრისით კოლონისტური გარემოს ცხოვრება, მისი წვრილმანი დეტალი, ყოველდღიური მუშაობა, მშვიდი მხიარული ხასიათი—ყველაფერი ეს შეიცავს ბევრ სილამაზეს, ახალისებს და ამაღლებს ადამიანს მაგრამ არ შეიძლება დაივიწყო, რომ ეს ხასიათი—სავსებით დაფასებული და ცხოვრებისეულია. მათ აქვს მხოლოდ არაპირდაპირი დამოკიდებულება ცხოვრების სოციალურ წყობასთან, პროგრესთან და განვითარებასთან, რომლებიც ექვემდებარებიან საზოგადოებრივ ევოლუციის კანონებს.[1]

[1] საბუელი (არჩილ ჯორჯაძე) ჟურნალი „სევერნი ვესტნიკი", № 12, 1898 წელი.

(მოგონებანი და შთაბეჭდილებანი)

სოფელი კოკლავესი, სადაც ვიღექი, გარშემორტყმული იყო მინდვრებით, ჭალებით და პატარა გორაკებით. მინდვრები და სახნავ-სათესი მიწა გაშლილი არ არის, როგორც ჩვენში. მიწა დაყოფილია და ხის ღობეებითაც არის გარსშემორტყმული. ასე რომ მინდვრად რომ სასეირნოდ გასწიოთ, ყოველ ნაბიჯზე ღობეს უნდა გადაახტეთ. ჭალებსაც აქეთ ღობე შემორტყმული და კარგადაც დაცულია; სამაგიეროდ დიდი ტყე კი არსადა ჩანს. ჭალებს იცავენ ნადირობისათვის. ამ ჭალებში აუარებელი კურდღელი პბუდობს. ისეთი სიმრავლეა ამ კურდღლებისა, რომ ასობით გამოდიან მინდვრად და ნადირობის დაწყებამდე არა ფრთხებიან ადამიანის დანახვამდე, მაგრამ დგება შემოდგომა და ვაი კურდღლების ბრალი! მონადირენი მოდიან ახლო-მახლო ქალაქებიდან, ძველ დროში მხოლოდ ლორდები ნადირობდნენ, ახლა კი ყველას აღეძრა ამ სპორტის სურვილი. ქალაქებიდან ცხენებით მოდიან ორმოცი-სამოცი ქალი და კაცი ერთად. მშვენიერ ცხენებზე სხედან, კაცები წითელ ფრაკებით, რეიტუზებითა და ბატფორტებით არიან ჩაცმულ-დახურულნი, ქალები გრძელ შავკაბებითა, „ამაზონკას“ რომ ეძახიან. ყველას ხელში გრძელი შოლტები უჭირავთ. ჭალებიდან გამოარეკინებენ ხოლმე პატარა კურდღლებს, რომელნიც დამფრთხალნი მინდვრებს მოეფინებიან. აქ კი უხვდებიან მონადირენი „ლედი და ჯენტლმენები“ და ცხენ და ცხენვე შოლტებით ჰხოცენ. მიკვირდა, ამ შეღობილ აღგილებში როგორ აჭენებდნენ ცხენებს. მაგრამ ცხენები ასე ჰყავთ დაჩვეულნი. მიაღგება თუ არა ღობეს, ზედ ფრინველივით გადაჰფრინდება. შორიდან კარგი სანახავია. მაგრამ რომ დააკვირდეთ ამ გასართობს, რაღაც ველურობას შეამჩნევთ. ქვეითნი მონადირენიც არიან. ესენი ძაღლების საშუალებით მელიების სოროებს დაეძებენ და თოფებითაც ჰხოცენ იმ მელიებს. გარშემო თოფის სროლის გრიალი და ტკაცა-ტკუცი ისმის.

გიორგობისთვეში ნადირობა თავდება და სოფლის არემარეს ისევ მყუდროება და დუმილი ეფინება. დღე პატარავდება. ბურუსი და ნისლი ხიშირ-ხშირად გაახვევს ხოლმე ყოველსავე თავის საუანეში. დღეც ისეთია თითქოს ბინდიაო. ინგლისს გარშემო ზღვა არტყია და ამიტომ იცის იქ ბურუსი და ჯანღი. სოფელი მიყუჩებულია, მინდვრად აღარ მუშაობენ. მუშაობაა ფერმერების სახლ-კარში, სადაც

მეურნეობა მრეწველობად არის გადაქცეული და ლონდონში გასასყიდ საქონელს ამზადებენ—რძეს, ყველს, კარაქს და სხვას.

მაგრამ ჯანღიან დღეს ლონდონია საინტერესო. ლონდონში ხშირად დავდიოდი. რკინის გზით საათნახევარს უნდებოდი. ერთხელ სწორედ ბურუსიან დღეს მომიხდა იქ წასვლა. მისტერ მოოდი, რომელზედაც ორიოდე სიტყვა მქონდა უკვე ნათქვამი, რომ არა მყოლოდა თანამგზავრად, თქვენი მტერი, მე იქ დავიბნეოდი. მოოდი—კი გამოცდილი კაცი იყო, ლონდონში აღზრდილი და არაფრისა მეფიქრებოდა. მისტერ მოოდის შესახებ უნდა ვსთქვა, ჩვეულებად ჰქონდა უქუდოთ სიარული. შვილებსაც უქუდოთ ატარებდა. ლონდონის საშუალო სასწავლებელი იმგვარი, სადაც შეგირდებს პატარაობიდანვე უქუდოთ სიარულს აჩვევენ, ამ სასწავლებლის ეზოზე რამდენჯერმე გამივლია და მართლაც მინახავს, რომ შეგირდები ზამთარშიაც უქუდოდ დაიარებოდნენ.

ჯანღიან დღეს რომ მივედით ლონდონში, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სადღაც ქვესკნელში ჩავძვერით, საცა სიბნელეს და გულშემხუთავ ბინდს ელექტრონისა და გაზის სინათლით ებრძოდნენ. სიბნელე ისეთია, რომ ორ ნაბიჯზე აღარა ჩანს რა. საკვირველი ის არის, რომ ამ წყვდიადში, ისევ ის უზარმაზარი მიმოსვლაა ომნიბუსებისა, „ბლანქარებისა“ (დროგებისა), „თრებებისა“ (ეტლებისა) და ისევ ის ზღვა მოძრაობაა ადამიანთა უთვალავ გროვისა. მითხრეს, ამისთანა დარში ბევრნი ბრმების საშუალებით დადიანო. შესაძლებელია, რადგან ბრმას თუ კარგად შესწავლილი აქვს გზა, სიბნელე ხელს ვერ შეუშლის, რადგან ბრმის ყოფა სომ სიბნელეში ყოფაა.

ლონდონი უფრო ახლო გავიცანი. საკვირველი ქვეყანაა ინგლისი. განათლებულიცაა, დაწინაურებულიც, სხვა სახელმწიფოებს გვერდში უდგას კულტურით, მაგრამ ვერსად ვერ იპოვნით ძველი ცხოვრების იმდენ ნარჩენს, როგორც სწორედ ამ ქვეყანაში. ბევრია დარჩენილი ძველი ჩვეულება, ამ ჩვეულებას წინად ჰქონია თავისი აზრი, ახლა—კი უშინაარსო ფორმად გამხდარა, ხალხი—კი მაინც ებღაუჭება და არ ივიწყებს ძველად, მაგალითად, თვითმპყრობელ მეფეებსა და საშუალო საუკუნეებში აღორძინებულ ქალაქებს შორის მუდმივი ბრძოლა იყო. ეს ბრძოლა გათავდა ქალაქების გამარჯვებით. მეფეთა უფლება შეიზღუდა. და, წარმოიდგინეთ ლონდონს დღესაც არ დაჰვიწყებია ეს გარემოება. მისი ცენტრალური ნაწილის—სიტის—აღმინისტრაცია სამსახურში შესვლის დროს ფიცს იძლევა, რომ არ უღალატებ ქალაქის თავისუფლებას და ყოველ-

თვის მისი მცველი ვიქნებიო. იმავ სიტყში, ერთ მოედანზე ძველადგანვე დარჩენილია ერთგვარი თაღიანი კარები. ყოველწლივ ამ კარებთან იმართება, აუარებელი ხალხის თანდასწრებით, ცერემონია. ერთის მხრივ სადღესასწაულო ეტლით დიდის ამალის თანხლებით მოდის მეფის წარმომადგენელი, მეორეს მხრივ ეგებება ლონდონის ლორდ-მერი (მოურავი). და, რაღაც ფიცისა თუ მოლაპარაკების შემდეგ, მეფის წარმომადგენელს ლორდ-მერი უფლებას აძლევს შემოვიდეს ამ კარებში და შესდგას ფეხი სიტყის ტერიტორიაზედ. ძველ დროში ყოველივე ეს ნამდვილად ჰხდებოდა. როცა მეფობის ძალა შესუსტდა, მან ქედი მოიხარა გალაღებული ქალაქის წინაშე. მაგრამ ყოველსავე ამას ამჟამად არავითარი აზრი არა აქვს. ინგლისის მეფეები კონსტიტუციას აღარ ემუქრებიან. პირიქით, თავიანთ ძალას კონსტიტუციის გამტკიცებაზედ ამყარებენ. მაგრამ ჩვეულება მაინც დარჩენილა და მის გაუქმებისათვის არავინ ჰბრუნავს. და უნდა ვსთქვა, ინგლისის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება სავსეა ამგვარ ნაშთების ცხოველმყოფელობით.

ომნიბუსის მაღლა სართულში რომ ჩაჯდეთ და ლონდონის აღმოსალეთ ნაწილიდან (ოსტენდი) დასაელეთისაკენ (ვესტენდი) რომ ჩაიაროთ, დაინახავთ რომ ამ უზარმაზარ ქალაქში ორი დიდი სამეფოა მოთავსებული. ერთია სამეფო სიღარიბისა, სიღატაკისა და უბედურებისა. მეორეა სამეფო სიმდიდრისა, ძლევამოსილებისა და ფუფუნებისა და ორივე სამეფო სულ ახლო არიან ერთმანეთზე, თითქმის ზედიზედ მიკრული. არსად მინახავს ისეთი ჯარი-ჯამაათი უსაქმოდ მოხეტიალე ხალხისა, დაფხრეწილ-დაფლეთილ ადამიანთა აჩრდილებისა, როგორც ლონდონის ოსტენდში შემხვედრია. „ფაბლიკსაუზების“ (ტრაქტირების) „ბარების“ (საარყე დუქნების) და დიდ ქუჩების კუთხეებთან ბუზივით ირევა უცნაური, დაღვრემილი და პირქუში ხალხი. გვერდით თუ გაუარეთ და ხელშიაც თუ გიჭირავთ პატარა საკვოიაჟი, ერთ-ერთი უსათუოდ აგედევნება. საკვოიაჟს მე წამოგიღებო და ერთ პენსს მაჩუქებო. ამ ხალხში ქალიც ბევრია. ჩალის ქუდებით ბებერი თუ ახალგაზრდა „ბარებს“ (დუქნებს) დასტრიალებენ. მთვრალი ქალი ბევრი მინახას ლონდონის ქუჩებში.

საიდან მოდის ეს უთვალავი ხალხი? რად დაიარება მშიერ-მწყურვალი და რა მიზეზია, რომ ცივილიზაციის ცენტრში, ასეთი უსამართლობა და ბარბაროსობა არსებობს? ძალიან რთული საგანია და მის გარკვევას აქ ვერ შეუდგებით, მოკლედ კი უნდა ვსთქვათ, მახლობელი მიზეზი ამ მოვლენისა ის არის, რომ დიდ მექარხნეებს შორის დიდი ქიშპობაა გაჩაღებული. ერთი ცდილობს მეორეს ორმო

გაუთხაროს. წარმოების გასააღვილებლად მეცნიერებს ამუშავებენ გამოაგონინებენ რაიმე მანქანას, რომელიც განსაზღვრულ დროს მეტს სამუშაოს ასრულებს, ვიდრე მეზობლის ქარხანაში. ამით ქარხნის პატრონი გამარჯვებულია. ბევრი მუშა აღარ ესაჭიროება. მანქანა გასწევს მათს მაგივრობას. ხარჯს ერთი ორად ამცირებს. მეზობელი კი ვერ ასდის ხარჯს, ქიშპობას ვერ უძლებს და ჰკეტავს ქარხანას. ასე რჩება უსაქმოდ აუარებელი ხალხი, რომელიც წინათ ქარხნით იკვებებოდა და დიდ ქალაქში მუშაობის მაძიებელი ადამიანი მეტია, ვიდრე სამუშაოა ამ ქალაქში, ასე რომ, არ უნდა გვიკვირდეს თუ ექვს მილიონ მცხოვრებში დიდი რიცხვია უმუშაოდ დარჩენილებისა, მაწანწალებისა, მათხოვრებისა, ლოთებისა, ქურდებისა და ავაზაკებისა.

ლონდონის ქუჩების სისუფთავე მაინცადამაინც დიდი არ არის, განსაკუთრებით ღარიბ და სავაჭრო უბნებში, სადაც მუდმივი დატვირთვა-გადაზიდვაა საქონლისა. ქაღალდი, ჩალა, ბზე ნაფოტი და სხვა ამგვარი ბევრი გროვდება ქუჩაში. მაგრამ ლონდონზე არ ითქმის, რომ ჯანმრთელობისთვის ძლიერ მავნებელი იყოს. რა თქმა უნდა, ჰაერი სუფთა არ არის, კვამლი, და მტვერი ბევრია, მაგრამ ამ დიდ ქალაქს შესანიშნავი კანალიზაცია აქვს და ამ კანალიზაციის წყალობით უსუფთაობას გასავალი აქვს, ერთ ადგილას არა გროვდება და მით არა სწამლავს ჰაერს. ეს არის მიზეზი, რომ ლონდონში 1000 კაცზე 17 კვდება. მაშინ როდესაც მოსკოვში ერთი ორად დიდია სიკვდილის პროცენტი. ხალხს შვებას აძლევს მშვენიერი უზარმაზარი ბაღები, სკვერები რომელნიც გაშენებულია ქალაქის სხვადასხვა ადგილას. ეს ბაღები—კი არა, ნამდვილი ტყეებია, დიდებულის მცენარეებით შემკული და აყვავებული. აქ არავის უშლიან ბალახზე თავისუფლად წამოწოლას. „გოროდოვოი" არ მოგადგებათ, მძინარეს თუ მთვლემარეს არ დაგაფუთებთ და პასპორტს არ მოგთხოვთ. ამ ტყე-ბაღების გარდა, შიგ ლონდონში ბევრია სათამაშო, საბურთაო მოედნები, ვრცელი მინდვრები, სადაც არამც თუ ბავშვები, მოზრდილებიც—კი მუდამ შეექცევიან ბურთის თუ „კროკეტის" თამაშობას.

ლონდონს მისვლა-მოსვლისათვის მიწის ზედაპირი არა ჰყოფნის. ამიტომ მიწის ქვემოდაც არის გამართული რკინის გზა. ქუჩებ ქვეშ მკვიდრ თაღებით გამაგრებული ლიანდაგია დაფენილი და მატარებლების განუწყვეტელი სიარულია, მაგრამ პარიზში ეგ საქმე,

როგორც უფრო ახალი, უფრო კარგად არის მოწყობილი. იქ ელექტრონის ძალით ამუშავებენ მატარებელს, ლონდონში— კი ორთქლით კვამლით ივსება გვირაბი და ვაგონები. თვალებსა გწვავს და პირისახეს გიმურავს. სიცხეში უსიამოვნოა იქ მოგზაურობა. შინ რომ მოედიოდი და პირს დაიბანდი, ტაშტი შავად შეიღებებოდა ხოლმე. ინგლისელ ქალების საქმე—კი მაკვირვებდა ზაფხულში, სულ თეთრ ტანისამოსით არიან მოსილნი. მეტად უყვართ თეთრი კაბები. ამ თეთრ კაბებით დასეირნობენ მიწის ქვეშ გამართულ რკინის გზით და მაშინ, როდესაც მე მენახშირესავით გამურული გამოვდიოდი ამ ჯოჯოხეთიდან, იმათ ტუალეტს არა ემჩნეოდა რა, ქვემოდანაც სუფთად და თეთრად ამოდიოდნენ ხოლმე. ჯერაც ვერ მივხვდი ასე უსამართლოდ რაზედ ვისჯებოდი.

ლონდონის ქუჩებში ბევრ რამეს წააწყდებით იმისთანას რაც მეტად გაგაკვირვებთ. ხშირად გხვდებიან ეგრედ წოდებული „სელკეიშენ არმის“ (ჯარი გადარჩენისა) წევრნი. „სელკეიშენ არმი“ არის საზოგადოება ანუ ორგანიზაცია, სადაც იღებენ გალოთებულ და გარყვნილ ადამიანებს და, განსაზღვრული რეჟიმის საშუალებით, სცდილობენ მათს გამოსწორებას. ამ ორგანიზაციას ერთის მხრით რელიგიური ხასიათი აქვს, მეორეს მხრივ კი იგი ნამდვილი სამხედრო დაწესებულებაა. „არმიას“ თავისი მუსიკა აქვს და დიდის ზეიმით და ცერემონიით უყვართ მწკრივ-მწკრივად ქუჩებში სიარული. ამ „არმიაში“ ქალებიც არიან. ქალები უმეტესად რელიგიურ პროპაგანდას ეწევიან. ქალებს აცვიათ ლურჯი უბრალო კაბები, მაღალი შლაპები ჰხურავთ რუსულ „კიბიტკის“ მსგავსი. შლიაპის ლენტებზე წარწერა აქვთ „სელკეიშენ არმი“. ლონდონის ქუჩა-მოედნებზე, განსაკუთრებით შაბათობით, გამოაქვთ ფისგარმონი და ამ ინსტრუმენტის აკომპანიმენტით იწყებენ რელიგიურ გალობას. ხალხი ირგვლივ გროვდება და ზოგი წრფელის გულით, ზოგი ოხუნჯობის და გართობის გულისთვის გალობას აყოლებენ ხმას და სდგება უცნაური ხელად შემზადებული ხორო. გალობის გათავების შემდეგ, ქალები სცდილობენ წიგნაკების გასაღებას და იწვევენ ხალხს სასყიდლად. ხშირად გალობის მაგივრად ქადაგებას იწყებენ. ქადაგების შემდეგ კამათიც იმართება.

ინგლისში სრული თავისუფლებაა კრებისა და სიტყვისა. სადაც გინდა ილაპარაკე, რაც გინდა ილაპარაკე კანონის ან ჩვეულების მიერ დადებულ საზღვრებში. ხუმრობით ამბობენ, კრივის გამართვაც კი შეიძლება ქუჩაშიო, ოღონდ მოკრივენი კანონიერად უნდა კრივობდნენ. კრივს „ბოკსს“ ეძახიან და „ბოკსს“ თავისი წესი აქვს.

ცხვირ-პირში გარტყმა, მაგალითად, ბოკსის წესით აღკრძალულია. ბოკსერებმა ბეჭები და მხრები უნდა უზილონ ერთმანეთს. ერთ პოლონელს „ბოკსის“ დროს უკანონო ადგილზე გაურტყავს თავის მოპირდაპირესთვის. იმ წამსვე გაჩნდა საიდანღაც პოლიციელი და დააპატიმრეს კანონიერების დამრღვეველი პოლონელი. კანონი და ჩვეულება ინგლისელს დიდად სწამს.

ლონდონის გარედ სახალხო დღესასწული იყო. ამ დღესასწაულს მეც დავესწარი. აქ უმეტესად მუშა ხალხი იყრის თავს. ერთ საშუალო საუკუნის ციხე-დარბაზთან, სადაც ძველ დროში მრისხანე ფეოდალი სცხოვრობდა, განსაზღვრულ დროს (შემოდგომას) ყოველ წლივ გროვდება აუარებელი ხალხი. ხალხს ციხის სარდაფებში ძვლებს და კედელზე მიკრულ ჯაჭვებს აჩვენებენ—ძველი დროის ნაშთი, როდესაც მებატონეს ხელში იყო ყმათა სიცოცხლე და სიკვდილი. აქვე იმართება ტრიბუნები, საიდანაც ორატორები ცხარე სიტყვებს ამბობენ. ხალხი ყურადღებით უსმენს მოლაპარაკეთ და აღელვებასა და აღფრთოვანებასაც კი იჩენს. აქ პირველად დავინახე აღფრთოვანებული ინგლისელები—ჯონ ბერნსს სიტყვას ხმირ-ხშირად უწონებდნენ, თანაგრძნობის ნიშნად „ხია“, „ხია“-ს იძახდნენ და ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ერთად შეჯგუფულ ხალხს ყველგან ერთი და იგივე თვისება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იგი შესდგებოდა აქ თაედაჭერილ და „ცივ“ ადამიანებისაგან, ერთმანეთთან სულიერ ხელშეხების დროს რაღაც ნაპერწკალი გაუღვივდა გულში და ამ ნაპერწკალმა აჩქარებული და გულწრფელი კილო მისცა ლაპარაკს, სიცილს და დროს გატარებას. აქვე დიდ მინდორზედ, თოკებ შემოვლილ ადგილას გაჯიბრება იყო გამართული ბურთის მოთამაშეთა და სწრაფად მოსიარულეთა შორის. ხუთი-ექვსი კაცი გამწკრივდებოდა რიგზე და, ნიშანს რომ მისცემდნენ, გასწევდნენ თოკის ირგვლივ იერიშით. ვინც პირველი მოირბენდა, ჯილდოს მიიღებდა. ერთ წამს დამავიწყდა, რომ ინგლისში ვარ და სამშობლოში მეგონა ჩემი თავი.

საღამო ხანს მატარებელი გაივსო შექეიფიანებული და მომღერალ ხალხით. უფრო „მარსელიეზას“ მღეროდნენ.

დაღამებული იყო, ლონდონში რომ მივედით. ჩემს მატარებელს, რომელსაც სოფლისაკენ უნდა წავეყვანე, ძლივს მივუსწარი, მაგრამ გზაში მარცხი მომივიდა. ერთ სადგურზე, საცა უნდა ჩავსულიყავი და სხვა მატარებელში ჩავმჯდარვიყავი, არ ჩამოველ და, საცა ჩემი გზა არ იყო, იქითკენ გამასრიალა მატარებელმა. უილჯოდ ფანჯარაში ვიყურებოდი და ღამის წყვდიადი, რომელიც მოაწვა ქვეყანას, არაფერს

სანუგეშოს არ მეუბნებოდა. პირველ გაჩერებისთანავე ჩამოველ, მაგრამ რად გინდა, სად წახვალ ამ უცნობ ქვეყანაში. გამოველ სადგურის ეზოში. ერთი „ბლანქარდი“ (დროგი) იდგა იქ. თითქოს ისე არ ბნელოდა, როგორც ეაგონის ფანჯრიდან მეჩვენებოდა. გავიხედე აქეთ-იქეთ. ვარსკვლავების მეტი, რომელიც ლამაზად ციმციმებდნენ, არავინ იყო იქ ჩემის უმწეობის მოწამე-დამნახველი, მაგრამ პატარა ხანს უკან კი რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭი მიუახლოვდა ამ „ბლანქარდს“ და დაცარიელებულ ქესტის ყუთებით ტვირთვა დაუწყეს. მივედი, უამბე ჩემი ამბავი. მითხრეს, შორს წამოსულხარო. კოლაკი აქედან 15 მილის მანძილზე იქნებაო. არაფერიაო, მანუგეშეს, ათიოდე მილს ჩვენ გაგატარებთ, მერე გზას გაჩვენებთ და ფეხით მიხვალთო. დიდი მადლობა უთხარი და გავსწიეთ. სამი ყმაწვილი იყო, მოჯამაგირეთ მსახურებდნენ ერთ ფერმერთან. ლონდონში რძე და ყველი ჰქონდათ წასაღები. ახლა უკან ბრუნდებოდნენ ფერმაში. მეც გამომკითხეს და დიდის ინტერესით მაძლევდნენ სხვა-და-სხვა კითხვას. დაილოცა ახალგაზრდობა! ყველგან უმანკო და წრფელია თავის წადილებითა და განზრახვით! გამომშვიდობების დროს ფულს ვაძლევდი, მაგრამ არ აიღეს და ძალიან შემრცხვა ჩემის სიბრიყვისა. დავადექი გზას, უკვე ჩემთვის ნაცნობ გზას, და შუაღამე იქნებოდა, რომ ჩემს „კოტეჯს“ მივადექი. კარებში შევდექი, ერთი კიდევ მივიხედ-მოვიხედე, სალამი მივეცი გარინდებულ ღამეს და მოციმციმე ვარსკვლავებს და შევედი ჩემს ოთახში.[1]

არჩილ ჯორჯაძე

1 ჟურნალი „ნაკადული“ 1910 წ. №1,2,3.

ნუგეშისმცემი ზნეობრივი ძალა

(არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას)

მეტად მძიმე იყო წარსული ზამთარი. ყველაზე უფრო გულს უკლავს და სულით სჩაგრავს ადამიანს მისი მსგავსი ადამიანის, მისი მოყვასის მუდმივი უიმედო დაღრეჯილობა. დიდი და მტკიცე რწმენა უნდა უღვივოდეს ადამიანს გულში, ცხოვრების ხანგრძლივი, გამჭრიახი დაკვირვების შედეგი უნდა იყოს ეს რწმენა, ეს ღვთიური ნაპერწკალი, რომ ირგვლივ გამეფებულ მწარე საერთო დაღრეჯილობის ფერფლმა ამისი ჩაქრობა ველ შესძლოს.

ვთქვათ, თქვენ ჯანმრთელი ადამიანი ხართ, არავითარი ფიზიკური საგკიეარი არა გაქვთ, მხოლოდ სულიერად სწუხთ და იჩაგრებით იმის გამო, რომ მთელი ცხოვრება, მთელი საზოგადოება შეწუხებულია და დაჩაგრული; გრძნობთ სულიერ სისუსტეს: გაკლიათ ზენეობრივი ძალა, რომელიც ადამიანის სულს ფრთებს შეასხამს ხოლმე და თავისი მოყვასის სულისა და გულის აღმაფრთოვანებელ ჰანგებს ასწავლის. საერო დაღრეჯილობა და დაჩაგრულობა თქვენი დაღრეჯილობა და დაჩაგრულობაა. ყველა ეს ასეა, მაგრამ ამავე დროს ერთი რამა გაქვთ სანუგეშო: სხეულის ჯანმრთელობა, კაცთა შორის მიმოსვლის, მოძრაობის შეძლება, შეგიძლიანთ საზოგადოებაში გაერიოთ, საერთო მწუხარება გაიზიაროთ და საქმით თუ ვერ შეამსუბუქებთ ამ მწუხარების სიმკვეთრეს, მარტო თქვენი სიტყვით, დასწრებით, შეასუსტებთ. ადამიანი ხომ საზოგადოებრივი სულდგმულია: რაც უნდა მძიმე ლოდი აწვეს გულზე, რაც უნდა სევდა ჰქენჯნიდეს, თავის მსგავსს რომ პხედავს, გულის წუხილი უნელდება.

ვიმეორებ, ამისათვის ჯანმრთელობა, მოძრაობის შეძლებაა საჭირო.

წარმოიდგინეთ ახლა მოძრაობის უნარმოკლებული, მძიმე, სასტიკი და ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, ლოგინს განუშორებელი ადამიანი. იფიქრეთ, რამდენად ძლიერი უნდა იყოს იგი სულით, რომ თავი არ დააჩაგვრინოს მის წინააღმდეგ ამხედრებულ ორ

შაებნელ ძალას: გარეთ საზოგადოების მწარე უიმედობას, რომელიც, რაც უნდა განმარტოებული იყოს სნეული ადამიანი, მის ლოგინისაკენ უთუოდ გზას გაიკაფავს, და შინ—თავის სხეულში—ღრმად ფესვგადგებულ სასტიკ, ულმობელ სნეულებას.

აი შემოვიდა სნეულთან, სანახავად, ვინმე ძვირი სტუმარი, ნაცნობი ადამიანი, ცოტა ხანს ელაპარაკა და მერე წავიდა, მარტო დასტოვა, შემოიტანა თან თავისი მწუხარება, რომელსაც თითოეული ჩვენგანი დღეს განუშორებლად გულში ატარებს, ესაუბრა ავადმყოფს და შემდეგ განშორდა.

რას უნდა გრძნობდეს ავადმყოფი, თუ იგი ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანია? რასაკვირველია—უღიდეს უიმედობას, შავბნელ უსასოებას. იმან, მარტოდმარტოდ, უნდა მოიშოროს გარედან და შიგნიდან სულის მჩაგრავი ძალა.

იფიქრეთ ახლა, რა ძლიერებაა სულისა საჭირო იმისათვის, რათა ამ მჩაგრავ ძალას გაუმკლავდეს და თავი არ დააჩაგვრინოს?

ამგვარი ძლიერი სულის პატრონი იყო სასიკვდილოდ დასნეულებული და ჩვენგან საუკუნოდ განშორებული ჩვენი ამხანაგი—არჩილ ჯორჯაძე.

აქ, ტფილისში, გასულ ზამთარში, როცა სევდა მომაწვებოდა გულზე, არჩილთან მივდიოდი სასაუბროდ. მისგან ნუგეშცემული ვბრუნდებოდი. ამბრს, სულიერ ცხოვრების ამ წმინდა ჩქეფს, ჯადოსნური ძლიერება აქვს. როცა მოაზრე, ცხოვრების ვითარებაზე ღრმად დაკვირვებულ ადამიანს ხედავთ, რაღაც სულიერ განახლებას ჰგრძნობთ. თქვენთვის ცხადია მაშინ ადამიანის სულის მხიბლავი ძალა. იმიტომ გშორდებათ გულიდან მძიმე ლოდი, რომ ცხოვრების გამწმენდ ფიქრის ანკარა წყაროს მიაგენით. მთელი კაცობრიობის წინსვლის, წარმატების შემქნელი ძალა ამ ფიქრის წყაროსაგან იბადება.

იმიტომ გიხარიათ, იმიტომ იფურჩქნება იმედი თქვენს გულში, როცა მოაზრე და ღრმად მგრძნობიარე ადამიანთან საუბრობთ. თქვენ განიცდით ადამიანის ფიქრის საუცხოო ძლიერებას,—გრძნობთ, რომ ადამიანისაგან გაზიარებული ფიქრი თქვენ სულიერ ცხოვრებას ძალას ჰმატებს, საკვებს აძლევს და ცხოვრებას გვიადვილებს. აქ ორ ადამიანთა შუა, მცირე ფარგალში, იგივე მოვლენა, იგივე პროცესი იჩენს თავს, რომელიც მთელი კაცობრიობის წინსვლას ჰქმნის. ცხოვრების გამოცდილებიდან გამოტანილი, ღრმად აწონდაწონილი, იდეალის სხივით გაშუქებული ფიქრი, როგორც თითოეულ კერძო ადამიანს, ისე თითოეულ ერს და მთელ კაცობრიობას იმავე ცხოვრებაში გზას უკაფავს, მიმართულებას აძლევს.

ამიტომ გიხარიათ, ამიტომ გრძნობთ სულის განახლებას, როცა ღრმად მოაზრე ადამიანთან საუბრობთ. თქვენს გულში მაშინ თითქო მთელი კაცობრიობის პროგრესის შემქმნელი ძარღვი ჰფეთქს და სცოცხლობს. თქვენ და თქვენი მოსაუბრე ამ წუთში მთელ კაცობიობასთან ღრმა კავშირს ჰგრძნობთ. კაცობრიობის თვალწინ ამგვარი დიადი საკითხები—თქვენი საკითხებია; მისი ჭირ-ვარამი—თქვენი ჭირ-ვარამია და მისი ლხენა—თქვენი ლხენაა. მწყობრი თანდათანობით მოსაუბრე ორ კაცთა შუა მაშინ გამოჩნდება ხოლმე კაცობრიობის დამხსნელი, განმათავისუფლებელი ნათელი გზა. ცოცხლად გაზიარებული აზრი ის ძალა, ის ენერგიაა, რომელიც ამ გასავალ გზას პრაქტიკულ სახეს ანიჭებს, სინამდვილედ აქცევს.

სწორედ ამისთანა წუთებს განვიცდიდი ხოლმე ძვირფას არჩილთან საუბრის დროს, განვიცდიდი მაშინ, როცა მე და ის ცხოვრების იმ დარგს ვეხებოდით, რომელიც ერთნაირად ძვირფასი იყო ჩვენ ორთავესათვის—მნეობრივ საკითხებს და სარწმუნოების ვითარებას, ფილოსოფიას.

მოკლეა ძვირფასი არჩილის ცხოვრება, მაგრამ მისგან განვლილი ორმოცი წელი შინაარსით სავსე იყო. ბევრი უბედურება გამოსცადა მან თავის ცხოვრებაში, ბევრი ფათერაკი დაატყდა თავს, რომელმაც გული არ გაუტეხა და ცხოვრების ვითარებაზე უფრო ღრმად დააფიქრა.

თავის ღღეში არ დამავიწყდება ის წუთი, როცა ერთხელ ლოგინში მწოლიარე ავადმყოფ არჩილს ვეწვიე და გადავეცი სამწუხარო ამბავი იმის შესახებ, რომ ერთ ჩვენ მეგობარ კაცს ცოლი გარდაეცვალა, რომელიც მას გაგიჟებით უყვარდა. ჩვენი მეგობარი—სიმპათიური, ცოცხალი, ხალისიანი ადამიანი იყო. უბედურებამ, როგორც მოულოდნელმა ციდან ჩამოვარდნილმა მეხმა, თავზარი დასცა ყმაწვილკაცს, მთელი მისი ბუნება შეარყია.

ძლიერ შეწუხდა არჩილი, ეს ამბავი რომ გადავეცი. დაფიქრდა. ცოტა სიჩუმის შემდეგ სევდიანი და ამავე დროს მტკიცე რწმენის გამომხატველი თვალებით შემომხედა და მითხრა: არაფერია, ეს უბედურება უფრო გააღრმავებს ჩვენი მეგობრის ფიქრსა და გრძნობასაო.

ვიცოდი, რას გულისხმობდა არჩილი და განმარტება საჭირო არ იყო ჩემთვის. არაერთხელ უსაუბრია ამ საგანზე ჩემთან, ახალგაზრდა, ცოცხლად მოძრავი ადამიანი, რომელსაც არავითარი უბედურება არ გამოუცდია ცხოვრებაში, თხელ ზედაპირ ნიადაგსა ჰგავს, სადაც სულიერი ცხოვრება ღრმად ვერ მოიკიდებს ფესვს.

მჭედელი სამჭედურში სწავლობს თავის ხელობასაო,—ამბობენ ფრანგები. ცხოვრებაც იგივე სამჭედლოა ადამიანისათვის. ფიქრისა და გრძნობის ძალა იმ ზომად იზრდება და ღრმავდება, რამდენადაც იგი ცხოვრების პრაქტიკურ საქმეზე ვარჯიშობს, ცხოვრების მძიმე მოვლენათ თავის შინაგან სულიერ გრდემლზე გარდაქმნის და შეისისხლხორცებს. ის მსოფლიო შეხედულებაა მტკიცე და გამძლე ამ წუთისოფელში, რომელმაც ბედი და უბედობა განჭვრიტა, მათი შინაგანი ვითარება შეიგნო და თავის მაღალ იდეალს შეათანხმა.

ქიმიკოსი სხვადასხვა ნივთიერების შეზავების კანონებს წიგნიდან ვერ შეისწავლის, თუ თვითონ, თავის სამუშაო ოთახში ცდას არ მოახდენს. ადამიანიც მის გარშემო მიმდინარე ცხოვრებიდანაც ვერ შეისწავლის, ვერ შეიგნებს, რისგან არის შეზავებული ეს წუთისოფელი, რა ღერძზე ტრიალებს, თუ მისი საკუთარი, პირადი ცხოვრება, თავისი სული—ამ სამუშაო ოთახს, ამ ლაბორატორიას არ დაემსგავსა. როგორც მჭედლის მარჯვენა და მეცნიერის თვალი, ისე თითოეული ჩვენგანის ფიქრი და გრძნობა საკუთარ გამოცდილებაზე, პირად საქმეზე ვარჯიშობს, იწვრთნება და ღრმავდება, მოაზრე და გრძნობიერ ადამიანს განცდილი პირადი უბედურება სასტიკად შესძრავს, მთელ იმის შეგნებას აამოძრავებს, სულსა და გულს აუმღვრევს და პირველ ხანებში შავბნელ უფსკრულსა ჰგავს, რომელსაც ადამიანის დასანთქმელად პირი დაუღია. ღრმა და დიდად საყურადღებო სულიერი პროცესია ამ დროს ადამიანის ბუნებაში. იმას თითქო იმედი ეკარგება, ცხოვრება შავბნელი, გაუვალი წყვდიადით სავსე ეჩვენება. მაგრამ თანდათან ამ შავბნელ სულიერ უფსკრულში უფრო მაღალი იმედის, უფრო განსპეტაკებული იდეალის სხივი შეანათებს და განელილ უბედობის მთელ ვითარებას გააშუქებს.

მოაზრე და მგრძნობიარე ადამიანისათვის განცდილი უბედურება მთელი მისი ბუნების შემძვრელი და ამავე დროს შიგ ფიქრისა და გრძნობის უფრო ღრმა ნიადაგის, უფრო მაღალი იდიალის აღმომჩენია.

აი, რას გულისხმობდა არჩილი, როცა თქვა, უბედურება ჩვენი ახალგაზრდა მეგობრის ბუნებას უფრო გააღრმავებსო. არჩილის ეს ორიოდე სიტყვა გრძელი ამბავის შემცველი იყო: მძიმე და ხანგრძლივი საკუთარი გამოცდილებიდან გამოიტანა ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა ეს ორი სიტყვა და ამიტომ ეს სიტყვები ღრმა შინაარსით იყო სავსე.

შეხედეთ ადამიანების თვალებს: ხომ ორის მეტი არა აქვს, მაგრამ ამ ორ თვალში ცხოვრების მრავალნაირი და ხანგრძლივი გამოცდილებიდან გამოტანილი და დაგუბებული ფიქრი და გრძნობა გამოკრთის. არის ისეთი, შესაფერ დროსა და წუთში ნათქვამი სიტყვები, ორიოდე სიტყვა, რომელიც ღრმად მოაზრე და მგრძნობიერ ადამიანის თვალებსავით, ღრმა აზრისა და გრძნობის შემცველია.

ამიტომაც, როცა არჩილმა ეს სიტყვები მითხრა, განმარტება არ მჭირდება, ყველაფერი იმის თვალებში ამოვიკითხე.

ძალიან მიყვარდა არჩილთან რელიგიის შესახებ საუბარი. ამ საგანში ყველაზე უფრო ნათლად ჩანდა ჩემთვის, როგორ განირჩეოდა იგი ბევრ ჩემ თანამემამულეთა შორის, რომელნიც ერთი წკიპურტით ანგრევენ ცხოვრების უდიდეს მოვლენას—რელიგიას—და არც კი გრძნობენ, რომ ამ ნანგრევქვეშ მოქცეული მათი გრძნობა და ფიქრი საკუთარ სამარეს ჰპოვებს და საუკუნო ძილით განისვენებს.

არც ერთი რელიგიის უარმყოფელი ღრმა მოაზრე ადამიანი არ ჩადის იმას, რასაც მცირე გამოცდილებისა და დღემოკლე ფიქრისა და გრძნობის პატრონი ბევრი ქართველი ადამიანია ჩვეული. იმათზე მართლდება ლეე ტოლსტოის შესანიშნავი სიტყვები: ყალბი რელიგიის მოციქულებმა თავისი ტლანქი თითებით ისე დაჩხვლიტეს ბავშვობიდან ადამიანის სული, რომ იგი ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს რაღაც საცერის მსგავსს, სადაც არაფერი რელიგია არ დამაგრდებაო.

როგორ შეხედავთ თქვენ იმ ადამიანს, რომელიც ყალბი ფულით დაშინებული, ნამდვილს უარჰყოფს. ამ მდგომარეობაშია დღეს ბევრი ჩვენგანი, ჩვენს საქართველოში მკვიდრი ადამიანი.

თვით არჩილი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ჭეშმარიტების უანგარო და გულწრფელი მძებნელი იყო: იმისი ფიქრი და გრძნობა ერთს წერტილზე არ იყო გაჩერებული: იგი ნათლად ხედავდა, რამდენადაც ვრცელი და მრავალმხრივია კაცობრიობის ცხოვრება. იმავე დროს მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება არც ერთი კუთხე, სადაც ადამიანი თავის გაჩენასა და სიკვდილზე არ ფიქრობს და არ სცდილობს თავისი ცხოვრების სათავეს მიზეზთა მიზეზს მიაგნოს.

დიდი და ხანგრძლივი განვითარება განვლო სარწმუნოებრივმა გრძნობამ მთელი ისტორიის განმავლობაში და ღრმა კვალი დააჩნია ადამიანთა სიცოცხლეს.



ილია ნაკაშიძე

ეს ჭეშმარიტება სწამდა არჩილს და ამიტომაც მიჰყო ხელი ინდოეთის უძველესი რელიგიის, ბუდიზმის შესწავლას. ვისაც წაკითხული აქვს ამ საგანზე დაწერილი არჩილის გამოკვლევა, კარგად ეცოდინება, რომ ავტორი დიდად აფასებს რელიგიის ფარგალში ჭეშმარიტების ძიების უნარს. ინდოეთის სარწმუნოებრივი ფილოსოფია, ღრმა სიბრძნითა და მხატვრული სურათებით, მხიბლავი პოეზიით სავსე, იტაცებდა არჩილის გონებას. იმას კარგად ესმოდა, რომ ამ ჭეშმარიტების მძებნელი გონება გრნობას სწვრთნის ასპეტაკებს, სინაზესა და სიმკვეთრეს ანიჭებს. ჭეშმარიტების მწყურვალე ადამიანი უთუოდ პოეტური გრძნობით შემოსილი სულდგმულია. ამით აიხსნება, რომ ინდოეთის სარწმუნოებრივი ფილოსოფია ბუნების კალთიდან ამოღებულ ძვირფას მარგალიტებითაა სავსე. ჭეშმარიტების მკვლევარს ესმის, სულითა და გულით გრძნობს ამ ბუნების სიუხვეს და ამავე დროს ნათლად ხედავს, რომ მთელი მსოფლიოს ცხოვრება ადამიანის ცხოვრებასთან რაღაც უხილავი ძაფით, ნათესავური კავშირითაა გადაბმული. „ბევრი ისეთი საიდუმლო ინახება ადამიანის გულის სიღრმეში, რომელიც ღრმა ოკეანეს ძირზე შენახულ მარგალიტებსა ჰგავსო“,—გვეუბნება პოეტი. მართლაც მსოფლიოს ამოცანის ასახსნელად მფეთქავი გული იზრდება, თითქოს მთელ მსოფლიოს უნდა გასწვდეს, გარს უნდა შემოერტყას. ამიტომ ამ გულში მოზღვავებული გრძნობები უძირო და თვალუწვდენ ოკეანეს ჰგავს, რომლის სიღრმეში პოეზიის საუცხოო მარგალიტები იპოვება.

სწორედ ამიტომ გულით სწუხდა ძვირფასი არჩილი, რომ ქართველ ხალხში კვლევა-ძიების ასპარეზი ვიწროდაა შემოფარგლული, რომ ქართველმა ადამიანმა ჩამოჭრა ცხოვრებას უდიდესი სფერო და უყურადღებოდ დასტოვა.

რაც უფრო და უფრო უახლოვდებოდით არჩილს, მით უფრო გრძნობდით და ნათლად ხედავდით, რამდენადაც გაწვრთნა იმისი გრძნობა და ფიქრი ადამიანის ცხოვრებაზე დაკვირვებამ, კაცობრიობის უდიდეს საკითხების ახსნა-გადაწყვეტის წყურვილმა. მხოლოდ ვრცელი მსოფლიო შეხედულებების მქონე ადამიანს ესმის, რა არის ნამდვილი პატიოსნება და ადამიანის პიროვნების პატივისცემა ამ წუთისოფელში; ესმის რა არის პატიოსნებისა და პატივისცემის სათავე. თითოეული ღრმა მოაზრე და დინჯი მკვლევარი ცხოვრებისა უეჭველად ამ კვლევა-ძიების დროს თავის საკუთარ ბუნებას, თავისი გრძნობის და ფიქრის, სულისა და გულის ვითარებას უკვირდება; ყოველი აღმოჩენა, თითოეული დიადი ჭეშმარიტება, რომელსაც ის მიაგნებს, მკვლევარს ადამიანის ნიჭის წინაშე ღრმა პატივისცემას აღვიძებს.

ამ გზით მავალ ადამიანს ეკარგება მხოლოდ თავისი თავის პატივისცემა და სიყვარული, რომელიც დაბალ საფეხურზე მდგარ სულდგმულთა თვისებაა. თავის ბუნებაში, თავის სულსა და გულში იგი საზოგადოდ ადამიანის სულისა და გულის ვითარების, გრძნობისა და ფიქრის საუკუნო და დაუსრულებელი წარმატების წყაროს სცნობს. მას ძლიერ უყვარს, ღრმად პატივს სცემს ამ თავის ბუნებას, რომელმაც ჭეშმარიტების ძიება ასწავლა, უყვარს და პატივსა სცემს, არა როგორც საკუთარ განძს, თავის ძვირფას საკუთრებას, არამედ როგორც საზოგადოდ ადამიანის დიდმნიშვნელოვან და უძვირფასეს თვისებას. ასე ვრცლად, სულითა და გულით განათლებული ადამიანი თავის მსგავსს ადამიანში ძმას, მოყვასს ჰხედავს, რომელიც მასავით შემძლეა სულიერი კვლევა-ძიებისა, დიადი ჭეშმარიტების აღმოჩენისა, მასავით ზეგარდმო მადლითაა ცხებული და ამიტომ—მისი სწორია. თუ იგი უბრალო ადამიანია, არაფერი არ აინტერესებს, არაფერს არ იძიებს და ყოველდღიური ცხოვრებით ცოცხლობს, ვრცლად მოაზრე ადამიანი მაინც პატივს სცემს მის პიროვნებას, თავმდაბლად უცქერის, რადგან ესმის, რომ, სხვა პირობებში აღზრდილი, ისიც მასავით ფიქრისა და გრძნობის უმაღლეს საფეხურზე ავიდოდა, მასავით სულითა და გულით განსპეტაკდებოდა.

მხოლოდ და მხოლოდ ამ მოსაზრებით უნდა განვჭვრიტოთ, რად სცემენ პატივს არჩილის მსგავსი დიდბუნებოვანი ადამიანები საზოგადოდ ადამიანს, თავის მოყვასს. მხოლოდ ამით უნდა ავხსნათ ჩვენგან განშორებული ადამიანის ძვირფასი სულის ვითარება.

ეს მოსაზრება გაგვიმხელს, რად ერიდებოდა არჩილი თავის ცხოვრებასა და მწერლობაში ყოველნაირ კინკლაობას, ფუჭსა და ადამიანის ღირსების დამამცირებელ კამათს, პოლემიკას. თავის იღეურ ცხარე მოპირდაპირესაც იგი ადამიანად სცნობდა, და თუ მის აზრებს ებრძოდა, იმის პირადობას თავის დღეში არ შეეხებოდა. „ისე ჰგმირავდა ადამიანის არსებაში დაბუდებულ ეშმაკს, რომ იქვე მყოფ ღმრთისათვის არაფერი ზიანი არ მიეტანა.“

ადამიანის ბუნების პატივისცემა—ადამიანის მიმართ სიყვარულის წყაროა. „სიყვარული ხომ სხვისი ცხოვრებით გაჟღენთვა-გამსჭვალაა“. მე მიყვარს—ნიშნავს მე ვცხოვრობ ჩემი მოყვარის ბედითა და უბედობით, ჩემი გული მის გულთან ერთად, მწყობრად ჰფეთქს, მე მესმის ამ გულის პასუხი, იმისი გრძნობის ღრმა საიდუმლო ვითარება.

ერთ მაგალითს მოვიყვან არჩილის ცხოვრებიდან, რომელიც ნათლად გაჩვენებთ, როგორ იცოდა მან ამხანაგის გულის პასუხის

გაზიარება, ადამიანური თანაგრძნობა, სხეისი მდგომარეობის წვრილი შეგნება.

ეს ამბავი იმ ხანას ეხება, როცა მე პირველად დავიწყე საჯარო ლექციების კითხვა და ამ მძიმე და პასუხსაგებ სარბიელზე მცირე გამოცდილება მქონდა. ვისაც არ გამოუცდია, არ იცის, რანაირი განსაკუთრებული გრძნობაა. გრძნობა ლექტორისა, რომელიც თვალწინ ხალხით სავსე აუდიტორიას ჰხედავს. ის გრძნობს, რომ თითოეულ მის სიტყვას მკაცრი მსაჯული ელის, რომელიც მას სამართლიანად და პირუთვნელად დააფასებს; ჰხედავს მისკენ მიმართულს მრავალ თვალს; გული ცხარედ უტოკავს, აღშფოთებულია; გრძნობს, რომ მისი ბუნება ორადაა გაყოფილი: ერთის მხრივ მან უნდა გამოსთქვას თავისი მრწამსი, თავისი გულის ნადები, ეს უღრმესი ნაგრძნობი და ნაფიქრი, რისთვისაც მტკიცე თავშეკავება საკუთარ გულში ჩახედვა და გარეშემო პირობების მთელი დავიწყებაა საჭირო; საჭიროა მთელი სულიერი ძალის მიმართვა იმ ფიქრთა და გრძობათა გამოსახატავად, რომელიც ადამიანს ხანგრძლივად თავის გულში უტარებია. ამ დროს კი ამ სულიერი ძალის უდიდესი ნაწილის გარეშამო თავმოყრილი ხალხი იპყრობს, იზიდავს მოლოდინით, მნიშვნელოვანი დუმილით, რომელიც მხოლოდ ლექტორისათვის გასაგებ და საშიშარ ენით მეტყველებს.

ძნელია ამ მძიმე წუთების დაძლევა, სულიერი ძალის შემოკრება, შინაგანი სიმშვიდის მოპოვება, რომლისაგანაც დამოკიდებულია აზრის მარტივი, მკაფიო და ნათელი გადაცემა.

სხვათა შორის ბათუმშიც მომიხდა ლექციების კითხვა ამ ჩემი გამოუცდელობის ხანაში და ერთს ჩემს ლექციას არჩილიც დაესწრო, რომელიც ავადმყოფობის გამო მაშინ ბათუმში სცხოვრობდა. მე არ მითხოვნია, თვით არჩილმა ისურვა ჩემს ლექციაზე დასწრება, თუმც თავს ძალიან სუსტად გრძნობდა. ძალიან სასიამოვნოდ დამირჩა, რასაკვირველია, არჩილის სურვილი. მძიმე წუთებში თანამგრძნობი ამხანაგის სიახლოვე დიდი საქმეა, იმედის მომნიჭებელია.

არჩილი ისე დასუსტებული იყო, რომ თეატრის დარბაზში არ გამოსულა, ნაცნობებთან საუბარი გაუჭირდებოდა და სცენის უკან კულისებში სკამზე დაჯდა.

გამოუცდელობის გამო საშუალოდ შევძელი თავის დაძლევა და გამოსათქმელ ფიქრებზე მთელი ჩემი ყურადღების შემოკრება. ჩემი სულიერი ძალა ორად გაიყო, ამიტომ ჩემი ლექციაც საშუალო გა-

მოდგა. ლექტორი ყოველთვის კარგად გრძნობს თავის შეძლებას იმას, თუ რამდენად გაამართლა მან ხალხის მოლოდინი

დავასრულე თუ არა ლექცია, მაშინათვე არჩილთან მივედი და ერთად გავედით ქუჩაში. შევატყვე, რომ ძალიან მოქანცული იყო, თუმც ლექცია ერთ საათზე მეტი არ გაგრძელებულა. ვკითხე მიზეზი და მიპასუხა: „შენი მდგომარეობა მესმოდა „ეშფოთავდი და ოფლში ვიწურებოდიო“.

მაშინ მკაფიოდ და ღრმად შევიგენი, თუ რას ნიშნავს სიტყვა „თანაგრძნობა“, „სიყვარული“. მოსიყვარულე და თანამგრძნობ ადამიანს ეკარგება საკუთარი, თავის კერძო სურვილი: იგი ამხანაგის ქერქშია, მისი სიცოცხლით სცოცხლობს, მასთან ერთად ჰღელავს და შფოთავს, მასთან ერთად სწუხს და ხარობს.

აზრიანმა და მგრძნობიარე ადამიანმა არ შეიძლება არ იწამოს, რომ ზნეობრივ საკითხებს უღიდესი ყურადღება ეკუთვნის ადამიანთა ცხოვრებაში. არჩილს ეს სწამდა, სწამდა პირადი გამოცდილებით და არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ ქართველი საზოგადოების სისუსტე ზნეობის სისუსტეში გამოიხატება. მას სწამდა, რომ რწმენა, მტკიცედ და ღრმად შეთვისებული, ზნეობის წმინდა წყაროა. თუ კაცს რამე სწამს და ამ რწმენას თავისი ცხოვრების ქვაკუთხედად სთვლის, უთუოდ კაცთა შორის თავის მოქმედებას, მოღვაწეობას ამ რწმენას შეათანხმებს; მას მოაგვარებს; რწმენა მაშინ ის ისარია, კომპასია, რომელიც ადამიანის სულიერ ძალას, ენერგიას გზას, მიმართულებას აჩვენებს და ამავე დროს ამ ძალას, ენერგიას ზრდის და ჰკვებავს.

არაერთხელ მისაუბრია არჩილთან იმის შესახებ, რომ ხასიათის, ნებისყოფის სისუსტე, რაიცა ასე ამკარად ემჩნევა ქართველ საზოგადო მოღვაწეს, რწმენის სისუსტის შედეგია. არჩილმა კარგად იცოდა, რატომ არ ხეირობს ჩვენში საზოგადო საქმე; მკაფიოდ ესმოდა, რომ ამის მიზეზი ჩვენი ჯერჯერობით ძველებური სულიერი ვითარებაა, ისეთი მდგომარეობაა, როცა აზრი და მისი დიადი მნიშვნელობა ქართველ კაცს ძვალ-რბილში გამჯდარი არა აქვს.

აზროვნებისაგან გაუწვრთნელი გრძნობა, რომელიც თავისთავად ბრმაა, თუ აზრის ნათელ გაელენას მოკლებულია, ხშირად სძლევს ქართველ კაცს: ამის გამო მისი ხასიათი, ნებისყოფა ერთიანი, ერთი მიმართულებით, ერთი რწმენით გარკვნებული არ არის. ქართველი მოღვაწის ცხოვრებაც ამიტომ მეტად ჭრელია, მთლიანობამოკლებულ სურათს წარმოადგენს. იგი ნელა მიდის წინ, განტად მოძრაობს აზროვნების სარბიელზე, თითქო მისი სული, მხოლოდ

სანახევროდაა ახალი, დროის შესაფერი, აზრებით ცხოველყოფილი, სანახევროდ კი ძველნაანდერძევი ბრმა გრძნობებისა და ინსტინქტებისაგან გამშვებულიაო. კარგია შემაბორკავი მუხრუჭი, როცა ადამიანი უფსკრულისაკენ მიექანება, იფიქრეთ, რამდენად სასარგებლოა იგი, როცა ადამიანმა მაღალ სფეროებში გზა უნდა გაიკაფოს. სწორედ ეს სულიერი მუხრუჭი, როგორც ძველი დროის ნაშთი, ფიქრისაგან ხელუხლებელი, გარდუქმნელი ბრმა ინსტინქტიური ძალა აბრკოლებს, აფერხებს ქართველ კაცის მოღვაწეობას და ამ სამწუხარო სულიერს ბორკილს კარგად პხედაედა ჩვენს ცხოვრებაში განსვენებული არჩილი.

რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის არჩილს, რადგან სწუხდა იგი, როცა ნაცნობები, მისი ავადმყოფობის დროს, დაჟინებით სთხოვდნენ—მეცადინეობას, წერას და კითხვას თავი დაანებე, სადმე გაემგზავრე ჯანის შესაკრებელად და შემდეგ უფრო კარგად შესძლებ მუშაობასაო. ეს რჩევა რომ მიმეღო და ამ გზაზე დავმდგარიყავი,—მითხრა ერთხელ არჩილმა—მთელი ჩემი სიცოცხლე ჯანმრთელობისათვის უნდა შემეწირა, რადგან ისეთი ავადმყოფობა მჭირს, რომელსაც მუდამდღე წამლობა და დასვენება სჭირიაო. როცა ვეუბნები მრჩევლებს, რომელთა შორის ზოგიერთები მხოლოდ თავის კუჭს აღმერთებენ და ემსახურებიან, რომ უწიგნოდ, უსაწერკალმოდ და უმუშაოდ ცხოვრება არ შემიძლიან, ბევრს ჩემი სიტყვები არ ესმის. რა სასარგებლოა ჩემთვის მუდამ ქამს სხეულის ჯანმრთელობაზე ვიბრძოლო და სული, სხეულის ლამპარი, სიბნელესა და უძრაობაში დავტოვოო. მოკლე სულიერი ცხოვრება სჯობია სხეულის ხანგრძლივ სიცოცხლესაო.

იმიტომ ურჩევდნენ არჩილს ბევრნი სხეულის მოვლა-მოფერებას, რომ აზრი ჩვენში ნაკლებად ფასობს. ეს კარგად ესმოდა არჩილს, სწუხდა ყოველთვის ამის გამო და თავისი ცხოვრებით დიდი მაგალითი მოგვცა სულით სხეულის ძლევისა.

რას გვასწავლიან, რა გზას გვიკაფავენ მომავლისაკენ ქართველ ერში გამოჩენილი არჩილ ჯორჯაძისთანა არაჩვეულებრივი ადამიანები? ისინი ცხოვრობენ ჩვენს წრეში, მოღვაწეობენ ჩვენს თვალწინ და შემდეგ გვტოვებენ საუკუნოდ, ეფარებიან იმ იდუმალებით სავსე საზღვარს, სადაც დარაჯად სიკვდილი დგას. ვწუხთ, გულით ვგლოვობთ ძვირფას მოღვაწეთა დაკარგვას, მაგრამ ჩვენი გლოვა მშრალი, იმედშემოძარცული, სასოებამიხდილი გლოვა არ არის. ამას მიზეზი თვით ეს ჩვენგან საუკუნოდ განშორებულნი და ამავე დროს აზრით, გრძნობით, სულის მთელი ზნეობრივის ძალით, ჩვენ შორის

დღესაც მცხოვრები ადამიანებია. იმათ არ ეშინიათ სიკვდილისა. როცა მხოლოდ პირველ შეხედვით შავბნელი აღსასრული უახლოვდებათ, იმათ შეუძლიათ ისეთი შესანიშნავი სიტყვების წარმოთქმა, როგორიც ერთი მეგობრისათვის ნათქვამი არჩილის სიტყვებია: „ქართველი ერის მთლიანობა მაშინ იქნება შესრულებული, როცა ქართველი კაცი უშიშრად შეხვდება სიკვდილსაო“.

ეს შესანიშნავი, ღრმა აზრიანობის შედეგი გულადობა ჩვენც გულს გვიკეთებს, გვაგულიანებს და უიმედობის, სასოწარკვეთილობის სიმკვეთრეს გვიკარგავს, როცა ზნეობრივი ძალით აღჭურვილ ძვირფას მასწავლებლის ცხედარს ვაცილებთ საუკუნო სავანისაკენ, მიცვალებულის ცოცხალი სული, სიკვდილის მთრგუნავი მისი ზნეობრივი ძალა—ჩვენთვის ნუგეშის მომცემია ამ მძიმე წუთებში და ჩვენი გლოვა ამ წუთში გვაგონებს გეტეს ღრმააზრიან სიტყვებს: „არის ისეთი მწუხარება, რომლისაგან ადამიანს პოემის შექმნა შეუძლიანო“. ამ პოემის შემოქმედი ადამიანის სულის ზნეობრივი ძალაა: იგი აშუქებს მთელ მის ცხოვრებას და როცა ძვირფასი მოღვაწე საუკუნოდ გეშორდება, ჩვენს გულში სიკვდილის წინაშე შავბნელ ძოწეულის ძალას აქარწყლებს. გამოჩენილ ადამიანთა სიკვდილიც ცხოვრების მიმნიჭებელია, ისინი არა კვდებიან, იმიტომ რომ მათი ცხოვრების მანათობელი სულიერი ძალა, უჩინარი ღვთაების სხივები, ჩვენ შორის გაფანტულია. ეს სხივები—ნათელი მომავლის მოციქული, ადამიანთა ცხოვრების მანათობელი, ღრმად ნუგეშისმცემი მაღალი იდეალის უკვდავი შუქია.

ილია ნაკამიძე

„სახალხო გაზეთი“, 1913 წ. 3. V. №885
4. V. №886

თავი მეხუთე

1783 წლის ტრაქტატისა და 1801 წლის მანიფესტის სამართლებრივი ბუნება

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის 1783 წლის ხელშეკრულებითა და ტრაქტატის გაფორმებით ერეკლე II და ქართველი პატრიოტები, ვინც ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა, შეეცადნენ რუსეთის იმპერიისაგან მიეღოთ გარანტია, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის უშიშროებას გარეშე მტრების შემოსევისაგან და თუ როგორ გამართლდა მათი იმედები, ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

თითქმის ორი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა რუსეთის მეფის, იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო (ცოტა მოგვიანებით—იმერეთის სამეფოც) საბოლოოდ შეიერთა რუსეთის იმპერიამ. ამიერიდან იწყება სრულიად ახალი ხანა არა მარტო ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ცხოვრებაშიც. სამწუხაროდ, თავის დროზე არ დაწერილა ამ პერიოდის პირუთვნელი და მიუღებელი ისტორია. შემდგომში შეიქმნა ა. ცაგარელის, მ. ჯანაშვილის, მ. ხელთუფლიშვილის, ზ. ავალიშვილის და ი. ჯავახიშვილის პ. იოსელიანის მონოგრაფიები, სერიოზული გამოკვლევები გამოაქვეყნეს ი. ცინცაძემ, თ. ტივაძემ, გ. პაპასკირმა, დ. კაჭარავამ, ზ. ცქიტიშვილმა, ნ. ასათიანმა, ლ. ტუხაშვილმა, ხ. ახვლედიანმა, მ. სამსონიძემ, ლ. ალექსიძემ, გ. პაიჭაძემ, ვ. მაჭარაძემ და სხვებმა. ეს პრობლემა აქტუალურია და დაკავშირებულია იმ საკითხებთან, რომლებსაც წინამდებარე მონოგრაფიაში ვიხილავთ. ამდენად, ჩვენი მიზანია, მკითხველს მივაწოდოთ ზოგიერთი მასალა, თუ როგორ მომზადდა და გამოქვეყნდა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი, ნაწილობრივ შევეხებით 1783 წლის ტრაქტატის და იმავე მანიფესტის იურიდიულ მხარეს.

ტრაქტატი პრეამბულისა, 13 მუხლისა და 4 საიდუმლო სეპარატიული არტიკულისაგან შედგებოდა, ასევე დართული ჰქონდა ფიცის ტექსტი, რომელიც მეფე ერეკლეს უნდა მიეღო. იგი 1784 წლის



ერეკლე II

იანვარში, სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ, შევიდა ძალაში. 1795 წელს ქართლ-კახეთი ააოხრა და გაანადგურა აღა-მაჰმად-ხანმა. ამ დროს საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მას არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა. ეს კი ხელშეკრულების სერიოზული დარღვევა იყო, რადგანაც რუსეთი ვალდებული იყო დაეცვა საქართველო გარეშე მტრებისაგან, ხელშეკრულების დადების მიზეზიც ხომ ეს გახლდათ. ტრაქტატის მიხედვით, საქართველოს მტერი რუსეთის მტრად ცხადდებოდა, არტიკულის მეექვსე მუხლის პირველ პუნქტში ჩაწერილი იყო: „ერთა მის სამეფოისათა შეპრაცხს ყოფად მჭირსითა კავშირითა, სრულებით თანახმად იმპერიისა თანა თვისისა, მაშასადამე, მტერთაცა მათთა შეპრაცხს მტრად თვისისა“.[1]

მიუხედავად ამისა, „სიბერის დროს ძლიერ „მფარველ“ მოკავშირის მიერ მოტყუებული, ამ პირველ თავზე დამტყდარ საშინელ უბედურებით გულგატეხილი, ოთხმოცი წლის მოხუცი მეფე იძულებული იყო, მწუხარებით და სასოწარკვეთილებით აღსავსე ანანურის მონასტერში შეხიზნულიყო. მაგრამ სპარსეთის შაჰმა არც აქ მოასვენა: აღა-მაჰმად-ხანმა ერეკლე მეფეს კვლავ შემოუთვალა, რომ თუ მის უზენაეს უფლებას სცნობდა და ერთ-ერთ ბატონიშვილს მას მძევლად გაუგზავნიდა, მაშინ შაჰი, თავის მხრივ, ტყვეებს გაუნთავისუფლებდა, ყველაფერს, რაც თბილისში ომისაგან დაზიანებული იყო, შეაკეთებინებდა და თანაც მოკავშირეობის ხელშეკრულებასაც დასდებდა. ამ აღუწერელ უბედურებაში მყოფმა მეფე ერეკლემ თავის დამცირება მაინც არ ინდომა და მოსისხლე მტერს არავითარი პასუხი არ აღირსა (Бутков материалы II 341)[2]

სპარსეთმა და ოსმალეთმა იცოდნენ, რას ნიშნავდა საქართველოს დაკარგვა და იქ პოზიციების დათმობა, ამიტომ ორივე ძალა მზად იყო ნებისმიერ დათმობაზე წასასვლელად. მათ კარგად ესმოდათ „ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, იგი დიდს ზემოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთ და მცირე აზიაში და სვე-ბედი აზიის შესახებ პოლიტიკისა ხელთ ჩაუვარდებოდა სხვათა შესახუთავად“[3]

---

[1] ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, თბ., 1970 წ. გვ. 199

[2] იე. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში თბ., 1919 წ. გვ. 101-102.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IV გვ. 208

1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა ჟიცის არგამტეხი მეფე ერეკლე მეორე. „მეფე ერეკლეს სიკვდილით რკინის კარი შეეხსნა, უფრო კარ-ღია შეექმნა და აღვილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყმული მტერსა“[1]—წერდა ილია ჭავჭავაძე.

მიუხედავად მისი პოლიტიკური გამჭრიახობისა და ნიჭისა, სახელმწიფო საქმეები დალაგებული არ დაუტოვებია. თავდაპირველად რუსეთთან კავშირმა საქართველოს გარეშე მტერი მოუმრავლა, შექმნილი სიძნელეები ერეკლეს შინაურმა მტრებმა მარჯვედ გამოიყენეს, მეამბოხე თავადებისაგან ნაწილი ახალციხის ფაშასთან გაიქცა, ლეკთა რაზმების მეგზური გახდა და მათთან ერთად ქართლის სარბევად წამოვიდა. სხვებმა კიდევ თვით ქვეყნის შიგნით თავი აიშვეს, მორიგ ლაშქრობებში აღარ მონაწილეობდნენ, მეფის მიერ გამოცემულ საგლეხო კანონებს აღარ ცნობდნენ, ვაჭარ-ხელოსნებს ავიწროებდნენ.

უკეთესი მდგომარეობა არც სამეფო კარზე იყო. ტახტის მემკვიდრე გიორგი სხვა დედის შვილი იყო (მეფე ერეკლე 1745 წელს დაქორწინდა ანა ბაალის ასულ აბაშიძეზე, რომელთანაც შეეძინა ორი შვილი, გიორგი და თამარი), დანარჩენი ვაჟები კი დარეჯან დედოფლისანი იყვნენ. ამიტომ მათ შორის უთანხმოება სუფევდა, თითოეულს თავისი დაჯგუფება ჰყავდა და ხელმწიფობას იჩემებდა. დარეჯან დედოფალმა და მისმა შვილებმა მეფე ერეკლეს 1791-92 წლებში ორი კანონი გამოაცემინეს: პირველი კანონით შეიცვალა ტახტის მემკვიდრის არჩევის წესი. თუკი მანამდე სამეფო ტახტი მამიდან შვილზე გადადიოდა, ამ კანონით ტახტს დაიჭერდა გვარში ყველაზე უფროსი. ერეკლე მეფე მალე მიხვდა ამის უაზრობას და უმალვე გააუქმა იგი, სამაგიეროდ დარჩა მეორე კანონი: მეფემ ხუთი უფლისწულიდან თითოეულს 1003 კომლი ყმა მისცა, ხოლო მემკვიდრე გიორგის 4000 კომლი. თავის საუფლისწულოებში ბაგონიშვილებს თავი ხელმწიფეებად მიაჩნდათ, სამეფო ქონება ფეოდალების ხელში მოექცა და ისედაც დასუსტებული ქვეყანა კიდევ უფრო დაქუცმაცდა.[2] ენერგიული და შორსმჭვრეტელი მემკვიდრე კიდევ შეძლებდა საქმის მოგვარებას, მაგრამ უძლურს, ავადმყოფს და ყოველგვარ პოლიტიკურ ხედვასა და ნიჭს მოკლებულ გიორგი მეთორმეტეს სახელმწიფოს მართვა და ერის წინ გაძღოლა არ ძალუძდა. ტახტზე ასვლისთანავე მან აცნობა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III გვ. 63.

[2] საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედ. თბ., 1948 წ. გვ. 410.

თავისი გამეფება. იმპერატორმა მას წერილით მოულოცა, მაგრამ ამასთანავე შეახსენა, რომ, თანახმად 1783 წ. ტრაქტატის მესამე მუხლისა, საჭიროა მან წარუდგინოს ფორმალური შუამდგომლობა დამტკიცებისათვის. თითქოს მანამდე მეფის რუსეთს არ დაერღვიოს ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, „როდესაც რომელიმე ერი ხდება მეორე, უფრო ძლიერი ერის პროტექტორატის ქვეშ, ან კიდეც დაექვემდებარება მას მფარველობის მისაღებად, და ეს უკანასკნელი არ გაუწევს ნამდვილ მფარველობას შემთხვევის დროს—აშკარა ხდება, რომ ის უყურადღებოდ სტოვებს საკისრო ვალდებულებას. და ამიტომ ჰკარგავს ყველა უფლებას, რომელიც ხელშეკრულებამ მიანიჭა, ხოლო მეორე მხარეც, თავისუფლდება ყოველი მოვალეობისაგან, რომელიც თავის თავზე მიიღო, იბრუნებს ყველა თავის უფლებას და აღიდგენს თავის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას“.[1] რა თქმა უნდა, საქართველოს სამეფო კარს აღნიშნული საკითხი არ დაუყენებია, არც უფიქრია, ესარგებლა საერთაშორისო სამართლის ამ ნორმით, პირიქით, სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე რუსეთი არ გაეჯავრებინათ, კავშირი არ გაწყვეტილიყო.

1798 წლის ნოემბერში მეფე გიორგიმ პეტერბურგში გაგზავნა თავადი ავალიშვილი პაველს მიერ მოთხოვნილი შუამდგომლობის დამტკიცებისათვის. 1799 წლის 18 აპრილის უმაღლესი სიგელით მეფე გიორგი დამტკიცდა სამეფო ტახტზე და მისი შვილი დავითი კი მემკვიდრედ, ხოლო ნოემბერში გიორგიმ ფიცი მიიღო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ამავე დროს ჩამოვიდა თბილისში რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი.

1799 წლის დასასრულს ქართლ-კახეთის სამეფო ჯერ კიდევ ძველი სტატუსით არსებობს. იგი, თანახმად 1783 წლის ხელშეკრულებისა, მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება, მართალია, აღარ არის მთლიანად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რადგანაც ნაწილობრივ შეზღუდულია მისი სუვერენიტეტი, მაგრამ ჯერ კიდევ ითვლება ცალკე სამეფოდ, არ არის გაუქმებული მისი საერთაშორისო პიროვნება, რომელსაც აქვს განსაზღვრული ტერიტორია, ჰყავს თავისი საკუთარი მეფე, გააჩნია ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტები.

დაერღვილი და ავადმყოფი მეფე გიორგი მე-12 გზავნის პეტერბურგში გიორგი ავალიშვილს, ელიზბარ ფალავანდიშვილს და

[1] რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სამართლებრივი მხარე განიხილა გურამ მარაძემ თავის პუბლიკაციებში—გაზ. „კომუნისტი“, 2, 10, 12 სექტემბერი, 1989

გარსევან ჭავჭავაძეს მოსალაპარაკებლად საქართველოს რუსეთთან უფრო მჭიდროდ შეკავშირების მიზნით. ზემოხსენებულმა პირებმა შეიმუშავეს ნოტა „სათხოვართა პუნქტები“[1] (თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს შეკავშირება), რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო შევიდოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (მუხლი I), მაგრამ ისე, რომ გიორგი მეთორმეტეს და მის მემკვიდრეებს უნარჩუნდებოდათ სამეფო ტახტი (მუხ. 2). ე.ი. ამ ნოტით საქართველოს მეფეს რჩებოდა მხოლოდ აღმასრულებელი ძალაუფლება, ხოლო კანონმდებლობითი უფლება მთლიანად რუსეთის იმპერატორის ხელში გადადიოდა. იგი გარსევან ჭავჭავაძემ წარუდგინა იმპერატორ პავლეს 1800 წლის 17 ნოემბერს. იმპერატორმა მოიწონა, რაც ბარათით აუწყა კიდეც მეფე გიორგის, მაგრამ რადგანაც ნოტა პეტერბურგში იყო შედგენილი, იმპერატორმა სურვილი გამოთქვა, ჯერ საქართველოში მიეღოთ და შემდეგ წარედგინათ პეტერბურგში. ამ მიზნით საქართველოში გამოაგზავნეს გ. ავალიშვილი და ე. ფალავანდიშვილი, რომ შემდეგ ისევ პეტერბურგში დაბრუნებულიყვნენ, როგორც მეფისა და ხალხისაგან წარგზავნილი დესპანები.

15 ნოემბერს (1800 წელს), ე.ი. ორი დღით ადრე საქართველოს წარმომადგენლების მიერ ნოტის წარდგენამდე, გენ. კრორინგს, რომელიც კავკასიის საზღვარზე იმყოფებოდა, იმპერატორი პავლე სწერდა: ქართლ-კახეთის სამეფომ განაცხადა დამორჩილების სურვილი, ამიტომ საჩქაროდ შემატყობინე, რა რაოდენობის ჯარის გაგზავნა შეგიძლია საქართველოში და შემდეგ: „მეფის გარდაცვალებისთანავე (რასაც დღე-დღეზე მოელოდნენ—გ.ლ.) გაგზავნე იქ ჩემი სახელით განცხადება, რომ ჩემი ნებართვის მიღებამდე მემკვიდრე არ დანიშნონ“. ამასთანავე, გრაფი პროსტოპჩინი იმავე კნორინგს წერდა: „როცა დესპანები ისევ პეტერბურგში დაბრუნდებიან (რაც, მისი აზრით, 1801 წლის აპრილში უნდა მომხდარიყო—გ.ლ.) გენერალს უკვე შეუძლია დაიკავოს ქართლ-კახეთის სამეფო ჯარებით“.[2] 18 დეკემბერს ხელი მოაწერეს მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, რომელიც გაეგზავნა კნორინგს, რათა მას გამოექვეყნებინა იგი მეფე გიორგი მეთორმეტის სიკვდილის დღეს. მაგრამ მეფემ დაასწრო სიკვდილი: იგი გარდაიცვალა 1800 წლის 28 დეკემბერს, როცა კნორინგს მანიფესტი ჯერ კიდევ არ ჰქონდა

[1] ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა მე-16-18 საუკუნეებში, თბ., 1983 წ.

[2] გაზ. „კვალი“, 1901 წ. №38.

მიღებული. თბილისში ამ დროს იმყოფებოდა ლაშარევი, რომელიც ღებულობდა საჭირო ზომებს, მაგალითად, მან დააპატიმრა თავადი ლეონიძე, ვინც, მისი აზრით, ხალხს აღელვებდა. მალე დესპანებიც დაბრუნდნენ პეტერბურგიდან. მათი აზრით, ქართლ-კახეთის სამეფო საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო შეერთებული რუსეთთან. ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მათ ბატონიშვილი დავითი მიაჩნდათ, თანახმად იმპერატორ პაველს სიგელისა. 15 იანვარს ბატონიშვილმა დავითმა გამოსცა მოწოდება ქართლ-კახეთის მცხოვრებლებისადმი, რომელშიც იგი იუწყებოდა: „უმაღლესი ბრძანებით მე ვუახლოვდები საქართველოს ტახტს მემკვიდრეობით, როგორც მისი მმართველი და რადგანაც საჭირო იყო ეს მეცნობებია ჩემი ხალხისათვის, ამით ვაცხადებ, რომ მე მივიღე სამემკვიდრო ტახტის გამგებლობა“.[1] მაგრამ სამი დღის შემდეგ, ე.ი. 18 იანვარს პეტერბურგში უკვე გამოქვეყნდა (მანიფესტი) საქართველოს შეერთების რესკრიპტი. ეს მანიფესტი ერთი თვის შემდეგ, ე.ი. 16-17 თებერვალს, გენ. ლაშარევის განკარგულებით, წაიკითხეს თბილისის ეკლესიებში. ამდენად, 1801 წლის 18 იანვარს ქართლ-კახეთის სამეფო გამოცხადდა უკვე რუსეთის ნაწილად. მანიფესტში ნათქვამი იყო: „ვითომც თვით მეფე გიორგისა, მოწინავე წრეებისა და ქართველი ერის სურვილითა და თხოვნით რუსეთმა საქართველო შეიერთა. (Буктов, материалы II 466-467) „არც მეფე გიორგის, არც მით უმეტეს ქართველ ხალხს ეს არც სდომებია და არც უთხოვნია“,[2] ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტის, ქენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის პოლ მორიოს აზრი. იგი ეხება გიორგი XII-ს მხრიდან თხოვნის საკითხს და წერს: „დავუშვათ, რომ ეს ასე იყო... ეს სხვა არა იყო რა, თუ არა რუსეთის მიმართ გაკეთებული წინადადება, ხოლო მისი ავტორის, მეფე-გიორგის, გარდაცვალების შემდეგ მოლაპარაკება უნდა განეგრძოთ მის მემკვიდრე დავითთან, რათა ხელშეკრულებას მიეღო სათანადო და მართებული სახე, რომელსაც შეეძლო შემდგომში დაეკავებინა ეკატერინესა და ერეკლეს შორის „სამუდამოდ“ დადებული ხელშეკრულების ადგილი, რომელიც ვერავითარ ცვლილებას ვერ განიცდიდა ორი მხარის შეთანხმების

[1] გაზ. „ცვალი“, 1901 წ. №38

[2] ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში თბ., 1919 წ. გვ. 117

[3] ი. ტაბაღუა, ტრაქტატი ქართლ-კახეთის სმეფოსა და რუსეთს შორის, ხელმოწერილი 1783 წელს, კრებული „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“ თბ., 1999 წელი, ტ. IV-V, გვ. 217

გარეშე".[3] მაგრამ ამის შემდგომ კიდევ რამდენიმე თვემ გაიარა, ვიდრე ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოვიდოდა. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მანიფესტის გამოცხადების შემდეგ იმპერატორ პაველს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი მოკლეს 1801 წლის 11 მარტს, ამიტომ საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმის საბოლოო გადაწყვეტა წილად ხვდა მის მემკვიდრეს—იმპერატორ ალექსანდრე პირველს. მანიფესტთან დაკავშირებით კი პოლ მორიო წერს: „ეს იყო ცალმხრივი, ძალდატანებითი აქტი.[1]

როდესაც იმპერატორი ალექსანდრე I ტახტზე ავიდა, საქართველო ფორმალურად შეერთებული იყო რუსეთთან, ე.ი. სურვილი გამოცხადებული იყო მანიფესტში. მაგრამ ამის განსახორციელებლად კიდევ უნდა გაეტარებინათ საჭირო ზომები. ახალგაზრდა იმპერატორმა საქართველოს რუსეთთან შეერთებაში უსამართლობა დაინახა ქვეყნისა და ტახტის კანონიერ მემკვიდრეთა მიმართ: „ალექსანდრე I-მა იგრძნო საქართველოს შეერთების მთელი უკანონობა და ამიტომ გადაწყვიტა გამოერკვია, რამდენად მართალია, რომ მთელ საქართველოს თავის ნებით მოესურვოს რუსეთთან განუყოფლად შეერთება და რომ მას თავის დაცვა გარეშე და შინაურ მტრებისაგან არ ძალუძს"[2]—წერდა ივ. ჯავახიშვილი. თუმცა ლ. ალექსიძეს ეჭვი ეპარება ალექსანდრე I-ის გულწრფელობაში: „ალექსანდრემ პირველ ხანებში ლიბერალისა და საერთაშორისო სამართლისადმი ერთგულების პოზა მიიღო".[3] იმპერატორმა ეს საქმე გადასცა განსაკუთრებულ თათბირს,[4] რომელმაც იგი 11 აპრილის სხდომაზე გაარჩია. თათბირის აზრით, საქართველოს შეერთება ორი გარემოებით იყო განპირობებული: ერთი—გრაფ მუსინ-პუშკინის მოხსენებით, საქართველო მდიდარი იყო სხვადასხვა წიაღისეულით; მეორე—მეფე გიორგის სურდა, რომ საქართველო შეერთებოდა რუსეთს, რადგანაც დამოუკიდებელი არსებობა აღარ შეეძლო და მას ფიზიკური განადგურება მოელოდა (გრაფმა მუსინ-პუშკინმა თვითონ იმოგზაურა საქართველოში, თავისი თვალით ნახა საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება, შეისწავლა, რამდენადაც შეძლო, ქვეყნის წიაღისეული და ბუნებრივი სიმდიდრეები, რამაც გააოცა იგი). ალექსანდრე I არ დაკმაყოფილდა თათბირის მსჯელობით და

[1] იქვე გვ. 217.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბ., 1919 წ. გვ. 61

[3] ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა მე-16-18 საუკუნეებში, თბ., 1983 წ. გვ. 236

[4] მკვლევართა ნაწილი განსაკუთრებულ თათბირს უწოდებს „სახელმწიფო საბჭოს", რაც არ არის სწორი, სახელმწიფო საბჭო რუსეთის სამეფო კარზე შეიქმნა 1802 წლიდან.

15 აპრილს ხელახლა შეკრიბა იგი, თუმც გრაფი მუსინ-პუშკინი ისევ წინანდელ აბრს იცავდა, მაგრამ ამჯერად მან შესთავაზა იმპერატორს, გენერალ კნორინგს ებრძანოს საქართველოში წასვლა და ადგილზე შეისწავლოს: შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა და ქართველ ხალხს სურს რუსეთის ქვეშევრდომობა თუ მარტო სამეფო კარს. იმპერატორი დათანხმდა ამ წინადადებაზე. კნორინგი თბილისში ჩამოვიდა 1801 წლის 22 მაისს და 28 იელისს უკვე წარუდგინა იმპერატორს თავისი მოხსენება (რა თქმა უნდა, ხალხის სურვილი არ შეუსწავლია და არც იმის დადასტურებაზე შეუწუხებია თავი, მართლა შეეძლო თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა), რომლითაც ურჩევდა და უსაბუთებდა მას საქართველოს სრულ შეერთებას. საინტერესოა ის, რომ მეფის კარზე იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მაგ. გრაფი ა. ვორონცოვი და გრაფი ვ. კოჩუბეი, რომლებმაც მიართვეს იმპერატორს თავისი მოხსენება ამ საკითხზე. მათი აზრით, საქართველოს რუსეთთან შეერთება სრულებით უსარგებლო და საზიანოც იქნებოდა ორივე ქვეყნისათვის.

8 აგვისტოს განსაკუთრებული თათბირის დასკვნით სხდომაზე მოთათბირეთა უმრავლესობამ დაადასტურა საქართველოს შეერთების მიზანშეწონილობა და იმპერატორმაც მისცა ამ გადაწყვეტილებას უმაღლესი სანქცია. 12 სექტემბერს, როგორც ვთქვით, ქ. მოსკოვში გამოიცა მანიფესტი, რომლითაც საქართველო საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს. შვიდი თვის შემდეგ, ე.ი. 1802 წლის 12 აპრილს ეს მანიფესტი გამოქვეყნდა თბილისში. იმავე დღეს სიონის საკათედრო ტაძარში დაფიცებული იქნენ ახალი წესწყობილების ერთგულებაზე ბატონიშვილები, კათალიკოსი და შემდეგ მთელი ერი.

„მანიფესტში ფარისეველურად იყო ნათქვამი, რომ ეს აქტი მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესებზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი. ის ადგილი თბილისში, სადაც საჯაროდ კითხულობდნენ ამ მანიფესტს, ალყაშემორტყმული იყო რუსეთის ჯარითა და არტილერიით. მსმენელთაგან კი, ვინც პროტესტი გამოთქვა სახელმწიფოს გაუქმების გამო, ადგილზევე იქნა დაპატიმრებული“[1]

ამით გაუქმდა ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი სამეფო ტახტი, მოიშალა ეროვნული მმართველობის სისტემა, ქართული სამართლებრივი ინსტიტუტები, სამაგიეროდ, საქართველოს რუსეთის მეფის მოხელეები მოევლინენ, ქართულმა ეკლესიამ დაკარგა ავტო-

[1] გ. ანჩაბაძე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1992 წ. გვ. 85.



გარსევან ჭავჭავაძე

კეფალია, კათოლიკოს-პატრიარქის ადგილი რუსმა ეგზარქოსმა დაიკავა.

1802 წლის 8 მაისს თბილისში შეიქმნა საქართველოს უმაღლესი მთავრობა (Грузинское верховное правительство), რომელიც შედგებოდა ოთხი ექსპედიციისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონების შემდეგ მეფის რუსეთი შეუდგა ამიერკავკასიაში თავისი სამფლობელოების გაფართოებას. ირანთან ორი ომის შედეგად რუსეთის ხელში გადავიდა ჩრდილო აზერბაიჯანი და აღმოსავლეთ სომხეთი. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, მისი შეერთება რუსეთმა განახორციელა ორ ეტაპად: ჯერ მან თავისი პროტექტორატის ქვეშ მოაქცია აღგილობრივი პოლიტიკური წარმონაქმნები (1803 წ.—სამეგრელოს სამთავრო, 1804 წ.—იმერეთის სამეფო, 1810 წ.—გურიისა და აფხაზეთის სამთავროები, 1833 წ.—სვანეთის სამთავრო), ხოლო შემდეგ თანდათანობით გააუქმა ისინი მათი ტერიტორიების სრული ანექსიით (იმერეთი—1810 წ., გურია—1828 წ., სამეგრელო—1857 წ., სვანეთი—1858 წ.).[1]

საბოლოოდ, აღმ: საქართველოს 1783 წ. რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულებამ და შემდეგ 1801 წ. შეერთებამ მთელი საქართველოს ბედ-იღბალიც გადაწყვიტა. ბუნებრივია, როგორც საქართველოს ტერიტორიის ნაწილი და ერთ-ერთი კუთხე ვერც აფხაზეთი გადაურჩა ამ პროცესს. თუმცა, 17 თებერვალს 1810 წ., აფხაზეთის მთავარმა სეფერბეი შარვაშიძემაც რუსეთის მფარველობა მიიღო, მაგრამ კარგა ხანს, XIX საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგამდე იქ რუსეთმა ფეხი მტკიცედ მაინც ვერ მოიკიდა, და მხოლოდ 1864 წლის 1 მაისს შეძლეს აფხაზეთის საბოლოოდ შეერთება. აფხაზეთის მთავარს კი მთელის შთამომავლობით მთავრის უფლება სამუდამოდ ჩამოერთვა.

აფხაზები იოლად არ შერიგებიან სამთავროს გაუქმებას და 1866 წელს აჯანყება დაიწყო, რომელიც რუსთა ჯარის საშუალებით ჩაახშეს, მაგრამ 1877-78 წელს კვლავ ახალმა აჯანყებამ იფეთქა.

რუსეთის გაბატონებას აფხაზეთში ყველაზე ძლიერსა და მედგარ წინააღმდეგობას წებელდა უწევდა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთის მთავრობა არა ერთხელ ამ კუთხეში დამსჯელ რაზმებს გზავნიდა ხოლმე და ბოლოს მკვიდრი მცხოვრებნი იქიდან აყრილ და განდევნილ იქმნენ.

[1] გ. ანჩაბაძე, იქვე.

„1840 წ. აგეხილ ამბოხების გამო ამ კუთხის მაღლობი ადგილებითგან, დალითგასაც, კაზაკებმა ყველა მეკომურნი აპყარეს[1].“

„სოლო 1867 წლის აფხაზეთის აჯანყების შემდგომ, წებელდის მოსახლეობის უკანასკნელი ნაწილიც დიდით პატარამდე, დედაბუდიანად აყრილი და ოსმალეთში განდევნილი იყო. ჯერ კიდევ 1850 წელს აქ 14000 სახლობა ითვლებოდა, 1867 წელს—კი მთელს ამ კუთხეში, რუსთა წყალობით, 27 ოჯახის მეტი აღარავინ იყო“ (Иваненко. Гражд. упр. 430). ამ დროიდან მოყოლებული კოდორის და მის შემდინარეების ხეობანი სრულებით გაუკაცრიელდა. ამის შემდგომ მეფის რუსეთი მთელს თავის პოლიტიკას შავი ზღვის ნაპირას ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით კი—ქართველთა საწინააღმდეგოდ აწარმოებდა: ქართველებს აქ დასახლება და უძრავ ქონების შეძენა აკრძალული ჰქონდათ, ხოლო მოხელეებსა და სამხედრო პირებს, ჩალის ფასად აძლევდნენ ამ სამოთხესავით მშვენიერსა და ბუნებით უხვად დაჯილდოებულს მხარეს. მხოლოდ ცარიზმის პოლიტიკის წყალობით გაჩნდა ქართველების გვერდით აფხაზეთში სხვა ეროვნების ხალხიც.

„მთავრობის ზემოაღწერილი პოლიტიკისა და საახალშენო მოღვაწეობისდა მიუხედავად, სამურზაყანო აფხაზეთში და ჯიქეთის სამხრეთის მცირე ზოლში, ანუ სოხუმისა და სოჭის ოლქებში 1916 წ. აღწერის და თანახმად 141000 მცხოვრებთა შორის 71000 ქართველი და 43000 აბხაზი იყო, 6.000 სომეხი და 21000 სულ სხვადასხვა ეროვნებისა.[2]

საქართველოს პირველ მთავარსარდლად დაინიშნა გენ. კნორინგი, რომლის ხელში იყო უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო უფლება. სამოქალაქო უწყების მმართველად გამოცხადდა კოვალენსკი, რომელიც მეფე გიორგი მეთორმეტის დროს იმპერატორ პავლეს წარმომადგენელად ითვლებოდა ქართლ-კახეთში. ორივე ეს პირი ჩქარა დაითხოვეს თანამდებობიდან, რუსეთის მთავრობის განკარგულებით.

რამდენიმე სიტყვა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის იურიდიულ მხარეზე.

1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების (ტრაქტატის) ირგვლივ, საერთაშორისო სამართლის ნორმათა თვალსაზრისით, აზრთა სხვადასხვაობაა, იგულისხმება ტერმინოლოგია, რითაც კვალიფიცირდება ხელშეკრულების შინაარსობრივი ბუნება.

[1] (В.Т. Маевскій. Кутаисская губернія. Военно-статистическое описаніе. ტფილისი, 1896 წ. დამატ. № 1, გვ. 54).

[2] დაწ. იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები თბ., 1919 წ. გვ. 8-9.

ბრიუსელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი ერნესტ ნასი რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ 1783 წლის ტრაქტატს მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულებას უწოდებდა. დაახლოებით იგივე აზრს ავითარებენ ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, მ. დუმბაძე, გ. პაიჭაძე და სხვანი.

ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ფონ ლისტის აზრით, ეს ხელშეკრულება „რუსეთის პროტექტორატს და სუვერენობას ამყარებდა საქართველოზე, რომელიც თუმც სრულებით დამოუკიდებელ, მაგრამ მაინც მის ვასალურ სახელმწიფოდ ხდებოდა". რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ „ყველა ამ ხელშეკრულობას (იგულისხმება, როგორც ერეკლე II და იმპერატორ ეკატერინეს შორის, ასევე ალექსანდრე I და სოლომონ II შორის დადებული ხელშეკრულებები. გ.ლ.) მფარველობითი ხასიათი აქვს. ისინი სცნობენ რუსეთის გამგებლობას, მის სუვერენობას. საქართველოს აყენებენ მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში და ვალდებულად ხდიან მას იარაღით ხელში დაეხმაროს რუსეთს გარეშე მტრის წინააღმდეგ (და პირიქით გ.ლ.), მაგრამ შინაურ ცხოვრებაში, ამ ხელშეკრულებათა მიხედვით, საქართველოს თვითმმართველობა, როგორც მოქალაქეობრივი, ისე ეკლესიური ხელშეუხებელი რჩება".[1] ისტორიკოსის და იურისტის ზურაბ ავალიშვილის აზრით, ის პოლიტიკური დამოკიდებულება, რომელიც საქართველოს და რუსეთს შორის 1783 წლის ხელშეკრულების ძალით შეიქმნა, არც ვასალურ დამოკიდებულებას წარმოადგენს, არც პროტექტორატს და მფარველობას. ერთსა და იმავე დროს იგი არის მფარველობაც, პროტექტორატიც და ვასალური დამოკიდებულებაც.[2]

მ. ხელთუფლიშვილი თვლის, რომ 1783 წლის ხელშეკრულებით, რუსეთს საქართველოს მიმართ წმინდა პროტექტორატის უფლება და მხოლოდ მფარველობა მიენიჭა,[3] ა. ცაგარელი ტრაქტატს „მფარველობის ხელშეკრულებას"[4] უწოდებდა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს იყო მოკავშირეობის ხელშეკრულება, სადაც ლაპარაკი არ არის ქვეშევრდომობაზეც კი და ასკვნის—„მაშასადამე, 1783 წ. ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს „მფარველობითი მოკავშირეობის" ტრაქტატად მიაჩნდათ

[1] პროფ. ლისტი, საქართველოს რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა, თბ., 1918წ. გვ. 148

[2] З. Авалов, Присоединение Грузии к России. Петербург, 1903 г. Ст. 143

[3] М. Хелтуплишвили, Вступление Грузии в состав Российской империи, 1901 г. ст. 82.

[4] А. Цагарели, Грамоты. Т. II, вып. ст. 30



გრიგოლ პოგიომკინი

და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ მათს ცხადად გამოთქმულ ამ ნებისყოფას".[1]

რევოლუციამდელ იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ 1783 წლის ხელშეკრულება არის პროტექტორატის აქტი, რომლითაც საქართველო „არასუვერენულ" და „დაქვემდებარებულ" სახელმწიფოდ იქცა.

უცხოურ ლიტერატურაში 1783 წ. ხელშეკრულებით შექმნილი სტატუსი სხვადასხვაგვარადაა გაგებული: აქტი, რომელიც ამყარებს პროტექტორატის რეჟიმს, „რუსეთის უზენაესობა და სუვერენიტეტი" და ვასალური დამოკიდებულება, „ხელშეკრულება მეგობრობისა და კავშირის შესახებ" და ა.შ.

ამ საკითხს სხვაგვარად აშუქებს რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია. ო. მარკოვა თვლის 1783 წლის ხელშეკრულებას ტრაქტატად პროტექტორატის შესახებ და მიაჩნია, რომ მისი ძალით ქართველი მეფე რუსეთის მეფის ვასალი გახდა.

საინტერესო დასკვნები გააკეთა პროფ. ლ. ალექსიძემ, რომელიც ზემოთ აღნიშნული და სხვა მკვლევართა კონცეფციების ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 1783 წლის ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის სამეფო დაექვემდებარა რუსეთის იმპერიას საშინაო ავტონომიის შენარჩუნებით და საგარეო პოლიტიკური ქმედითუნარიანობის, ე.ი. საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობის ნაწილობრივი შეზღუდვის პირობით...

ეს იყო „მფარველობა-დაქვემდებარების ხელშეკრულება".[2]

საბოლოოდ ამ სახით ჩამოყალიბდა სატერმინოლოგიო ჯგუფი:

1. „მეგობრობითი ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ".
2. „პროტექტორატი"
3. „პროტექტორატი-სიუზერენიტეტი"
4. „პროტექტორატი და ვასალიტეტი"
5. „პროტექტორატი ვასალიტეტის ფორმაში".
6. „მფარველობა-დაქვემდებარება ხელშეკრულებით".

საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან, მალე 200 წელი გახდება, მაგრამ ეს ფაქტი კვლავ მწვავე, სრულიად საპირისპირო დავის საგანია მეცნიერებისა და პოლიტიკოსებისათვის. გეხედება სრულიად უკიდურესი დასკვნები.

1919 წელს პროფ. ა. ცაგარელი წერდა: „საქართველომ უნდა

[1] ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბ., 1919, გვ. 32

[2] ლ. ალექსიძე, დას. ნაშრ. გვ. 197

მიიღოს ანაზღაურება 100 წლიანი ტყვეობისათვის, როცა ამ ათას-წლიანმა სახელმწიფომ დაკარგა არა მარტო სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა, არამედ გეოგრაფიული სახელწოდებაც".

ბოლშევიკური რეჟიმის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის ყოველი ხსენება ოპონენტებისათვის იმის გააზრებით მთავრდება, თუ როგორ ემუდარებოდნენ ქართველი მეფეები რუსეთის იმპერატორებს მფარველობასა და გადარჩენას, ხოლო იმაზე არაფერს ამბობენ, რა სწრაფად სპობდა ცარიზმი ქართული სახელმწიფოებრიობის ყველა ნაშთს და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეერთებას მთელს წინა აზიაში რუსეთის სამხედრო გაძლიერებაში.

აკად. ივ. ჯავახიშვილი სინანულით წერს, რომ ისეთი რეალისტი მეფეც კი, როგორიც იყო ერეკლე II, ვერ გადაურჩა „გულუბრყვილობას". ობიექტურობა გვკარნახობს, აღვნიშნოთ: რუსეთის მიმართ ერეკლე II პოლიტიკა მაინც რეალურ არგუმენტებზე იყო დაფუძნებული, რადგან მაშინდელ ეპოქაში საქართველოს გარშემო არსებული მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური ძალებიდან (თურქეთი, სპარსეთი, რუსეთი) რუსეთს უნდა შესძლებოდა საქართველოს მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფა. ერეკლე II ხომ ირანისა და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკას კარგად იცნობდა და მათგან სასიკეთოს არაფერს ელოდა.

რუსეთ-საქართველოს ამ ხელშეკრულების სამართლიანობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ ხანს. რუსეთთან შეერთებისათვის ნაბიჯის გადადგმას ჩვენს წინაპრებს შეცდომად უთვლიან; ძალიან ძნელი იყო კონკრეტული და ამომწურავი პასუხის გაცემა კითხვაზე: შეცდომა იყო თუ არა საქართველოს რუსეთთან შეერთება იმ პერიოდში და შემდგომ შექმნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ამიტომ ქართველ ისტორიკოსთა ნაწილმა ამ ფაქტს „მცირე ბოროტება" უწოდა, რადგან „საქართველო მეფის რუსეთის კოლონიად იქცა. რა თქმა უნდა, ეს იყო ბოროტება, რომელსაც ქართველი ხალხი დაუღალავად ებრძოდა... მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში ეს იყო მაინც უმცირესი ბოროტება; სამი მოქიშპე სახელმწიფოდან (რუსეთი, ირანი, ოსმალეთი) მხოლოდ რუსეთი, საქართველოსათვის მახლობელი რელიგიითა და კულტურით, იყო ერთადერთი პროგრესული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა"[1]

[1] საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედ. 1948 წ. 418.

პროფ. ს. ჯორბენაძე ამ საკითხზე წერს: „ჩვენის რწმენით, „უმცირესი ბოროტების“ თეორია ყველაზე სწორად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს და საქართველოს რუსეთთან შეერთების რეალურ შედეგებს“.

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს პროფ. ლ. ალექსიძეს მიაჩნია, რომ: „გეორგიევსკის ტრაქტატი იმ დროის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი პროგრესული და უჩვეულო აქტი იყო, რადგანაც პროტექტს საკმაო პრივილეგიებს აძლევდა, საგარეო-პოლიტიკური ქმედითუნარიანობის ნებაყოფლობით შეზღუდვა არ ნიშნავდა „ბოროტებას“, რადგანაც მიზნად ისახავდა ქართლ-კახეთის პროგრესული ძალების მიერ დასმული ამოცანების განხორციელებას, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი იყო მაჰმადიანი აგრესორების მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება...მისი პირუთვნელად შესრულების შემთხვევაში ქართლ-კახეთი იგებდა მეტს, ვიდრე რუსეთი, რადგანაც ეს ქვეყნის ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებასა და მთელი ერის ფიზიკური განადგურების საშიშროების თავიდან აცილებას მოასწავებდა. ასეთი მიზნების მიღწევისათვის „დაქვემდებარება“ სავსებით გამართლებული იყო და „უმცირეს ბოროტებად“ ვერ ჩაითვლებოდა“.[1]

საბოლოოდ საქართველო–რუსეთის ხელშეკრულებით (რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით, იმ მდგომარეობიდან გამომდინარე, მისაღებად შედგენილი აქტი იყო) გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესრულება არ ეწერა, და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიდანვე ცალმხრივად დაირღვა. პროფ. ლისტის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მალე რუსეთის პროტექტორატი საქართველოზე უშუალო სახელმწიფოებრივ ბატონობად გადაიქცა“[2]. გარდა ამისა, ტრაქტატში, შემდეგ კი რესკრიპტსა და მანიფესტში არ გაუთვალისწინებიათ ქართველი და რუსი ხალხის ნება, რაც მაშინაც და ახლაც გათვალისწინებული არის საერთაშორისო სამართლით. სამწუხაროდ, ხალხს არავინ არაფერს ეკითხებოდა, ამიტომაც რჩებოდა მოტყუებული და გაწბილებული, ხოლო სამეფო კარის მოქმედება წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის და მორალის სრულ უგულვებელყოფას, რამაც საქართველოს მიმართ მიიღო აშკარა ძალადობის სახე რუსეთის ფეოდალური იმპერიალიზმის ინტერესების შესაბამისად.

ცარიზმის რეაქციულმა პოლიტიკამ თავიდანვე ქართველი ხალხის

---

[1] ლ. ალექსიძე, საქართველო–რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა მე-16-18 საუკუნეებში, თბ., 1983 წ, გვ.195.

[2] პროფ. ლისტის, დას. ნაშ. გვ. 148.

წინააღმდეგობა გამოიწვია: „თუ დასაწყისში ცარიზმის უკმაყოფილო მხოლოდ ფეოდალური საზოგადოების მაღალი ფენების გარკვეული ნაწილი იყო, ის ნაწილი, რომელმაც ტახტი და მემკვიდრეობა დაკარგა, შემდეგ ეს წრე თანდათან გაფართოვდა. საქართველოს მმართველობაში მოხელეების მექრთამეობა და სხვა შეიქმნა უკმაყოფილების მიზეზი."[1] შემთხვევითი არ იყო 1802 წლის აჯანყება კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1812 წლის აჯანყება ქართლში, 1819–1820 წლების აჯანყებები იმერეთსა და გურიაში.

გარდა ამისა, მოქმედებდა გარე ფაქტორებიც, რომლებმაც დიდი როლი შეასრულა 1832 წლის შეთქმულების მომზადებაში. ეს იყო ევროპასა და რუსეთში მიმდინარე ისტორიული მოვლენები. კერძოდ: 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია, 1831 წლის აჯანყება პოლონეთში. დამტკიცებული ფაქტია, რომ დეკაბრისტების აჯანყებამ შემდგომში გავლენა იქონია პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილზეც. „შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ დეკაბრისტ რილეევის ლექსი გრ. ორბელიანმა ქართულად თარგმნა. არ იყო შემთხვევითი, რომ რილეევის წერილი, ცოლისადმი მიწერილი და მისივე ლექსი, დოდაშვილს აღმოაჩნდა"– წერდა მ. გოზალიშვილი თავის გამოკვლევებში „1832 წლის შეთქმულება".[2] ისტორიკოსი მაქსიმე ბერძნიშვილი 1832 წლის შეთქმულების ანუ შემდეგ წოდებულ „ყაბარდობის" მონაწილეებს ორ ნაწილად ყოფს: „ფეოდალური მონარქიული ნაციონალიზმის წარმომადგენლები და მეორე, რომლებიც გამოხატავდნენ რუსეთში ნამყოფი ან კიდევ რუსული განათლება მიღებული ახალგაზრდობის სულიერ განწყობილებას და ნააზრევს, ვისაც სამშობლოს მომავალი პოლიტიკური წყობილება ფეოდალურ მონარქიად კი არ ეხატებოდათ, არამედ კონსტიტუციურ, ე.ი. უფლებაშებღუდულ მონარქიად ან კიდევ—კონსტიტუციურად. მათ „სიმოკლისათვის შეიძლება ვუწოდოთ უფრო გვიან განმტკიცებული ჩვენში ტერმინი „თერგდალეული"[3]

1832 წლის შეთქმულებაზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვით იყო გამოწვეულიო, თანაც საქართველოში ყველანი დიდად უკმაყოფი-

[1] ივ. სურგულაძე, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, 1986 წ. გვ. 325.

[2] 1832 წლის შეთქმულების შესახებ მასალები გამოაქვეყნეს პროფ. გ. გოზალიშვილმა და ისტორიკოსმა მ. ბერძნიშვილმა.

[3] მ. ბერძნიშვილი, მასალები მე–19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის, II, 1883 წ. გვ. 7.

ლონი იყვნენ (გულისხმობენ როგორც გლეხებს, თავადაზნაურობას, ასევე ინტელიგენციას–გ.ლ.) თითოეულ წრეს და წოდებას თავისი მიზეზი ჰქონდა უკმაყოფილებისა, სოლო საერთო საყოველთაო მიზეზებიც იყო. ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ახლად დამყარებულმა რეჟიმმა არ გაამართლა იმედები და ყველა მოტყუებული და სასოწარკვეთილი დარჩა. აი, ამ ნიადაგზე იშვა „შეთქმულება".[1]

ქართულ ისტორიოგრაფიაში 1832 წლის შეთქმულება შეფასებული იყო როგორც თავადაზნაურული სასიათისა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, იგი არ გამოხატავდა მარტო რომელიმე კლასის ინტერესებს, არამედ მასში მონაწილეობდა ყველა ფენის წარმომადგენელი.

„შეთქმულება ძირითადად თავადებისაგან შედგებოდა, მაგრამ მასში მონაწილეობას ღებულობდნენ აზნაურებიც და საერთოდ დაბალი წრიდან გამოსულნი, გლეხი იყო სოლომონ დოდაშვილი, დაბალი წრიდან იყვნენ ავთანდილაშვილი, სოლომონ რაზმაძე და მღვდელი ტარასი, აზნაური ფილადელფოს კიკნაძე"[2] და ა.შ.

1783 წლის ტრაქტატის ტექსტი პირველად პეტერბურგის სენატის სტამბაში გამოიცა რუსულ ენაზე, რომელსაც არ ახლდა არც სეპარატული არტიკულები და არც სხვა დამატებები.

1784 წელს საგარეო საქმეთა კოლეგიის დავალებით პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში (ტირაჟი 900 ეგზემპ.) რუსულ და ქართულ ენებზე დაისტამბა ტრაქტატი იგივე ფორმით. შემდეგში გამოიცა 1830 წელს რუსულ ენაზე რუსეთის იმპერიის კანონთა სრულ კრებულში, მაგრამ სეპარატული არტიკულების და დამატებების გარეშე. რაც შეეხება ტრაქტატის 13 მუხლს, სეპარატულ არტიკულებს და დამატებებს ქართულ ენაზე გამოსცა ა. ცაგარელმა.

1960 წელს ი. ცინცაძემ გამოსცა ერეკლე მეფის სარატიფიკაციო სიგელის მიხედვით ტრაქტატის ტექსტი, რომელსაც არ ერთვის დამატება ქართლ–კახეთის მეფეთა კურთხევისა და მირონცხების შესახებ.

1965 წელს ი. დოლიძემ გამოაქვეყნა ერეკლე მეფის რატიფიკაციის ტექსტის მიხედვით ტრაქტატის ქართული და რუსული ვარიანტები, მაგრამ კვლავ ქართველ მეფეთა კურთხევის შესახებ დამატებითი მუხლის გარეშე. ყველაზე სრულყოფილი ფორმით ტრაქტატის რუსულ–ქართული ტექსტები მოამზადეს და გამოსცეს რ. მიმინოშვილმა და მ. პაიჭაძემ, რომელსაც საფუძვლად დაედო 1783 წლის ტექსტი (АВПР) ф "Трактата" 1783 Д 175, და აღინიშნა А ლიტერით,

[1] არჩ. ჯორჯაძე, წერილები, დ. ყიფიანი, 1989წ., გვ. 404

[2] გ. ფოცალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, გვ. 254

R ლიტერით ერეკლეს მიერ რატიფიცირებული ტექსტი, P ლიტერით 1784 წელს პეტერბურგის გამოცემა B-ა. ცაგარელის გამოცემა C_ი. ცინცაძის გამოცემა Д_ი. დოლიძის რედაქცია.

ჩვენც ამ ტექსტებით ვიხელმძღვანელეთ, დავუმატეთ ერეკლესეული შესწორებანი, ხოლო რაც შეეხება პაველე I რესკრიპტს და ალექსანდრე I მანიფესტის ტექსტებს[1]. ერთ წიგნში პირველად ქვეყნდება და, ჩვენი აზრით, ამ ისტორიული დოკუმენტების ერთად თავმოყრა და გამოქვეყნება სასარგებლო იქნება ყველასათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ამ პრობლემითაა დაინტერესებული.

[1] პაველე I რესკრიპტის და ალექსანდრე I მანიფესტის ტექსტები მოგანილია პლატონ იოსელიანის ნაშრომებიდან, რამდენადაც პაველე I რესკრიპტის რუსული ტექსტი ვერ მოვიპოვეთ ეთარგმნეთ ქართულიდან, როგორც თვითონ პ. იოსელიანი წერს ქართული ხელნაწერი იპოვა მამის ე. იოსელიანის არქივში, სადაც არ აღმოჩნდა რუსული ვარიანტი.

[ერეკლეს მიერ ი. მუხრანბატონისა და გ. ჭავჭავაძისამდი გაცემული რწმუნება]

არაერთგზის მიურთმევიათ თხოვაჲ ტახტისადმი ყოელისა რუსეთის თჳთმპყრობელთასა წინაპართა ჩუენთა, მეუეთა ქართლისა და კახეთისათა. ხოლო ჰმსგავსად მათსა ტახტისადმი აწ ბედნიერად მმეფობისა იმისი იმპერატორებისა[1] დიდებულებისა ეკატირინა მეორისა იმპერატრიცასი და თჳთმპყრობელისა ყოელისა რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვაგოროდისა, მეფისა ყაზანისა, მეფისა ასტრახნისა, მეფის სიბირისა, ჴელმწიფისა და პსკოვისა და დიდისა თავადინასი სმოლენსკისა, თავადინასი ისტლანდისა, ლიფლანდიისა, კორელისა, თვერისა, იუღორისა, პერმისა, ვიატკისა, ბოლღარისა და სხუათა, ჴელმწიფისა და დიდისა თავადინასი ნოვოგოროდის ნიზოვის ქუეყნისა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელაოზერისა, უღორისა, ობდორისა, კონდიკისა და ყოელისა ჩრდილოეთისა კერძოჲსა, მბრძანებელისა და ჴელმწიფისა იევერთა ქუეყნისა, ქართლისა და საქართუელოჲსა მეუეთა და ყაბარდოს ქუეყნისა, ჩერქეზისა და მთიურისა კნიაზთა და სხუათა მემკჳდრისა, ჴელმწიფისა, და მფლობელსა მივართჳთ უმდაბლესი თხოვაჲ ჩუენ, ირაკლი მეორემან, მეფემან (ქართლისა და მეფემან კახეთისამან, მემკჳდრემან-მთავარმან სამცხე-საათაბაგოსამან, მთავარმან ყაზახისამან, მთავარმან ბორჩალოჲსამან, მთავარმან შამშადილოჲსამან, მთავარმან კაკისამან, მთავარმან შაქისამან და მთავარმან შირვანისამან, მფლობელმან და მბრძანებელმან განჯისა, ერევნისა და სხუათამან—მიღებისათჳს ჩუენისა და მონაცულეთა[2] ჩუენთასა მფარველობასა ქუეშე იმისის იმპერატორების დიდებულებისა და აღსარებისათჳს ჩუენ-კერძო უმენაესისა ხელმწიფებისა მი-

[1] იმპერატორების B. დაყოფით დაბეჭდილი სიტყვები აქაც და შემდგომაც დედანში ასომთავრულით ან მსხვილი შრიფტით არის დაწერილი. ეკატერინესა და ერეკლეს ტიტულატურას B იძლევა შემოკლებით.

[2] მონაცუალეთა B.

სისა და მენაცულეთა რუსეთის საიმპერატოროს[2] ტახტისათა ქართლისა და კახეთისა მფლობელთა ზედა.

და უკანასკნელ მიეღევით იმისის იმპერატორების დიდებულებისაგან მოწყალებითი ნებაჲ ამას ზედა, რომლისაცა[3] დასამტკიცებლად[4] ცხადითა და ორითევე კერძოჲთა მსგავსითა განწესებითა აღვარჩიეთ და სრულისა ძალისა მქონებელ ვჰყავით ჩუენ-კერძო საყუარელნი და ერთგულნი ყმანი ჩუენნი: კნიაზი იოვანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატიონი, მხედრობისა ჩუენის[5] მემარცხნე[6] სპასპეტი, რომელსაცა აქუნ პრწმუნებულ საქმენი ერევნისანი და კნიაზი გარსევან რევაზოვიჩი ჭავჭავაძე, ჩუენი მანდატურთუხუცესი და ზედამხედუელი ყაზახისა სამთავროსა[7], რომელთათჳსცა მიგჳცია სრული მინდობაჲ, რათა მისისა იმპერატორების დიდებულებისაგან განწესებულთა, სრულის ძალის მქონებელთა თანა რაჲცა განაწესონ, დაამტკიცონ და მოაწერონ ტრაქტატთა მფარველობისათჳს ჩუენ ზედა მისის იმპერატორების დიდებულებისა[8] და მაღალთა მენაცულეთა მისთასა და ჩემ მიერ აღსარებისათჳს უზენაესისა ჴელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის თჳთმპყრობელთასა ქართლისა და კახეთის მეფეთა ზედა. აღვსთქუამ ჩუენისა მეფობითისა სიტყჳთა, რომ კეთილად მივიღებ და უიჭუელად აღვასრულებ ყოველსა მას, რაჲცა კნიაზ იოანე ბაგრატიონისა და კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან ძალითა აწინდელისა სრულისა ძალისა მქონებელო-ბისათა.[9] აღითქმიან, განიწესებიან და მოიწერებიან. ესრეთვე მიეცემისცა ამათ ზედა რადიფიკაციაჲ ჩუენი განწესებულსა დროსა. რომლისაცა დასარწმუნებელად[10] ამას სრულსა ძალასა ჩუენ საკუთარითა[11] ჴელითა ჩუენითა მოვაწერეთ და უბრძანეთ დამტკიცებად სამეფოჲთა ბეჭდითა ჩუენითა.

მეეცათ (sic)[12] სამეფოსა ქალაქსა ჩუენსა ტფილისს. იუნისის 28 დღესა, წელსა შობითგან ქრისტესითა 1783, ოცდამეათცხრამეტესა წელსა მეფობისა ჩუენისასა.

ერეკლე

(ბეჭედი)

თავადი დავით ორბელიანი
თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი

---

[2] საიმპერატორო B. [3] რომელსაცა B. [4] დასამტკიცებლად B. [5] ჩუენისა B. [6] მემარცხენე B. [7] სამთაეროჲსა B. [8] დიდებულების B. [9] მქონებლობისათა B. [10] და სარწმუნებლად B. [11] საკუთრითა B. [12] მიეცათ B.

[გეორგიევსკის ტრაქტატი]

სახელითა ღვთისა[1] ყოველისა შემძლებელისა ერთისა[2], სამწ̃მინდაობასა შინა დიდებულისათა:

აღრითგან ერთმორწ̃მუნოებამან[3] ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა ქართუელთამან მსახურა[4] მფარველობითა, შემწეობითა და მესაველრებელობითა[5] მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღმდგომად[6] მაჭირვებელთა, რომელთაცა ქუეშე შემვრდომ[7] იყუნეს იყ[ი]ნი მეზობელთაგან თჳსთა.

მფარუელობამან ყოელისა რუსეთ[ი]სა თჳთმპყრობელთამან[8] მეფეთა მიმართ საქართუელოჲსათა, ნათესავთა და ყმათა მათთაღმი[9] მინიჭებულმან, გამოიყუანა მოკიდულებაჲ იგი უკანასკნელთა ამათ,. პირუელთა მათგან[10], რომელიცა უფროსღა იჩუენების რუსეთის[11] საიმპერატოროჲსა ტიტლოსაგან[12].

აწ̃ ბედნიერად მმეუობამან[13] იმპერატორებისა[14] მისისა დიდებულებამან ცხად უყო ერთა ამათ, ნამდჳილითა სახითა მონარხობითი თჳსი კეთილ-ნებობაჲ და დიდსულობითი[15] მშრუნუელობაჲ[16] კეთილობისათჳს მათისა, თჳსითა ძლიერითა მეცადინობისა[17] დართჳთა[18], განთავისუფლებისათჳს მათისა უღლისაგან მონებისა და საყუედრელისაგან ტყეედ მიჴდისა ვაჟთა და ქალთასა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყვნეს და განაგრძელებს თჳსსა მონარხობითსა მოხედუასა მფლობელთა მათდამი[19]. პაზრითა[20] ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ი რ ა კ ლ ი თე-

[1] ქარაგმას ღ̃ისა და მისთ. ჩვენ ყველგან ვხსნით ასე: ღ ვ თ ი ს ა, თუმცა ტექსტის გამომცემელსი უფრო ხშირად მიმართავენ ფორმას ღ მ რ თ ი ს ა. XVIII ს. 80-იანი წლებისათვის მოსალოდნელი იყო ფორმა ღ ვ თ ი ს ა, რასაც ადასტურებს თუნდაც 1784 წელს პეტერბურგს გამოცემული ტრაქტატის ტექსტიც. სადაც ქარაგმა ასეა გახსნილი. [2]ერთსა .A [3] ერთმორწ̃მუნეობამან BCD. [4] კეისახურა BCDR [5] მესაველრებლობითა C. [6] წინაღმდგომად DR. [7] შეერდომილ B. [8] თჳთმპყრობელთაგან B. [9] მათდამი CD. [10]ამათგან CDR. [11] რუსეთისა CDR. [12] ტიტლოჲსაგან CDR. [13] მმეუობამან D. [14] იმპერატორობისა CDR. [15] დიდსულობით CD. [16] მსურუელობაჲ B. [17] მეცადინეობისა D. [18]მართეითა B. [19] მათთაღმი CDR. [20] პაზრთათა B.

იმურაბოვიჩისა, რომელიცა მოღებულ იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა, მიღებისათჳს ყოელითა მემკჳდრითა და მენაცულითა[21] თჳსითა და ყოელითა სამეფოჲთა[22] და სამფლობელოჲთა[23] თჳსითა მონარხობითსა მფლობელობასა ქუეშე მისისა დიდებულებისასა და მაღალთა მემკჳდრეთა მისთა[24] და მოსაყდრეთა, უბენაეს ჴელმწიფედ აღსარებითა ყოელისა რუსეთისა იმპერატორთა მეფეთა ზედა ქართუელთა[25] და კახეთისათა, ყოველად უმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცებაჲ მეგობრობითისა პირობისა ჰხსენებულისადმი[26] უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთკერძო უგანათლებულესობა მისი სახელითა თჳსითა და თჳსთა მენაცულეთათა[27] აღიარებს უბენაესსა ჴელმწიფებასა[28] და მფარუელობასა მისისა იმპერატორების[29] დიდებულებისასა და მაღალთა მოსაყდრეთა მისთა მფლობელთა ზედა და ერთა სამეფოჲსა ქართლისა და კახეთისათა და სხუათა სამფლობელოთა, შესაბამთა მათდამი[30], რათა დანიშნულ ყოს[31] (სამეუფოჲთა)[32] დღესასწაულობითა და ნამდჳლითა ხატითა შეკრულებაჲ[33] თჳსი, განსჯითა ყოელისა რუსეთისა იმპერიისა თანა.

ხოლო მეორით კერძო დიდებულებაჲ იმპერატორებისა[34] მისისა ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ყოს[35] დღესასწაულობით, თუ ვითარი აღმატებულებაჲ და სარგებელი მიენიჭების მოწყალისა და ძლიერისა მარჯუენისაგან მისისა ჰჴსენებულითა[36] ერთა და უგანათლებულესთა მფლობელთა მათთა.

დასამტკიცებლად[37] ესევითარისა პირობისა ინება დიდებულებამან იმპერატორებისა მისისამან სრულისა ძალისა ქონებად[38] უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა რომაულისა[39] გრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი, მჴედართა თჳსთა ღენარალ[40] ანშეფი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა, გასწავლულისა[41] და გაუსწავლებელისა[42] და სხუათა მრავალთა სამჴედროთა ძალთა, სენატორი, საჴელმწიფოჲსა სამჴედროჲსა კოლლეჟიის[43] ვიცე-პრეზიდენტი[44] ასტრახნისა[45] და სარათოვისა, აზოვისა და ნოვაროსსიისა[46] მოად-

---

[21] მენაცუალითა CDR. [22] სამეფოთა CDR. [23] სამფლობელოთა CDR. [24] მისითა DR. [25] ქართლისა CDR. [26] ხსენებულისადმი B. [27] მონაცუალეთათა B. [28] ჴელმწიფობასა B. [29] იმპერატორობის CD. [30] მათთადამი CDR. [31] ყოს P. [32] < BP. [33] შეკრულება B. [34] იმპერატორობისა C. [35] ყოს CD. [36] ხსენებულთა B. [37] დასამტკიცებლად BCD. [38] მქონებლად B. [39] პრომაულისა BCDR. [40] ღენერალ BCD. [41] განსწაელულისა BCP; განსწაელულისა D. [42] გაუსწაელებულისა B; განუსწაელულისა CD; განუსწაელელისა R. [43] კოლლეჟიისა BP. [44] ვიცეპრეზიდენტი ABP. [45] ასტარხანისა A. [46] ნოვოროსიისა BP.

ვილე ჴელმწიფისა, ღენარალ-ატუტანტი[47] თჳსი და დეისტვიტელნი კამერღერი, კავალერ ღვარდიისა კორპუსისა პორუთჩიკი, ლეიბღუარდიისა პრეობრაჟენის პოლკისა[48] პოდპოლკოვნიკი, უპირუელესი მთავარი პალატისა სასაჭურუელოჲსა[49] ჴელოვნებისა, კავალერი ორდენთა წმინდისა[50] მოციქულისა ანდრეასი, ალექსანდრე ნევსკისა, სამჴედროსა წმინდისა[51] დიდისა მოწამისა გიორგისა და წმინდისა[52], მოციქულთა პსწორისა[53], ელადიმირისა, დიდთა ჯუართა კოროლთა პრუსიისა შავისა და პოლშისა თეთრისა არწივისა და წმინდისა[54] სტანისლავისა, შუეციისა სერაფიმთა დატსკისა[55] სპილოჲსა და ღოლსტინიისა[56] წმინდისა[57] ანნასი. ესევითარითა ჴელმწიფებითა[58], რათა არ ყოფასა[59] მუნ თჳსსა[60] აღირჩიოსმცა ნებითა თჳსითა სრულისა ძალისა მქონებელად[61], ვისიცა კეთილად განსაჯოს[62] მან, რომელმან რომლისათჳს აღირჩია და სრულისა ძალისა მქონებელ ჰყო მაღალმსულელი უფალი მისის იმპერატორების დიდებულების[63] არმიისა[64] ღენარალ-პორუტჩიკი[65], ასტრახნის[66] ღუბერნიის მჴედრობისა მოკამანდე, მისის იმპერატორების[67] დიდებ[ულებ]ისა დეისტვიტელნი[68] კამერღერი და ორდენთა რუსეთისათა წმიდისა[69] ალექსანდრე ნევსკისა[70], სამჴედროსა[71] დიდის მოწამის[72] და ძლევაშემოსილის[73] გიორგისა და ღოლსტინიის[74] წმიდის[75] ანნას კავალერი პაველ სერგიევიჩი[76] პოტემკინი.

